

# პანთეონი

ქ. ცხელი წყლის  
პანთეონი

ვანტანო გოგუაძე

# ვანთაონი



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2010





რედაქტორი

თამარ გოგუაძე

K286.400  
3

© ვ. გოგუაძე, 2010

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის რაიონი, 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-912-4



## „ჩვენ ძალას გვმატებენ იმ ქვეყნის მკვიდრნი, რათა ღირსებით ვიაროთ წინ...“

*ვახტანგ გოგუაძე*

„პანთეონის“ რედაქტირებული ვერსია წარმოადგენს ვახტანგ გოგუაძის ამავე სახელწოდების მოგონებათა კრებულის მეორე გამოცემას, რომელსაც თან ერთვის მის თანამოღვაწეთა მოგონებები ავტორის შესახებ. იმედია, მკითხველი კადნიერებად არ ჩათვლის, თუ ვიტყვით, რომ ვახტანგ გოგუაძის ოჯახმა ეს წიგნი საქართველოს ნათელ მომავალს მიუძღვნა, რადგან საზოგადო მოღვაწის როლი ქართველი ერის ცნობიერებაში ეროვნულ ღირებულებასთან არის გაიგივებული და პიროვნულობის საზღვრებს სცილდება.

ავტორის მიერ შექმნილი პროგრეტები წინამორბედთა იმ ადამიანურ თვისებებს წარმოაჩენს, რომელიც ერის ზნეობრივი აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში მორალური და სულიერი ღირებულებების გარკვეულ მოდელს გვთავაზობს. უფროსი თაობის პატივისცემა და მათი გამოცდილების გაზიარება ერის სულიერი აღორძინებისა და გადარჩენის საფუძველია. „პანთეონში“ შექმნილი ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა პროგრეტები არა მარტო მათ პიროვნებებს ახასიათებს, არამედ, მათთან ურთიერთობის გაცოცხლებით, დროისა და სივრცის ბარიერს არღვევს ამქვეყნიურსა და მარადიულ სამყაროს შორის. წარსულისაგან სწავლა ერთადერთი გზა არის ნათელი მომავლისაკენ, რადგან როგორც თავად ავტორი იტყოდა: „დროთა კავშირი თუ დაირღვა, ფესვმოჭრილი მუხა აღარაა მუხა, არამედ დაღუპვისათვის არის განწირული“. წინსვლა წინაპრე-

ბის გამოცდილების გათვალისწინებით არამარტო ეროვნულ კონტექსტში, არამედ პიროვნების სულიერ პლანშიც მოიაზრება. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა არ არის დაინტერესებული წმინდანთა ცოდვებითა და მათი სისუსტეების დეტალური აღწერით, არამედ სწორედ იმ თვისებებს წარმოაჩენს, რომელიც მკითხველს სულიერი სრულყოფის პროცესში დაეხმარება და თითოეულ ადამიანს თავისსავე სულში ღვთის ხატების აღმოჩენას შთააგონებს. ყოველი ადამიანი, როგორც ღვთის ხატება, ღვთის მსგავსების აღდგენისაკენ მიისწრაფვის და ამ პროცესში არა მარტო ეკლესიის მიერ კანონიზირებული წმიდანები, არამედ ყველა ღირსეული ადამიანი შეიძლება მაგალითად მოგვევლინოს. ამ წიგნში ხაზგასმული სიმდაბლით წარმოჩენილი ადამიანური ბუნების ღირსება და მშვენიერება სწორედ მარადიულ ღირებულებებზე დააფიქრებს მკითხველს.

ვახტანგ გოგუაძის სახელი ქართველი საზოგადოებისათვის ჩვეულებრივ პატიოსნებასთან, უანგარობასთან და გმირულ უკომპრომისობასთან ასოცირდება. მისი პიროვნების გამორჩეული თვისებები ამ წიგნში იმ დამსახურებულ მოღვაწეთა თვალით არის დანახული, ვისაც მასთან ერთად ცხოვრების ესა თუ ის მონაკვეთი გაუვლია. მისი პიროვნული, სულიერი, აკადემიური თუ პოლიტიკური მემკვიდრეობა ყოველთვის შორ მანძილზე იყო გათვლილი და მატერიალურის ჩარჩოების მიღმა რჩებოდა. ამდენად, მისი პორტრეტის შექმნის საუკეთესო გზად სწორედ მოგონებები გვესახება. პროფესორი, მეცნიერი და უნივერსიტეტის პრორექტორი ვახტანგ გოგუაძე ყოველთვის წერდა მხოლოდ განცდილს და გულიდან ამონათქვამს. ჩრდილში უხმაუროდ საქმის კეთება მისთვის სამშობლოსა და ხალხის მსახურების პასუხისმგებლობით იყო განპირობებული და არა – ამ-



ბიციებითა თუ პოპულარობის სურვილით. პირველი მოწვევის პარლამენტის სპიკერი ხშირად შეუნიშნავთ თოვლში ფეხით მიმავალი პარლამენტის შენობისაკენ, რაც გამჭრიახ ადამიანს სენტიმენტალური აღტაცების ნაცვლად ზნეობრივ პრიორიტეტებსა და ქრისტიანულ ღირებულებებზე დააფიქრებდა.

მრავალი რამ რჩება მოსაგონარი და უთქმელი, რაც უთუოდ მკითხველის წარმოსახვამ უნდა შეავსოს. მისი მეგობრებისა და თანამოღვაწეების მიერ შექმნილი პორტრეტი უერთდება მისსავე შექმნილ „პანთონს“ და მარადისობაში გადაინაცვლებს მისთვის ძვირფას საზოგადო მოღვაწეებთან ერთად.

დასასრულს კი, მსურს, მადლობა გადავუხადო ყველა ავტორს, ვინც მოიგონა ვახტანგ გოგუაძესთან დაკავშირებული ეპიზოდები. მადლობას ვუხდის დედაჩემს, ვახტანგ გოგუაძის მეუღლეს, ქალბატონ ნანა ჩხაიძე-გოგუაძეს განსაკუთრებული ძალისხმევითა და ორგანიზებულობისათვის. მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ოჯახის მეგობარს ბატონ ზურაბ გაიპარაშვილს წიგნის რედაქტირებისას განეული დახმარებისათვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის გიორგი გოგუაძეს განუზომელი წვლილისთვის ამ წიგნის გამოცემაში.

*თამარ გოგუაძე*

## ვახტანგ გოგუაძე

დაიბადა 1940 წლის 14 თებერვალს სოფელ ლესაში (ლანჩხუთის რ-ნი). 1963 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1967 წ. დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (თემა: „ფორმა და შინაარსი პოეზიაში, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მაგალითზე“). 1984 წელს სადისერტაციო ნაშრომისათვის „ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი“ მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ესთეტიკის დარგში. 1985-1990 წლებში მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში როგორც პროფესორი და პრორექტორი. 1988 წლიდან იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანთროპოლოგიის ლექციების კურსის წასაკითხად სასულიერო აკადემიაში მიიწვია. ვახტანგ გოგუაძე აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, იყო ეროვნული კონგრესის წევრი (1990 წ.). 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი გახდა, იმავე წელს საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტის სპიკერად აირჩიეს, 1995-1998 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. 2001 წლიდან ის თავმჯდომარეობდა „რუსეთ-საქართველოს მეგობრობის კავშირს“ და ამავე დროს ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ვახტანგ გოგუაძე არის მრავალი სტატიისა და მონოგრაფიის ავტორია, მათ შორის, წიგნების: „ერი გულადი, პურადი...“ (1977, მეორედ გამოიცა 2009 წელს), „ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი“ (1980), „Человек в Искусстве“ (ТГУ, 1989), „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“ (1993), „Верните мне мою Россию“ (Тбилиси, 2000), „Два Зверя“ (Тбилиси, 2002), „Судьба Грузии от Бориса Годунова до Владимира Путина (1604-2004 гг)“ (Тбилиси, 2004), „Сталин и Страшный Суд“ (Тбилиси, 2005). „Сталин и Апокалипсис“ (Тбилиси, 2007).

ვახტანგ გოგუაძე გარდაიცვალა 2007 წელს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.





„წინაპართაგან წავიდა ყველა  
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაბული“.

*გალაკტიონი*

წინასიტყვაობა .....	13
გრიგოლ აბაშიძე (1914-1994) .....	21
ირაკლი აბაშიძე (1909-1991) .....	25
თენგიზ აბულაძე (1924-1994) .....	27
ნოდარ ამალღობელი (1930-2004) .....	33
ნოდარ ახალკაცი (1939-1999) .....	37
გელა ბანძელაძე (1927-1985) .....	44
ანგია ბოჭორიშვილი (1902-1982) .....	47
თენგიზ ბუაჩიძე (1926-1994) .....	50
ვალერიან გამყრელიძე (1904-1995) .....	52
კორნელი დანელია (1933-1997) .....	62
ნოდარ დუმბაძე (1928-1984) .....	65
ილია ვეკუა (1907-1977) .....	68
მიხეილ ზანდუკელი (1889-1968) .....	73
რეზო თაბუკაშვილი (1927-1990) .....	76
ვახტანგ კალანდარიშვილი (1924-1997) .....	78
ჯანსუღ კახიძე (1936-2002) .....	81
გრიგოლ კიკნაძე (1909-1974) .....	86
მერაბ კოსტავა (1939-1989) .....	95
შოთა ლომიძე (1936-1993) .....	105
მერაბ მამარდაშვილი (1930-1990) .....	109
კოტე მახარაძე (1926-2002) .....	124
ნიკო მგელაძე (1889-1962) .....	126
ლეონ მელიქსეთ-ბეგი (1890-1963) .....	129
მიხეილ მესხი (1937-1991) .....	134
შალვა ნუცუბიძე (1888-1969) .....	138
ზაალ უვანია (1932-1977) .....	144
ლევან სანიკიძე (1925-2003) .....	148
ვენორ ქვაჩაზია (1924-1982) .....	154
ჟიული შარტავა (1945-1993) .....	167
დავით ჩხიკვიშვილი (1921-1987) .....	168
აბონ ციციაშვილი (1931-2002) .....	176
სავლე წერეთელი (1907-1966) .....	180

ნიკო ჭავჭავაძე (1923-997).....	184
გურამ ჭილაშვილი (1929-1990).....	193
გიორგი ჯიბლაძე (1913-1989).....	195
ოთარ ჯინორია (1914-1975).....	199
სერგო ჯორბენაძე (1926-1998).....	207

## მომონებები ვახტანგ გომეზაძეზე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II (დიდი შრომა გასწია ერისა და ეკლესიის შერიგებისათვის..).....	217
ვალერიან ადვაძე ჩვენ ერთი რწმენით ვცხოვრობდით!.....	238
ეთერ ავსაჯანიშვილი კაცი, რომელიც ქალაქს დააკლდა.....	244
არქიმანდრიტი იოაკიმე ასათიანი სრულიად გამორჩეული პიროვნება.....	250
რევაზ ბალანჩივაძე ელვარე ნიჭის ადამიანი.....	254
ანზორ ბალუაშვილი ვახტანგ გოგუაძე – საქართველოს ღირსეული შვილი, მეცნიერი, შემოქმედი, პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე.....	260
ვაჟა ბერიძე მოძღვარი.....	264
გოგი ბიჭაშვილი ბინდისფერია სოფელი.....	271
ქეთევან გვაზავა კეთილად მზრდელი მასწავლებელი.....	275
თამაზ გოგიჩაიშვილი ნაწყვეტი წიგნიდან „გუმინდელივით მახსოვს“.....	279
ამირან გომართელი ცინცხალი გონების კაცი.....	282
იუზა ევგენიძე ნიჭით და კაცობით გამორჩეული... ამქვეყნად სიკეთის მთესველი.....	285
ალექსანდრე ელერდაშვილი ჩვენი ღრვის გმირი.....	290
ანზორ ერქომაიშვილი ვამაყობ, რომ ვიყავი მისი თანამედროვე და მასთან ვმეგობრობდი.....	293
მიხეილ ვადაჭკორია თურმე სრულიად არ ყოფილა აუცილებელი ფუფუნებაში იცხოვრო... ..	296
ირაკლი კალანდია მან რაც მოასწრო, სავსებით საკმარისია ისტორიაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.....	303
ვალერი კვარაცხელია ოჩნომურიდან პრეზიდენტობამდე.....	304



გიგა ლორთქიფანიძე (ვასტანგ გოგუაძე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პიროვნებაა...) .....	311
გურამ ლორთქიფანიძე ბატონი ვასტანგი.....	313
მარიამ ლორთქიფანიძე (ვასტანგ გოგუაძე იყო პიროვნება, რომელიც ეროვნულ საქმეს ხმაურის გარეშე აკეთებდა...) .....	318
ოთარ მიმინოშვილი კაცი გულადი, პურადი.....	320
ლადო მინაშვილი რაც დავიწყებით არ იბინდება .....	326
რევაზ მიშველაძე (საქართველოს ისტორიის გზავასაყარზე .....	333
მიშა მცურავიშვილი (ვასტანგი ყველაფრის მომსწრე და ამტანი ვაჟკაცი იყო...) .....	334
გურამ საღარაძე ვასტანგ გოგუაძე.....	335
მაცაცო სებისკვერაძე ერის კაცი.....	336
რევაზ სირაძე ამ ქვეყნისა და მისი კულტურისადმი ყადრით.....	338
უმცროსი მეგობრები ზეციური საქართველოს მარადიული რაინდი და გუშაგი.....	340
გერმანე ფაცაცია (ვასტანგ გოგუაძე, როცა ახალგაზრდა მეცნიერი იყო...).....	342
ედუარდ შევარდნაძე ვასტანგ გოგუაძე .....	343
ჯანსუღ ჩარკვიანი მადლით გამაგრებული.....	344
რეზო ჩხეიძე (ვასტანგ გოგუაძე იყო ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი...) .....	346
ტარიელ ჭანტურია (მანსოვს, ვასტანგმა დამირეკა...).....	347
თეიმურაზ ხუროძე ნათელში იყოს შენი სული, ჩემო ძვირფასო ვასტანგ.....	348
ჯამლეტ ხუნაშვილი ზღაპრული პიროვნული თვისებებით ნაქსოვი თვითმყოფადობა.....	351
თემურ ჯაგოდნიშვილი მას არც წარსულის ეშინოდა, არც მომავლისა.....	354
ნეკროლოგი.....	359
სახელთა საძიებელი.....	362

ამ წიგნში პოლიტიკაზე თითქმის არაა ლაპარაკი. თუ თავისთავად სინამდვილეა პოლიტიზირებული, ეს ჩვენი ბრალი არაა. მაგრამ იგი პოლიტიკოსების არცა გულის მოსაგებად, არცა გასაგულისებლად არის შექმნილი. იგი სიყვარულმა შექმნა.

მას მე პირობითად „პანთეონი“ ვუწოდებ, მსგავსად ხორციელი პანთეონისა. ესა არის ცდა სიტყვიერი პანთეონის შექმნისა.

„ცა და დედამიწა გადავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გადავლენ“ (მათე, 24,35). ოქრო, ბრინჯაო, მარმარილო დიდად ჩამორჩება იმ არამატერიალურ მასალას ძეგლისა, რომელსაც სიტყვა ჰქვია. სიტყვა, ღვთისაგან კურთხეული, ღვაწლმოსილ ადამიანთა ხვედრია. სიტყვიერი ძეგლის არსობას პუშკინმა უძღერა, მან თვით ალიგო ძეგლი თავისი ღირთით, თავისი სიტყვით.

„Я памятник себе воздвиг нерукотворный“

„ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, უნეტარესი“

რაც შეეხება „ჩემს“ პანთეონს, რომლის ხელოსანიცა და ყარაულიც მე ვარ, მას თავისი სპეციფიკა აქვს. მე ის „ავაშენე“ ასეთი პრინციპით: იმ დიდებულ ადამიანებს, რომელთაც მე შევხვედრივარ, ურთიერთობა მქონია მეტ-ნაკლები სიახლოვით, მივაგე ჩემი ცოდვილი გულით წრფელი სიყვარული და პატივისცემა. ამის უფლება ყველასა გვაქვს. მით უმეტეს, ბედმა ისეთი მწარე, მაგრამ საპატიო ხვედრიც მარგუნა, რომ ზოგიერთი მათგანის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარეც გახლდით (გრიგოლ აბაშიძის, თენგიზ აბულაძის, თენგიზ ბუაჩიძის, ჟიული შარტავას...).

რა თქმა უნდა, კეთილშობილი მკითხველი აშკარად იგრძნობს უკმარისობას. ამოდენა ავტორიტეტი ასე ძუნ-

წად (მოცულობის თვალსაზრისით) არის წარმოდგენილი მაშინ, როცა ზოგიერთი მათგანის შესახებ მთელი მონოგრაფიები არსებობს. აქ პიროვნებანი მხოლოდ შტრიხებით არის წარმოდგენილი, ეს არაა ბიოგრაფიული განხილვა მათი ღვაწლისა. ესაა ზოგჯერ უმნიშვნელო დეტალებში გამოკრისტალებული მათი ხასიათი. გმირის დიდბუნებოვნება, პლუტარქეს თქმით, ზოგჯერ უფრო მჟღავნდება პატარა ეპიზოდებში, ვიდრე სისხლის-მღვრელ ბრძოლებში. ესაა მხოლოდ პორტრეტები შტრიხებში. დანარჩენი მკითხველმა უნდა შეავსოს.

წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული წერილები ამ მოღვაწეთა შესახებ, ზოგიც ბოლო ჟამს შევაკვ. არ დაგიმალავთ და რაღაც უცნაური განცდა კი დამეუფლა. ამ ბოლო ჟამს, მუშაობის დროს ნათლივ გაცხადდა წარსული, ასე მგონია, ვსაუბრობდით, ვეკითხებოდით იმის შესახებაც, რასაც არ შესწრებთან, მაგრამ თითქოს ვგრძნობდი – მათი ნათელი სული რანაირ რეაქციას მოახდენდა, რანაირ შეფასებას მისცემდა მოვლენებს, თუმცა ეს ჩემს დარდად დავიტოვე.

ვეკითხები ჩემს თავს და მკითხველს: ვის სჭირდება მოგონება, მოფერება გარდასულ სულთა, ჩვენ თუ მათ? უწინარესად, ეს ჩვენ გვჭირდება. დროთა კავშირი თუ დაირღვა, ფესვებმოჭრილი მუხა აღარაა მუხა; მხოლოდ სამგანზომილებიან დროში ცოცხლობს ერი. წარსულთან კავშირის გაწყვეტა ნიშნავს გზის გადაჭრას მომავლისაკენ. ჩვენს წინაპრებზე ჩვენ ასე ვამბობთ: მოვიგონოთო ჩვენი წარსული. ეს მხოლოდ ცალმხრივად ასახავს სინამდვილეს, ის ჩვენი წარსულიცაა და მომავალიც.

ბერძნული ტერმინი „პანთეონი“, ცხადია, წარმართული ღმერთების, მრავალღმერთიანობის აღმნიშვნელია. ტერმინის ქრისტიანიზირებით, შეიცვალა მისი მნიშვნე-



ლობა. იგი ღვთის რჩეულთა განსასვენებელ ადგილს ნიშნავს. პანთეონის მაგივრობას საქართველოში ისტორიულად ეკლესია ასრულებდა. რაც შეეხება ქართული კულტურის მოღვაწეთა ხვედრს, იგი XVII-XVIII საუკუნეებში ტრაგიკულზე ტრაგიკულია. ბესიკი იასაშია (რუმინეთი) დაკრძალული, ვახტანგ მეექვსე – ასტრახანში (რუსეთი), სულხან-საბა ორბელიანი – „ვსესხვი-ატსკაიაში“ (მოსკოვი), ანთიმოზ ივერიელის, რუმინეთის (ვლახეთის) მიტროპოლიტის (ფაქტობრივად, პატრიარქის) საფლავიც კი არ არსებობს, დავით გურამიშვილი – მირგოროდში (უკრაინა)...

„სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა...“ (რუსთაველი). ან თვით რუსთველი სად აღესრულა?!

ქართველები, როგორც იშვიათად სხვა რომელიმე ხალხი, მიჯაჭვულნი არიან თავის მშობელ მიწას. ქართველს შიში არ შორდება – ვაითუ, სამშობლოში ვერ დაიმარხოს!

დარჩეული ქართველი მამულიშვილების დიდმა კოლონიამ რუსეთს შეაფარა თავი. აქ XVIII საუკუნეში (1711წ.) მეფე არჩილ მეორემ დააარსა დონის მონასტერი (მირქმის ეკლესია). ამ მონასტრის ეზოში საფლავები სუნთქავდნენ აგერ, მეორე მსოფლიო ომამდე. მაგრამ სხვა ქვეყანა სხვის საფლავებს დიდხანს ვერ შეინახავს. წინაპართა საფლავებს მხოლოდ თავისი შთამომავლობა ჰყავს ჭირისუფალი.

ქვეყანა, რომელიც ცოცხალ მამულიშვილებს ვერ იცავდა, ცხადია, ველარც საფლავებს დაიცავდა. მხოლოდ XIX საუკუნიდან გვაქვს პანთეონი მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონი... „ჩემი“ პანთეონი, ბუნებრივია, პოეტური ხასიათისაა. ეს ნიშნავს, ლამაზად დავინახოთ

ჩვენი ამქვეყნიურ-იმქვეყნიური ურთიერთობის სურათები. პოეტური კეთილს ეძებს, მშვენიერს ეძებს. პროზაული კი – პირიქით. პროზა ჩხრეკს, პროზა, რაც ჩანხართ, ის არა ხართ... ქვესკნელში ჩაჰყვება თქვენს ცოდვებს. ღმერთმა დამიფაროს, ვინმე განვიკითხო. მით უმეტეს, არსებობს მკაცრი რელიგიური დამოძღვრა: მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიაო. ეს იმიტომ, რომ გარდაცვლილმა ცოდვები მიწად დატოვა. აქ წარმოდგენილი ძვირფასი ადამიანების ხსოვნა, ჩემი ცოდვილი კალმით რომ შევეცადე რაღაც პრიზმაში დაგვენახა, გამეცოცხლებინა, ცხადია, მხოლოდ დადებით პლანშია ნაჩვენები. ქვეყნად არ არსებულა ხორციელად მოვლენილი წმინდანი, თავი რომ უცოდველად მიეჩნია. არც ეს დიდებული სახეები იყვნენ უხორცონი. მათ ცოდვები დატოვეს და იმ ქვეყნად აღვლინდა მათი კეთილი სულები, ჩვენში აღიბეჭდა მათი დაუვიწყარი სახეები.

ადამიანი სიცოცხლეში ტანჯვით ებრძვის ბუნებით მოცემულ ცოდვებს. რაც უფრო ნათელია ადამიანის სული, მით უკეთ ხედავს იგი თავის თავში ბნელს. გოეთე ამბობს: არ არსებობს ბოროტება, რომელიც ჩემში არ იყოსო. არაფერი ორიგინალური ამ შემთხვევაში არ უთქვამს გერმანელ გენიოსს. მან გამოხატა წმინდა მამების აზრი. რალა შორს წავიდეთ? „ლოცვები ზიარების წინ“ – ყველა კითხულობს, ვინც ეკლესიაში დადის და ეზიარება. ეს წიგნი წმიდა მამების ქადაგებათაგან არის შედგენილი, ე.ი. ყველაზე წმინდა ადამიანების ქადაგება, როგორ უნდა ჩაიხედო საკუთარ ხორციელ ბიწიერებაში. ჩვენ კი ხშირად გვკონია, რომ ბოროტება მხოლოდ ბოროტ კაცებს ეკუთვნის. აბა, მოვუსმინოთ უწმიდეს წმიდა მამებს: იოანე დამასკელის, ბასილ დიდის, იოანე ოქროპირის, სვიმონ მეტაფრასისა... და სხვების ლოცვებს:

„რომელი ცოდვა არა ვქმენ, რომელი ძვირი არა გამოვისახე სულსა შინა ჩემსა ხოლო საქმითაცა ვქმენ სიძვაი, მრუშებაი, ამპარტავნებაი, ზვაობაი, ფიცი, გმობაი, უქმის მეტყველებაი, სიძულვილი, შური, ვერცხლისმოყვარეობაი, ტაცებაი, უსამართლობაი...“ ცოდვები აღმატებლო თმის ოდენობას თავზე, მაგრამო „აურაცხელ არს სიმრავლე მოწყალებათა შენთა.“

ამიტომაა ნათქვამი, რომ სიკვდილი ხსნაა სულისა ცოდვებისაგან. როცა წმიდა მამები სულის თვალებით საკუთარი ხორციელი ბუნების სამყაროს ჩაჰყურებდნენ ადამიანის მიწიერ ცოდვილ ბუნებას, გვასწავლიდნენ, რა შრომით, ტანჯვით, ლოცვით უნდა ვებრძოლოთ ამ ცოდვებს. მხოლოდ ასე მიიღწევა უფლის წყალობა. და, რაც მთავარია, გამორჩეულთა ცოდვები შეეფარდება მათ ნაღვაწ სიკეთეს. მათ მიერ ერისთვის, ქვეყნისთვის გაკეთებული სიკეთე ხშირად გადასწონის მათსავე ცოდვებს. ცოდვები კი არის „ნებსითი თუ უნებლიეთნი“.

რა ვიცით ჩვენ იმქვეყნიური სასუფევლის შესახებ?

ცოდნით არავინ არაფერი იცის. ამ საიდუმლოების კლიტე-გასაღები ღმერთს არავისთვის, ხორციელად მოვლინებულისთვის, არ გაუნდვია. მაგრამ რწმენა იმისა, რომ სული განშორდება და არ მიჰყვება ხორცს, ეს ყველას გვაქვს. მით უმეტეს ნათელი, სიკეთის მქმნელი სულები ღვთისაგანაა, ღმერთმა მოიყვანა, ღმერთმა წაიყვანა. ცოდნით არ ვიცით, რწმენით კი ვგრძნობთ, რომ უფლის სამეფო მარადიულია და იქ რაღაცნაირი თავშესაფარი მოგველოდება.

ამ წიგნში მკითხველი ბევრგზის შეხვდება ქართულ სუფრას. ბევრი მასში წარმოდგენილი პიროვნება ბრწყინვალე თამადაც იყო. ქართული სუფრის მიმართ ეშმაკეულთა აგრესია შემთხვევითი არაა. ქართული





სუფრა საერო ეკლესიაა. ესაა წესების, ტრადიციის, კულტურის ფენომენი. უგვანი კაცების არც სუფრა ვარ-  
გა და არც პარლამენტი. თუმცა ქართულ სუფრაზე სა-  
ოცარი რამ ხდება. თუ ფსიქიკა მორღვეული არა აქვს  
კაცს, მტრის პირისპირ რომც აღმოჩნდება სუფრაზე –  
ან აღღებრძელებს მტერს, ან წესიერად დაუკრავს თავს  
სადღებრძელოს; კრიტიკას მაინც არ დაუწყებს. მე ვლა-  
პარაკობ ნორმალურ ქართველზე. ღვინის ჯანსაღად  
მსმელი კაცი არ ჭიჭყინებს. ან კარვს გეტყვის, ან არა-  
ფერს. ქართული სუფრის ყველაზე ღრმა ფენომენია ქე-  
ლენის სუფრა. აბა, გადახედეთ, როგორი სევდა, სათნო-  
ება, მოწიწება და წესი სუფევს! ეშმაკს ეს შეუნიშნავი  
არ დარჩენია და მოისურვეს ღვთივკურთხეული ღვინო  
შეეცვალათ იმ სასმელებით, რაც სიყვარულის, ურთიერ-  
თმოფერების, გამხნეების ღამაზე რიტუალს ვერ შეძ-  
ლებდა, ჩაშლიდა. წარმოიდგინეთ ქართული ქელენი ასე-  
თი – სამ-სამი კაცი ზურგშექცევით, პაპიროსის კვამ-  
ლში... მათ აღარც მიცვალებული გაახსენდებათ და  
აღარც მისი ჭირისუფალი. ქელენი ქართველთა თანაგ-  
რძნობის, თანადგომის ლოცვაა, შეხსენებაა მამაპაპური  
წესის მოვალეობისა... უკანასკნელი ღარები მოიჩხრიკა,  
ჩხოროწყუდან, ოზურგეთიდან ჩამოვიდა თბილისში, ბი-  
ძაშვილი დაიტირა. ევროპელები ამაყობენ, არა?! არც  
ღედა ახსოვთ, არც მამა?! იამაყონ! ჩვენ კი იმით ვიამა-  
ყოთ, რომ კაი კაცები არ გვავიწყდება, კაიკაცობა არ  
გვავიწყდება.

არ გაგიკვირდეთ, ამ წიგნში ბევრგზის ნახავთ მათ  
სიცილს, სიცოცხლის ხალისის გამოხატულებას. ამით  
ვებლაუჭებით მათ ამ ქვეყანაზე ყოფნის წარმოდგენას.  
მათეული ხუმრობა, სიცილი ცრემლმომძვრელია და იმ  
ღრმა ტკივილს გაგვახსენებს, რომ ისინი ჩვენთან არ





არიან. მაგრამ არ გვავიწყდება, რომ ჩვენც გზა იქეთ გვაქვს. დღეს, როცა მთელი მსოფლიო სიყვარულის საშინელ სიმწირეს განიცდის, მატერიალურად უღარიბესი ხალხი ჯერ კიდევ ვინარჩუნებთ იმ სიმდიდრეს, რაც ციფრებში არ დაითვლება, არც ანგარებით, არც ანგარიშით გაიზომება. ჩვენ გვათბობს ჩვენი წინაპრების თბილი სული, ჩვენ ძალას გვმატებენ იმ ქვეყნის მკვიდრნი, რათა ღირსებით ვიაროთ წინ.

დღეს კაცობრიობას პირზე აკერია „აპოკალიფსი“. „მეორედ მოსვლა“, „საშინელი სამსჯავრო“, „განკითხვის ჟამი“. განრისხებული ბუნება ტექნიკურად აღჭურვილ და გათამამებულ ცივილიზაციას აშკარად აგრძნობინებს თავის უმწეობას: ვაი, შე საწყალო, დიდგულო ადამიანო! ყოვლისშემძლე რომ გეგონა თავი, დაგავიწყდა, პრაქტიკულად დაგავიწყდა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთია მხოლოდ. დღეს ამ აბობოქრებულ ქარიშხალში რაც უნდა მოხდეს, ყველა გზა სულისკენ მიდის.

სჯობს, არ ვიფიქროთ მწარე ფიქრებით, არ ვიდარდოთ სადარდებელი, მივენდოთ წუთისოფელს... ასეთი გულარხეინობის „ფილოსოფიასაც“ აქვს არსებობის უფლება. ამ მხრივ ყველაზე დიდი „ფილოსოფოსი“ სირაქლემია: თავს დამალავს – არ დაინახოს საშიშროება. მაგრამ საშიშროება არ მალავს თვალებს.

დღეს ყველა ვეძებთ საყრდენ ძალებს, რაც დაგვაიმედებს. გულგატეხილი, ხელჩაქნეული ადამიანი ღმერთის რწმენას ჰკარგავს და ესაა ყველაზე დიდი უბედურება. სად ვეძებოთ ოპტიმიზმის წყარო? ძლიერნი ამა ქვეყნისანიც დაეჭვდნენ მამონას ყოვლისშემძლეობაში. ამ დროს, როცა კაცობრიობა ყოველდღე ელოდება მოულოდნელ ცუნამებს გლობალური მასშტაბით, რა დროს წარსულია? უნდა ვეძებოთ ხვალინდელი დღისკენ მიმა-

ვალი პრაქტიკული გადარჩენის გზები – ასეთი აზრებიც, ალბათ, არაშემთხვევითია.

რამდენად პარადოქსულიც უნდა ეჩვენოს პოპულარულ ცნობიერებას, აპოკალიფსი განკითხვას და არა განუკითხაობა. უფლის სამსჯავროს, სასამართლოს ვერვინ მოისყიდის მილიარდებით. უზენაესი სამართლიანობის წინააღმდეგ არ შეიძლება იყოს მორწმუნე ადამიანი.

ღვთის რწმენა ზედაპირულობიდან სულის სიღრმეებში ინაცვლებს. ღვთის რწმენა მაშინაა ჭეშმარიტი, როცა იმქვეყნიური სასუფეველის არსებობა გვწამს. სიკვდილით არ მთავრდება სულის ცხოვრება, სულის ცხოვნება. ეს რწმენა განსაკუთრებით გამინათდა გულში, როცა „ჩემი“ პანთეონის შენებას შევუდექი. ამდენი მშვენიერი ქართველი ერთად, მშვენიერი ადამიანების გალერეა, რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, მომავლის იმედით აღმავსებს. ერთობ მწირია ჩემი წვლილი, მაგრამ მათ სახეებს მომავალი მოქანდაკენი ელოდებიან.

ეს არის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრაქტიკული გალერეა. ყველა ერს ჰყავს თავისი გამოჩენილი და ღირსეული ადამიანები. მეც მნიბლავს ჩემი ერის, ჩემი ხალხის მრავალფეროვანი და ერთსულოვანი ბუნება. ერთსულოვნებაში არ ვგულისხმობ საზოგადოებრივ სახალხო კოლექტიურობას. ამ ერთსულოვნების მეტაფიზიკური სახელია სიკეთე-სიყვარული. ღვთის სიყვარულის შარავანდი მოსავდეს ყველა მამულიშვილს, ჩვენს თანამემამულეთა ხსოვნას.

ვახტანგ გოგუაძე

## გრიგოლ აბაშიძე (1914-1994)

გრიგოლ აბაშიძეს თვალსაჩინო ადგილი უკავია მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის, პროზის, პუბლიცისტური აზროვნების ისტორიაში. პოლიტიკურად რა სახელიც უნდა დაერქვას თუ შეეცვალოს იმ ეპოქას, რომელშიც გრიგოლ აბაშიძე მოღვაწეობდა, დასახელება მისი შემოქმედების სულისკეთებისა არასოდეს შეიცვლება. ესაა ჰუმანიზმი – ხალხის წიაღიდან მოსული შემოქმედი ხალხისა, რომელიც ადამიანის სიყვარულს ემსახურა. მისი შემოქმედების თვალსაწიერი, სამყაროს გააზრების დრო კარგად შეიძლება დავასათაუროთ მისივე პიესის სახელწოდებით – „მოგზაურობა სამ დროში.“ მან ვრცელი ყურადღება დაუთმო საქართველოს ისტორიულ წარსულს – მისი ერთი ყველაზე კრიზისული ეპოქის ასახვით (XII-XIII საუკუნეების მიჯნა).

გრიგოლ აბაშიძემ უძღერა თავის ხალხს თავის მრავალეროვან თანამოძმეებთან ერთად. მისი ნაწარმოებები მრავალ ენაზე ითარგმნა და მრავალი ხალხის სიყვარულიც მოიპოვა. ეს კარგად გამოჩნდა მისი გარდაცვალების უამს. იგი დაიტირა არა მხოლოდ თავისმა ხალხმა. მწუხარება გამოხატეს სომეხი თუ აზერბაიჯანელი ხალხების წარმომადგენლებმა. მწუხარება და თანაგრძნობა გამოხატა პირადად აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა.

ბატონი გრიგოლის შემოქმედება უფლებამოსილად არის დამკვიდრებული ქართველი ხალხის გულში, ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მისი ღვაწლ-შემოქმედების შეფასება ჩემს ახლანდელ მიზანს აღემატება. თავს ნებას ვაძლევ, მხოლოდ იმით შემოვიფარგლო –



გავიხსენო, რა მაკავშირებს ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისით ბატონი გრიგოლის ბიოგრაფიასთან და რანაირი გახლდათ მწერლის გულისხმიერება იმ დროს ჩემნაირი ახალგაზრდების, მკითხველის მიმართ.

41 წლის წინანდელი მადლიერება რომ არ გაცივდება, ესაა ჭეშმარიტად მადლიერება. ბატონი გრიგოლი იმ დროს გახლდათ მთავარი ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალის „მნათობის“ რედაქტორი. იმ დროს ამ ჟურნალში უცნობი გვარის ავტორის გამოჩენა ადვილი არ იყო. იგი მწერალთა კავშირის ორგანოა და შეიძლება გაღიზიანდნენ მწერლები, ლიტერატორები, მით უმეტეს, თუ სკანდალურ წერილს მიიტან, მას ნაკლები პერსპექტივა აქვს. ეს არ არის გამოწვეული მარტოოდენ პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვით, კომუნისტური ცენზურით. ცენზურა მრავალპლანიანია. მარტო უხეში პოლიტიკური დიქტატისაგან გადახვევა კი არა, საზოგადოების მიერ შემუშავებული სტერეოტიპის დარღვევა გახლავთ არაფორმალური ცენზურის დარღვევა. იმ დროს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი გახლდით. მივიტანე რედაქციაში წერილი სათაურით „ლიტერატურის თეორიის კრიტიკისათვის“. ეს საგანი საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სავალდებულოა, როგორც გაბატონებული იდეოლოგიის – სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი თეორიული საყრდენი. სტატია ერთობ დონკიხოტური ხასიათისაა. კარგა ხანს „იწვალა“ მან სარედაქციო კოლეგიის წევრებში. თითქმის ერთი წელი.

განყოფილების გამგე, ძალიან განათლებული ინტელიგენტი შალვა ალხაზიშვილი მონდომებულია დაიბეჭდოს სტატია. ბატონი გრიგოლი ფრთხილობს – ჩემმა მტერმა



გადაიკიდა ლიტერატორების არმია, რეკოლუციონერებმონაგონია. ავიღე და პირადი წერილი მივწერე. წერილის ასლი აღარ მაქვს, მაგრამ მახსოვს, მასში მთელი სული ჩავბერე, რაც მქონდა. მეორე დღეს ბატონი გრიგოლი შესულა განყოფილების გამგესთან, – როგორც თვითონ ბატონმა შალვამ მიაძბო, – მოუთხოვია ჩემი სტატია, – ხელახლა უნდა წავიკითხოო, ისეთი წერილი მომწერა, არ ჩანს ეს ყმაწვილი შემთხვევითი კაცი.

დავამთავრე უნივერსიტეტი და დაიბეჭდა კიდევ ჩემი ნანატრი მემამბოხე სტატია. ბატონ გრიგოლთან მივედი და ლამის თვალცრემლიანმა, სიკეთისა გამო, მაღლობა გადავუხადე. ბატონი გრიგოლი ძალიან მომეფერა, ლოყაზეც მამაშვილურად მომითათუნა ხელი და მითხრა: – მე მზად ვარ, კვლავაც დაგიბეჭდო. შემდეგ კიდევ უფრო მეტიჩარა სტატია მივუტანე სათაურით: „პოეტურისა და ფილოსოფიურის შესახებ“.

დაბეჭდვა იმხანად ნიშნავდა, – ღირს თუ არა შენი ნაფიქრ-ნააზრევი საზოგადოებისათვის და ღირს თუ არა ისწავლო, იკითხო, იშრომო, რომ შენ ქვეყანას შეიძლება გამოადგე. ეს სასიცოცხლო სტიმულია. ბატონი გრიგოლის ბევრი მაღლიერი ადამიანი მინახავს. იგი ძალზე ერუდირებული კაცი იყო.

გაგახსენებთ ერთ ცნობილ ანეკდოტს:

საავადმყოფოში ერთ პალატაში მოხვდნენ აღიარებული მწერალი და უღიარებელი მკითხველი. მკითხველი დნება მოულოდნელობისაგან – რა აზრისაა მწერალი, ვთქვათ, თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსის“, კაფკას „პროცესისა“ თუ ბევრი სხვა ნაწარმოების შესახებ. მწერალი კი ყველაფერზე უბასუხებს – არ წამიკითხავს, არ წამიკითხავს. თავი რომ მოაბეზრა მკითხველმა, გა-

გულისებულმა მწერალმა დაიყვირა – რა გამიწყალე გული, მე მწერალი ვარ და არა მკითხველი!

მე კარგად მახსოვს, ბატონი გრიგოლი რა გატაცებით მესაუბრებოდა ჩემს სტატიაში ციტირებულ გოეთეს და ჰეგელის გამონათქვამზე. ასე რომ, ბატონი გრიგოლი არა მხოლოდ მწერალი, ძალზე ნაკითხი მკითხველიც გახლდათ და მრავალი უცხოური ნაწარმოების მთარგმნელიც. კიდევ კარგი, რომ ადამიანს ყველაფრის წარმოდგენა არ ძალუძს. რას წარმოიდგენდა ან თვითონ, ან მე, რომ ბატონი გრიგოლის ერთ-ერთი ჭირისუფლობა მეც დამეკისრებოდა – სამთავრობო დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარეობა. მაგრამ მინდა, მისი სულიერი შემოქმედებისა და ზესთასოფელში დამკვიდრების ფორმულად მისივე 1964 წელს დაწერილი ნაწარმოების სათაური მივუსადაგო – „ცხოვრება წინ არის“.

## ირაკლი აბაშიძე (1909-1991)

ირაკლი აბაშიძე მონუმენტური ფიგურა გახლდათ –  
შემკული სულითა და ხორციით. ერს შვენოდა და შვენის  
ეს კაცი. მე მის შემოქმედებას ვერ განვიხილავ. ან რას  
შევმატებ მისი განხილვით? იმდენი თქმულა და დაწერი-  
ლა კონსტანტინე გამსახურდიასა თუ შალვა ნუცუბიძის,  
ელგუჯა ამაშუკელისა და თუ ჯანსუღ ჩარკვიანის პი-  
რით...

ირაკლი აბაშიძეს შეეძლო, მოეხიბლა სახელმწიფოს  
საჭეთმპყრობელნი თუნდაც მისი გონებამახვილობით,  
ხუმრობითაც. იგი თავის ხუმრობებში უფრო სერიოზუ-  
ლი გახლდათ, ვიდრე მრავალნი ცნობილნი თავიანთ სა-  
საცილო სერიოზულობებში... თუნდაც პალესტინის ის-  
ტორიული ექსპედიცია რად ღირს, რუსთაველის საფლა-  
ვის მიგნება (ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი წე-  
რეთელი). ამ დიდი საქმის საზღაურად იგი მუზამ დაა-  
ჯილდოვა „პალესტინური ლექსებით“, რომელსაც კონ-  
სტანტინე გამსახურდიამ „მინანქრული ლექსები“ უწოდა.

დედა ენისადმი მისი ჰიმნი უბადლოა:

„შენ აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის,  
იბერის ენავ, ენავ თამარის,  
შენ ნიჭო ჩემო, სრბოლავ და ფრენავ,  
დედაო ენავ, დედაო ენავ.“

ერთი ფოტოსურათი მიდევს თვალწინ, თბილისის II  
ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში გადაღებული. მე და  
კორნელი დანელიას სვანური კოშკივით დაგვეყურებს  
თავზე ბატონი ირაკლი. ეს დიდი კაცი ფარად და ჯავ-  
შნად ედგა ქართველ მწერლებს. იგი პატრონობდა მათ

მძიმე და ეჭვიანი პოლიტიკური ვითარების უამს. ეს მისია დიდი რისკის საფასურად ეძლეოდა მას.

ბატონ ირაკლის დიდ პატივს სცემდნენ მოსკოველი თუ უკრაინელი პოეტები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწენი. ყველაფერი ეს გამოადგა მის ქვეყანას, როგორც ახლა განსაკუთრებით დავრწმუნდით. მაშინ ხომ დიდი კულტურა ვითარდებოდა საქართველოში, თუმცა დიდი მსხვერპლის ფასად. თავისუფლების ხარისხი შემოქმედთათვის ერთობ მძიმე იყო. ასეთი კაცი პატრონით სჭირდებოდა ქვეყანას. იგი დიდი თამადა იყო სუფრაზე თუ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. 80 წელს გადაცილებული ბატონი ირაკლი კვლავ ხმალშემართული იცავდა ქართული კულტურის კორიფეების სულს. მას სიბერეში დისიდენტის უსიამოვნო ტრაგიკული როლიც ერგო. 1997 წლის 17 ნოემბერს დიდი გალაკტიონის მე-100 წლისთავზე ძეგლის შემკობისა და მიტინგის ცერემონიალი ასე ჩატარდა: აქ მოვიდა მხოლოდ ორი მწერალი ბატონი ირაკლი და ბატონი რეზო მიშველაძე. დანარჩენი 25 კაცი, მკითხველები, ვუკრავდით ტაშს. ბატონი ირაკლი ამ მცირერიცხოვნების კომპენსაციას თავისი დიდი ღირსებების წყალობით ახდენდა. იგი ისე უძღვებოდა ამ ზეიმის უკვდავებას, ვით მრავალათასიან მქუხარე ზეიმს. ისტორიას თვალეებს ვერავინ დაუხუჭავს.

ვინ აღნუსხავს ირაკლი აბაშიძის მიერ საქართველოსთვის, თაობებისთვის დანატოვარ სიკეთეს, თუნდაც „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ რად ღირს!

დიდი კაცები სადღა არიან! ამ ღეფიციტის უამს მათი მოგონებებით თუ ავწევთ სულს მაღლა. ირაკლი აბაშიძე ამშვენებს ერს.



## თენგიზ აბულაძე (1924-1994)

– ბატონო თენგიზ, სულ მაკვირვებდა თქვენი და რეზო ჩხეიძის უშურნებელი წმინდა მეგობრობა, რაც იშვიათია ჩვენს სინამდვილეში.

– რას ამბობთ, რეზო თავის ფილმს გვერდზე გადაღებს, სხვას რომ უშველოს. რაც შეეხება „მონანიებას“, მისი სცენარი რეზომ წაუღო შევარდნაძეს. მე არც კი მჯეროდა, რომ საბჭოთა პერიოდში შეიძლებოდა მისი გადაღება. კარგა ხნის შემდეგ ისევ რეზომ მიაკითხა. თურმე შევარდნაძე გვემას ადგენდა, გვერდი როგორ აგვევლო ცენზურისათვის.

ეს საუბარი ბატონი თენგიზის სახლში შედგა 1986 წლის 23 ოქტომბერს. ეს დღე ძალზე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ეს მოხდა ასე: ოქტომბრის დასაწყისში თითქმის ერთი კვირა კინოთეატრ „ამირანში“ გადიოდა „მონანიება“. ფილმმა შეძრა მთელი თბილისი. კინოთეატრში ტევა არ იყო, ბილეთები არ იშოვებოდა და აი, ერთი კვირის შემდეგ ფილმი მოიხსნა ეკრანიდან. ფილმის ჩვენება აიკრძალა. ჯერ მხოლოდ აღშფოთების ჩურჩული დადიოდა საზოგადოებაში, მაგრამ ფილმის გაშვების მოთხოვნის კოლექტიური, ბოხი ხმა არ ისმოდა. დაიწყეს ჩემთან სიარული „საეჭვო“ ინტელიგენტებმა, ახალგაზრდებმა. წინა წელს რისკი გავწიეთ და უნივერსიტეტში მოვიწვიეთ ოთარ იოსელიანი თავისი „მთვარის ფავორიტებით“. პარიზში შექმნილი ეს ფილმი იმ დროს დისიდენტურ ნაწარმოებად ითვლებოდა. ბატონი ოთარი უნივერსიტეტის სახელით, რექტორატის უფლებამოსილებით ივან ჯავახიშვილის სახელობის მედლით დავაჯილდოვე... მაგრამ მაშინ ცკ-კვბ-ს

კლანჭებისაგან მიხსნა კგბ-ს პოლკოვნიკმა მურმან შელიამ, რომელიც ოფიციალურად კურირებდა უნივერსიტეტს უშიშროების სახით. მურმანი იყო (და არის) კულტურული, განათლებული კაცი, რომელსაც მართლა უყვარს თავისი ქვეყანა. რა უთხრა, რით დააჯერა ალექსი ინაური, არ ვიცი, მაგრამ სუსხმა გადაიარა. შემდეგაც გვქონდა უნივერსიტეტში პატრიოტული მოძრაობის მადის აღმძვრელი ღონისძიებები. როგორც ჩანს, ახალი ნიავი აქაც აღწევდა. ჩვენ არ ვიცოდით, რომ გორბაჩოვს ვეხმარებოდით ქვეყნის დაქცევაში. მაგრამ კულტურისათვის ასეთი პერიოდი უაღრესად სასარგებლოა. აი, მაშინ თუ მოასწრებს ხელოვანი და მოაზროვნე, ამოისუნთქოს. საბჭოთა ცენზურა მკაცრი იყო შემოქმედებისათვის. აი, ამ მოშვებულობის პერიოდში ბევრმა მხატვრულმა ნაწარმოებმა ნახა დღის სინათლე. ყოველ ეპოქას ასე უნდა შევხედოთ. რენესანსის დროს ხომ არ ჰგონია ვინმეს, რომ საამური ცხოვრება ჰქონდათ. გარდატეხის ეპოქაში იქმნებოდა შედეგები.

ერთი სიტყვით, უნივერსიტეტს საოცრად მოსწყურდა ენახა ფილმი, რომელმაც ეპოქა შეძრა. საკითხი იდგა, თუ ვიშოვიდით კინოფირს. ბატონი თენგიზი დაგვეხმარებაო... ბატონ თენგიზს გავუგზავნე წერილი, სადაც გავახსენე თავი „მორეული“ ხევსურეთიდან და ვეპატიუებოდი უნივერსიტეტში. მართლაც, დაგვეხმარა რომელია, მთელი ფილმის კოლექტივით მოვიდა 23 ოქტომბერს... მე წინასწარ საქმის კურსში ჩავაყენე რექტორი, ბატონი ნოდარ ამალლობელი. ვუთხარი ცკ-კგბ კი აკაწკაწებენ კბილებს-თქო... – ერთი მაგათი... სულ მაგათ ღუდუკზე ხომ არ ვიცეკვებთო. მან გამოთქვა სურვილი, რომ ამ აკრძალულ ფილმს არათუ დაესწრებოდა, მონაწილეობას მიიღებდა მის განხილვაში. ასეც მოხდა. ერთი წელი არ

გასულა, ივეთქა ფილმმა, მართლა მსოფლიო აღიარებაც ამას ჰქვია. ჩემს პატარა წერილს „უნივერსიტეტის გა-ზეთიდან“ (29 აპრილი, 1988 წ.) დავესესხები: „უნიკალურია ქართული ხასიათის არტისტული გენი. იგი არა ოდენ თეატრალურ ცხოვრებას, აზროვნებისა და მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. არტისტულობა ძვეს პოლიტიკოსის აზროვნების საძირკველში. ესაა გარდასახვის უნარი, ზეგრძნობა და შეგრძნობა, მილიონთა ფიქრისა, ისტორიულ მოვლენათა წაძლოლის ზეგარდმო ძალა. სხვა ამბავია, ვინ საით – სიკეთისა თუ ბოროტებისაკენ! ქართული პოლიტიკური, მხედართმთავრული ენერგია ასპარეზს დიდ ისტორიულ სივრცეებზე იძიებდა – ახლო აღმოსავლეთსა თუ რუსეთში. თეატრალური ხელოვნებაც ვერ ჩაეტია თავის კანში და საფრანგეთის ქალაქ კანში მსოფლიო აღიარება ჰპოვა. ახლა, როცა ზოგ-ზოგები საქართველოს ტირანთა საჯიშედ თვლიან, რაოდენ სასიხარულოა, რომ სწორედ აქ, საქართველოში შეიქმნა უბადლო ჰიმნი თავისუფლების უბადლოობისა. თენგიზ აბულაძემ შექმნა ქმნილება, ფილმი, რომელშიც ეპოქამ ამოისუნთქა. განსაკუთრებით ახარებს ეს უნივერსიტეტს. 1986 წლის 23 ოქტომბერს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ფილმის ნახვის, განხილვისა და აღფრთოვანებების შემდეგ, ბატონ თენგიზს ბატონმა რექტორმა, ნოდარ ამაღლობელმა ივანე ჯავახიშვილის მედალი გადასცა. რეჟისორის საპასუხო სიტყვიდან: – სითამამეში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მე მჯერა, რომ ჩემი ფილმი ბევრ ჯილდოს მოიპოვებს, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მაგრამ ჩემთვის არ არსებობს უფრო ძვირფასი რამ, ვიდრე უნივერსიტეტის ეს ჯილდო, დიდი ივანე ჯავახიშვილის მედალი რომ გახლავთ.



კულოცავთ თენგიზ აბულაძეს ლენინურ პრემიას, ქვეყნის მასშტაბით ყველაზე პრესტიჟულს. იგი დიდი ხელოვანი და დიდი კაცია.“

„მონანიება“ ეპოქალური ფილმია. იგი არაა ისტორიას მიჯაჭვული. იგი დიდი განზოგადოების ფილმია. ერთ ხანს ეგონათ, რომ იგი ჩვენს თანამემამულე ტირანებზე იყო გათვლილი. არა მხოლოდ! ის ყოველნაირ ტირანიას გამოსახავს. თენგიზ აბულაძეს სინამდვილე ერთ ბოროტებაზე არ დაჰყავს. იგი ემზადებოდა უფრო დიდი ბოროტების კინო-ტრილოგია შეექმნა აპოკალიფსის შესახებ. ეს ნიშნავს ანტიქრისტეს კიდეც უფრო რთულ ასპექტს სინამდვილისას. ბატონ თენგიზთან საათობით მისაუბრია. 1989 წელს მას ჩემი სტატიები „ჩერნობილი აპოკალიფსში“ და „ანტიქრისტე“ გადავეცი. წავიკითხეო, მითხრა. რა კარგია, რომ მე ახლა ვემზადები კინო-ტრილოგიისათვის, რომელშიც ერთი ფილმი მიქმლენება ილიას. ილიას აპოკალიფსურ მსოფლიო განკითხვის კონტექსტში აბულაძისეული დანახვა ჩემთვის აუსრულებელი ოცნებაა. საოცრად დამწყდა გული ბატონი თენგიზის ამ კოლოსალური ჩანაფიქრის ვერსრულყოფაზე. ერთხელ მითხრა, ფილმის კონსულტანტობა უნდა გთხოვო. – კონსულტანტობას მე ვერ შევძლებ, ჩემს კომპეტენციას აღემატება, მაგრამ „შავ მუშად“ ჩემი თავი გენაცვალეთ, – ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს მაშინ.

არ ვიცოდი, რომ ეგეთი ანგელოზი კაცის დაკრძალვის კომისიის თავმჯდომარეობა დამეკისრებოდა:

„ბატონმა თენგიზ აბულაძემ მოიპოვა როგორც მარადიულ-იმქვეყნიური, ასევე ამქვეყნიური სასუფეველიც. მისი სული, გასჰეტაკებული ქრისტიანისა, უფალს ეკუთვნის, მისი უკვდავი შემოქმედება, – საქართველოს,



საკაცობრიო კულტურის ისტორიას. იგი მანამდე იცოცხლებს, სანამ საქართველო იარსებებს. თენგიზ აბულაძე, ქართული ხელოვნება – ზოგადკაცობრიულისა და ეროვნულის ერთიანობის განსახიერებაა. ამიტომაც დაეწაფა მის ფილმებს მსოფლიო საზოგადოებრიობა... მასში ამოიკითხეს კაცობრიობის ყველაზე უფრო მღელვარე პრობლემა – როგორ უნდა სძლიოს კეთილმა ბოროტს, ჰუმანიზმმა – დიქტატურას. მან შესანიშნავად გვიჩვენა, რომ ქართული ხასიათის უნიკალურ თვისებას წარმოადგენს არაჩვეულებრივი არტისტულობა, რაც არა მხოლოდ საკუთრივ თეატრალურ კულტურაში ვლინდება, არამედ იგია პოლიტიკოსის აზროვნების საძირკველი. სამწუხაროდ, პოლიტიკურ-არტისტული ყოველთვის სიკეთის გზით როდია წარმართული. კაცობრიობის ამოცანაა, პოლიტიკური ძალა სიკეთეს, ჰუმანიზმს ემსახურებოდეს.

თენგიზ აბულაძემ განუზომელი ღვაწლი დასდო თავისი ქვეყნის, ხალხის, ეროვნული სულის მშვენიერების მსოფლიო ასპარეზზე გატანას. მისი ფილმები, განსაკუთრებით წმინდა სამებისაგან ნაკურთხი ტრილოგია, კაცობრიობას უჩვენებს – ვინ ვართ ჩვენ, როგორია ამ პატარა ქვეყნის დიდი თვალსაწიერი. თუ დღეს მსოფლიოში უყვართ ქართველები, საქართველო – დიდია ამაში ღვაწლი ღვთივკურთხეული ხელოვანისა.

ხანდახან, პარლამენტის სხდომაზე მჯდომი ხელოვანისაკენ მზერას რომ მივაპყრობდი, თითქოს არ მჯეროდა, რომ ასე წყნარი, მოკრძალებული კაცი იყო ავტორი იმ შემოქმედებისა, რომელმაც ეპოქა შეძრა. იუბილეს ცნება ბიბლიური ისტორიის მიხედვით, ყველაზე ზუსტად 70-ს უკავშირდება. ვერ მოგაგეთ ღირსეული სითბო და სიყვარული, ბატონო თენგიზ, თქვენი დაბადების

70-ე წლისთავზე, მაშინ, როცა თქვენი სული ემზადებო-  
და უფალთან შესახვედრად.

მშვიდობით, ბატონო თენგიზ!

სიტყვა, წარმოთქმული სამგლოვიარო მიტინგზე  
1994 წლის 19 მარტს

## ნოდარ ამაღლობელი (1930-2004)

– ბატონო ნოდარ, დაკვირვებული ვარ, თეოფილე (პირობითი სახელი) არასგზით ცუდს არ გეტყვის არავისზე, – ვუთხარი რექტორს პრორექტორმა შინაურულ საუბარში.

– არ გეწყინოს, მაგრამ არ გენდობა ალბათ, – ვიცი-ნეთ იმ პიროვნების წარმოდგენის გამო. – არ არსებობს, თეოფილე ადამიანების სიგლახეს ვერ ამჩნევდეს ისეთი ჭკვიანი და ეშმაკი კაცი, როგორც თეოფილეა, ხომ ხვდება ცუდების ცუდობას? არ არსებობს, ვილაცასთან გული არ დაიცალოს. ეს ისეთი მოხოვნილებაა, რომ განთქმულ მწვერავებსაც კი უჭირდათ საიდუმლოების ბოლომდე ტარება, ვილაცისათვის გაუზიარებლად...

როცა ბატონი ნოდარი ვერ იყო ხასიათზე, ეშმაკობას მივმართავდი, შევეკითხებოდი რაღაცას ფიზიკის საკითხზე – კიდევ რამდენად შეიძლება, ვთქვათ და, დაიყოს ატომი... ბატონ ნოდარს დაღლილობა დაავიწყდებოდა და კარგა ხანს როლებში შესული ის გასაგებად მიხსნიდა ამ საკითხებს, ლამის ფიზიკის სპეციალობით ჩამებარებინა, მაგრამ ასაკი აღარ მიწყობდა ხელს. ბატონმა ნოდარმა დააფუძნა უნივერსიტეტთან (ცოტა ადრე რექტორობამდე) მაღალი ენერგიების ინსტიტუტი. რომელსაც ის გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. ზოგიერთები კეთილად ხუმრობდნენ, ბატონმა ნოდარმა თავის ინსტიტუტს თავისი შესაფერი სახელი დაარქვაო. მართლა მაღალი ენერგიის კაცი იყო და სიმაღლითაც ორი მეტრი სიმაღლისა გახლდათ. ძალიან აზარტულად თამაშობდა ფრენბურთს. მეცნიერებაში სპეციალისტები ერთობ მაღალ შეფასებას აძლევდნენ მას, როგორც მეცნიერს. ბა-



ტონი ნოდარი უწესიერესი კაცი იყო. რაიმე ანგარებაზე ზედმეტია ლაპარაკი. დისციპლინას იგი ისე ამყარებდა, რომ არ მიმართავდა რაიმე მკაცრ ღონისძიებას და არც მუქარას. ამისთვის მას მიაჩნდა შრომის სწორი ორგანიზება. ნოდარ ამალლობელს ფართო სამეცნიერო კონტაქტები ჰქონდა უცხოეთის მნიშვნელოვან სამეცნიერო-პედაგოგიურ ცენტრებთან ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. ერთად ვყოფილვართ საარბრიუკენში, ერთად ვილოცეთ პოლონეთში ჩენსტახოვოს მონასტერში, ჩენსტახოვოს ღვთის მშობლის ხატის წინაშე. მოსკოვში ყოფნისას ერთ დილას ადრე გამაღვიძა და მითხრა – 3-4 საათი გვაქვს და მოვასწრებთ ღონის მონასტრის მონახულებას. მე არ მქონდა ნანახი ქართველების მიერ დაარსებული ეს ტაძარი, ისტორიულად ქართველთა პანთეონიც XVII-XVIII საუკუნეებში. ფართო ინტერესების კაცი იყო ბატონი ნოდარი. ადრე რატომღაც ტრადიცია არსებობდა უნივერსიტეტის რექტორი არაჰუმანიტარული დარგის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ერთი მხრივ, ეს საწყენია, მაგრამ მეორე მხრივ, ხელისუფლება ისეთ მეცნიერებს ნიშნავდა რექტორებად, რომელთაც ფართო ერუდიცია და კულტურა ჰქონდათ. ასეთები იყვნენ ვიქტორ კუპრაძე, ევგენი ხარაძე, ილია ვეკუა თუ სხვები, რასაც მე მოვესწარი.

ბატონი ნოდარი კარგად ერკვეოდა ისტორიასა და ფილოლოგიაში. ფილოსოფია, განსაკუთრებით კი ბუნების ფილოსოფია ძალიან უყვარდა. მასთან მუშაობა სიამოვნება იყო. ერთხელ გამოსული ვარ დერეფანში 40-45 წლის „ბიჭებთან“, ლექტორებთან გვაქვს კამათი, რა თქმა უნდა, ფეხბურთზე (აბა, პოლიტიკა სად იყო მაშინ, ან დეპუტატი რა იყო, მგონი, ისიც არ ვიცოდით). ჩა-

მოიარა ბატონმა ნოდარმა. – ბატონო ნოდარ, დემოკრატიული საათი მაქვს, მეგობრებმა რომ არ იფიქრონ, ნამეტანი გაგვიდიდკაცდაო. თვითონაც შემოგვიერთდა, ფეხბურთიც უყვარდა და არც ფეხბურთელებს აკლებდა ყურადღებას. იგი ალაღად თავმდაბალი იყო. ხელოვნურ თავმდაბლობას ხანდახან გულწრფელი თავხედობა სჯობია. ბატონ ნოდარზეა ზედგამოჭრილი: დიდთან დიდი, პატარასთან – პატარა.

1989 წელს ბატონი ნოდარი სსრკ სახალხო დეპუტატად აირჩიეს. ძე მისი ნდობით აღჭურვილი პირი გახლდით (სხვათა შორის, კიდევ ორი პიროვნების „ხელისმომკიდე“ გახლდით ამ არჩევნებში: ბატონი აკაკი ბაქრაძის და ბატონი ვახტანგ შამილაძის). ერთი პროფესორი ძეუბნება, შენ თუ დამიდგები ნდობით აღჭურვილ პირადო, სსრკ დეპუტატი მინდა გავხდეო. ახლა ხომ არაა არჩევნები, ოთხი წლის შემდეგაა. დავიცდი, კაი ხელის ყოფილხარო. ამ კაცმა კი დაიცადა, მაგრამ სსრკ-მ არ დაიცადა.

ბატონი ნოდარი 1989-90 წლებში ხშირად იმყოფებოდა მოსკოვში და რექტორის მოვალეობის შემსრულებლად მტოვებდა. მაგრამ ძილშიაც არ ეძინა უნივერსიტეტზე ფიქრით, ნანობდა კიდევ, ამდენ ხანს მაცდენენო.

1993 წელი საშინელი წელია საქართველოს ისტორიაში, ჩემი მეგობრების ცხოვრების ბიოგრაფიაში. აფხაზეთში დაიღუპნენ შესანიშნავი, მამულისათვის მართლა გულანთებული ვაჟკაცები: არჩილ ნოდარის ძე ამალლობელი, არჩილ რევაზის ძე მიშველაძე... სხვა ბევრი შესანიშნავი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა. რა გააზრებაც უნდა ჰქონდეს ამ ომს, იქ დაღუპული ბიჭების ხსოვნას მუდამ სანთელს დაუნთებს ერი. ისინი სამშობლოს დაცვას შეეწირნენ ზვარაკად...

ბატონი ნოდარ ამაღლობელი ქართული მეცნიერების  
საზოგადო მოღვაწეობისა და უნივერსიტეტის რექტორ-  
თა ისტორიაში შევიდა როგორც უზადო მამულიშვილი.  
ნათელში იყოს მისი სული!



## ნოდარ ახალკაცი (1938-1998)

ახლა, როცა მთელ კაცობრიობას დაუდგა კაცობის დიდი დეფიციტის ჟამი, ნოდარ ახალკაცის გახსენება თითქოს საკურნებელია სულისა და სხეულისა. ნოდარ ახალკაცი ჭეშმარიტად დიდი კაცი გახლავთ...

1978 წლის 27 აგვისტოს არჩილ გოგელია, თამაზ კვაჭანტირაძე, ვია გუგუშვილი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვეწვიეთ ნოდარ ახალკაცს. აჩიკო უკვე მასთან მეგობრობდა, ჩვენ კი პირველად შევხვდით. თუმცა, უკვე ყველანი ვიყავით ახალკაცის თაყვანისმცემლები. შემდეგში ჩვენმა მეგობრობამ ბევრ ქარცეცხლში გამოიარა.

საუბარი შეეხო კვების რეჟიმს, საკვების კალორიულობას, ჯანმრთელობის ცვალებადობას წვრთნის პროცესში და თვით სექსუალურ თავშეუკავებას (სუბლიმაციის ფროიდისტულ თეორიას). იგი მსჯელობდა როგორც ექიმი, პედაგოგი, ფსიქოლოგი... ერთმა იკითხა, – თქვენ ხომ გყავთ მოწვეული ფსიქოლოგი?.. ნოდარმა მცირე პაუზა გააკეთა, რაც საკმარისი გახდა ერთ-ერთ ჩვენგანს დაესწრო და ეთქვა: – ბატონი ნოდარი თვითონაა ფსიქოლოგი, აქ თეორიული ფსიქოლოგია უზნადის ან ვუნდტის წიგნებით ხელში რას გამოდგება. ბატონი ნოდარი არის პრაქტიკოს-ფსიქოლოგი... ყველანი დავეთანხმეთ წამოჭრილ აზრს, ბატონ ნოდარს კი გაეღიმა, თითქოს რაც მას ედო გულში, ის გაუხმოვანესო...

– ერთ-ერთ ფეხბურთელს (დაასახელა) მთელი ღამე საშინელი უძილობა დაემართა, შევედი ოთახში, გავუსინჯე წნევა. დაბალი წნევა ჰქონდა. გამოვუწურე ბროწეული. ერთი საათის შემდეგ გემრიელად სვრინავდა.

– რაც შეეხება სუბლიმაციის (დაბალი სექსუალური აქტივობების გადართვა მაღალ ფსიქო-შემოქმედებით სამყაროში) პრობლემას, ეს არაა სახუმარო საკითხი (ჩვენ ცოტა მხიარულ ნოტზე ვკითხეთ)... შარშან ჩვენი ორი ფეხბურთელი (დაასახელა ცნობილი წამყვანი ახალგაზრდა ფეხბურთელები) დაქორწინდნენ. 6 თვე они еле-еле тащили ноги, а потом хамство проходит, энергия отрегулируется и все войдет в колею. Иногда бывает и так: футболист ночью уходит в гулянку, на другой день выходит на поле, играет нормально, но потом портится его режим. Для того, чтобы восстановить энергию, нужно 72 часа. Футболист должен быть в постоянной форме. – გვიხსნიდა იგი ქართულ-რუსულად.

მოგვიანებით ჩვენ დავახლოვდით. მე ძალიან მაინტერესებდა წვრთნის პროცესის საიდუმლოებანი. იმდენად, რომ ერთხელ, ვეუბნები ნოდარს, – სიამოვნებით გაცვლიდი პროფესორ-პრორექტორობას, თქვენთან რომ რიგით მწვრთნელად ვმუშაობდე-თქო. ნოდარს გაეღიმა და მითხრა, წვრთნის პროცესი საინტერესოა, მაგრამ მძიმეა ძალიან, ხანდახან წონასწორობიდან გამოხვალ, დიდი ნერვებია საჭირო. გავიდა ხანი (1995 წელია), ბატონმა ნოდარმა უეფას პრეზიდენტი მომიყვანა პარლამენტში სტუმრად. იქ ზოგიერთი დეპუტატიც მოვიწვიე ჩემს კაბინეტში. ნოდარი და მისი სტუმარი კმაყოფილნი დარჩნენ მიღებით, მაგრამ ახლაც თვალში მიდგას შეხვედრის შემდეგ, გამოცილების წინ, კაბინეტის კარზე ცალი ხელით მიყრდნობილი ნოდარი. სახით ჩემკენ მობრუნებული, ზურგით – დეპუტატებისაკენ.

– ბატონო ვახტანგ, როგორ უძლებ ამდენს... რა ნერვები გყოფნით!

– რას იზამთ, ბატონო ნოდარ, ასეთია მწვრთნელის ხვედრი. მე პარლამენტის ხელმძღვანელი კი არა, ძნელად აღსაზრდელთა კოლონიის დირექტორი ვარ.

ნოდარს გაეღიმა.

– ჰოო, იმას გიყვებოდი, წვრთნის დროს, ზოგი ფეხბურთელი ჭკუიდან ლამის შეგშლის, ცოფმორეული რას არ დაიყვირებ. ამას წინათ ქალბატონი ნინო რამიშვილი შემხვდა, შემომჩივლა თავისი მოცეკვავეების წვრთნის პროცესის სიძნელეზე:

– Нодар, говорят, что ты здорово ругаешься у ребят.

– Эх, бывают иногда у меня такие грехи, но ради бога, моя ругань персонально ни к кому не обращена. Это просто словесная разрядка, более подходящая для русской речи.

– Не надо, дорогой, извиняться, был бы у меня тот орган...

ფეხბურთი პოლიტიკასავითაა. რომ ჰკითხო, ყველას ესმის, ყველა ლაპარაკობს მასზე, მართლა ესმით თუ არა.

ნოდარისათვის ასეთი ლაზღანდარობა არ იყო სასიამოვნო მოსასმენი. უბრალო გულშემატკივრებისაგან იგი არაფერზე ბრაზობდა, მაგრამ სახელმწიფო დიდჩინოსნების გაბღენძილ დარიგებებს აშკარად ვერ იტანდა. ერთხელ ბევრი აშაყირა ცეკას მაღალჩინოსნები, ბევრიც ვიცინეთ, მაგრამ ვუთხარი, ეჰ, ბატონო ნოდარ, ძალიან ვერავი ხალხია ეგენი, კვანტს დაგიდებენ... – თამაშები უნდა მოიგო და გაჩუქდებიან. – კი მაგრამ, მოგაგებინებენ?.. – პასუხი გაუცემელი დარჩა. იგი გავიხსენეთ 1986 წელს თავის სახლში (პავლოვის ქუჩაზე). ძალიან დანალვლიანებულმა მითხრა, – რვა თამაში თვალწინ



„გამისუხარესო“. მას ვერ ათქმევინებდი ფეხბურთელზე სიტყვა „ლალატს“. აი, მათი შემკვეთნი ირჯებოდნენ ქართული ფეხბურთის სამტროდ. ნოდარი გარკვეულ საბაბს იძლეოდა გაღიზიანებისათვის თავისი შეუვალობითა და პრინციპულობით. ისედაც მკაცრი სახე ჰქონდა, ალბათ, სწორი იყო მისი არდამთმობი პოზიცია. როგორც ჩანს, მაინც არ დაანებებენ თავს ჩხავილს, რაც უნდა დაუყვავო ყვაგებს.

ნოდარმა იცოდა ქვეყნისათვის სასარგებლო გონივრული კომპრომისიც. ნეტავი ქართველ პოლიტიკოსებს ჰქონდეთ იგი. მაგალითად, თბილისში „დინამოს“ ერთ თამაშს მსაჯობდა ლიპატოვი... მან საზიზღრობის რეკორდი მოხსნა ლამის. მაყურებელი გუგუნებდა. ბუნებრივია, ყველაზე მეტად ნოდარ ახალკაცი იქნებოდა აღშფოთებული. თამაშის შემდეგ ტრადიციული პრესკონფერენცია შედგა მსაჯების, გუნდის ხელმძღვანელებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით. ყველასათვის გასაოცრად მსაჯის მიმართ სიტყვა არ დაძრა ნოდარმა, სხვები კი უტევდნენ. თამაშის მერე თავის ნაცნობ მოსაყვედურებს უთხრა, – ამ თამაშს აღარაფერი ეშველება. ლიპატოვი არის მსაჯების ბრიგადირი. მან უნდა დამინიშნოს ამ სეზონში ათი თამაშის მსაჯი... გამომშვიდობებისას ლიპატოვი მივიდა ნოდართან, ბოდიში და მადლობა შეაზავა. მართლაცდა, მომდევნო ათი თამაშის ობიექტური მსაჯობით ნებივრობდა „დინამო“.

თუ რუსეთში რომელიმე სფეროში ფესვგადგმული იყო შოვინიზმი, შუღლი, ეს იყო საფეხბურთო სამყარო. შოვინიზმი რუსი ხალხის თანამდევნი უცხოური მინარევია. კაცმა არ იცის, რა სისხლის ხალხი არ ურევდა ხელს, ხალხები რომ წაეკიდებინათ ერთმანეთისათვის. ნოდარი ძალზე განათლებული, ერუდირებული კაცი იყო,

მას მოსკოვში მტრებიც კი პატივს სცემდნენ. იშვიათად მინახავს კაცი, პოლიტიკის მუღამი რომ ისე ესმოდეს, როგორც ამას ნოდარი სცნობდა.

ერთხელ მოსკოვიდან ახალდაბრუნებული ნოდარი გვიყვება სკკპ-ს ცეკაში – ალექსანდრე იაკოვლევთან ჩატარებული თათბირის შესახებ. – გაოცებული ვარ, ეს იაკოვლევი არის ცეკას სექტორის გამგე, ეგ არაფერი, მაგ თანამდებობის ხალხს, ჭკუა მაინც და მაინც არ აწუხებთ, მაგრამ იგი არის ამავე დროს აკადემიკოსი. მეცნიერი გქვია, ამის ღმერთი გაწყრეს, ისეთი რამეები იბოდილა, რომ გაგიკვირდებოდათ. ილაპარაკა ყველაფერზე და არაფერზე. ფეხბურთი სულ ფეხებზე ჰკიდია, არ უყვარს, ეტყობა, ეგ საქმე...

ეუკ, რა წინასწარმეტყველურად იგრძნო და იცნო ნოდარმა, რომ მალე ეგ იაკოვლევი უროს ჩასცხებს თავში, გორბაჩოვთან ერთად, საბჭოთა ფეხბურთსაც, მის მოთამაშეებსაც და მაყურებელსაც. მას უკვე სძულდა საბჭოთა ხალხები, პირველ რიგში – რუსი ხალხი.

გავიდა ხანი. 1995 წელს პეტერბურგში შემთხვევით შევხვდი იაკოვლევს. 15 წუთი თბილად ვისაუბრეთ. ასამბლეის გენერალურმა მდივანმა შემახვედრა, გამაცნო, თვითონ კი ბატონმა კროტოვმა თავისი საქმე განაგრძო. შემდეგ მკითხა, რაზე ვისაუბრეთ მე და ალიკამ. გამახსენდა ნოდარის ფორმულირება და ვუპასუხე – ყველაფერზე და არაფერზე. კროტოვი სიცილისაგან გადაფიჩინდა. – ასეც ვიცოდით... თუ საქმე არ უნდა გააკეთო, ან ცუდად უნდა გააკეთო, ილაპარაკეთ ყველაფერზე და არაფერზე.

დღეს საქართველოს ტელევიზიები გაჰკვივან: – მადრიდის „რეალი“ და ბილბაოს „ატლეტიკო“ – ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე რომ დაიქუხებდნენ: –

„გოლ, გოლ“, ახლაც ჟრუანტელსა მკვრის, ჩვენი ფეხბურთელის გატანილ გოლს რომ გვაუწყებდნენ. ახლა სხვის გოლებს შეჰყურებენ პორნოგრაფიული ფილმივით. სად არის ქართული გოლი, სად არის ქართული საქართველო!!!

როცა ბატონი ნოდარი გარდაიცვალა, მისი პოსტის, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძლის, დასაკავებლად ფეხბურთის ფინალურ მატჩზე უფრო მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. ნოდარმა ჩვენს უძნელეს პირობებში საძირკველი ჩაუყარა დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა-დაფუძნებას. მე მინახავს საერთაშორისო ფეხბურთის მაღალი მესვეურები, რა გასაოცარი პატივისცემით ექცეოდნენ ისინი ბატონ ნოდარს. მის პიროვნულ გავლენას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს საზღვარგარეთ. მან მკვრივი საძირკველი ჩაუყარა ქართულ ფეხბურთს, ისეთი ტრადიცია დაადუღაბა, რომ ქართველებში შექმნა რწმენა დიდი საფეხბურთო პოტენციალისა. დიდ ნაფუძარზე კვლავ აღორძინდება ახალკაცის ფეხბურთი, როცა თვით საქართველო წამოდგება ფეხზე.

ძალიან წუხდა ფედერაციის ბედზე ნოდარ ახალკაცის უახლოეს-უერთგულესი მეგობარი ღურმიშხან ცინცაძე. ერთხელ გავიხმე გვერდზე და ვეუბნები:

– ჩემო ღურმიშხან, გაგიკვირდება, ისეთი რამ უნდა გითხრა. დაანებე თავი ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად ნოდარის ერთგული კაცის გაყვანის ცდას. – რას ამბობ, კაცო, შენგან მესმის ეგ?

– ახლავე გეტყვი და კარგად დაიხსომე. ახლა უახლოესი წლები ქართულ ფეხბურთს არავითარ პერსპექტივას არ ჰპირდება. მოდის ისეთი რეალობა, თვითონ ნოდარი რომ გაცოცხლდეს, მასაც გაუჭირდება. დაე, ჩა-



იბარონ ნოდარის მლანძღველებმა ეს პოსტი. რასაც მი-  
აღწევენ, აგერ ნახავ. ღმერთმა ჰქნას და გამოვიდეს,  
მაგრამ მე არ მინდა ვისმინო: – აი, ახალკაცისტებმა ჩა-  
აგდეს ქართული ფეხბურთიო... ღურმიშხანი კარგა ხანს  
ღარჩა გაკვირვებული და მერე კარგად დაკვირვებულიც:  
„ალიაშიც“ დაწერა ჩვენი ამ უცნაური დიალოგის შესა-  
ხებ ამ ორიოდ წლის წინათ.

ძალიან მენატრება ნოდარის წარმოსახვა თავის სტუ-  
მართმოყვარე ოჯახში, ქალბატონი ნელი უპურმარილოდ  
როგორ გაუშვებდა სტუმარს. დიდმა მწვრთნელმა ტა-  
ლანტური შვილები აღუზარდა მამულს: მედიკო, ანუშკა,  
ნოდარიკო. ეს ოჯახი მთელ საქართველოს უყვარს, იმა-  
თი ჩათვლით, ფეხბურთს რომ უწუნებდნენ გროსმაის-  
ტერს.

ნოდარის ფეხბურთში საქართველოს ისტორია დუღ-  
და, მასში სამშობლოს გული ძვერდა. მალე დავიბრუ-  
ნებთ ამ გულის ძვერას და ფეხბურთის ეროვნული სიყ-  
ვარულიც აღორძინდება. აი, მაშინ შეიძლება ველოდოთ  
ნოდარისმაგვარი ტალანტის გამოჩენას. ისე კი, ნოდარ  
ახალკაცი საუკუნეში ერთი იბადება.

## გელა ბანძელაძე (1927-1985)

– ვახტანგ, რას შვრება შენი დისერტაცია? – მკითხა კათედრის გამგემ, პროფესორმა გელა ბანძელაძემ 1967 წლის დეკემბერში კათედრის სხდომაზე.

– დისერტაცია დავამთავრე, ბატონო გელა.

– მერე, რატომ არ მოგაქვს?

– არა, იცით რა, ჯერ დამრჩა მომარქსვა, მოენგელსება.

– რაო, რა თქვი?

– მომარქსვა, მოენგელსება. მათ ციტატებს ვეძებ, მარილივით რომ მოვაყარო ვაჟა-ფშაველას შესახებ დაწერილ დისერტაციას.

გელამ ნახევარი წუთი მშვიდად დაატრიალა ცნობიერებაში ნათქვამი, შემდეგ იმდენი იცინა, რომ ცხვირსახოცი იწმენდდა ცრემლებს. გავიდა ერთი კვირა, ისევ კათედრის სხდომა გვაქვს.

– ვახტანგ, შენ მართლა, პარტიის წევრი არ ხარ? ვინ დაგიმტკიცებს, ბიჭო, ფილოსოფიაში ხარისხს უპარტიო კაცს. რატომ არ შემოდიხარ?

– ბატონო გელა, ცუდი ფეხისა ვარ, სადაც ფეხი შევდგი, ყველგან ინგრევა იქაურობა.

– ა, ბიჭო, ჩქარა შემოდი მაშინ!

ახლა გელას თავის ხუმრობაზე აუტყდა სიცილი... როგორც ვხედავთ, ამ ქვეყნის იდეოლოგიური ლპობა ხრუშჩოვიდან იყო დაწყებული. საბჭოთა კავშირი დაღრღნა ანეკდოტებმა. სიცილით დაბობვვა არანაკლები ყოფილა ატომურ დაბობვვაზე. გელა სიმართლის კაცი იყო, გაბედული, პრინციპული. მე იშვიათად მეგულება საქარ-

თველოში პიროვნება, რომელიც ამდენჯერ აღემატებოდა დეს თავის თანამდებობას, როგორც გელა ბანძელაძე.

ბოლოს და ბოლოს გელა ბანძელაძე იყო კომკავშირის ცკ-ს მდივანი იდეოლოგიის დარგში. 1956 წელს თავისი გმირული შემართებით ეს თანამდებობაც მიატოვა და ვაჟკაცურად შეუკურთხა სრუშჩოვიზმს. სშირად გაისმოდა საზოგადოების დიდი სურვილი: – აი, ვინ უნდა იყოს რესპუბლიკის ხელმძღვანელი. გელა მეცნიერი კაცი გახლდათ. მას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (МГУ-ში) სთავაზობდნენ ეთიკის კათედრას. იგი მრავალი საკავშირო ღონისძიების ავტორი იყო, მას ეთიკოსთა აღიარებულ ლიდერად იცნობდნენ. მისი „ეთიკის“ მიმართ გერმანელმა თეოლოგებმაც გამოიჩინეს ინტერესი და თარგმნეს მისი ერთ-ერთი ნაშრომი ადამიანის ეთიკური ღირებულებების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, მას მომადლებული ჰქონდა ორგანიზატორის იშვიათი ნიჭი. მთლად შეუნიშნავი მაინც არ რჩებოდათ გელას ასეთი საზოგადოებრივი წონა და იგი ერთ ხანს ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად განამწესეს.

ერთმა ახლობელმა ძალიან მოხოვა ერთი ყმაწვილის დაუსწრებლიდან დასწრებულ განყოფილებაზე გადაყვანა. გელას ძალიან გაუხარდა ჩემი მისვლა. ვუთხარი, ისეთი რამე მოხოვეს ჩემმა ახლობლებმა, რომ თქვენს კაბინეტამდე ადვილი მეგონა იგი. მითხრეს, არაფერი არაა მაგი ბატონი გელასთვისო... მითხარი, მითხარიო, ვიდრე თვითონ არ მოხოვა, არ ვთხოვე პროტექცია. მოიმარჯვა კალამი. ვკარნახობ: – გონიერი, – სახელი მითხარი! – სახელია სწორედ გონიერი. – გონიერი? ჰო, აბა ერთი „გონიერი“ მაინც ხომ უნდა გყავდეთ პუშკინის ინსტიტუტში?.. ახლაც მესმის გელას სიცილი. – ვახტანგ,



შენ ამისთანა ორიგინალურ ფენომენებს აგროვებ, თვითონ ქმნი ამისთანა ადამიანებს...

გელა ბანძელაძემ ბევრი სიკეთე მოუტანა თავის სამშობლოს. იმ დროს არ იყო მოდაში პატრიოტობაზე ლაპარაკი. მაშინ პატრიოტული საქმე ფასობდა. გელა ბანძელაძე დიდებული ქართველი კაცი გახლდათ.

## ანგია ბოჭორიშვილი (1902-1982)

მე იშვიათად მინახავს ისეთი ძლიერი გამომეტყველების ადამიანი, როგორც ბატონი ანგია გახლდათ. ჭორებიც დადიოდა, ბატონ ანგიას ჰიპნოზი აქვსო. მე პირველად ერთგვარი შიშიც მქონდა, მაგრამ როგორც კი დაილაპარაკებდა, დაგატყვევებდა ეს მართლაცდა ფსიქოლოგიურობით ძალმოსილი კაცი. ფსიქოლოგია რომ დიდი მეცნიერებაა თავისთავად, ამის შესახებ მსჯელობაც ზედმეტია. მაგრამ ბატონი ანგია თითქოს ვერ ეტეოდა ფსიქოლოგიაში. ამიტომაც მისი კვლევა-ძიების მთავარი სფერო ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემები გახლდათ; ფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში და ა.შ. მაგრამ მოღვაწეობის მეორე ეტაპზე ბატონი ანგიას კვლევა-ძიების მთავარი სფერო ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემები გახლდათ; ბატონი ანგია მაინც ფილოსოფიამ გადასძალა. იგი გახლდათ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ფუძემდებელი ჩვენში და ფილოსოფიის ინსტიტუტში ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ბაკურიანში კომკავშირის ცკ-ს ინიციატივით იმართებოდა ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა ზამთრის შეკრებები. იმ ღონისძიებებზე არც ძველგაზრდობის ნაკლებობა იყო. საინტერესო, პოპულარული ადამიანები საინტერესოდ საუბრობდნენ, კამათობდნენ. დისკუსიები და დროსტარება კარგად ერწყმოდა ერთმანეთს. მოკლედ, ვიყავით ნამდვილ სამოთხეში და კინალამ მოგვეწყინა ეს სამოთხე. ერთხელ ელიზბარ ჯაველიძემ შეკრების ტრიბუნიდან თქვა: — მე თურქეთში წიგნის მალაზიაში ვნახე — თავისუფლად იყიდებოდა ჰიტლერის „მან კამფი“. რატომ

არ უნდა იყიდებოდეს ჩვენში?.. ელიზბარს გამოსვლა დამთავრებული არ ჰქონდა „სამოქალაქოში“ გადაცემულ-მა გადაგვიჩურჩულა. – მოსკოვიდან დარეკეს – რავა, მოგეწყინათ კაი ცხოვრება, „მან კამფიც“ მოგინდათ? ერთი სიტყვით, არც ცელქობა აკლდათ ბაკურიანის შეკრების მონაწილეებს.

ბაკურიანში დიდი ინტერესით, პირდაღებულნი ვუსმენდით ბატონი ანგიას მოხსენებას ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შესახებ, ასე სამი საათი გაგრძელდა კითხვა-პასუხიანად. დარბაზის შესასვლელთან „ექსკლუზიური“ კედლის გაზეთი დაგვხვდა მინაწერებით. ვხედავთ, ბატონ ანგიასთან ერთად შეჯგუფებულნი კითხულობენ:

„ანთროპოლოგია დარგია, ბატონო ანგია?“

ეს თამაზ კვაჭანტირაძის შემოქმედება გახლდათ. დიდხანს იცინა ბატონმა ანგიამ. – კაცო, სამი საათი ტყუილად ვილაპარაკეო? ბატონმა ანგიამ ხუმრობის ფასიც კარგად იცოდა.

1963 წელს ბატონ ანგიას წააკითხეს ჩემი თორმეტგვერდიანი ნაწერი „ანთროპომორფული წარმოსახვა ვაჟა-ფშაველას „ქუჩის“ მიხედვით“. ვეცადე, ეს პაწაწკინტელა გენიალური მოთხრობა განმეხილა შთაგრძნობის თეორიის პოზიციიდან. ბატონმა ანგიამ დამიბარა სახლში (პეკნის ქ. დასაწყისში). მე შეამაყება, რომ ასპირანტურაში ბატონი ანგიას წერილობითი რეკომენდაციით შევედი. მე სხვა სიკეთეც მახსოვს მისგან, მაგრამ ეს რა მოსატანია. სიკეთე იყო თავისთავად ანგია ბოჭორიშვილი – მაღალი სვანეთიდან (მესტიიდან) ჩამოსული კაცი მაღალი სულის ადამიანი და ნამდვილი მეცნიერი. აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის სამეცნიერო რეგალიებს რა ჩამოთვლის. ის იყო ნიკო მუსხელიშვილის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ამ ტიტულებმა დღეს მეტის-



მეტი იუმორისტული ხასიათი მიიღო. საშუალო სკოლის  
ატესტატთან ერთად არიგებენ ორღობის აკადემიების  
ტიტულებს. მაგრამ მაშინ კაცი კაცობდა, აზრი ფასობდა  
და ერიც ერობდა.

## თენგიზ ბუაჩიძე (1926-1994)

თენგიზ ბუაჩიძეს დიდი თანამდებობებიც ეკავა და პერიოდულად ხელისუფლებისგან არც შერისხვა აკლდა. სხვადასხვა დროს იყო კულტურის მინისტრი, მწერალთა კავშირის მდივანი, უცხო ენათა პედინსტიტუტის რექტორი. დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში ეთიკის კომისიას ხელმძღვანელობდა. თანამდებობას ძალიან უხდებოდა ბატონი თენგიზი, მან საქმის გაძლოდა ღირსეულად იცოდა, არ იყო სკამს გამობმული კაცი. იგი უფრო პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და, რაც მთავარია, ავტორიტეტული მეცნიერი – ქართული, რუსული, უკრაინული, ბელორუსული მწერლობის შესანიშნავი მცოდნე – სპეციალისტი გახლდათ.

გვინახავს დაწინაურებული თენგიზი, ხუმრობის გუნებაზე. „უნივერსიტეტის გაზეთის“ რედაქციაში მჯდომი. გვინახავს მოხსნილი თენგიზი – ისევ ისეთი უდრტვინველი თავისი სფინქსური ღიმილით, თითქოს გეუბნებოდა: ვიცი, ვიცი რაღაც რომ იცუღლუტეო. ბატონი თენგიზის მრავალი პიკანტური ხუმრობა ახსოვს ჩვენს საზოგადოებას.

ერთხელ ბატონ თენგიზს თამაღობა სთხოვა მასპინძელმა. სუფრასთან (ოჯახში) იქნებოდა ასე 100-მდე სული. ადღეგრძელებენ თენგიზს. ერთმა მისმა შეხუმრებულმა მეგობარმა ასწია ჭიქა – გილოცავ, თენგიზ, ხმათა უმრავლესობით თამაღად არჩევას.

– ვაი, შე სულელო, შენ ახლა გგონია კარგი რამ მითხარი? როდის იყო უმრავლესობას ჭკუა ჰქონდა. ჭკვიანი არის უმცირესობაში. მერედა, როგორც მეფეს არ ირჩევენ, არც თამაღას, თამაღა ინიშნება მასპინძლის მიერ. – ეს ხუმრობა ქალაღლზე გადატანიღი აღარაა

ის, რაც თენგიზთან ერთად ხდებოდა, ამ საინტერესო აზრს სიცილით რომ ვისმენდით...

თენგიზი კონკრეტულ თვისებებს ითავსებდა. შეხვედებოდა უცხოეთის დელეგაციას, იხიბლებოდნენ მისი არისტოკრატიულობით, ერუდიციით. მოიხსნიდა ჰალსტუხს. ბიჭებთან ქეიფობდა ბოკემურ-ყარაჩოლელი თენგიზი.

1979 წლის ზაფხულში, უცხო ენათა ინსტიტუტში მისაღები გამოცდების დამთავრების შემდეგ (ბატონი თენგიზი რექტორია) წავედით ქალაქგარეთ (ცხვარიჭამიაში). სულ ოთხნი ვართ: ბატონები თენგიზ ბუაჩიძე, ლადო ჭანუყვაძე, გრივერი ფარულავა და ამ სტრიქონების ავტორი. ერთ პატარა დელეს პირას მთელი დღე მოუწყინებლად ვიჭუპჭუპეთ. წვეთი არ დარჩენილა, ოცბოთლიანი ბოცა გადმოვაყირავეთ. ოთხმა კაცმა (მძლოლი არ სვამდა). მოწილე არა გვყოლია. ამოუწურავი იყო თამაღის, ბატონი თენგიზის რეპერტუარი. მუცელი ხელით გვეჭირა...

1986 წელია. მივუტანე სტატია „Старец Зосима и отец Сергей“. იქვე წაიკითხა, დრო და დრო თავს გადააქნევს ხოლმე. ერთი-ორჯერ ეტყობოდა აშკარა შეცდომა დაიჭირა, ჩაასწორა: „შენ ძაან გაგირეკია, აი! არ გეშინია? ეს სპეციალისტებს ვინმეს წააკითხე?“ – არა! – არა მჯერა, რომ ეს საკითხი „руссковедение“-ში ცნობილი არ იყოს. კარგი, მეც ვნახავ ლიტერატურას. ისე არ გამოვიდეს, ველოსიპედს ვიგონებდეთ. ეს სტატია დაიბეჭდა ერთი წლის შემდეგ, ჩემთვის მოულოდნელად, გერმანიიდან (ვიურცბურგიდან) რომ მივიღეთ სტატიის გამოქვეყნებული გერმანული თარგმანი, თეოლოგების მიერ შესრულებული, ჩემზე მეტად, მგონი თენგიზმა გაიხარა... ეეჰ, „ბევრი, ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღეველი, ჩემო თენგიზ!“



## პალერიან გამყრელიძე (1904-1995)

„ხმალი გამყრელიძისა...“  
კარგი ოჯახი ერის ფუძეა.

გასულ წელს მოსკოვში (1983 წ.) ა. ფ. ლოსევის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე იუბილარმა ომახიანი დეპეშები მიიღო 105 და 107 წლის მეგობრებისაგან. ვალერიან გამყრელიძეს ამ ასაკამდე ბევრი აკლია და, საზოგადოდ, როდის იყო, კაცის ცხოვრების გრძლივობა არითმეტიკით იზომებოდა? კაცმა იმდენ ხანს უნდა იცოცხლოს, სანამ სჭირდება სიცოცხლე საქვეყნო საქმეებისათვის. ბატონმა ვალერიანმა ესე-საა დაიწყო მეძუარების წერა და რაც 80 წლის მანძილზე იგრძნო და იცნო ამ წუთისოფელში, ყველაფერი უნდა ასახოს თავის ნაწერებში. მრავალი წელი მოუნდება მის დასრულებას ეს არაჩვეულებრივად განათლებული კაცი. თუმცა, არ მინდა, მარტო განათლებულობას მივაწერო ის იშვიათი ნიჭი ნანახისა და გაგონილის გადმოცემისა, რაც მისთვის ბუნებას უბოძებია. რამდენჯერ მინახავს მასთან ჩამომსხდარი პროფესორები, ლექციაზე შესვლა რომ გადავიწყებიათ, ბატონ ვალიკოსთან საუბარში გართულთ. შეიძლება რაღაც სენსაციური ან საისტორიო ფაქტის შუაგულში ნამყოფ კაცს ვკითხოთ, გვიამბოს, თუ რა მოხდაო იქ, იმ დროს და საოცრად გაწბილებულიც აღმოვჩნდით მისგან მოსმენილი ინფორმაციის სიმწირით.

ბატონი ვალერიანის მემატიანისებურ ხედვას, ნიჭთან ერთად, სოციალური აზროვნებისა და ცოდნის მაღალი კულტურა განაპირობებს. როდესაც იგი გვიამბობს,

ვთქვათ, ვიტტეს ოჯახურ ამბებს, საინტერესოდ უკავშირებს მას იმ წესებს, რაც რუსეთის მეფის კარზე იყო მიღებული, მოვლენებს, რაც ევროპის ვითარებებს ენასკვებოდა და ასე საინტერესო ოდისეადის შემდეგ ჩამოგვიყვანს საქართველოში. – რა ხდებოდა და რატომ ხდებოდა ჩვენში ესა თუ ის მოვლენა; ეს მოწვდილია ემოციურად, დასახსომებლად.

ვალერიან სამსონის ძე გამყრელიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორია 1957 წლიდან. ეს თანამდებობით, ხოლო მეცნიერული წიგნის დიდი მეურვე – მოღვაწეობით. როდესაც იგი ამ დაწესებულებას სათავეში ჩაუდგა, მაშინ გამომცემლობა წლის განმავლობაში აწარმოებდა 400 ათას ანაბეჭდს, ახლა 11 მილიონს. უნივერსიტეტის გამომცემლობა მესამეა კავშირში – მოსკოვისა და ლენინგრადის გამომცემლობების შემდეგ. ბატონი ვალერიანის მიერ აღზრდილი კადრები დღეს ნაყოფიერად შრომობენ ქართული წიგნის კეთილდღეობისათვის.

ტრადიციულად ამგვარი წერილის მიზანია ღვაწლის აღნიშვნა-დაფასება, მოვეფეროთ, სიყვარული და მადლიერება ვაგრძნობინოთ მას, ვინც თავისი ცხოვრების წესად აქცია საზოგადოებისადმი ღირსეული სამსახური. მაგრამ აქ უფრო სხვა მიზანია საჭირო, ვფიქრობთ, რომ ეს საზოგადოებას, ჩვენ უფრო გვჭირდება, ვიცოდეთ იშვიათი მაგალითი, რაც მორალურ და სულიერ ძალას ჰმატებს სხვებს. ცხადია, არ შეიძლება პირდაპირ გავიგოთ, რომ თუკი ბატონი ვალერიანი გავგანდობდა აკადემიკოსების ფორმირების ტექნოლოგიას, თითქოს ჩვენს შვილებსაც ყველანი აკადემიკოსებად დავზრდიდით. ხშირად ვამბობთ, ქართველებს ისედაც არ გვაკლია თავის თავზე დიდი წარმოდგენაო. გეთანხმებით: სხვაზე ნაკლე-

ბი რითა ვართ, — ეს ფიქრი ჩვენს ფსიქოლოგიაშია, მაგრამ არის სხვა რიგის ჭეშმარიტებაც. თავის თავზე დიდი წარმოდგენა ხშირად აბსტრაქტულად დიდი წარმოდგენააო. გეთანხმებით: კაცს რომ მეფობაზე უჭირავს თვალი, რეალურად, იგი რაზმის გაძლიერება შეიძლება დაფრთხეს. ჩვენი ძალების რეალური რწმენა უნდა გკეონდეს, ასე სჭირდება საქმეს.

ჩვენ არ გვაკლია ხუროთმოძღვრის ტალანტისადმი თაყვანისცემა და განცვიფრების გრძნობა — თვალწინ ცხადი ფაქტი გვაქვს. ცოტა უფრო ძნელია წიგნი დავინახოთ, ვითარცა ტაძარი. გერმანელები ამბობენ: იმპერიები წავლენ, კარგი წიგნები დარჩებაო. უნდა ნახოთ ბატონი ვალერიანის სახე, როდესაც თავის გამომცემლობაში დაბეჭდილი ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, სერგი დანელიას, აკაკი შანიძის ტომეულების სასიგნალო ცალს აიღებს ხელში; პროფესიონალის თვალთ ამოწმებს და თუ წიგნი უხინჯოა, ბედნიერების დიმილი გაუნათებს სახეს.

არის ქართული ანდაზა: „ჯარი ჯაფარიძისა, ხმალი გამყრელიძისა“. ხმალი გამყრელიძეებმა მუხეუმს ჩააბარეს და ახლა ვალერიანის „ხმალი“ შესანიშნავი მოღვაწეობა, ჩინებული მოქალაქეობა და გამორჩეული მამობაა. დამეთანხმებით, არ არის ცოტა რამ თუნდაც ის, რომ ორი მეცნიერი, ორი აკადემიკოსი აღუზარდო ქვეყანას.

„— ჩვენს წინაპრებთაგან ყველაზე დიდ პოსტს მიაღწია აზნაურმა გამყრელიძემ — იმერეთის მეფის სოლომონ I დიდის კარზე მინისტრის პოსტი, მეჯინიბეთუხუცესის თანამდებობა ეჭირა. ეს იყო და ეს. ისე კი, ჩვენი გვარი არ არის რიცხვმრავალი.“

რიცხვმრავლობა ჩვენი ეროვნული ოცნება იყო ყოველთვის. და თუ ბედმა ჩვენი ხალხი გაუსაძლისს გამო-



ატარა, პირველ ყოვლისა, ეს თვისებრივი სიმტკიცითა და ღირსებით უნდა აიხსნას. როდესაც ლეგენდარული ფორმით ვამბობთ, ერთ ქართველზე 10 მტერი მოდიოდაო, გარკვეული პირობებით უნდა გავიგოთ იგი. ე.ი. ერთი კაცი ათის ჭაპანსა სწევს. ამიტომაც გვახარებს საერთაშორისო არენაზე ქართული ტალანტის გამოჩენა ხელოვნებაში, მეცნიერებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ სპორტში.

ბატონი ვალერიანის შვილებმა, რევაზ და თამაზ გამყრელიძეებმა, ინტელექტის ამ ჩინებულმა ფალანგებმა, ჭეშმარიტად გვასახელეს; ეს ჩვენ გვალონიერებს, რამეთუ გვაქვს ოპტიმიზმის საფუძველი – როგორია ქართული მეცნიერული გონების გამწეობის ძალა. გავიხსენოთ მათი სამეცნიერო რეგალიების არასრული ნუსხა. რევაზი (დაბადებული 1927 წელს) მოსკოვში, სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მუშაობს, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის თეორიის კათედრის გამგე, მოსკოვის საკავშირო მათემატიკური ჟურნალის „მათემატიკის“ მთავარი რედაქტორი; იგი არის აგრეთვე მთავარი რედაქტორი მონოგრაფიათა სერიებისა: „მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“ (მოსკოვი); „თანამედროვე საბჭოთა მათემატიკა“ – გამოდის ინგლისურ ენაზე (ნიუ-იორკი – ლონდონი); „საბჭოთა მათემატიკოსები“ (გამოდის გერმანულ ენაზე, გფრ); „მათემატიკის რუსი კლასიკოსები“ (ნიუ-იორკი); „სიანლენი მათემატიკაში“ (ნიუ-იორკი – ლონდონი). 1969 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 1982 წელს – საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი არის მთელი რიგი მათემატიკური

საზოგადოების უცხოელი წევრი და ჟურნალების საარქივო დაქციო კოლეგიის წევრი.

თამაზ გამყრელიძე (დაიბადა 1929 წელს) – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს 1969 წელს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად 1979 წელს. იგი არის: ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის საპატიო წევრი (1978წ.); ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (1979წ.); ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1983წ.); ევროპის ლინგვისტთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1981წ.); ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი (1982წ.); რამდენიმე საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. როგორც ვხედავთ, საგამომცემლო-სარედაქციო საქმეში შვილების აქტიური მონაწილეობა მამისეული გენის გაცხადებაა. საზოგადოდ, ეს ისეთი იშვიათი შემთხვევაა, როდესაც შეიძლება ითქვას, რომ რეალობამ აჯობა ოცნებასაო.

განსაკუთრებით დიდი ინტერესისა და ბჭობის საგანია დღეს თამაზ გამყრელიძის თეორია. „გლობალურ თეორიას“ პოლიგლოტური ნიჭი სჭირდებოდა, ასე უხვად რომ გამოვლინდა თამაზ გამყრელიძეში. მას თარჯიმანი არ ახლავს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. გარდასულ ხალხთა ენების ჩამოთვლაც კი, ბატონი თამაზი რომ ფლობს, შორს წაგვიყვანდა. თამაზ გამყრელიძეს ქება არ სჭირდება. ვერც ჩვენ გავკადნიერდებით – ვიკისროთ ამ თეორიით გაკვირვება-აღფრთოვანება, თითქმის ყოველი ოკეანის ბოლოდან რომ გვესმის. მის შე-

საფასებლად არათუ მეზობელი დისციპლინების, თავისივე კოლეგების კომპეტენციაც ვიწროვდება, რამეთუ ისე მალლა მიდის ეს თეორია, მისი ოპონენცია უჭირთ ვიწრო სპეციალისტებსაც, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ყველა დიდი მეცნიერული მიგნება-აღმოჩენა ვერ ეტევა დარგის ფარგლებში და უთუოდ ფილოსოფიის მიჯნაზე გადის.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მიერ (პროფესორ ვი-აჩესლავ ივანოვთან ერთად) შექმნილი ფუნდამენტური მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომი, რომელსაც ჯერ-ჯერობით ნაწილ-ნაწილ იცნობს სამეცნიერო წრეები და სრულად გამოდის წლეულს, ენათმეცნიერული ნაშრომია. მაგრამ იგი ეხებოდა არა მხოლოდ ინდოევროპულ ენებს, არამედ თვით ინდოევროპელებსაც. ამდენად, მასში გაანალიზებულია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური თუ სხვადასხვა სახის არსებული ცოდნა ამ ურთულესი პრობლემის დასამუშავებლად

XVIII საუკუნის ბოლოდან ფართოდ მოიკიდა ფეხი „კავკასიური რასის“ ტერმინმა. ესაა ეთნოგრაფიული სახელწოდება, რომელიც ევროპულ მეცნიერებაში შეიტანა და კიდევ დაამკვიდრა ბლუმენბახმა, ვიდრე შემდეგ მას ფ. მიულერის ტერმინი – „ხმელთაშუა ზღვის რასა“ – შეეცვლიდა. ბლუმენბახი იყო ფიზიოლოგი, ზოოლოგი. სწორედ მის ანთროპოლოგიურ-ფიზიონომიურ პრინციპს ემყარება ჰეგელი, კავკასიური რასის შესახებ რომ მსჯელობს (და რასაც ქვემოთ შევახსენებთ კიდევ გაზეთის მკითხველებს). „კავკასიური რასის“ ქვეშ იგულისხმებოდნენ არიელები (ინდო-ევროპელები), სემიტები და ნაწილობრივ ქამიტური ტომები, ე.ი. ის მოიცავდა ევროპის, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებთა უმეტესობას. როგორც ვხედავთ, თამაზ გამ-



ყრელიძის მიერ შემოხაზული ინდო-ევროპელების არეული მნიშვნელოვანწილად ემთხვევა კავკასიური რასის ძველებურ გაგებას. თანამედროვე ლინგვისტური კვლევის აპარატთან შედარებით, სიზუსტის თვალსაზრისით, ანთროპოლოგიური კვლევის პრინციპები მნიშვნელოვნად მოიკოჭლებდა. იგი ძირითადად ეფუძნებოდა თავის ქალის კუთხის ანალიზს: „კავკასიურ რასას“ დასახელებული კუთხე აქვს სწორი. ან თითქმის სწორი. ეს განსაკუთრებით სამართლიანია იტალიელების, ქართველებისა და ჩერქეზების ფიზიონომიის მიმართ“ (ჰეგელი, თხზ. ტ. III, მოსკ. 1956, გვ. 73, რუსულად). ე.ი. ჰეგელის მიხედვით, უმაღლესი რასის იდეალური ნიშნის მატარებელია ზემოჩამოთვლილი ხალხები. მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმი მასში არ ხედავს არავითარ რასისტულს, ეს თვალსაზრისი მაინც იდეალისტურია და ჩვენი იდეოლოგიისათვის მიუღებელი. მით უმეტეს, იქვე ამბობს ჰეგელი: „პროგრესი ხორციელდება მხოლოდ კავკასიური რასის წყალობით“. ეს არის იგივე ინდო-ევროპელების, იგივე ხმელთაშუა ზღვის ხალხთა ეთნოგენეტიკური ძიების სხვადასხვა ფორმები. ვგრძნობთ, შეკითხვა ვრცელი გამოგვივიდა და პასუხიც ვრცელი დაგვჭირდება, რაც სხვა დროისათვის ვთხოვოთ ბატონ თამაზს.

დავუბრუნდეთ ვალერიან გამყრელიძის საკუთრივ მოღვაწეობას. ფრიად იღბლიანია მისი განსწავლის წლები. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მას ასწავლიდნენ: დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, სილოვან ხუნდაძე, გიმნაზიის დირექტორი განლდათ იოსებ ოცხელი; უნივერსიტეტში: ივანე ჯავახიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი

ლი, შალვა ნუცუბიძე, ნიკოლოზ ქოიავა, გიორგი გესტმანი.

– ბატონო ვალერიან, თქვენი და თქვენი შვილების ფსიქოლოგია ყურადღებას იპყრობს საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობითა და ძლიერი კონცენტრირებით, რისი დასტურიცაა თითოეული თქვენგანის ინტელექტი, შრომა და მთელი ცხოვრება. კიდევ რას უსურვებთ შვილებს?

– ჯანმრთელობას, ადამიანის, თავისი ერის წმინდა სიყვარულს. მათ აქვთ წარმატებები, მაგრამ არა მგონია, მედიდურობისათვის ჰქონდეთ საფუძველი. რა უნდა გააკეთო იმაზე მეტი, რაც უკვე გაუკეთებიათ, რით უნდა გააკვიროვო ქვეყანა? ამიტომ ბუნებრივი და არა მოგონილი თავმდაბლობა მიმაჩნია მეცნიერის პირველ მოქალაქეობრივ, ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ღირსებად.

– ყველაზე საინტერესო მოგონება თქვენი ბავშვობიდან?

– მე დავიბადე ქუთაისის იმ რაიონში, ე.წ. „საფიჩხიაზე“, სადაც არის ეკლესია, რომელიც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III ააგებინა სარკინიგზო კატასტროფისას თავისი ოჯახის სასწაულებრივი გადარჩენის გამო. ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა მე დავიბადე, 1904 წლის 19 ოქტომბერს. ამ დღის აღსანიშნავად საფიჩხიის ეკლესიის მოედანზე ყოველწლიურად იმართებოდა რუსის ჯარის დიდი აღლუმი. მე ხუმრობით ვეუბნებოდი ახლობლებს: – ხომ ხედავთ, ჩემი დაბადების დღე როგორ აღინიშნება მთელი რუსეთის იმპერიაში-მეთქი.

დაილოცოს ვალერიან გამყრელიძის დაბადების დღე.

ცხოვრების განუყრელ მეგობართან, ქალბატონ ოლიმპიადასთან ერთად გისურვებთ მზეგრძელ ბედნიერებას,

გამარჯვებები ნუ მოშლოდეს თქვენს სახელოვან შთამომავლობას, ძვირფასო ბატონო ვალერიან!

\* \* \*

P.S. ბატონი ვალერიანი...

იგი იყო მეცხრამეტე საუკუნის ტიპი ქართველი ინტელიგენტ-არისტოკრატისა (აბა, მეოცე საუკუნე რას შეედრება მეცხრამეტეს სულიერებით!). ჩვენ დიდი მეცნიერი მეტი გვყავდა, ვიდრე დიდი ინტელიგენტი. ვალერიან გამყრელიძის მაღალმა ინტელექტმა, ერისადმი სიყვარულმა დიდად ასწია წიგნისა და აზროვნების დონე. იგი ხომ თითქმის 40 წელი ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას.

არ ვიცი, როგორი გამოვიდა ბატონი ვალერიანის მონებები, მაგრამ იშვიათად მინახავს მსგავსი მთხრობელი. მეოცნებეა, ერთი ჩამოჯექი, ალაპარაკე ეს კაცი და ჩაწერე ნანახ-განცდილი. იგი ხომ ჩვენს დიდ მამულიშვილ მეცნიერთა წრეში მოღვაწეობდა... ჩამოსხდებოდნენ აკადემიკოსებიცა და დოცენტებიც ბატონ ვალერიანთან – საათობით საუბრობდნენ... ერთხელ ერთი ავტორი, ჯუნგლებიდან გამოვარდნილსა ჰგავდა, – აუყვირდა ბატონ ვალერიანს: რატომ არ იბეჭდება ჩემი წიგნი? მე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვარ, თქვენ კი აქ დოცენტებს უბეჭდავთ წიგნებს... ბატონმა ვალერიანმა დააწყნარა და უთხრა – ვნახავთ, დამშვიდდი, ისე კი, იცოდე, სახლში ორი ვაჟი მყავს საქართველოს და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრები და ხანდახან მათაც ვუწევ ყურს...

პატარა გახსენება: 1976 წელს საქართველოს ცეკამ დაადგინა – ვებრძოლოთ მავნე ტრადიციებსო. ის, რაც



მავენე იყო ცეკასთვის, ხშირად, მაღლი იყო ერისთვის. დავალებისამებრ, ერთი წლის მუშაობის შემდეგ ბატონ ვალერიანს წარუდგინე 10-ფორმიანი წიგნი, რომელიც გამოვიდა სახელწოდებით – „ერი გულადი, პურადი“ (1977 წ.). წიგნი რომ დაუტოვე, მეორე დღიდანვე სინანული ამეკვიატა – უხერხულობაში ხომ არ ვაყენებ გამოძცემლობას, ცეკამ დაადგინა ვებრძოლოთ ტრადიციებს, შენ წიგნი მივაქვს – გაუმარჯოს ჩვენს ტრადიციებსო... ამ ეჭვებით ერთი კვირის შემდეგ შევედი მოადგილესთან, ბატონ ნიკო ბერძენიშვილთან... ამ დროს სწორედ კარი შემოაღო ბატონმა ვალერიანმა, მაშინვე წამიყვანა თავის კაბინეტში. ხმას არ მცემს. ვიფიქრე: მშვიდობით, ტრადიციებო. უჯრა გამოაღო, ერთი ფურცელი ამოიღო და მიკითხავს: „დიდი ინგლისელი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი აღნიშნავს, რომ არ არსებობს არც ერთი არისტოკრატიული გვარი ოსმალეთსა და ირანში, რომლის სისხლიც გაკეთილშობილებული არ იყოს ჩერქეზთა და ქართველთა სისხლით“ („სახეთა წარმოშობა“), ვახტანგ, ეს ციტატა შეიტანე, კავკასიური რასის შესახებ რომ მსჯელობ, და თვითონვე მოძებნა ჩემს წიგნში ის ადგილი.

ასეთი ფეშქაშიც იცოდა ბატონმა ვალერიანმა...

ძალიან მსიამოვნებს ბატონი ვალერიანის გახსენება. მის შესახებ ხშირად ვესაუბრებოდი ბატონ თამაზს ყველგან – გერმანიაში, ირანსა თუ ჩინეთში. ჩემს პუბლიცისტურ ნაწერებში ხშირად ვიმოწმებ ბატონი ვალერიანის სიტყვას და საქმეს. ქართული სიტყვის სამჭედლოს მაღლიან თავკაცს ყველა მოიგონებს სიყვარულით, ვინც წიგნის ყადრი იცის.

## კორნელი დანელია (1933-1997)

უკვე შორიდან მიმზერს ახლო მეგობრის ნაღვლიანი თვალები. სიკეთითა და სიბრძნით იყო იგი აღსავსე. უბრალო საუბარი, სადღეგრძელოები, ჩვენს მეგობრებს ხშირად შეუნიშნავთ, ჩასაწერიაო. ხშირად გვითქვამს, კორნელიმ მისი დონის მეცნიერის აღიარებისათვის სიცოცხლის ნორმა ვერ შეასრულა. ამიტომ მან ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად ვერ მოისმინა ის აღიარება, რაც მას ეკუთვნოდა. ის დიდი სპეციალისტი, აკაკი შანიძის ერთი გამორჩეული და საყვარელი მოწაფე გახლდათ. „ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“, „პავლენი“ და სხვა ფუნდამენტური გამოკვლევები მას ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს ჩვენს საამაყო ფილოლოგთა ისტორიაში.

ერთხელ ბატონი კორნელის სახლში წვეულებაა. ბატონი შოთა ძიძიგური, აკადემიკოსი, ჩვეულ ფორმაშია – სიცილ-მხიარულება არ აკლია სუფრას. ბატონი აკაკი შანიძის სადღეგრძელოს ამბობს. ამ დროს ქართული ფილოლოგიის პატრიარქი ჯერ მხოლოდ 92 წლისაა. – დაბოლოს – ამთავრებს ბატონი შოთა, – მინდა ჩვენს დიდ ბატონ აკაკის ვუსურვო ხანგრძლივი სიცოცხლე, გრიგოლ ხანძთელის ხნისა გეცოცხლოთ, ბატონო აკაკი... – რაო, რაო, რა თქვი, შოთა? – ჰკითხა ბატონმა აკაკიმ. მანაც გაიმეორა სურვილი. – შე კაცო, (გრიგოლ ხანძთელი აღესრულა 102 წლის ასაკში), რავა ჩემთვის 10 წლის მეტი არ გემეტება? სიტუაცია იხსნა ბატონი აკაკის გულიანმა სიცილმა. მან თითქმის შეასრულა ბატონი შოთას დალოცვა და ბატონმა აკაკიმ 101 წლამდე იცოცხლა.

კორნელის ძალიან უყვარდა ბატონი აკაკის ცხოვრების ღვაწლის შესახებ საუბარი, განსაკუთრებით კი მის პოლიტიკურ ქარაგმებზე ვკუჭკუჭებით (კორნელის შინაურობაში კუჭკუჭის ეძახდნენ)... ერთხელ რაღაც ლონისძიებაა უნივერსიტეტში, სხდომათა დარბაზში ტევა არ არის. გამოდის მოგონებით აკაკი შანიძე... პეტერბურგში ვარ. 1917 წელია. ერთხელ გამოვედი ქუჩაში და რას ვხედავ – ხალხი მიდის და მოდის, მიდის და მოდის. მეეტლეს ვკითხე – რა ამბავია-მეთქი. მეეტლემ გაკვირვებით მითხრა – რავა, არ გაგივია? სახელმწიფოს სათავეში ლენინიაო! – მე ვკითხე – ვინაა მაი ლენინი-მეთქი... ეს ისეთი კილო-გრიმასით წარმოთქვა ბატონმა აკაკიმ, შემთხვევით ლენინის ნაცვლად რომ ძმარს მოსვამს კაცი. დარბაზი კარგა ხანს ვერ დაწყნარდა სიცილისგან. არ დაგავიწყდეთ. ჯერ ლენინს ჰქონდა ბრჭყალები... ერთხელ კორნელის მე თვითონ ვუამბე: 1965 წელს მჭადიჯვრის (დუშეთის) სკოლაში შანიძეს შეხვედრა მოუწყვეს. თან ახლდნენ პროფესორები, მეც რატომღაც წამიყვანეს როგორც ასპირანტი. ვათვალიერებთ სკოლას, მეორე სართულზე ვართ. შემთხვევით ახლოს აღმოვჩნდი ბატონ აკაკისთან იმ დროს, როცა იგი მიაჩერდა დერეფანში კედელზე ლენინის სურათს. მან თავისი ორიგინალური ჩახველებით (მილიონ ჩახველებაში რომ იცნობდით), მომიბრუნდა და მეუბნება: ეს (ლენინზე) აქაც ამოსულა, რავა მთვარესავით ყველგან დაგვლევს, ა?

კორნელიმ მეგობრის არამართო სიყვარული იცოდა, პატივისცემის ლამაზი კულტურა ჰქონდა. არც დაგამადლიდა, არც ხაზს გაუსვამდა თავის ღვაწლს. 1978 წლის დასაწყისში გამოვიდა ჩემი წიგნი „ერი გულადი, პურადი“. გასაჩუქრება არ მქონდა დაწყებული, კორნე-



ლის უყიდია რამდენიმე ცალი და თვითონ ასაჩუქრებლად სხვებს. ეს არაფერი! ვიღაცა მირეკავს – წავიკითხე „ლიტერატურული საქართველო“. მერე რა წერია? – როგორ? კორნელის რეცენზია წავიკითხე შენს წიგნზე. მართლა არ ვიცოდი. გავვარდი. ვიყიდე გაზეთი და 2-3-ჯერ წავიკითხე კორნელის რეცენზია. დავურეკე კორნელის და ვეუბნები, – ეგ რა გიქნია, შე კაცო. შენი რეცენზია ჩემს წიგნს სჯობია-მეთქი.

– კორნელი, შენს სახლში რომ ვიყავით წვეულებაზე, ბატონმა აკაკიმ ერთსა და იმავე სიტუაციაში, მიცემით ბრუნვაში, ერთხელ თქვა „კორნელს ვთხოვე“, მეორე-ჯერ – „კორნელის მინდა ვუსურვო“ – შენი დასკვნა?

– ჩემი დასკვნა ასეთია: აკაკი შანიძის გარდა არცერთი გურული სახლში შემოსაშვები არ ყოფილხართ!..

ეექვ, როგორ მომენატრება ხოლმე, კორნელი, შენი ტკბილბუბუნა საუბარი.

## ნოდარ ღუმბაძე (1928-1984)

„...რომ სიმღერით ვკვდები!“

მშენიერი სიკვდილი მშენიერ სიცოცხლესა სჯობსო. ნოდარ ღუმბაძის სიკვდილთან შეხვედრამ დაგვანახა „სიკვდილისა სიკვდილითა დამარცხება“, დაგვარწმუნა – საქვეყნო სიკეთის ქმნა და მოფენა ამგვარ უტეხსა და ნატიფ სულს შეუძლია.

ერთმა ინგლისელმა კრიტიკოსმა ღიკენსის შესახებ გამოკვლევა ასეთი ფრაზით დაიწყო: – სამწუხაროდ, ჯერ ღიკენსი ცოცხალიაო. ავტორის სიცოცხლე მართლაც უშლის ხელს შემოქმედის შეფასებას – იგი ან მეტი ეჩვენებათ, ან ნაკლები. ნოდარ ღუმბაძის შემოქმედება რომ მომავლის შემოქმედებაა, ნოდარ ღუმბაძის პიროვნებას რომ კიდევ მეტი ნათელი მოეფინება, – მისი გარდაცვალებიდან მცირე პერიოდშიც გამოჩნდა.

ბევრი ტრაქტატი შექმნილა – ვინ როგორ ხვდებოდა სიკვდილს: აიაქსი, ფილოკტეტი, სოკრატე, კატონი, კანტი, ჰეგელი... არაფერს ვამბობ რელიგიურ პირებზე. თითქმის არსად შეხვედრივარ ფაქტს – გალაკტიონის სიტყვები პირდაპირ აღესრულებინოს – „რომ სიმღერით ვკვდები!“.

თეორიულად ყველანი ვამბობთ, იუმორი ზეგარდმო ნიჭიაო. საქმე საქმეზე რომ მიდგება, იგი გარკვეულად გვიშლის ხელს, ჯეროვნად შევაფასოთ იუმორში ამოქსოვილი სიბრძნე და სიღრმე აზრისა. იუმორით გადმოიცემა, რა გინდა რა სიღრმის ფილოსოფიური აზრი. მარგარიტა ეუბნება მმართველს: ეგმონტი თავის ხუმრობაში

უფრო სერიოზულია, ვიდრე ჩვენ ჩვენს სასაცილო სერიოზულობაში (გოეთეს „ემონტი“).

უზარმაზარი რომანები დამაშვრალან – ნაკეთები ხასიათებით. ლიტერატურაში დიდი იღბალია იმ ხასიათის პოვნა, შენს ახლოს რომ ყოფილა თითქოს და საუკუნეების შემდეგაც ახლობლად რჩება. ნოდარ დუმბაძემ საოცნებო ხასიათები ჩვეულებრივობაში იპოვნა, იმგვარი ურთიერთობა ადამიანებისა, თეორეტიკოსები რომ ოცნებით ეძებდნენ, ასე გამოდევნილი ეგოიზმი, ასე ლამაზად გადალახული „ჩემია“, „მე მეკუთვნის“, – იშვიათია ლიტერატურაში.

ნოდარ დუმბაძემ – არა ნასესხები გრძნობით, არა ნათხოვარი თვალებით, თავისი წრფელი ქართული გულით შეხედა სინათლეს და ამ გულში სითბო იპოვნეს უშორეულებსა ხალხებმაც.

თხუთმეტი წლის წინათ უნივერსიტეტის ეზოში შევხვდი. ბაღში გავისეირნეთ. პეტრე მელიქიშვილის ძეგლის ხელმარცხნივ გრძელ სკამთან შეჩერდა და მითხრა.

– აი, ეს იყო ჩემი კაბინეტი. ნიკო კეცხოველმა ერთხელ ნადიას (მდივანს) უთხრა, წადი, ნოდარა მომიძებნეო (ხმით დააჯავრა ბატონ ნიკოს). სად არ მეძება ნადიამ თურმე, გაწბილებული დაბრუნდა რექტორთან.

– ბატონო ნიკო, მთლად გადავებრუნე ყველა კაბინეტი და ვერსად ვნახეო. ნიკომ ჰკითხა ნადიას, ნოდარის კაბინეტში თუ იყავიო. რექტორმა დაბნეულ ქალს ხელი მოჰკიდა, ფანჯარასთან მიიყვანა და ამ მერხისკენ გამოიშვირა ხელი: – აი, ნოდარას კაბინეტიო.

– ნოდარს დღეს უნივერსიტეტში ბევრი კაბინეტი აქვს, მეტი ექნება. მას ზუღამ პირზე ეწერა უნივერსიტეტი და როცა სიტყვა „უნივერსიტეტს“ ახსენებდა, ყოველთვის იგრძნობდი მის მოწინებას. სწორედ ბაღში სე-



ირნობისას მის გმირებზე ჩამოვუგდე ლაპარაკი და დავ  
ძინე, — იქნებ ჩემი კუთხურ-წარმომავლობის გამო არ  
ვიყო სწორი მსაჯული, ასე შინაურებად რომ მიმაჩნია  
ისინი-მეთქი.

შემომხელა და მითხრა:

— ბიჭო, მაინც და მაინც არ გავხარ იაპონელს. ამას  
წინათ ერთმა იაპონელმა მწერალმა მომწერა: — შენი  
ზურიკელა იაპონელი ბიჭი მგონიაო.

ნოდარისეული პირადი იუმორი, ერთი უმდიდრესია  
ჩვენში. ხუმრობის ცდუნებას არ აჰყვებოდა. ძალას არ  
ატანდა თავს. ბევრი ხუმრობის შესახებ, რომელიც მის-  
თვის შეუხსენებიათ, უთქვამს, აღარ მახსოვსო. ბევრი  
შექმნილა მასთან დაკავშირებული მეგობრული შარჟი —  
ხუმრობები, ჯერ არ მინახავს მათში, დელიკატურობას  
მოკლებული.

ნოდარ ღუმბაძემ იმდენი ტკივილი იგემა, თითოეულ  
მათგანს შეეძლო გაენადგურებინა ჯანმრთელი კაცი. მაგ-  
რამ მას ჰქონდა სულის ჯანმრთელობა, ნამდვილი მწერ-  
ლის ხვედრი — ტანჯვა-ტკივილი და ბედნიერება. ნოდარ  
ღუმბაძე ბედნიერია თავის ფრთამავალი ტალანტის წყა-  
ლობით.

ნოდარის სამწერლო კურთხევა უნივერსიტეტის  
ახალგაზრდა მწერალთა წრეში მოხდა. მისი ინტელექ-  
ტუალური ხედვა უნივერსიტეტში დაიტვირთა. მას უყ-  
ვარდა ჩვენი გაზეთი, ჩვენი და თაობათა სიყვარული არ  
მოაკლდება სიყვარულის უშრეტ მფენელ მგოსანს.

28 სექტემბერი, 1984 წ.  
„უნივერსიტეტის გაზეთი“

## ილია ვეკუა (1907-1977)

ილია ვეკუა წელს 80 წლისა გახდებოდა. 10 წელი დააკლდა მას ამ ასაკამდე. თუმცა, ბატონი ილია „იმათი გორისა“, ვისაც ამქვეყნიურ არსებობას მხოლოდ ერთი თარიღი ესადაგება. დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზა განვლო და ამიტომაც დიდია მისი ბიოგრაფიული ფაქტების მოცულობა და მნიშვნელობა. მე კი რამდენიმე, ერთი შეხედვით ნაკლებშესამჩნევი, შტრიხით მინდა ამ კაცის დიდ ხასიათში შევიხედო.

აი, ერთი მცირე დეტალი:

ბატონი ილია უნივერსიტეტის რექტორია (1966-1972წ.წ.). დაურეკა ერთმა დიდი თანამდებობის პირმა და სთხოვა, ქულადაკლებული მისი ნათესავისათვის ყურადღება მიექცია.

— ეს საკითხები პრორექტორ ჭილაშვილს აქვს დავალებული და ის გაგარკვევთ, რაა შესაძლებელი და რა არა. ძალიან გთხოვთ, მეტი აღარ შემაწუხოთ ამ საკითხზეო, — და ცივად დაუკიდა ყურმილი.

ბატონი ილია უაღრესად პოეტური პიროვნება გახლდათ. წვრილმანობისა არ ემინოდა და ამიტომაც ვერ ჩაითრევდა მას ცხოვრების პროზა. ხელმძღვანელობდა შინაგანი პატიოსნებითა და შინაგანი ძალის შეგრძნებით. საინსტრუქციო ნორმებისაგან გადახვევის გამო მუქარას მასთან ვერავინ ბედავდა, რეალობის გრძნობა ქალაქში არ ჰქონდა გახვეული. ერთხელ ავტორიტეტულმა ლექტორ-მეცნიერებმა მას მიუყვანეს რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებზეც გასაუბრების შედეგად მაღალი შთაბეჭდილება შეექმნათ (იმ ფაკულტეტზე გასაუბრება

მაშინაც გახლდათ!). ქულა დაკლებოდათ. რექტორის რეკომენდაციით, ერთი წელი ისინი კანდიდატებად ჩაირიცხნენ, ყველას აჯობეს და სტუდენტები გახდნენ.

ბატონი ილია ყოვლის უფლებამოსილი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამიტომაც ამ ძლიერების წყაროებზე ხშირად ბჭობდნენ. ასახელებდნენ დიდ, საკავშირო მასშტაბით ცნობილ გვარებს, მძლავრთა აქაც და სხვაგან. სინამდვილეში მას ზურგი სხვათაგან კი არ ჰქონდა განმტკიცებული... მას სინდისის გარდა არაფრისა ეშინოდა, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს განგებას მისთვის მოეცალოს ყველა სურვილის შესასრულებლად. უმძიმესი ცხოვრება შეხვდა, მაგრამ ძალამ მსუბუქად აზიდა ის ტვირთი, რომელიც ჩვეულებრივებს ჩვეულებრივად გაჭყლექს. ილია ვეკუას კორიოლანოსის მწარე გვირგვინიც არგუნეს. უმტრეს არა მხოლოდ ცუდმა კაცებმა, რა გვიჭირდა, კარგ კაცს მარტო ცუდი რომ მტრობდეს: „მახინჯიც კლავს, ლამაზიც კლავს, ლაჩარიც კლავს, მამაციც კლავს და იღვრება მამათ სისხლი ნაგროვები მამასისხლად. განა მარტო კაენი კლავს, თუ დასჭირდა, აბელიც კლავს“ (ტარიელ ჭანტურია).

არავის ბოლმას დაუხრავს ბატონი ილიას გული მტრობისთვის რომ მოეცალა, როგორ დათვლიდა რიხვთა სამყაროს. როცა ერთმანეთის დანდობა-ატანაში ვმეცადინებოთ, ბატონი ილიას ცხოვრების მაგალითებიც გვინათებს გზას...

გაჭირვების მდინარეს რომ გადალახავენ, უკან მოხედვა და გაჭირვებულისათვის ხელის გაწვდენა ეზარებათ ხოლმე. ბუნებით რჩეულნი თანამგრძნობნი და კეთილშობილებით გაწონასწორებულნი არიან ყოველთვის, ცად ამალლების ჟამსაც არ ავიწყდებათ მოძმეთა ხვედრი.



ნაღდი პიროვნების შინაგანი სვეტი მყარია, მუღმივია... რამდენიმე ახალბედა უბინაო ღოცენტმა კოლექტიური წერილით მივმართეთ ბატონ ილიას. პირადად არცერთს გვიცნობდა. წერილის შემდგენელს ზოგმა ხელისმომწერმა დავა დაუწყო, ამ წერილისათვის გარეთ გამოგვეყრის, შენ ეს პოეტი ხომ არ გგონიაო. მაშინ ავტორმა განაცხადა, — ამ წერილის ტექსტში მარცვალსაც არ შევცვლი, თუ არ მოეწონა და დაგვცინებს, მაშინ მე ვიტყვი, რომ ეს წერილი ჩემი დაწერილია, თქვენ არაფერ შუაში ხართო. დათანხმდნენ. წერილი იწყებოდა ასე:

„ღრმად პატივცემულო ბატონო ილია! თუ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ცოტათი მსგავსი ეპიზოდი გაგახსენდებათ თქვენი ცხოვრებიდან, იმედია, ჩვენი თხოვნა საწადელს მიაღწევს.

სპარტელები ტრაბახობდნენ, არ გვაინტერესებს სიმდიდრეო. სიმდიდრე არც ჩვენ გვზიბლავს და უფრო მეტად კი სიღარიბე. საკითხი ეხება ცხოვრების, არსებობისთვის საჭირო ელემენტარულ პირობებს...“

ბატონი ილია კარებში გამოგვეგება. შეგვრცხვა კიდევაც, იმდენად იყო აღელვებული, შეწუხებული. საოცრად მოგვეფერა და გაისარჯა. წერილის ავტორი კი იმაზე ოცნებობდა, ნეტავ, მრავალბინიანი სახლი მომცა და მაჩუქებინა ამ კაცისთვის, რომ უბინაო ლექტორებს დაურიგოს, მე კი ხის ქვეშ გავათევო.

ბატონი ილია ზოგჯერ სინანულით იგონებდა — ისტორიკოსი მინდოდა გავმხდარიყავიო. ახლა რომ შეიძლებოდა, რას აირჩევდითო, ჰკითხეს, — მან უპასუხა: რა თქმა უნდა, ისტორიკოსობას. შენი ერის კულტურის ისტორიის სამსახურს რა სჯობსო! ბოლოს ღიმილით დააყოლებდა, აქ ვილაცას მაინც გაახსენდებოდიო. ბატონ ილიას სახელს გახსენების პრობლემა არა აქვს. მაგრამ

აქ სხვა რამეა საყურადღებო: ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორც ჩვენა ვართ, ეროვნული კულტურის ისტორიის კვლევის საქმე თვითგანმტკიცებისა და განვითარების პირობაა.

ბატონი ილია სიყვარულის შარავანდით იყო მოსილი. რატომ უყვარდათ იგი აგრერივად რუსებს, ებრაელებს, უკრაინელებს, სომხებს?.. ამ კითხვის პასუხის დასაწყისს, დარმწუნებული ვარ ასე არ ელოდება მკითხველი: „მას საოცრად უყვარდა თავისი კუთხის ადამიანები, გალელეები, როგორც დიად გალილეველს გალილეა“. არავის ეგონოს ამნაირ კუთხურობას გამობდეს ვინმე. დიახ. საოცრად ახარებდა მათი დანახვა, მაგრამ მათთვის არასოდეს უბოძებია საქვეყნო ლარ-სარგებელი. იმგვარ კუთხურობას ვგულისხმობთ, ლევ ტოლსტოის რომ არ დავძრახავთ – გამოორჩევით რად გიყვარს იასნაია პოლიანაო, ვაჟა-ფშაველას – ჩარგალიო... იგი იყო ქართული ფსიქოლოგიით სავსე, მოყვასი კაცური-კაცობის ღირსებისა.

ბატონი ილია წარმოშობით არ იყო არისტოკრატი. მას არისტოკრატობა მეფის სახელით კი არა, ღვთის სახელით ჰქონდა მინიჭებული. იგი სულითა და ნიჭით იყო არისტოკრატი. 1970 წლის სექტემბერში გლდანში ბატონი შალვა ნუცუბიძის სახლში საპატრიო სტუმრებს მოეყარათ თავი: ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ირაკლი აბაშიძე, ვიქტორია სირაძე, ვენორ ქვაჩახია და სხვანი... დარბაზში თამაძობს ირაკლი აბაშიძე, აივანზე კი ბატონი თემურ ბაღურაშვილი. სუფრა რომ დამთავრდა, უფრო საპატრიო სტუმრებმა ჩვენს მაგიდას მთლად გულგრილად ვერ ჩაუარეს. იყო ქათინაურები. „ლექსთან გრძელი თქმა და ხევა“, იყო მრავალჟამიერი. სუფრის თავთან შექუჩდნენ და მერიქიფეობა სიტუაციამ დამაკის-

რა მე. ვის არ დავუსხი ღვინო, მაგრამ ერთი რამ, ფსიქოლოგიური დეტალი არ დამავიწყდება: ბატონმა ილიამ ჭიქა გამოძიწოდა, მე კი დოქი შევაშველე. ამ დროს ერთმა დიდმნიშვნელოვანმა კაცმა რაღაც ჰკითხა, პასუხის გაცემის დროს მე ღვინის დასხმა გავაგრძელე – ეს ხდება, ალბათ, წამნახევარში. ბატონ ილიას ხელი ჭიქით ჩემკენ აქვს გამოწვდილი, თავი კი მოსაუბრისაკენ. როგორც ჭიქის სიმძიმით იგრძნო, რომ დასხმას მოვრჩი, მყისვე მიატოვა დიდი კაცი, მომიბრუნდა პატარა დოცენტს და აჩქარებით, საოცრად თბილი მეგრული ტემბრით მითხრა – გმადლობთ, გენაცვალე.

საარაკო იყო მისი სიკვდილთან შეხვედრის გრძელი გზა. იმ ავადსახსნებელი სენის შესახებ, რომელსაც ჯერჯერობით გზას ვერავინ უღობავს, ბატონ ილიას როცა აუწყეს, ასე მოიქცა: საოცარი სიმშვიდით მადლობა გადაუხადა ექიმებს და სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

1987 წ.



## მიხეილ ზანდუკელი (1889-1968)

ბატონი მიხეილის ერთი ნამოწაფარი მეცა ვარ. იგი წლების მანძილზე ინდივიდუალურ კონსულტაციებს მიტარებდა, მისი ხელმძღვანელობით გამოვდიოდი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე. მის ამაგს ვერანაირად ვერ ვზღავ. დიდი ბუნების, დიდი კეთილშობილების კაცი იყო, — საქართველოს თავისუფლებაზე ჩაუქრობელი მეოცნებე.

ადამიანი რომ სულიერი ღირებულებით ფასდება, დიდი კეთილშობილება რომ გვაავიწყებს მის გარეგნობას, ეს ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ თუ გარეგნობაც სურათია შინაგანი სრულყოფილებისა, სულიერი სილამაზისა, ესეც არაა ურიგო. ბატონი მიხეილი ნაქანდაკევი ქართველი იყო, ახოვანი და ლამაზი კაცი. სიკვდილამდე უჭკნობის სილამაზით ატარა სული, რუსეთის ცივ ციხეებში ნატანჯ-ნაგვეში სხეული.

არიან ადამიანები, რომელთა ნათელი სულების გამოხმობა ძლიერ მოგინდება — შეახედო დღევანდელ საქართველოს. ეს ის ადამიანებია, რომელთაც საქართველოს თავისუფლებისა კი სჯეროდათ, მაგრამ თუ ასე ახლოს იქნებოდა, ძნელად წარმოედგინათ. რა თქმა უნდა, თავისუფლებამდე ჯერ გოლგოთა გვაქვს გასავლელი, მაგრამ მრისხანე კერპების მსხვრევა თუ ასე რევოლუციურად მოხდებოდა, ძნელად თუ ვინმე იწინასწარმეტყველებდა.

სწორედ ბრძანებს ბატონი სოლომონი, ბატონი მიხეილი არ იყო იმ ფილოსოფიისა — ყველასთან კარგად იყავიო. გამოხედვითვე მეტყველებდა მისი პოზიცია. არ დამავიწყდება სურათი: კორნელი კეკელიძე, გრიგოლ კიკნაძე, სოლომონ ხუციშვილი, ჯუმბერ ჭუმბურიძე და თავად ბატონი მიხეილი კორნელი კეკელიძის სახელობის კაბინეტში სხედან. ბატონი მიხეილი თავისი ცნობილი ღიმი-

ლით ეფერებოდა ყველას, – საუბარი შეწყვიტა, დაავლო ქუდს ხელი და ჩქარი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან: ერთი ძველი დამბეზღებული პროფესორი შემოვიდა!

ყველას გვაქვს ჩვენ ჩვენი გადაუღებელი, მაგრამ ოცნებაში არსებული ფილმი. აი, ზოგიერთი ასეთი კადრი კიდევ უნდა აღვადგინო. ბატონი მიხეილის ყველაზე ახლო მეგობრები იყვნენ იშვიათი მამულიშვილები – ნიკო მგელაძე და მისი მეუღლე ოლია დუმბაძე. აქ ხშირად ვხვდებოდი ბატონ მიხეილს. რა ლამაზი იყო ის არისტოკრატიული საუბარი, კულტურა ცხოვრებაში, ცხოვრება კულტურაში. ვცდილობდი, სადილი ამეცდინა, რადგან ბატონი მიხეილი თავის გვერდით დამისვამდა ხოლმე. ეს იყო დახვეწილობისა და არისტოკრატიზმის განსახიერება... ივონებდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში გატარებულ წლებს, ქართველი ინტელიგენციის მიერ იქ გაწეულ შრომას.

საბჭოთა საქართველოს პერიოდში მე არ ვიცი, სწავლების მეთოდიკის ორიგინალობის თვალსაზრისით ვინ შეედრება „ზანდუკელის სკოლას“. იგი ბატონი მიხეილის თაოსნობითა და წინამძღოლობით შეიქმნა და არსებობდა 1921-1929 წლებში – ძველი გიმნაზიის ბაზაზე, რუსთაველის პროსპექტზე რომ პირველი სკოლაა. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები. ეს იყო ჰარმონიის სკოლა – ყველაფერი რომ გათვალისწინებული იყო – კლასიკური საგნებით, ფიზიკური კულტურითა და სპორტით. ვიდრე ბიუროკრატიზმის კლანჭებს იგერიებდა ბატონი მიხეილი, მანამ იარსება ამ სკოლამ. შემდეგ კი ის დაემართა, რაც დაემართა.

ბატონი მიხეილის მოღვაწეობა განუყოფელია უნივერსიტეტისაგან. ეს წმიდა კაცი ამშვენებდა უნივერსიტეტს. მან, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, დიდი შრომა გასწია. იგი ქართუ-

ლი ლიტერატურის ისტორიას ქართველი ხალხის ცხოვრებასთან კავშირში, ქართველი ხალხის ეროვნულ სკეპტთან კავშირში განიხილავდა. განსაკუთრებით ასტკივდებოდა ხოლმე ნაიარევი, ქართული რომანტიზმის სოციალურ-პოლიტიკურ წინამძღვრებს რომ იხილავდა, კახეთის 1812 წლის აჯანყების მიმოხილვისას, როგორც ხშირად, თავის გულისტკივილს ვერ ფარავს: „...გულის სიღრმემდე აღმაშფოთებელია ოფიციალური ენით დაწერილი დოკუმენტიც კი ერთიმეორეზე შემზარავი ფაქტისა ხალხის ეკონომიკურად განადგურების და ზნეობრივად შელახვისა... პირდაპირ გასაკვირია, როგორ შეეძლო მოეთმინა მთელ ხალხს, რომელსაც დიდი ხნის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ტრადიცია, დიდი ხნის კულტურა, საკმარისად მდიდარი მწერლობა ჰქონდა, გარდა ისეთი მატერიალური შევიწროებისა და შელახვისა, ეს ზნეობრივი შეურაცხყოფა და შეგინება, რომელსაც მეფის რუსეთის მოხელეები უპასუხისმგებლოდ აწარმოებდნენ ქართველების მიმართ“ (მ. ზანდუკელი, თხზ., ტ. I, 972, გვ. 72).

მიხეილ ზანდუკელი, ქართული ლიტერატურის მკვლევარი, ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი მამშვენებელია. დადგა ჟამი, შეიქმნას არა პროფესორების ისტორია, არამედ ინტელიგენციის ისტორია. მით უმეტეს, ბევრი გაუჩინარდა იმ უცნაური კრიტერიუმების გამო, რითაც დგებოდა ნეკროლოგები – ცრუ ტომეულებით. მიხეილ ზანდუკელი თავისი აზრით, თავისი ღვაწლით მხოლოდ ერს, მხოლოდ ეროვნულს ემსახურებოდა და არც ქართველი ერის მატია-ნე იქნება უმაღური. ნათელი ეფინოს ბატონი მიხეილის ნათელ სახეს.

16 თებერვალი, 1990 წ.



## რეზო თაბუკაშვილი (1927-1990)

ბატონი რეზოს მოღვაწეობის ყველა სფერო ეროვნული სულით სუნთქავს. ხშირად ჩნდება კითხვა: — როგორ ახერხებდა იგი იმ პოლიტიკურ ვითარებაში ერი-სადმი ეგზომ თამამი სიყვარულით სამსახურს? პასუხს ამ კითხვაზე ყველა მისი მცნობელი გაგცემთ: იშვიათი გონიერებითა და პიროვნული ხიბლით, იმ ხიბლით, რითაც მოწინააღმდეგეთა სატანურ სიფხიზლესაც მოადუნებდა ხოლმე: იშვიათი არისტოკრატიზმით, ვაჟკაცობითა და განათლებულობით, გაბედულობითა და დახვეწილობით... საზოგადოდ ძნელია ქართველი კაცის ღირსებათა ნუსხაში დაასახელო თვისება, რომელიც მას არ ჰქონდა. ორივე სამყარო ლამაზად ერწყმოდა მასში — ზეცისა და ამ ქვეყნის მადლი.

ბატონ რეზოს საქართველოს განყენებული ცნება კი არა, რეალური საქართველო უყვარდა, თავისი ფესვებითა და მომავლით. მას უყვარდა ქართველები, სათითაოდ ახლობელნი თუ პირადად არნაცნობნი. იგი გახლდათ შეუდარებელი ჭირისუფალი სვეგამწარებული მამულიშვილებისა. ცხოვრების ბოლო პერიოდში იმ იდეით იყო ანთებული, თითქოს რუსთაველის მიერ დასმული ამოცანა უნდა ამოეხსნა:

„სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი, სადით ძირსა“.

სიძნელებითა და ფათერაკებით აღსავსე ამ გზაზე მას რაღაც მისტიკური მიზანი ამოძრავებდა — მოებრუნებინა გაფანტული ქართული სული, მოებრუნებინა მადლი ქართული ნიჭისა და სულიერი ენერჯისა — ეგზომ უმისამართოდ დახარჯული.

ჩვენს ისტორიულ თანდაყოლილ ძნელბედობას ვუთხრა, თორემ ბატონი რეზო, როგორც არასდროს, ახლა სჭირდებოდა აღელვებულ საქართველოს. არავინ გვიწყინოს და დღეს არავის შეეძლო საზოგადოების განწყობის ისე მართვა, როგორც ბატონ რეზოს. მას არ ეშინოდა სიძარტლისა. იგი თავის ერს ეუბნებოდა იმას, რაც სიძარტლე იყო და ხვალ შესაცვლელი აზრი არ გახლდათ. იგი კი არ ჩამოდიოდა აუდიტორიის დონეზე, თავის დონეზე აჰყავდა აუდიტორია. ამიტომაც, მასთან შეხვედრაზე ხალხი სხვანაირად ფიქრობდა შეხვედრის ბოლოს, ვიდრე დასაწყისში. განსაკუთრებით ლაღად შლიდა ფრთებს მისი მართალი სიტყვა უნივერსიტეტში.

რეზო თაბუკაშვილს სიყვარულის მაღლი ღვთისაგან ჰქონდა ნიჭად მიღებული. ასეთ სიყვარულს ვერ ისწავლი, რამდენიც უნდა იმეცადინო. რა პარტიები, ასოციაციები და გაერთიანებები არ იქმნება ჩვენს დროში. სულის გასაყარზე ბატონმა რეზომ საფუძველი ჩაუყარა უნიკალურ ინსტიტუტს – მაღლიერების ინსტიტუტს. ქართველმა ერმა ეროვნული კეთილშობილების მსოფლიოს წინაშე წარდგომის საუკეთესო ფორმა მოძებნა. ქართველი ხალხი არასოდეს ყოფილა უმაღური, ეგოისტი ხალხი, მას ლამაზად უყვარდა მთელი მსოფლიო, შეძლებული თუ გაჭირვებაში მყოფი ხალხებით. ასე ესმოდა ამ მორწმუნე ვაჟკაცს, რაინდს ქართველი ხალხის მოღვაწეობის მისია. ამიტომაც, როგორც ჩვენი ეკლესიის მამამ, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კურთხევისას ბრძანა, „ბატონი რევაზი იყო დიდი მამულიშვილი და ჭეშმარიტი ქრისტიანი.“ ბატონი რეზო არ მოკვდება მანამ, ვიდრე ქართული კულტურა იარსებებს. მარადიული სასუფეველი ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს.

## ვახტანგ კალანდარიშვილი (1924-1997)

ბატონი ვახტანგი არ გვიკითხავდა მომხიბვლელ საგანს, მაგრამ გვიკითხავდა მომხიბვლელად. მთელი წელი, ორი სემესტრი, ვუსმენდით ისტორიულ მატერიალიზმს და არ მეგულება თანაკურსელი, ვისაც ბატონი ვახტანგი არ უყვარდა. მან საინტერესო გახადა საგანი, ფაქტობრივად, ისტორიის ფილოსოფიად აქცია იგი. რად გინდა, „საღვთო სჯულს“ ვიკითხავდეს უღვთო კაცი? სტუდენტებთან ისეთი „ფილოსოფია“ ჰქონდა: თუ სტუდენტი კარგად აზროვნებს, ნიჭიერია, მაშინ იგი მარქსისტი ყოფილა, უნდა დაუწეროთ ხუთიანი, სომ?! ამ სიტყვებს ისეთ ღიმილს დააყოლებდა, რაც ნიშნავდა – კარგი რა, მარქსო, ნუ შეგვკვამეო, მე გამოცდაზე ჰეგელის ფილოსოფიის ისტორიაზე ვესაუბრე (რასაც მატერიალიზმთან თითქმის არაფერი აქვს საერთო), მარქსი არც მე გამხსენებია, არც მას. ამით, მინდა წარმომიდგინოთ ეპოქის ნიშანიც.

ეს, აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით, გახლდათ, შეიძლება ითქვას, მოშვებული და არა შემოჭერილი მარქსიზმის პერიოდი. როგორც ჩანს, წინარე პერიოდიდან, საფუძველშივე იყო ჩატანებული მძიმე შეცდომა: აზროვნებას არტახებით ვინ დაიჭერს? აზროვნების სტიქია თავისუფლებაა; ოღონდ არა აღვირახსნილობის გაგებით, როგორც ეს დღეს გვესმის; მიზანია თავისუფლება სულისა და არა პირუტყვეული ვნებებისა. როგორ გვესმის თავისუფლება, იმის მიხედვითაც მივხვდებით, რანაირ საზოგადოებაში გვიხდება ცხოვრება.

„პერესტროიკის“ საჭიროება რომ მომწიფდა, ამის შესახებ დენ სიანო პინამდეც ხვდებოდნენ თვით საბჭოთა



კავშირშიც. მაგრამ ეს წყურვილი გარდაქმნისა და ამავე დროს გრძნობა სოციალურ-პოლიტიკური დაავადებისა ემშაკმა უკეთ გამოიყენა, ვიდრე ანგელოზმა. წამლის ნაცვლად საწამლავი შეაპარეს ქვეყანას. აღშშენებლობის, რეფორმების ნაცვლად – ნგრევისა და ძარცვის არნახული დეფორმაცია იწყებოდა თურმე. მიუხედავად ამისა, ასეთი გარდამავალი პერიოდი ძალზე ხელსაყრელია შემოქმედებითი აზრის სითამამისათვის. უკვე აღარ ემინოდათ ეროვნული ღირებულებების თამამი პროპაგანდისა.

პროფესორმა ვახტანგ კალანდარიშვილმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადაინაცვლა და ფილოსოფიის კათედრას ჩაუდგა სათავეში. მისი ინიციატივითა და რექტორატის სრული მხარდაჭერით, დაიწყო ერთმანეთზე საინტერესო კულტურული ღონისძიებები. 1978 წლის მაისში „ერი გულადი პურადი“-ს განხილვაც მოაწყო. იმ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო იმჟამად განსაკუთრებით პოპულარულმა ალექსი ჭინჭარაულისა და ვახუშტი კოტეტიშვილის შემოქმედებითმა ღუეცმა. პოპულარობა მათ, თავისთავად, არც ისე აკლდათ. მაგრამ იგულისხმება ფოლკლორის, გნებავთ, კაფიობის ჟანრის წარმატება – უშრეტი სიცილის, მხიარულებისა და ეროვნული აზრის პოპულარობა.

ამასთან ხელისუფლებაც შეაჩვიეს გაშარჟებას. ხელისუფლების წარმომადგენლები მაღიანად იცინოდნენ ხელისუფლების კრიტიკაზე. მოკლედ, იყო „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“. ბატონ ვახტანგ კალანდარიშვილს უნივერსიტეტელები ეხუმრებოდნენ, – თუ კაცი ხარ, არ დაღუპო სოფლის მეურნეობა. შენ, როგორც ჩანს, კულტურის უნივერსიტეტად გინდა აქციო აქაურობაო. ვახუშტი და ალექსი ნახევრად ხუმრობით ჰკვირობდნენ იმ არნახული ეროვნული ენთუზიაზმის შესა-

ხებ, რაც მაშინ გახდა კარგად თვალში საცემი: ჩავდივართო რაიონებში და რაიკომის მდივნები მარქსიზმში კი არა, კაფიობაში გვეჯიბრებიან, მგონი ლენინის სახელიც დაავიწყდათო.

ბატონი ვახტანგი ნამდვილი სიმპოზიუმისტი იყო. იგი შესანიშნავად ათავსებდა ერთმანეთთან პირველ-მეორე განყოფილებას: აზრი პურ-მარილიანი და პურ-მარილი აზრიანი. მას უყვარდა „გზებზე სუფრის გადაფენა“. თავისი სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მცირე კონსპირაციით (მაშინ აკრძალული იყო „დესერტაცია“) დიდი პურ-მარილი გამართა თბილისის ზღვაზე. იმ „დესერტაციასაც“ „ზღვა პურ-მარილი“ უწოდეს...

მოლხენის დაწყებამდე ბატონმა ვახტანგმა გვერდზე გამიხმო და გამაცნო ხარკოვიდან ჩამოსული ერთი ლამაზი ქალბატონი დოცენტი და მომცა დავალიანება: დაუჯექი გვერდით, გაართე, არ მოაწყინო, იცოდე! ვიტვირთე მასწავლებლების ეს დავალება, რაც ერთობ სასიამოვნოც აღმოჩნდა: ვიმღერეთ, ვიცეკვეთ, ვიცინეთ, ვიღინეთ და სუფრაც მთავრდება. მოდის ბატონი ვახტანგი და მეუბნება: — მოიყვანე ზომ ხასიათზე? — რაც კი შემეძლო, — ჰოო, ყოჩაღ, მადლობა, ახლა შენ კარგად იყავი, დანარჩენს მე გავაგრძელებო და გუნებაზე მოსულ ქალბატონთან ერთად, ხელკავით და დაუვიწყარი ღიმილით დამიქნია თავი. ხშირად ვიგონებდით ერთად მასწავლებლის ამ პიკანტურ ისტორიას. ღმერთმა შეგარგოთ, ბატონო ვახტანგ, მადლი და სიხარული ამქვეყნიურ-იმქვეყნიური.

## ჯანსუღ კახიძე (1936-2002)

80-იანი წლებიდან ამეკვიატა ოცნება: უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მენახა-მესმინა ბეთჰოვენის ცხრა სიმფონიის ცხრა დღე. ეს ასე მესახებოდა: მძლავრი დინამიკებით დღეში ერთი სიმფონია მუსიკისმცოდნის მცირე შესავლით და მერე ფირფიტების მეშვეობით შუადღის შესვენების ჟამს რომ იგუგუნებდა დერეფნებში. 20-25 წლის წინათ ეს სურვილი რატომ იქნებოდა ცუდი, მაგრამ საფუძველი არ ჰქონდა მაშინდელი ტექნიკური მდგომარეობის გამო. ახლანდელი ტექნოლოგია და მაშინდელი სიმფონიური მუსიკალური წყურვილი მშვენივრად შეავსებდა ერთმანეთს. ეს სურვილი გავაცანი 1982 წელს პროფესორ პავლე ხუჭუას. ცხადია, დიდ დარბაზს ვერ გავრისკავდით. დავიწყეთ VI კორპუსში, ჟურნალისტიკის კაბინეტში. აფიშა აუწყებდა მსურველებს ამ მუსიკალური ლექტორიუმის შესახებ. მაგრამ ერთობ მცირერიცხოვანი აღმოჩნდა ინტერესი – 30-40 სტუდენტ-თანამშრომელი ესწრებოდა ღონისძიებას.

გავიდა ხანი. რექტორი, ბატონი ვაჟა ოკუჯავა, მეძახის. 1985 წლის მარტია. გამაცნო ჩემთვის კარგად ცნობილი ჯანსუღ კახიძე მისთვის კი უცნობ პრორექტორს. მისი ვიზიტის მიზანი: – რა ხდება, მაინტერესებს, რატომ არ დადის სტუდენტობა ოპერაში. მე მერკანტილურ-პრაგმატული ინტერესი სრულიად არ მაწუნებს. აბონემენტები გაყიდულია, გეგმა შესრულებულია, მაგრამ დარბაზი ნახევრად ცარიელია. მოვილაპარაკეთ, ერთი კვირის შემდეგ ბატონი ჯანსუღი სხდომათა დარბაზში შევახვედრე ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორემესამე კურსის სტუდენტებს (სურვილის მიხედვით და



არა ადმინისტრაციული ვალდებულებით). ახლაც მრცხვენია მაშინდელი სურათისა. იქნებოდა ასე 70-მდე სტუდენტი. კითხვაზე – რამდენი თქვენგანი ხართ ოპერის თეატრში ნამყოფი? – ხელი ასწია ოთხმა თუ ხუთმა სტუდენტმა. მანამდე ზოგიერთმა გამოთქვა აზრი მიზეზების შესახებ – ალბათ, თქვენი სპექტაკლები არ იმსახურებს მაყურებლის ინტერესს. – შეიძლება, თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ ერთი-ორი სპექტაკლი გენახათ, უნახავი სპექტაკლის დაწუნება მთლად ლამაზი არ არის... ასე რომ, სულიერი კრიზისის სათავეებს ცოტა შორს გადავყავართ. ჰარმონიისადმი ინტერესი უკვე უთმობდა კაკაფონიას, იაფუფასიან ესტრადას (და არა ისეთს, როგორც თვითონ ჯანსუღ კახიძის საესტრადო რეპერტუარი გახლდათ). მე ვგულისხმობ ტენდენციას, თორემ ახალგაზრდობას მაშინაც და ახლაც ჰყავს ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილი. თუმცა, ასეთი ნაწილი მცირეა. უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ზურგიით დგას კლასიკური მუსიკისადმი და აი, მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება: ბატონი ჯანსუღი თავისი 80-კაციანი ორკესტრით, კვირაში ერთხელ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ატარებს შესავალი საუბრის შემდეგ, ცხადია, მისივე ღირიჟორობით, სიმფონიური მუსიკის ციკლს „ბეთჰოვენის ცხრა სიმფონიის ცხრა დღე“. გავაფორმეთ ხელშეკრულება და ისეთი ანშლაგით დავიწყეთ, თუმცა სიტუაციამ გარკვეული კორექტივი შეიტანა პროცესში. გარდა ბეთჰოვენისა, მრავალი კლასიკური ნაწარმოები იქნა მოსმენილი. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ 20 წლის წინ გამოქვეყნებულ ჩემს ერთ მოკლე ინტერვიუს (29.11.1985).

„ – რას იტყვით ღონისძიების პირველ დღეზე და რატომ აირჩიეთ საკუთრივ შაბათი, ამ დღეს, ნაშუად-

ღევს ხომ უნივერსიტეტში სიცარიელეა. ყველას სადღაც პირად საქმეზე, ჭირსა თუ ლხინში მიეჩქარება?

– ვისაც მართლა უყვარს კლასიკური მუსიკა და არა პირის დასამშვენებლად, ბევრ რამეს გვერდზე გადადებს. მით უმეტეს, აქ სრულიადაც არ არის საჭირო შემთხვევითი ხალხი. გვინდა ასეთი სახეგაბრწყინებული და მაღალი კულტურის სტუდენტები და თანამშრომლები, როგორც ამ ღღეს გახლდათ და რის გამოც კონცერტ-მეცადინეობის შემდეგ კმაყოფილება გამოხატა ბატონმა ჯანსუღმა. ყოველ შემთხვევაში, ვერ დამისახელებთ 16 ნომბერს თბილისში რაიმე ესთეტიკურ-კულტურულ ღონისძიებას, რომელიც თავისი სიღრმითა თუ სივრცით, ღონითა თუ სიამოვნებით შეედრებოდა ჯანსუღ კახიძის მიერ ახსნილსა და მისი დირიჟორობით შესრულებულ ბეთჰოვენის მე-7 სიმფონიას. რა უნდა მოისმინო და ნახო უკეთესი!

– ვინ შეიძლება ამ კლუბის წევრი გახდეს?

– ყველა, განურჩევლად სქესისა თუ ეროვნებისა, ვინც უნივერსიტეტში სწავლობს, ასწავლის და მუშაობს. პირველი ორიენტირი ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებია.

– თქვენი აზრით, ვისთვის, მუსიკასთან ნაზიარევი როგორი კაცისათვის არ არის ეს ღონისძიება აუცილებელი?

– ჩემ გვერდით ისხდნენ მუსიკის მასწავლებლები. მათი აღფრთოვანების მიხედვით ვერ ვიტყვი, რომ მათთვის ზედმეტად ჩაფთვალა ეს ლექცია-კონცერტი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ითხოვეს, მომავალ მეცადინეობას ჩემი შვილი (სხვა ინსტიტუტის სტუდენტი) თუ შეიძლება დავასწრო.

— კლუბის შექმნას რა მიზანი აქვს, ჯერჯერობით ხომ დასწრება თავისუფალია?

— კლუბის წევრობა მომავლის გარკვეულ ღონისძიებებს ითვალისწინებს. მათ შორის, გარკვეულ პრივილეგიებსაც, რაც ბატონმა ჯანსაღმა აღუთქვა მსმენელებს ზოგიერთ შეკითხვასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღიარებული გასტროლიორების კონცერტზე დასწრების შესაძლებლობა, ბილეთების შოვნაში რომ არ გვაჯობოს მეჯღანუაშვილმა.

— და მაინც, როგორ მოეწონა მაესტროს დარბაზი?

— დარბაზი-მსმენელი — ძალიან, დარბაზი-აკუსტიკა — პირიქით. აკუსტიკის ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაიწყო ზრუნვა.

ის, რომ ბატონმა ჯანსუღმა საჩუქრად დიდი დრო და ენერგია მიუძღვნა უნივერსიტეტს, პასუხად ჩვენგან დიდ მადლიერებას მოითხოვს, მისი მამულიშვილობის კიდევ ერთი ნიუანსის საქვეყნოდ გამჟღავნებაა.“

ბატონ ჯანსუღთან არამარტო მუსიკალური ურთიერთ-მეგობრობა, პოლიტიკური მეგობრობაც დაგვჭირდა. 1988 წელს ერთი ამბავი ატყდა მისი ახალი სპექტაკლის „ბაბალეს“ თაობაზე. მუსიკალურმა კრიტიკამ ყიჟინა მორთო, — აქაოდა გაძარცვა „ქეთო და კოტეო“. ბატონ ჯანსუღს ყოველთვის ჰყავდა მუსიკალური ოპოზიცია არამარტო ხელმოცარულთაგან, სერიოზული მუსიკოსებისგანაც, მაგრამ მუსიკოსების ჩხუბში ვერც ჩავერეოდი და არც ჩავერეოდი (რომც შემძლებოდა). ბატონი ჯანსუღი იხსნა ცეკამ, გაგიკვირდებათ თუ როგორ? ცკ-მ აშკარად, ჯანსუღის ოპოზიციას დაუჭირა მხარი. ეს ის დროა, როცა გუგუნებს ახალი ეროვნული მოძრაობა, რომლის შტაბი არის უნივერსიტეტში და მისი საყრდენი არმია სტუდენტობაა. სტუდენტები რომ გაი-



გებდნენ, ცკ-ს აზრს – ყინული ცივია, რას ჰქვია, ყინულისაგან ხომ იწვის ყველაფერიო... ასეთი იყო განწყობილება. ბატონმა ჯანსუღმა საგანგებოდ დღის სპექტაკლი ჩაატარა სტუდენტებისათვის. 100 ბილეთი გამოგვიგზავნა უფასოდ. სპექტაკლის ნახვის შემდეგ შედგამისი განხილვა. მეც მივიღე მასში მონაწილეობა. მახსოვს, რაც ვილაპარაკე, გთავაზობთ შემოკლებით: – სპექტაკლი, უდავოდ, სასიამოვნო მოვლენაა ქართული საოპერო მუსიკის რეპერტუარში. ეს არაფერს აკლებს „ქეთო და კოტეს“. მოგეხსენებათ, რომ „ფაუსტი“ მართო გოეთეს არ დაუწერია. 100-მდე მისი ვარიანტი არსებობს. 100-ზე მეტ „დონ-ჟუანს“ იცნობს ხელოვნება... მუსიკალური ვარიაციები ამდიდრებს, ხომ არ აღარიბებს ჩვენს მუსიკალურ საუნჯეს...

მოკლედ, მაშინდელი უნივერსიტეტის გუგუნმა შეატორტმანა ცენტრალური კომიტეტი. ხოლო ლაშქრობა ბატონი ჯანსუღის წინააღმდეგ მაშინვე შეწყდა.

ბატონი ჯანსუღი დიდი მოვლენაა ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში როგორც დირიჟორი, კომპოზიტორი, მომღერალი. გარეგნობითაც ძალზე პლასტიკური გახლდათ, ძალზე უხლებოდა იგი დირიჟორის პულტს. მას დიდი საერთაშორისო აღიარება ჰქონდა საზღვარგარეთ, მაგრამ ყველაზე ძვირფასია ის სიყვარული, რაც თავისი ხალხისაგან ერგო.

## გრიგოლ კიკნაძე (1909-1974)

მაგალითი პიროვნებისა  
პროფესორ გრიგოლ კიკნაძის დაბადების  
70-ე წლისთავის გამო

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ მისი ნააზრევისადმი ინტერესის ზრდა თითქმის არასდროს ყოფილა შემთხვევითი; ცოცხალი პიროვნება კი, როგორც ამბობენ, ხშირად ხელს უშლის მისი შემოქმედების ობიექტურ შეფასებას – ის ან მეტი გვეჩვენება, ან ნაკლები.

ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა გრიგოლ კიკნაძე, მაგრამ მისი სულიერი სიცოცხლე კვლავ გრძელდება და, რაც დრო გადის, მით უფრო საგრძნობი ხდება ამ მოღვაწის პიროვნული მნიშვნელობა.

გრიგოლ კიკნაძემ ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია ცალ-ცალკე დარგებად კი არა, ერთიან პროცესად წარმოგვიდგინა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი ლიტერატურათმცოდნეობა ნამდვილ, ფუნდამენტურ მეცნიერებად მივიჩნიოთ. მან მოგვცა შესანიშნავი ნიმუში იმისა, რომ ლიტერატურის შესახებ მეცნიერება სწორედ ზოგადისა და კონკრეტულის ერთიანობაში კვლევას. საამისოდ ყველაფერი ხელს უწყობდა მკვლევარს; როგორც საკვლევი მასალის შესანიშნავი ცოდნა, ისე სინთეზურ-ანალიტიკური ანუ ფილოსოფიური უნარი.

როდესაც ასეთ მეცნიერზე ვმსჯელობთ, როგორიც გრიგოლ კიკნაძეა, ბუნებრივად თავს იჩენს მოთხოვნა: ღირსებათა საზომად გამოვიყენოთ არა მხოლოდ საშინაო, ეროვნული მასშტაბები, არამედ ლიტერატური-

სა და მეცნიერების თანამედროვე დონე. ასეთ შემთხვევაში ყველასათვის ცხადია, რომ ერთნაირად მიუტყვებელია როგორც მკვებარობა, ისე ზედმეტი მოკრძალებაც, დღეს ჩვენს მეცნიერთა შორის მომწიფებულია აზრი, რომ პროფესორ კიკნაძის გამოკვლევათა შესაფასებლად სწორედ ასეთი ფართო მასშტაბებიც გამოვიყენოთ. გრიგოლ კიკნაძის გამოკვლევები, სრული უფლებით შეიძლება ითქვას, არ ჩამოუვარდება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაჩინო ნიმუშებს. მომწიფდა აზრი, რომ მეცნიერულმა მემკვიდრეობამ, ერთი მხრივ, თავისი თეორიული, განმაზოგადებელი ღირსებით, მეორე მხრივ, აღბეჭდილმა ქართული კულტურის ღრმა ანალიზით, უფრო ფართო ასპარეზი მოიპოვოს. ამას გვაფიქრებინებს მონოგრაფია — „...ვაჟა-ფშაველას შემოქმედების“ შესახებ, „რომლის მსგავსი ხშირად არ ჩნდება ლიტერატურათმცოდნეობის ჰორიზონტზე (აკად. კ. კეკელიძე). გრიგოლ კიკნაძის „მეტყველების სტილის საკითხების“ შესახებ აკად. აღ. ფრანგიშვილი წერს: „როდესაც ამ წიგნს ეცნობი, სავსებით გასაკები ხდება იმ განსაკუთრებული გულთბილი დამოკიდებულების საფუძველი, რასაც იჩენდა დ. უზნაძე გრ. კიკნაძისადმი ამ უკანასკნელის ცხოვრების მძიმე პერიოდში“.

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს: დიდსა და მრავალმხრივ ცოდნას ძლიერი სინთეზური ნიჭი ერთვოდა, ამას ნათლად გრძნობს მკითხველი, როცა ეცნობა გრიგოლ კიკნაძის ვრცელ მონოგრაფიებს: „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“ (I გამ, 1953, 493 გვ., II გამ., 1972, 451 გვ.), „მეტყველების სტილის საკითხები“ (1957წ., გვ. 372) ვრცელი რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 329-366). ასეთი გა-



მოკვლევები დაამშვენებდა ლიტერატურისმცოდნეობას რაგინდა რა ენაზე.“

გრიგოლ კიკნაძის მეცნიერული ინტერესი უმთავრესად მაინც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას უკავშირდება. მისმა შრომებმა ვაჟას შემოქმედების კვლევა უფრო მკაცრი მოთხოვნების წინაშე დააყენა. ჭეშმარიტად რომ დიდია მისი ღვაწლი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თეორიულად გააზრების საქმეში. ამ მხრივ მან აამაღლა მეცნიერულ-საზოგადოებრივი აზროვნების დონე და გააღრმავა ინტერესი დიდი პოეტისადმი, დასახა გზები – როგორ უნდა შეხედოს ამ დიად სამყაროს ქართველმა თუ უცხოელმა მკითხველმა.

რაოდენ სიმბოლურია ის ფაქტი, რომ დიდმა მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ ჩვენი საფიცარი ტაძრის – უნივერსიტეტის გუმბათის ქვეშ დალია სული, ხოლო გავიდა დრო, და 1962 წელს ამ ტაძარში, გრიგოლ კიკნაძის ინიციატივით, ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა ბევრი სიკეთე შესძინა ჩვენს მეცნიერულ-კულტურულ საქმეს. „10 წლის მანძილზე ეს კაბინეტი გადაიქცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევის ცენტრად. ერთი დიდი კვლევითი ინსტიტუტი ვერ გააკეთებდა იმას, რასაც ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა ამ ხნის განმავლობაში მიაღწია“, – ასე შეაფასა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ვაჟას კაბინეტის მუშაობა.

გრიგოლ კიკნაძე ფართო დიაპაზონის ლიტერატორი იყო, იგი არათუ ჩინებულად იცნობდა რუსულ ლიტერატურას, არამედ მისმა რამდენიმე გამოკვლევამ რუსული მწერლობის საკითხებზე სამეცნიერო საზოგადოების სათანადო ყურადღება მიიქცია. მათ შორის აღსანიშნავია 1960 წელს ლ. ტოლსტოისადმი მიძღვნილი საკავშირო

სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება „ბუნების გრძნობა ა.ს. პუშკინის ლირიკაში“.

გრიგოლ კიკნაძე ხელოვნების, პოეზიის არა მხოლოდ მკვლევარი იყო. იგი თავადაც აძლევდა სტიმულს ხელოვანთ, ვთქვათ იმგვარად, როგორც ეს ანა კალანდაძეს წარმოედგინა: „... მე თქვენი სულის სიღრმეებს მინდა კვლავ დავუბრუნდე, სიღრმეებს. დიოდა და ჩქეფდა დიდი სიყვარულის ცხოველი და უშრეტი წყარო, ღვიოდა მოყვასისადმი ის დიდი სიყვარული, რომელიც კრებდა თქვენს ირგვლივ უამრავ მეგობარსა და პატივისმცემელს. დიახ, თქვენ ამ კურთხეული მადლით იყავით ცხებულები – თქვენ ხომ უმთავრესად მხოლოდ სხვათათვის არსებობდით, სხვათა ტანჯვათა და სიხარულთა გამზიარებლად...”

ნათელ იდეას, მრწამსსა და ქცევებს შორის სრული კავშირის მიღწევას იშვიათ თვისებად, პლასტიკურ ხასიათად მიიჩნევდნენ ფილოსოფოსები. ერთი ასეთი ხასიათის კლასიკურ განსახიერებად ძველად სოკრატე მიაჩნდათ. გრიგოლ კიკნაძის სოკრატული ხასიათი სიკვდილთან ქედუდრეკ შეხვედრაშიც გამოვლინდა. თავისი ცხოვრებითა და სიკვდილით მან დაგვარწმუნა, რომ ყველაზე დიდი უბედურება ადამიანისათვის შერცხვენაა და არა სიკვდილი. თავად ის, ხორციელად მიდიოდა ამა ქვეყნიდან იმ ფარული სიამაყის გრძნობით, რომ მის მიერ განვლილი გზა ნათლით არის მოსილი. უმძიმესი ტკივილები უტეხმა სულმა დაჯაბნა, იმ კაცურმა უფლებამოსილმა სიამაყემ, რომელიც მისსავე სიტყვებს გვახსენებს: „თუ ყველა იმას გააკეთებს, რისი გაკეთებაც შეუძლია, მას საყვედური არ ეთქმის.“

ოქტომბერი, 1979 წ.

P.S. გრიგოლ კიკნაძის ღვაწლის შესახებ მრავალ თვალსაჩინო მოაზროვნეს გამოუთქვამს კომპეტენტური, მაღალი აზრი: მასზე უფროსებს, მის თანამედროვეთ და უმცროსი თაობის მოწაფეებს. ბატონი გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა მონოგრაფიული ხასიათის წიგნი „გრიგოლ კიკნაძე“ (1976წ.) ავტორები: ვ. გოგუაძე, ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი, ჯ. ჭუმბურიძე. წიგნს დართული აქვს ცნობილ მოღვაწეთა მოგონებები: არნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე ფრანგიშვილი, ანა კალანდაძე, ნათელა ურუშაძე, ნოდარ კაკაბაძე, გურამ თევზაძე, ალექსანდრე გვანარია.

ბატონი გრიგოლი მკაცრი პიროვნება გახლდათ. მას არ უყვარდა ფამილარულობა და პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, განსხვავებულად ესალმებოდა კაცებსა და კაცუნებს. უფრო მეტად კი ამ უკანასკნელთ არც ამჩნევდა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტუდენტებთან მუშაობას, არა მხოლოდ მისი მომაჯადოებელი ლექციებით, არამედ არასალექციო საათებში. დაისმებოდა საკითხი, ვიტრიალებდით, ვიწვალეხდით ხელების ფშვინებით — „იციოთ რის თქმა მინდა, იციოთ, რის თქმა მინდა...“ და ბატონი გრიგოლი შეგვაშველებდა ერთ სიტყვას ან ერთ ფრაზას და ამოვისუნთქავდით. აი, სწორედ ეს მინდოდა მეთქვაო, სინამდვილეში კი ესაა სწორედ ლიტერატურისმცოდნეობა. ბატონი გრიგოლი ღრმა ფსიქოლოგი, განათლებითაც დიმიტრი უზნაძის საყვრელი მოწაფე გახლდათ. მისი რჩევა მიმართულებას გაძლევდა, სწორ გზაზე დაგაყენებდა... 1963 წლის ბოლო დღეებია. 3 დღის ასპირანტი ვარ. ბატონმა გრიგოლმა მეც სხვებთან ერთად წინასწარ მომცა „ხევისბერი გორას“ კინოსცენარი წასაკითხად. მისი ინიციატივით



მოეწყო უნივერსიტეტში კინოსტუდიის კოლექტივთან შეხვედრა და კინოსცენარის განხილვა. მანამდე, განხილვამდე ერთი საათით ადრე დამიბარა და მკითხა: – როგორია შენი აზრი? – გამანადგურებელი! – ვუპასუხე მე. – იცი რა, სიყვარული აჩვენე და შენიშვნებსაც გაპატიებენ. „სიყვარული აჩვენეო“, სულ შემიცვალა გამოსვლის ტონალობა. მაგრამ მას არ უთქვამს შენიშვნები არ მისცე ან შეარბილეო. ეს ორიოდ სიტყვა საკმარისი შეიქნა ჩემი გამოსვლის სრულიად სხვა ეფექტისათვის. განწყობა მართლა გამომიძუშავდა, ან რას ვერჩოდი იმ საყვარელ მსახიობებს, შემოქმედებით კოლექტივს? მაგრამ ახალგაზრდას თავის გამოჩენა უყვარს იმით, რომ მაგარი ვარ, რომ დაგიწუნეო. თუმცა, ერთი კუროლოზი მაინც მოხდა. ერთი ფილოლოგი პროფესორი გამოვიდა ჩემ შემდეგ და ტყავი გამაძრო – „ეს წმინდა კედლები, ეს თეთრი ტაძარი არ არის იმისთვის, რომ კინოსტუდიის ამ ნაცად კოლექტივს ჭკუა ასწავლონ გუშინდელმა გამოჩენილმა ღლაპებმაო...“ გამოდის მრისხანე ბატონი გრიგოლი. უჩვეულოდ სქელი წარბები ზევით ასწია (მიხვდნენ უკვე, ვიღაცას არ შერჩებოდა ტყავი) და მკაცრი ხმით დაიწყო: „ეს წმინდა კედლები. ეს წმინდა ტაძარი არ არის იმისათვის, რომ ახალგაზრდას თავისი აზრის გამოთქმა ავუკრძალოთ...“ ის საწყალი პროფესორი ბატონ გრიგოლს რეპლიკას გაუბედავდა?!.. ახლა დადგა ჯერი და გამოდიან კინოსტუდიიდან სცენარისტი, რეჟისორი, დირექტორი. მლიქვნელ პროფესორს არ დაუფასეს კუდის ქიცინი. მაღლობებიც კი მივიღე, ზოგიერთ შენიშვნასაც გავითვალისწინებთო. ეს იყო ბატონი გრიგოლის კომენტარზე განწყობის აწყობა, მისი დამსახურება...

ავტორიტეტულად დარჩა სახელი ვაჟა-ფშაველას კაბინეტთან არსებული სემინარის მუშაობის შესახებ. სემინარს ჰყავდა ორფენოვანი შემაღგენლობა. აქ საპატიო წევრებად იყვნენ: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ივანე გიგინეიშვილი, მიხეილ კვესელავა, ნოდარ კაკაბაძე... მაგრამ სემინარის მუდმივი მუშაობა მაინც უფრო მოკრძალებული შემაღგენლობით მიმდინარეობდა. სემინარი განიხილავდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას – თუკი რამ დაწერილა ათა-ბაბადან. გავიხედე და ერთ დღეს სემინარზე ბატონი გრიგოლი აცხადებს: – რაც შეეხება ჩემ მონოგრაფიას („ვაჟა ფშაველას შემოქმედება“), ვთხოვთ მისი რეცენზირება აგერ ჩვენს გაფილოსოფოსებულ ფილოლოგს. ცივმა ოფლმა დამასხა. ეს ის ლეგენდარული წიგნია, 1945 წელს ბრწყინვალედ რომ დაიცვა ბატონმა გრიშამ სადოქტორო დისერტაცია. აქაურმა ცეკამ კი აუკრძალა მას „ვაკ“-ში, მოსკოვში, საატესტაციო კომისიაში მისი გაგზავნა. ესეც არ აკმარეს და უპირებდნენ გაციმბირებას. მაგრამ კაცებს რა გამოლევს საქართველოში! მაგრად დაუდგნენ ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია და სხვები. ერთხელ სიმონ ჯანაშიამ ბერიას ცოლი და შვილი დაპატიჟა სახლში, ახლობლობდა მათთან. როგორც ცნობილია, ბერიას დედა და ცოლი მორწმუნენი იყვნენ. მაგრამ ამ წვეულებაზე ვიწრო წრეში ბატონმა სიმონმა პოლიტიკურად დევნილი, უპარტიო გრიგოლ კიკნაძე დაპატიჟა. რაც უნდა ვიწრო წრე ყოფილიყო, ეს სენსაციური სვლა საკმარისი შეიქნა, რომ ცეკამ ბატონი სიმონის ამ ბრძნულმა, გმირულმა სვლამ ჩააჩუმა. ბატონი სიმონი დიდი ქართველი და დიდი ისტორიკოსი გახლდათ.

ახლა დავუბრუნდეთ იმ ნაშრომის სარეცენზიოდ გადმოცემის ფაქტს. არ დამავიწყდება ჩემი ძმაკაცების იუზა

ევგენიძისა და ლადო მინაშვილის გაკვირვებული სახეები. — რას გიპირებს, თუ იცი, ბიჭო, ბატონი გრიშა? — აბა, რა ვიცი? ბიჭებმა მითხრეს და მეც მეგონა, რომ ცნობილ მეცნიერ-კოლეგებს მისცემდა. მაგრამ მერე მე ეს ასე ავხსენი: ბატონი გრიგოლი მოერიდა ჰომპეზურ გახსენებას მისი გმირული ისტორიისა და თავი ისე დაიმდაბლა, რომ ნაშრომი განსახილველად გადასცა ერთ პატარა ასპირანტს.

მე ეს წიგნი, მეგონა, გადაღეჭილი მქონდა, მაგრამ ახლა ახალი თვალეებით დავიწყე კითხვა. რაღაცა ვიპოვე, ვიფიქრე — ეს არ უნდა იყოს ასე. კიდევ, კიდევ და ამ დიდებულ ნაშრომში საკმაოდ მომიგროვდა შენიშვნები. მოვიდა სემინარის დღეც. მაგრამ წინა ღამე თეთრად გავათენე. ამხელა ნაშრომი, ბუმბერაზი მეცნიერი კაცი, რომელიც მამასავით მიყვარს და შენ ახლა დაუწყე შენიშვნები?! ერთი გაგაბრტყელოს იქნება?! არც იუზას და ლადოს ვუმხელ ჩემს გასაჭირს. მერე ვიფიქრე, ბატონი გრიგოლი რომ ღვიძლი მამა იყოს ჩემი, მამას ხომ ეტყვი, თუ რამე არ მოგეწონა? თუ გიყვარს ადამიანი, რატომ ეპირფერები? მოკლედ, გადავწყვიტე — ვერ ვეცრუები!..

დავიწყე მოხსენების კითხვა, რა თქმა უნდა, წიგნის ფუნდამენტურ მნიშვნელობას შევეხე და მართლაც ეს არის მწვერვალი ვაჟალოგიაში. გადავედი შენიშვნებზე. ერთი სული მაქვს, შევხედო მის წარბებს, მოიღრუბლა თუ არა... დავამთავრე, მაგრამ ჩემი გულის ბაგა-ბუგი, მგონი, ყველას ესმოდა. აი, პირველი სიტყვებიდანვე როგორ მომიხსნა დაძაბულობა.

— რაც შეეხება შენიშვნებს, საფუძვლიანია, მაგრამ ერთი მიზეზიც მინდა გითხრათ. მძიმე დრო იყო და დრომ მოითხოვა კომპრომისები, ბევრი რამის თქმა არ



შეიძლებოდა. აუცილებელი იყო საერთო ვითარებისათვის ანგარიშის გაწევა. თქვენ რომ ახლა ავტორებს უთითებთ თქვენს სტატიებში, ის წიგნები რომ ენახათ იმ დროს, გაგაცემბირებდნენ. მერე ერთი-ორი შენიშვნა თავისი წიგნის წინააღმდეგ თვითონ ჩამაწერინა. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბატონი გრიგოლი მართლად დიდი კაცია, ასეთი კაცები იშვიათად იბადებიან.

ვაჟა-ფშაველას კაბინეტის მიერ ყოველ ზაფხულობით ტარდებოდა მოგზაურობა „ვაჟას ნაკვალევზე“. ძირითადად ფშავ-ხევსურეთი, ქისტეთი.... ახალდაბრუნებული ვართ მთიდან და ვაჟას კაბინეტში ფშავ-ხევსურეთის შთაბეჭდილებებით ვტკებებით. აქ არიან კაბინეტის თანამშრომლები და აქტივი: ლონდა მამულაშვილი, ლია მდინარაძე, დათო წოწკოლაური, იუზა ევგენიძე, მერა ყუბანეიშვილი, ზაირა არსენიშვილი, ბატონი გრიშა, აი, მე და ნოდარია სივსივაძე რომ დავუდევნეთ ქისტეთში, ანატორიდან რომ გავყვევით ჩვენს მეგობრებთან ერთად იუსუფ ბორჩაშვილს, ქისტს, მესამე კურსამდე თურქე ფილოლოგიის ფაკულტეტზე უსწავლია... ჰოდა, ბატონო გრიშა, იცის რას დამპირდა?

— რას დაგპირდა ასეთს? თქვი, ნუ დაგვტანჯე, ალბათ, ცხვრის ფარას გაგინაწილებს.

— არა, დამპირდა, შემდგომში აქ, ჯარეგოში რომ ამოხვალ, ფოტოაპარატი იქონიე და სისხამ დილაზე კლდეზე ჯიხვი რომ გამოდგება, იმის სურათს გადაგალებინებო.

— აუჰ, შესანიშნავია... თუ გადმოდგა ოღონდ?!

## მერაბ კოსტავა (1939-1989)

1960 წლის გაზაფხულია. ქაშუეთის მოპირდაპირე მხარეს, სახინკლეში შევედივართ სამნი – ასე, 20 წლის ბიჭები. ერთი მათგანი ახლა გამაცნო ორივე ჩვენგანის კარგად მცნობელმა ამხანაგმა. ქაბაბი მოვატანინეთ. ახლად გაცნობილმა წყნარად მოაშორა ლულას ქაბაბი და ხახვთან ერთად ეს თხელი პური მიირთვა. მარხვას იცავდა. ამ თემას, ცხადია, არ შევხებივართ. გამიხარდა, რომ ეს ქვეყნის „დამაქცევარი“ გავიცანი, ერთი შავგვრემანი, გამხდარი, ჭკვიანი გამომეტყველების ბიჭი. მე ამ „დამაქცევარის“ შესახებ მეტი ვიცოდი, ვიდრე სხვებმა – მერაბი და ზვიადი ჩემი დეიდაშვილის თანაკლასელები იყვნენ. მას შემდეგ ხშირად არ შევხვედრივართ. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ფილარმონიის წინ თბილად გადავეხვიეთ ერთმანეთს.

1988 წლის 24 თებერვალი არის ახალი ეროვნული ტალღის ათვლის თარიღი – უნივერსიტეტის ეზოდან. ამის შემდეგ „სამოქალაქოში“ ჩაცმულნი ცალკე დასეირნობდნენ ამ ეზოში და თითო-ოროლა „საეჭვო“ ჯგუფის ახალგაზრდების გამოჩენა თავზარს სცემდა ხელისუფლების ხილულსა თუ უხილავ ნაწილს.

მარტის პირველი დღეებია. უნივერსიტეტში დიდი საბჭოს სხდომაა. მე სხდომიდან გამომიძახეს ცკ-ში. ორი საათის შემდეგ ვბრუნდები და ვხედავ, რომ ივანე ჯავახიშვილის ძეგლის წინ მერაბ კოსტავა და ათიოდ ყმაწვილი წრიულად დგანან და მშვიდად საუბრობენ. ავედი მეორე სართულზე და ვიფიქრე – სხდომათა დარბაზში, დიდ საბჭოზე, ჩემს შესვლას აზრი არა აქვს და პირდაპირ პარტკომის კაბინეტში შევედი. პარტკომის

მდივანს, თემურ ხუროძეს ორივე ყური დაკავებულნი აქვს ყურმილებით. მესამე ტელეფონის ყურმილი გადადებულია და ელოდება გამოთავისუფლებულ ყურს. შეკვდი თუ არა, თემური გახარებული ეუბნება ცეკას უფროსებს (მე ცოტა ხნის წინ იქ სხვა საქმეზე და სხვა სართულზე ვიყავი. ჩანს, აქ უფრო მიპოვიდნენ, ვიდრე იქ) – აი, აი, შემოვიდა კიდეც.

თემური ორივე „დიდს“ გამოეთხოვა, მესამეც დაამშვიდა, – მალე დავირეკავო.

– ვახო, თუ ძმა ხრ, სასწრაფოდ ჩადი ეზოში, მერაბ კოსტავაა მოსული ბიჭებთან ერთად და მიტინგს აპირებენ. არაფრით არ უნდა დაგუშვათ მიტინგი.

– მერე, მე რა უნდა ვქნა?

– შენი ძმაკაცია, შენ დაგიჯერებს, სთხოვე რა, თუ ძმა ხარ, წადი-თქო.

– მაგას მე კი არა, ანდროპოვმა ვერ გადაათქმევინა, რა უნდა ვუთხრა, ხომ არ გაგიჟდი?!

– კარგი რა, ძმურად გთხოვ!

– თემური ჩემი სტუდენტი იყო, მათემატიკოსს ვუკითხავდი ესთეტიკას. ეროვნული მოძრაობა რომ ამოძრავდა, მეხუმრა, შენი დრო მოდისო, ქე ხარ შენც დისიდენტი და იბაირამეთ ახლა. ჩვენ შევიმუშავეთ ერთი ცნობილი ჟესტი – „პოლიტიკური ღიმილი“. როცა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ვესტიბიულში უკვე მძვინვარებდა ემოციები ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენ ამ დროს მოვიკრებდით სიმშვიდეს და ამ საოცრად არამშვიდ ტალღაში დაყენებული ღიმილით, საუბრით მივსერილობდით, ვითომ ძალიან კარგად არის ჩვენი საქმე, თქვენი ვის ეშინიაო. თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად გვიგრძვნია შედეგი.



– რომ არ წავიდეს კოსტავა ჩემი თქმით, ხომ შევრცხვები?

– არაფერს არ შერცხვები, მიდი რა, თუ ძმა ხარ.

კორპუსიდან რომ გავდივარ, უკვე შეცვლილია თითქოს რალაც შიდა ინტერიერში, უხილავი ლანდივით დაჰქრიან შავტყავიანი „პლაშჩებით“. შენობიდან ფეხი გავდგი თუ არა, მოვიხედე და ყველა სართულის ფანჯრიდან იჭყიტებიან ცნობისმოყვარე ქალები. მაშინ კოსტავამ, გამსახურდია მხუთ მეტრზე ჩავიარაო, პოლიტიკურ დეზინფექციას უკეთებდნენ... რა ცუდი მენსიერება აქვს ისტორიას?! ახალ კი ყველაფერიც არაფერია... პირდაპირ მერაბისაკენ ავიღე კურსი. მე და მერაბს ურთიერთში არა გვაქვს პრობლემა, მაგრამ ახლა უნდა გაიხსნას ფრჩხილები – ვისთან თამაშობს გოგუაძე? მერაბი წრეს ოდნავ გამოსცდა ჩემთან შესახვედრად, ძალზე ბუნებრივად გადავეხვიეთ ერთმანეთს. ბიჭებს ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი, – ახლა ცოტა ხნით მერაბი უნდა წაგართვათ-მეთქი.

მერაბს ხელკავი გავუკეთე და ეზოს სიღრმეში გამოვიხირონეთ.

– მერაბ, დათა თუთაშხია ხომ გახსოვს?

– რავა არ მახსოსოვს, შე კაცო.

– ჰოდა, მე ახლა შენთან მოვედი, ვითარცა მუშნი ზარანდია. მერაბს გაეცინა, – რა იყო, მკითხა.

– რა და, ხომ ხედავ, მთელი ეზო და კორპუსი გაჭედლია უშიშროება-საშიშროების თანამშრომლებით, კანკალი აქვთ ატენილი, კოსტავა მოვიდა, მიტინგს აწყობსო. ჰოდა, თუ შენ გინდა მე მარკა ამიწიო, მოდი ჩემს ნათქვამზე გამოსდე ამ ბიჭებს ხელკავი და წაიყვანე.

– კი კაცო, ეხლავე... – სიტყვაც არ დამამთავრებინა, ხელი ჩამომართვა და შეტრიალდა.

მე მოვბრუნდი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მთავარი შესასვლელისაკენ. იქ უკვე გაეღოთ მთავარი კარები. შესასვლელთან კი ცნობისმოყვარე ქალბატონებმა დაინახეს ის, რაც ჩემს ზურგს უკან ხდებოდა (მე ხომ ვერ მივბრუნდებოდი შესამოწმებლად, მერაბმა შეასრულა თუ არა სიტყვაო, – ასეთი ეჭვი ბუნებაში არ არსებობდა). და აი, ქალბატონებმა გაკვირვების ინსტინქტით ლოყებზე ხელის გულები ჩამოისვეს. მათ ქცევაში, როგორც სარკეში, ისე დავინახე, დაახლოებით რამდენი მეტრით გასცილდნენ მერაბი და ბიჭები ეზოს. ახლა მე შემომანათეს პატივისცემის მზერა, – ყოჩაღო, – იკითხებოდა ამ შემოხედვაში. უფრო დაახლოებულებმა კი ვერ მოითმინეს და მაშინვე მკითხეს: – რა უთხარი ასეთი, ნახევარ წუთში რა იმოქმედე ასეთიო? ეზოში ამ დროს ამ სცენებს უყურებდა ახლადშექმნილი სტუდენტთა ჯგუფი, მომავალში რომ პრეს-კლუბი დაერქვა. ამ ჯგუფს ერთგვარი ეჭვიც გაუჩნდა, – ბატონი ვახტანგი რომ ასე თამამად იქცევა, ალბათ „კებ“-სთან არის შეკრულიო. ახლა ხომ მაინც დარწმუნდით, მეგობრებო?! ასეთი ეჭვი არასოდეს გასჩენია ჩემს მიმართ მერაბს და არც შეიძლება გასჩენოდა. ის კარგად მიცნობდა.

მთელი დღე მიტრიალებდნენ, პურ-მარილს, რას არ მპირდებოდნენ, გვითხარი, გვითხარიო... აქ მთავარი მთქმელის ვაჟკაცობა არ იყო, „კაი მთქმელს კაი გამგონე უნდაო“. მერაბი იყო ალალი კაცი, თავს გაწირავდა შენთვის, თუ მართალი იყავი.

მე არ ვაპირებ მთელი ისტორია მოვყვე ჩვენი ურთიერთობისა ან ეროვნული მოძრაობის ამ ისტორიას მივუბრუნდე. მე ვლაპარაკობ იმ კაცზე, რომელმაც საკ-

ვირველი პოლიტიკური როლი შეასრულა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ იგი არ იყო პოლიტიკოსი. იგი მსხვერპლი, გმირი იყო ამ მოძრაობისა. მე პოლიტიკის მიღმა მის კაცურ ხასიათზე ვლაპარაკობ.

1988 წელს ფერგანადან გამოყარეს, დაარბიეს თურქი მესხები, არც ისე ადვილია, ქართველებმა გულგრილად უყურონ ამ მოვლენას. ოქტომბერი თუ ნოემბერია, მერაბი მოდის ჩემთან უნივერსიტეტში და მეუბნება, — ვახტანგ, სასწრაფოდ უნდა წამოხვიდე კინოსტუდიაში. იქ საშუალება არის, ვნახოთ ფერგანის ტრაგედიის ფირები. გარეთ თამრიკო გველოდება მანქანით.

— ვაიმე, მერაბ, რექტორი არ არის, მოსკოვშია, მე ვასრულებ რექტორის მოვალეობას, აქ რაღაც „ჩპ“ არის, წუთით ვერ ვტოვებ უნივერსიტეტს.

— ჰო, კარგი, — მითხრა და ჩამოჯდა. საუბარს შევეყვით.

— მერაბ, შენ უკვე დიდი პოლიტიკური ავტორიტეტი გაქვს და დიდი პასუხისმგებლობაც. როგორ ფიქრობ, არ გამოიყენებენ შენს პოლიტიკურ ავტორიტეტს, რომ აქ ნახევარმილიონიანი თურქი მესხები შემოგვისიონ?

— არა, აქ ლაპარაკია იმ პროქართულ ელემენტზე, რაც მათ შორისაა.

— ჩვენ წელს მისაღებ გამოცდებზე ოთხი ახალგაზრდა ჩავრიცხეთ თურქი მესხებიდან. ლამის ხელზე, მათსავე კალამზე მეც მეჭირა ხელი და ერთად ვწერდით. უშუალოდ მე ვკურობდი ამ საქმეს. ძალიან კარგი ახალგაზრდები არიან, მაგრამ შენ დარწმუნებული ხარ, რომ ამ, ყველაზე სარისკო ჟამს, ისინი ჩვენს მხარეს დადგებიან?

მერაბი დაფიქრდა, ველოდები ჩემთვის კარგად ნაცნობ არგუმენტებს, ვინც თავგამოდებულნი იცავდნენ მათ სა-



ქართველოში ჩამოსახლების პოზიციას. ვფიქრობ, თავს  
ზომ არ გაიმტყუნებს, ის ეცდება, დაასაბუთოს, რომ –  
მე სწორი ვარ! და ამ დროს ხდება ჩემთვის საკვირველი  
რამ, მე აქამდე ეს ბოლომდე არ გამიხსნია. ბევრჯონი კი  
დამიწერია მერაბის საოცარ არასიფიუტესა და პრინცი-  
პულობაზე. ჯიუტი კაცი ჰგავს პრინციპულს, მაგრამ ის  
არ შეიძლება იყოს პრინციპული. პრინციპული კაცია ის,  
ვისაც თავის თავზე მეტი სწამს, რომელიც თავის თავში  
ემორჩილება იდეას და არ ცდილობს, დაიმორჩილოს  
იდეა. ჯიუტ კაცს თავისი თავი აქვს აჩემებული, ვითარ-  
ცა კერპი. კარგი ხნის პაუზის შემდეგ მერაბი მეუბნება:  
– იცი, რა გითხრა? ერთხელ მართლა შევკრიბე ერთი  
იმათი ჯგუფი და ვუთხარი, არ დამიძალოთ, სიმართლე  
მითხარითო. მათ მითხრეს: – მერაბ, შენ ზომ იცი, რო-  
გორ პატივსა გცემთ, შენ ვერ მოგატყუებთო და ალა-  
ლად მითხრეს, რომ...

მე გაოგნებული დავრჩი, მერაბმა თვალსაზრისთა  
ბრძოლაში თავისი იარაღი მომაწოდა. თავისი არგუმენ-  
ტების წინააღმდეგ. კაცი, აი, ზნეობა.

1989 წლის 21 მაისია. მოსკოვიდან მირეკავს სახლში  
გივი გუმბარიძე, რესპუბლიკის ოფიციალური ხელმძღვა-  
ნელი. – ბატონო ვახტანგ, აქ როგორც დეპუტატს, ბევ-  
რი საქმეები დამაკისრეს და 26 მაისს დღესასწაული-  
სათვის ვერ შევძლებ ჩამოსვლას. ძალიან გთხოვთ, შეხ-  
ვლეთ ბატონ ზვიადს, ბატონ მერაბს და მოილაპარაკოთ,  
რომ მშვიდობიანად ჩატარდეს ეს დღე... საქმე ისაა, რომ  
ჯერ 26 მაისი, როგორც საქართველოს დამოუკიდებლო-  
ბის დღე, საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობას არ  
უცნია. ბუნებრივია, კომუნისტების ლიდერი განერიდება  
ამ დღეს, როგორც ხათაბალას. თუმცა, როგორც ჩანს,

გორბაჩოვის გუნდიდან მას ჰქონდა უკვე მითითება: მიუშვით, დროზე წადითო.

დავურეკე მერაბს. ეხლავე ჩამოვალო. — არა, მე ამოვალ შენთან, ასე სჯობს. ავედი მის ეზოში, პედაგოგიკის ინსტიტუტის კედელთან, უმიკროფონო ადგილას, ვისაუბრეთ თითქმის ნახევარი საათი. თუმცა, ეს ის დროა, როცა გაჩნდა ცნობილი ანეკდოტი: დღეს „პრავდა“ თუ წაიკითხე? — არა! — რა წერია? — ოო, ეგ არაა სატელეფონო თემა. ამ დროისათვის უკვე საიდუმლოებებიც კარგავდა მნიშვნელობას.

ვუამბე მერაბს, რა ითხოვა ცკ-ს პირველმა მდივანმა. მერე ჩემი აზრი მკითხა, — ახლა თქვენ უნდა შეცვალოთ სტილი. თუ აქამდე საპროტესტო მოძრაობის ხასიათი შეტევითი იყო, ახლა თქვენ უნდა აჩვენოთ ხალხს, რომ შეგიძლიათ მშვიდობიანი გაძლოლა ქვეყნისა. წინააღმდეგობას აღარავინ გიწევთ. ამიტომ, 26 მაისი, როგორც აღიარება საქართველოს დამოუკიდებლობისა, უნდა იყოს რაც შეიძლება მშვიდობიანი და ლამაზი. არავითარი აგრესია ამ დღეს არ უნდა ახლდეს.

— რას იტყვი, ქალაქის მუნიციპალიტეტის თავზე იმ დღეს ეროვნული დროშა რომ აღვმართოთ, ხოლო მათი დროშა მივუვლოთ იმ მოედნის მეპატრონეს (ლენინს).

ლენინი ჯერ არ იყო მოხსნილი „თანამდებობიდან“, ე.ი. თავისი სახელობის მოედნიდან.

— ჯერ ეს ცოტა ადრეა.

— მთავრობის სასახლის წინ?

— აააჰ, ეს ისეთი სისხლიანი ადგილია, ათეული წლები დასჭირდება მის გამოლოცვას. მე მგონია, აჯობებს იქ დასრულდეს ეს ზეიმი, საიდანაც დაიწყო ეს ახალი მოძრაობა, უნივერსიტეტის ეზოში.

– ოო, ეს მართლა კარგი იქნება. მაგრამ ზვიადი ნახე აუცილებლად.

იქედან ზვიადთან წავედი. იქ, გარდა შინაურებისა, იყვნენ ლუიზა შაკიაშვილი, ფეტვიაშვილი და სხვები. ზვიადმა სრული გაგებით მიიღო ეს წინადადება და მითხრა, მეც ასე ვფიქრობდიო.

დადგა მშვენიერი 26 მაისი. დღის პირველი ნახევარი მზით იყო განათებული, შუადღეზე კი წვიმა წამოვიდა. მერაბმა ცოტა დააგვიანა, თუ არ ვცდები, სოხუმიდან ჩამოვიდა, ამ დღეს მისი დაბადების დღეც იყო. მე წინასწარ მზად მქონდა „მუშანიკის წამების“ საიუბილეო გამოცემა. უნივერსიტეტის სახელით მივულოცე. უნივერსიტეტის ახალგაზრდა ფიზიკოსებს მზად ჰქონდათ ეროვნული დროშა. მე კომენდანტურა მზად მყავდა, კორპუსის ჭერი ღია იყო. ასე აღიმართა საქართველოში 1921 წლის შემდეგ პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული დროშა იმ მთავარი საერო ტაძრის თავზე, რომელსაც უნივერსიტეტი ჰქვია.

1989 წლის 13 ოქტომბერი. შინაგან საქმეთა მინისტრს შოთა გორგოძეს სტუმრად ჰყავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი ბაკატინი. რამდენიმე კაციც მიგვიწვია: ელიზბარ ჯაველიძე, არჩილ გოგელია და სხვები ვსაუბრობთ ძირითადად ეროვნული მოძრაობისათვის საინტერესო საკითხებზე, მესხეთ-ჯავახეთზე... ამ დროს შემოდის ცკ-ს პირველი მდივანი გივი გუმბარიძე. თავი დაგვიქნია და დაჯდა. უსმენს ვითარებას. მე რაღაცა ვეხუმრე ბაკატინს. გუმბარიძემ გვერდზე გამიხმო და მეკითხება: – თქვენ არაფერი გაგიგიათ? – რა უნდა გამეგო? – მერაბ კოსტავა დაიღუპა ავარიისში, ზურაბ ჭავჭავაძე მძიმედ და დაშავებული... ეს უკვე დიდი ტრაგედიის ცუდი ნიშანი იყო.



მერაბი იმ დროს მოაშორა ღმერთმა ამ წუთისოფელს, როცა მას ამ ქვეყნად აღარ ეცხოვრებოდა. რატომ? წუთისოფელსო, – ამბობს იესო – თქვენ არ სძულხართ. იგი ეუბნება თავის ძმებს: „წუთისოფელს არ შეუძლია თქვენი შეძულება, მე კი ვძულვარ იმის გამო, რომ მე ვამოწმებ მასზე, რომ მისი საქმეები ბოროტია“. (იოანე, 7,7). ბოროტ საქმეთა მოწმედ არ სჭირდებოდათ მერაბი. იგი კონტრასტი ხდებოდა თავისი ხმაამოუღებელი არსებობითაც კი. ხალხს უყვარდაო მერაბი, მითხრა ერთმა. გახსოვს იერუსალიმში იესოს შესვლა: „ოსანა, ოსანა!...“ (ღიდება, ღიდება!) – ხალხის ძახილი სულ რამდენიმე დღეში იმავე იერუსალიმში ასე შეიცვალა: „ჯვარს აცვიოთ“. ხალხს ვინ რას ეკითხებოდა! არ დამავიწყდება, 50-ათასკაციანი მიტინგი, უნივერსიტეტის ეზოდან რომ დაიძრა არა მთავრობის სასახლისაკენ, არამედ იპოდრომისაკენ. იმ დღეს უნდა დაღვრილიყო სისხლი 9 აპრილისა... როგორ მოხდა... ამ საიდუმლოების გამჟღავნების უამიჯ მალე დადგება. ხალხი რომ ზღვად მოედინება ვაკეში, მერაბი გახარებულია, ნახე რა ზღვა ხალხია... მეც მოვიხედე უკან და ვეუბნები. მერაბ, ესენი ყველანი პატიოსანი ადამიანები არიან, არა?! (ღიმილითვე) მიპასუხა: აბა რა ვიცი?! იმ დღეს ყველას ჰქონდა, ალბათ, ეროვნული პათოსი (გარდა შენიღბული პროვოკატორებისა), მაგრამ სულ რამდენიმე თვე. 3 წელზე ნაკლები და საქართველო წავიდა, ვინ იცის საით?! მალე პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მიხვდება, რომ დასავლეთი არ ყოფილა ის, რაც დისიდენტ ზვიად გამსახურდიას ეგონა... 9 აპრილის შემდეგ მე ხშირად მიფიქრია მერაბის მომავალ როლზე. ხან თეთრი სიზმარი მესიზმრებოდა – მერაბი ბერად აღკვეცილი. ყოველ შემთხვევაში მერაბი ბიზნესმენად არ ჰყავდა ღმერთს მოაზრებული.

მერაბმა მოწამეობრივი გზა მოწამეობრივად დაასრულა. შეიძლება სუბიექტური აჩემებაა, მაგრამ მე იგი ბოლო წელს ერთობ ნაღვლიანი მეჩვენებოდა.

რომ საქართველო ერთი დამპყრობელიდან მეორეს-თვის ჩაებარებინათ? ჯოჯოხეთში ჩავარდნილი ხალხი უბედობის ნაირ-ნაირ მიზეზს ასახელებს. აი, რა გვიქნა დამოუკიდებლობის მოპოვებამ? – ამბობს ზოგიერთი. არა, ბატონებო. ჩვენ დამოუკიდებლობის ვერმოპოვებამ დაგვღუპა. ეს პროცესი მსოფლიო პროცესია. ყველგან და ყოველთვის ქართველმა კაცმა უნდა იფიქროს ეროვნულ დამოუკიდებლობაზე არა თვითიზოლაციონიზმის მომაკვდინებელი ფილოსოფიით, არამედ მოძმე ხალხებთან თანამშრომლობითა და მეზობლობით, მეგობრებთან მეგობრობით. ეროვნული თვითმყოფადობისადმი გულგრილობა დაღუპვას უქადის ერს. ვიდრე ეს ღერძმორყეული დედამიწა ბრუნავს, ვიდრე პირში სული გვიდგას, დედასამშობლოს გადარჩენაზე უნდა ვიფიქროთ. თუმცა, ამ პოლიტიკურ „ცუნამს“ ვერავინ გაუშკლავდებოდა... მაგრამ, თუ ღმერთის მოსაწონ კაცებს დავივიწყებთ, ღმერთის მოსაწონ საქმეებს დავივიწყებთ, მაშინ ველოდოთ არა უბრალოს, არამედ „საშინელ სამსჯავროს“.

ვიდრე საქართველო ბრძოლის უნარს, თვითდამკვიდრების მისწრაფებას არ დაკარგავს, მანამ იცოცხლებს მერაბ კოსტავა.

## შოთა ლომიძე (1936-1993)

შოთა ლომიძე! კაცი ასე ჰგავდეს თავის გვარს, არც მინახავს მეტი. იგი, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ვაჟკაცობის ჩემპიონი იყო.

ერთხელ წყნეთის აგარაკზე შოთა სტუმრებს ელოდებოდა. ნახევრად შინაური სტუმრები უკვე იქა ვართ და შოთას საჭმლის დამზადებაში თან არც ხელს ვუშლით, თავს ვაქცევინებთ. ქალბატონი ფაციკო სუფრის გამლითაა დაკავებული. სტუმართა რიცხვი მატულობს, — შოთა, შოთა! — გასძახის დულულა (ოთარ მიმინოშვილი, წყალბურთელი, ერთ დროს სსრკ-ს ნაკრების წევრი) — შოთა, მოდი, თუ კაცი ხარ, დროზე, პირი უნდა დაგბანო, თორემ მოვიდნენ უკვე სტუმრები. გივი კარტოზიამ, მსოფლიოს რამდენიმეჯგუფის ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში, ნარდის თამაში შეაჩერა, იკითხა, რაო, რაო, რას იძახის დულულა? დულულა კი ვიდაცეებს უხსნის, შოთას იმოდენა „მუსკულები“ აქვს, ხელებს ვერ ხრის, პირს ვერ იბანს, ონკანთან წყალს პეშვით რომ აიღებს, შორიდან ისვრის წყალს ლოყებზე.

1990 წლის 7 იანვარი. შოთას ქალიშვილის ქორწილია. შოთამ თამადად დამნიშნა... ხუთი საათი გრძელდება ხუთასკაციანი ღვინი. ვაცხადებ: — ბატონებო, აქ მრავალ სპორტსმენს ვხედავ, მაგრამ ამ შემთხვევაში ბოდიში უნდა მოვიხადო და გთხოვოთ, ამჯერად მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონები ადგეთ ფეხზე. სპორტის ყველა სახეობაში 24 მსოფლიო ჩემპიონი ფეხზე დგას. ერთ ქორწილში! (1952 წლიდან 1990 წლამდე საქართველოს 123 მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდა). უკან ჩამოტოვებულ დიდ სახელმწიფოთა ჩამოთვლაც შეგვაშინებს.



ერთი დეტალი: თითქმის ხუთი საათის მანძილზე ფეხზე ვდგავარ, – სუფრა არ გამექცეს „სეპარატისტულ“ ჯგუფებად. ჩემს გვერდით, მარცხნივ ჯაბა იოსელიანი, მარჯვნივ ნოდარ ამალლობელი სხედან. ჯაბა მეუბნება, – კაცო, მოკვდები, ნუ სვამ ამდენ ღვინოს, ვინ გიყურებს, მოიპარე, – როგორ სჯობს, ჯაბა, კანონიერად მოვიპარო, თუ უკანონოდ? – კანონიერი ქურდი შენგან აღარ დადგება, ისეე სჯობია უკანონოდ მოიპარო.

1994 წელს შოთა მიწვეული ჰყავთ თურქ მოჭიდავეებს, ყოფილ მეტოქეებს და შემდეგ დამეგობრებულებს. უნდა გენახათ, რა სიყვარულით ხვდებიან შოთას და რომან რურუას. მე ვმეგობრობდი რუსეთის ელჩთან თურქეთში ჩერნიშოვთან. ალბერტ სერგის ძეს ვაცნობ – ჩემი მეგობრები, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები ბატონი რომან რურუა და ბატონი შოთა. – უნდა ვიჭიდავოთ? – ხუმრობს ჩერნიშოვი. ვსხედვართ სასტუმროში, ჩემს ნომერში. ცოტას ვსვამთ და ბევრს ვსაუბრობთ. ჩერნიშოვი იყო უგანათლებულესი კაცი. ერთ ხანს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედაც მუშაობდა. ჩერნიშოვი გაკვირვებული მეკითხება, ესენი მოჭიდავეები არიან თუ დიპლომატები, ისე მოიხიბლა შოთას და რომანის კეთილგონიერებით. სხვათა შორის, ეს ის ჩერნიშოვია, რომელიც 1990 წელს დაგვეხმარა ტრაპიზონიდან სოლომონ მეფის ნეშტის გადმოსვენებაში.

შოთას აგარაკზე ხანდახან სერიოზული პოლიტიკური პრობლემებიც წყდებოდა. 1989 წლის აპრილის მეორე ნახევარში გურამ მგელაძის ინიციატივით წყნეთში ვიკრიბებით: გივი გუმბარიძე – ცეკას პირველი მდივანი, გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე, აკაკი ბაქრაძე და მე. გურამ მგელაძეა თამადა. სუფრას აქვს აშკარა პოლიტი-

კური მიზანდასახულება: გივი გუმბარიძემ უნდა მონახოს საერთო ენა პოლიტიკურ ლიდერებთან. ერთ-ერთი ჩაუქრობელი ლიდერი კი აკაკი ბაქრაძე გახლავთ. დღევანდელი სუფრაც და გუმბარიძის ქათინაურული დამოკიდებულებაც აკაკი ბაქრაძის მიმართ ძნელი მისახვედრი არაა. ცოტა წყნეთური სიცივე ვიგრძენით და შოთამ ბუხარში ცეცხლი გააჩაღა. პატარა შესვენება, გუმბარიძე, აკაკი ბაქრაძე და მე ზურგით მივეფიცხეთ ბუხარს. გუმბარიძე რაღაც ანეკდოტს ყვება, ვიცინით, განსაკუთრებით აკაკი ბაქრაძე მოიხიბლა იუმორით. ამ დროს გიორგიმ (შოთას ვაჟმა) ტელევიზორი ჩართო. აციმციმდა თუ არა ეკრანი, მიღის აკაკი ბაქრაძის ინტერვიუ: — გივი გუმბარიძის უგერგილო პოლიტიკა ჩვენ დაგვაკარგვინებს არამარტო სამაჩაბლოს, არამედ ვერასოდეს დავიბრუნებთ აფხაზეთს... მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს გუმბარიძის ნაცრისფერი სახე. შოთამ ტელევიზორი გამორთო და მასპინძლური რიხიანობით, ეს ტელევიზორი ვითომც არც არსებობდა, კვლავ სუფრასთან მოგვიწოდა. ქართული სუფრა ყინულს გააღნობს. მასპინძლის ჯანსაღი განწყობა ჩვენც გადაგველო. მაინც აღდგა სუფრის რიტუალი, თუმცა...

შოთას სული მომიტევებს ერთ გადახვევას: 1995 წელია. საპატრიარქოში ტრაპეზია. აქ არის ბატონი ელუარდი მეუღლით. მასპინძლობს, ცხადია, პატრიარქი. აქ არიან ჩვენი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, ალბათ, ასე 30 სული. ვარ თამადა. სუფრაზე მაღალი სასულიერო კედლებისათვის შესაფერის იუმორს დიდი მოწონება აქვს. აქ ყველანაირ ანეკდოტს ვერ მოჰყვები, მით უმეტეს, პიკანტურ ამბებზე ლაპარაკი, ცხადია, აქ შეუფერებელია. უცებ ახალგაზრდა, სიმპათიური მღვდელი, მამა ლევანი, თამადის გვერდის ავლით, პირ-

დაპირ ბატონ ელუარდს მიმართავს: — შეიძლება ერთი ანეკდოტი მოვყვე? სახელმწიფოს მეთაური სიამოვნებით ეთანხმება. ეტყობა, უფრო იმის ცნობისწადილით, მღვდელი და ანეკდოტი როგორ შეეწყობა ერთმანეთსო.

— ბატონი ელუარდი რომ აირჩიეს ცეკას მდივნად, დაიწყო მამა ლევანმა, — მაშინვე დაუძახა თანაშემწეს და დაავალა: მომიძებნეთ და ჩამოიყვანეთ გურიიდან ის კაცი, რომელმაც მე ბავშვობაში წყალში დახრჩობას გადამარჩინა. ჩამოუყვანეს ის კაცი. ბატონი ელუარდი ეუბნება: — მე თქვენგან სიცოცხლით ვარ დავალებული, რაც გინდა, მოხოვე, ყველაფერს შეგისრულებო. — ერთადერთი სათხოვარი მაქვს, უთხრა გურულმა, არსად წამოგცდეს, რომ დახრჩობას გადაგარჩინეო... სუფრა გაიყინა, ერთ წამში მოვიკრიბე ყურადღება და მივმართავ: — კარგი რაა, თუ კაცი ხარ, გურიაში სადაა იმისთანა მდინარე, ბავშვი რომ დაახრჩოს. არადა, კი არ დამეიწყებია მდინარე სუფსა. — ჰოდა, იმას ვამბობდი, — ვაგრძელებ რაღაც უინტერესო ამბავს ყურადღების გასაფანტად. მაგრამ ყველაზე ხმამაღლა მაინც შევარდნაძემ სპეციალურად გაიცინა... ასეთი კურიოზები ახლავს სუფრას და პოლიტიკას. შოთას ოჯახის კედლებს მართლა ჰქონდა კეთილგანწყობის მაღლი. ეეჰ, ჩემო შოთა,

„კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღეველი“.

უფალმა ადღეგრძელოს შოთას სული იმ ქვეყნად და ამქვეყნად.



## მერაბ მამარდაშვილი (1930-1990)

### ჯოყოლა და მამარდაშვილი

ჯოყოლა ლიტერატურიდან მოვიდა, მერაბ მამარდაშვილი – ცხოვრებიდან. შევადართო ერთმანეთს ეს ორი კაი ყმა. ერთიც ვაჟკაცია, მეორეც. ჯოყოლა ფილოსოფიური ხასიათია, მერაბ მამარდაშვილი – ფილოსოფოსია. მერაბ მამარდაშვილს ფართო საზოგადოება იცნობს უჩვეულოდ პოპულარული აზრით: თუ ჩემი ხალხი ჭეშმარიტების წინააღმდეგ წავა, მე ჩემი ხალხის წინააღმდეგ წავალ. ფილოსოფოსმა და მოღვაწემ მერაბ მამარდაშვილმა მსოფლიოს გასაგონად თქვა: – ჭეშმარიტება ყველაფერზე მაღლა დგას. ვინ შეედავება? ვერც ვერავინ! მაგრამ არის განსხვავებული პოზიცია, არანაირ ჩრდილს რომ აყენებს ამ მაღალ თვალსაზრისს.

ქისტმა ჯოყოლამ (ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“) თავგზაბნეულ უცნობ მონადირეს (ხევსურ ზვიადაურს) მონადირული წინადადება მისცა – ძმურად გაეყოთ მისი (ჯოყოლას) ნანადირევი. „ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი, გავინაწილოთ ძმურადა“ (ჯოყოლას ქისტობა და ზვიადაურის ხევსურობა ამ შემთხვევაში ისეთივე პირობითია, როგორც ტარიელის ინდოელობა, ავთანდილის არაბობა („ვეფხისტყაოსანი“). სხვა შემთხვევაში, ცხადია, მას აქვს ისტორიული დატვირთვა. (ამის შესახებ სხვა დროს, ჩეჩენ-ქართველთა რაინდული ურთიერთობის მტრობა-ძმობის ისტორიულ მომენტს რომ შევეხებით...).

ჯოყოლამ სახლში მიიპატიჟა ახალგაგნობილი მონადირე. იცნეს ქისტებმა უცნობ ხევსურში ნაცნობი მტერი, ქისტების შემმუსვრელი, თვით ჯოყოლას ძმის

მკვლელი ზვიადაური. ღამით, როცა მძინარე ზვიადაურს თავს დაესხნენ ჯოყოლას თანასოფლელნი, განრისხდა ჯოყოლა. „რას სჩადით, შემოუძახა, ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა“. განრისხებული თემი ჯოყოლას მწარედ ამცნობს: „თვით ამან მოკლა შენი ძმა არყიანებში თოფითა.“ წამსაც არ შეყოვნებულა ჯოყოლა: „ეგ მართალია, იქნება... რა უნდა მითხრათ მაგითა. თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, მითაც მე ვერ ვულალატებ, ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.“

ზვიადაური სასაფლაოზე წაიყვანეს, თავის მკვდარს რომ შესწირონ. თემმა ჯოყოლა მოიკვეთა. ჯოყოლაც განუდგა სტუმარ-მასპინძლობის წმინდა ადათის დამრღვევ თემს. და აი, ზვიადაურის თანამოძმენი ჯარეგოს შემოესივნენ. ჯარეგო ფეხზე დადგა. გარიყული ჯოყოლა თავისი თემის მტერს ეკვეთა: „მარტოკამ უნდა ვიომო, მთელმა ჯარეგამ მნახოსა.“

როცა ათასგვარი მოძრაობა მომრავლდა ჩვენში, როცა ვნახე, რომ ბევრნი თავისთვის „ითავისუფლებდა“ საქართველოს თავის საბელადოდ, თავის სადიდკაცოდ და გასამდიდრებლად, მაშინ 8 წლის წინათ, წამომცდა ცხოვრების დევიზად ვაჟას სიტყვები: „მარტოკამ უნდა ვიომო, მთელმა ჯარეგამ მნახოსა.“

გასულ წელს პარლამენტის სხდომა მიმყავს. სახელმწიფოს თავმჯდომარე სხდომის თავმჯდომარის გვერდით ზის. გამოდის ერთი დეპუტატი, ინტელექტს რომ ვერ დაუწუნებ. დეპუტატმა მწარედ გამაკრიტიკა სახელმწიფოს მეთაურისადმი პრესაში ჩემი კრიტიკული გამოხვედების გამო. ხმა თანდათან გაამძაფრა, გაკიცხვის კილო გააძლიერა, რათა უფრო საიმედოდ გადაეფარებინა იქ მჯდომი მეთაურისათვის მფარველობის კალთა. მას უკვე პრივატიზებული ჰქონდა ბატონი ედუარდისად-

მი ერთგულების ველი. ის დეპუტატი ბატონი მერაბ მარდაშვილის თავყანისმცემელია და მართლაც იცის მისი ფილოსოფიური ყადრი. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რისთვის დამესხა თავს: — „ანდა ის რას ნიშნავს, თქვენ რომ აცხადებთ, „მარტოკამ უნდა ვიომო, მთელმა ჯარეგამ მნახოსა“. რა არის ეს?! — გაცხარებით დამიწუნა მეთაურის კრიტიკა, დამიწუნა მეთაურისადმი ერთგულება, მაგრამ არ უფიქრია, რამდენად ერთგული ვიყავი ჭეშმარიტებისადმი. ღიახ, ეს მან მნიშვნელოვნად არც ჩათვალა, რადგან მისთვის კერპია მთავარი და არა ჭეშმარიტება. მერაბ მამარდაშვილმა პიროვნებაზე კი არა, მთელ ერზე ძალა დააყენა ჭეშმარიტება. მერაბ მამარდაშვილის გვერდით მდგომთა საყურადღებოდ: ის რომ ცოცხალი იყოს, გვერდიდან მოიშორებდა ყველას, ვინც ჭეშმარიტებას ზურგი შეაქცია. მას ეტაპობრივად ჩამოშორებია ძალაუფლებისა და არაჭეშმარიტების მოტრფიანენი. ამჯერადაც იგი არ დადგებოდა მორიგი კერპთაყვანისმცემლების გვერდით... წამით დავბრუნდები პარლამენტის ხსენებულ სხდომაზე. დეპუტატმა რიხით დამამარცხა, გაამაგრა რა იქ მჯდომი ბატონი ელუარდი, გამარჯვებულის თვითკმაყოფილებით გაეშურა თავისი სკამისაკენ. მე პაუზა გავაკეთე, ვადროვე, ვიდრე თავის სკამს დაიკავებდა. შემდეგ ხელი ავწიე მარცხნივ და მარჯვნივ — პოზიცია-ოპოზიციისაკენ, ტრანსლირებულ დარბაზს მივმართე:

— ვისაც ბატონი ელუარდისათვის ჩემზე მეტი ერთგულება გაგიწევიათ, გთხოვთ ადგეთ და მითხრათ! პასუხად სიჩუმე!... მაშასადამე, ჩამოყალიბდა ორი პოზიცია: თუ ხალხი გაგიჟდა, ჭეშმარიტებას უღალატა, მის შვილს აქვს უფლება განუდგეს უხნეობას და თვით მის წინააღმდეგ წავიდეს. მეორე: ხალხი მართალია თუ არა,



გასაჭირის ჟამს, გმირი მაინც თავის ხალხს იცავს. იცავს იმის მიუხედავად, ხალხი ჭეშმარიტების მხარესა თუ არა. ამ საკითხზე დავა დაუსრულებლად გრძელდებოდა და გაგრძელდება. მაგრამ ეს ორი თვალსაზრისი ავსებს ერთმანეთს, ორივეს აქვს არსებობის უფლება.

ილია ჭავჭავაძე 21 წლისაა, როცა „მგზავრის წერილებს“ წერს. სკოლის მოწაფეებს კატაკტივით ვაზეპირებინებდით თერგისა და მყინვარის შედარებას. ილია მშვიდ მყინვარს მშვიდ გოეთეს ადარებს, მშფოთვარე თერგს კი – მშფოთვარე ბაირონს. ჩვენ ასე ვიცოდით, რომ იგი უპირატესობას ანიჭებს ბაირონს, რადგან მწერლის კრედი ასეთია: „მოდრობა და მხოლოდ მოძრაობა არის, ჩემო თერგო, სიცოცხლის ძალისა და ღონის მიძემი“. თუ კარგად დავუკვირდებით მყინვარ-გოეთეს ცხოვრებიდან განდგომას რომ უწუნებს, ჩანს, მას, ილიას, გოეთე სიდიადის ეტალონად მიჩნია. აი, თუნდაც გოეთე იყავი, თუ ქართველი ერის ტკივილით არ ცხოვრობ, არ მინდებარ, ესაა მწერლის კრედი. ასე არ დადგებოდა საკითხი გერმანიასა თუ ინგლისში. მაგრამ ჩვენი ხალხის, კავკასიის კარკასში მომწვედელი ქვეყნის ხვედრი სხვაგვარი იყო. ილია მწერლური სიდიადის საზომად სწორედ მის ეროვნულ მისიას გულისხმობს. ჭეშმარიტება კი არის ყველაზე დიადი, მაგრამ შენი ხალხი მაინც შენზე მეტია. თქმა იმისა, რომ ხალხი უფრო ჭკვიანია, ვიდრე პიროვნება, ზუსტი არ არის. გაგიუბულან ხშირად დიდი ხალხებიც, გერმანიის ფაშიზმის მაგალითიც გვეყოფა. არც ჩვენ გვაკლია აქტიური სიბნელე. უნდა ებრძოლო შენი ხალხის სიბნელეს, თუ ვერაფერს გახდები, ისევ შენს ხალხს უნდა დაუთმო (თუმცა ყოველთვის არა!), ყოველ შემთხვევაში, მტრის მხარეზე არც მერაბ მამარდაშვილი დადგებოდა. ეს ორი-

ვე თვალსაზრისი ჩვენ შევადარეთ, როგორც ურთიერთშემავსებელი. ამიტომ ცუდად გამგებთ ვთხოვ, ნუ იჩქარებენ იარღიეებს – შედარება არ გულისხმობს შესადარებელთა რომელიმე მხარის დაკნინებას.

გავაგრძელოთ ხასიათების გამოფენა – ორი ჩინებული რომაელის ცხოვრების მაგალითზე (პლუტარქეს მიხედვით).

გაიუს მარციუსი, 19 წლის ჭაბუკი, ეძებს თავის გამოჩენის ფათერაკს. მალე მიეცა მას ამის საშუალება. მარციუსმა გაიგო – თანამემამულენი (რომაელები) მარცხდებიან ვოლსკების წინააღმდეგ ომში. სასწრაფოდ შეკრიბა არამრავალრიცხოვანი რაზმი და ბრძოლის ველზე გაემურა. ეს-ესაა დამფრთხალმა რომაელებმა ზურგი უჩვენეს მტერს, მაგრამ მარციუსის საარაკო გმირობამ ბრძოლის ველზე შეაბრუნა ბრძოლის ბედი. მისი გმირობის წყალობით რომმა დამარცხების ნაცვლად, გამარჯვება იხეიმა. ეს მოხდა კორიოლთან და მარციუსს ამის შემდეგ კორიოლანოსი ეწოდა. ომის გმირს ნააღაფევის განაწილება მიანდეს (შექსპირის კორიოლანოსში, თუ არ მავიწყდება, პურის განაწილებაა). განაწილებამ ბევრი უკმაყოფილო შესძინა კორიოლანოსს. სენატის არჩევნების წინ იგი ძალიან აქეს პატრიციებმა, ამაზე განაწყენდა პლები. ერთი სიტყვით, კორიოლანოსი არ აირჩიეს. დიდი კაცის წაქცევით სულმდაბალი ხალხი არ დაკმაყოფილდა, იგი რომიდან მოიკვეთეს. გმირი, რომელმაც თავის სამშობლოს დამარცხების ნაცვლად გამარჯვება მოუტანა, დაფნის გვირგვინის ნაცვლად, ეკლის გვირგვინით შეამკეს. გამწარებულმა კორიოლანოსმა რომაელთა მტრებს, მის მიერ დამარცხებულ ვოლსკებს მიაშურა. ვოლსკებმა მას ლაშქარი მიანდეს თავისი მშობელი რომის წინააღმდეგ. კორიოლანოსმა რომს

აღყა შემოარტყა და ემზადება ქალაქში შეჭრისათვის. რომს შიშისაგან სიკვდილის ფერი ადევს. ის-ისაა ლაშქარი უნდა დაძრას, ველზე მისი კარვისაკენ შავოსანი ქალების დელეგაცია გამოემართა. მათ შორის განლდათ კორიოლანოსის მეუღლე და დედა. დედამისი, ვოლუმნია, შვილის ფეხებთან დაეცა და პირმშოს შეევედრა:

– შვილო, შენ შეურაცხვევს და დაგამცირეს რომაელებმა, მაგრამ ნუ დაგავიწყდება – რომი შენი სამშობლოა და მას ეს დანაშაული უნდა აპატიო... დედის ცრემლებს კორიოლანოსმა ასე უპასუხა: რომი კი გადარჩა, მაგრამ მე დავიღუპეო (ბევრი პირიქით იტყოდა – ოღონდაც მე გადავრჩე და...). კორიოლანოსმა აღყა მოხსნა, ლაშქარი უკან შეაბრუნა. ვოლსკებმა, ცხადია, ეს არ აპატიეს და ქვით ჩაქოლეს...

სავსეა საფიქრალი. სამშობლო, რომელიც ასე უნამუსოდ მოგექცევა, იმსახურებს იმას, რომ უნამუსოდ მოექცე. მაგრამ მაშინ ორივე მხარე უნამუსო იქნება. პიროვნების ხვედრი კი ყოველთვის მძიმეა. უნდა აჯობო საკუთარ თავს. კორიოლანოსი მართალია, როდესაც შურისძიება გადაწყვიტა, უსინდისო თანამემამულეთა დასჯა რომ განიზრახა. იგი მართალია, მაგრამ არსებობს უფრო უკეთესი პოზიცია – ვიდრე ის, იყო მართალი. მართალზე უფრო დიდი დიდსულოვნებაა.

რომაელთა ბრძენი წინამძღოლი კამილიუსი განთქმულია, როგორც დაუმარცხებელი სარდალი, საოცარ პატივისა სცემენ, საოცრად უყვართ ბრძენი კამილიუსი. ერთ დღეს მან აღყა შემოარტყა საიმედოდ გამაგრებულ ციხე-ქალაქს, ფალერის. ქალაქელები არც კი ღელავენ, ისე საიმედოა ციხე-ქალაქის გალავანი. ბევრი იფიქრა სარდალმა, ხერხი ვერ იპოვნა... გალავნიდან ყოველ დღე გამოდის ერთი მასწავლებელი კაცი, ბავშვები გამოჰყავს,



ავარჯიშებს და ამეცადინებს. ერთ დღეს ამ მასწავლებელმა კამილიუსთან წარდგინება ითხოვა. წარადგინეს.

– დიდო სარდალო, ჩემთვის ძვირფასია ჩემი მშობელი ქალაქი ფალერი, მაგრამ უფრო ძვირფასია ვემსახური ისეთ ბრწყინვალე სარდალს, როგორიც ბრძანდებით თქვენ. ამიტომ მე თქვენთან მოვიტანე ქალაქის მთელი საიდუმლო...

კამილიუსმა ბრძანა და აღასრულეს: მასწავლებელი გააშიშვლეს. მოწაფეებს წკეპლები მისცეს ხელში და... გაწკეპლილი მასწავლებელი მოწაფეებითურთ ქალაქში შეაბრუნეს.

ქალაქი მოიხიბლა დამპყრობლის დიდსულოვნებით. შემოუთვალეს: – გალავნის კარი ღიაა, მობრძანდით, დაგვიპყართო.

კამილიუსმა კი ასე მიმართა თავის მეომრებს:

– მეომრებო, ომი მრავალ მდაბალ საქციელს მოითხოვს, მაგრამ ჭეშმარიტი მეომრისათვის მთავარი არის ღირსება. ჩვენ ამგვარად მიღებული გამარჯვება არ შეგვშენის... კამილიუსმა ალყა მოხსნა და უკან გაბრუნდა... დიდი საქციელის ხიბლმა მალე გაიარა. ნაალაფევს დანატრებული მოლაშქრეები ხელცარიელი ბრუნდებოდნენ. ნელა-ნელა დაწყებული ბუზღუნი დიდ უკმაყოფილებად იქცა. მალე შეგროვებულმა სულმდაბლობამ თავისი ქნა. მოითხოვეს კამილიუსის გაძევება. განშორებისას მან ასე მიმართა უმადურ თანამემამულეებს:

– თანამემამულენო, თქვენ დამამცირეთ და შეურაცხყავით ჩემი ღირსება. მაგრამ თქვენ მალე დაგიდგებათ ჟამი გასაჭირისა. თქვენ მე მოძებნით, მიპოვით და კვლავაც გიშველითო.

მალე რომაელებს დასჭირდათ კამილიუსი. მოძებნეს, დამფრთხალი ხალხი მეომრებად აქცია დიდმა სარდალ-

მა, კვლავ იხსნა თავისი ხალხი. აი, კაცი, კაცზე მეტი კაცი! ასეთ ამბებს რომ გაიგებ, შეგიძლია თქვა – ღირს ადამიანად გაჩენა, რომ არ ინატრო, „რატომ არ მოველ წვიმადა“.

ახლა ამ მაღალი პათეტიკიდან დაბლა დავეშვათ, მკითხველო, ორ პატარა მოგონებას შემოგზთავაზებთ, – ისიც ჯოყოლა-ჯარეგოსა და მერაბ მამარდაშვილთან დაკავშირებით. ჟანრობრივად ცოტა, ალბათ, გენაძუშებათ კიდევ, იფიქრებთ, აქ რა უნდა პრობლემებსაო. რად გვინდა ყოველთვის პრობლემები!

1968 წელს, ივლისში, პროფესორ გრიგოლ კიკნაძის ხელმძღვანელობით, ვაჟას კაბინეტმა „ვაჟას ნაკვალევზე“ მორიგი ექსპედიცია მოაწყო და შატილისაკენ აიღო გეზი. გზად ბარისახოში დავემგზავრეთ (ღამე სკოლა-ინტერნატში ერთად გავათიეთ) შატილისაკენ მიმავალ „ქართულ ფილმს“. თენგიზ აბულაძე იღებდა „ვედრებას“. ბატონი თენგიზი უაღრესად დიდ პატივსა სცემდა ბატონ გრიგოლ კიკნაძეს. იგი თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა ქართულ ლიტერატურას ბატონ თენგიზსა და ჩვენი თეატრალური ხელოვნების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებს. ერთი სიტყვით, დავემგზავრეთ გაცილებით უფრო კომფორტულად აღჭურვილ კინოსტუდიას, მათი კარგები ვარჩიეთ ჩვენსას.

შატილი იმ ზაფხულს სხვაგვარად გაცოცხლდა, გაივსო. შატილი იქცა ეგზოტიკურ-ჰეროიკულ სანახაობად – შატილის ჰოლივუდი თუ ჰოლივუდის შატილი. ფილმის გადაღების სამზადისში (რამდენიმე დღე) ცხენზე ამხედრება, ცეკვა-სიმღერა თუ კაფიაობა ღირსახსოვარია ჩვენს ცხოვრებაში. აქ, თავის კოლექტივთან ადამიანურ ურთიერთობებში დავრწმუნდი, რომ ბატონი თენგიზ აბულაძე არამარტო დიდი კინორეჟისორი გახლავთ.

ერთ დღეს, შატლიდან ოთხი კილომეტრის დაშორებთ, ანატორის ცნობილი საძვალის თავზე წამოწოლილები ვართ მე და ნოდარ სივსივამე. რაღაცას ზარმაცად ვიგონებთ და ზარმაცად ვიცინით. გაღმა მხარეს, გარკვევით დავინახეთ, ვიღაც უცნობი ცხენიანი კაცი, აღვირით ხელში. წინ მიუძღვის ცხენსაც და ჩვენი ექსპედიციის ქალბატონ – საქალბატონებს (ზაირა არსენიშვილი, მანანა ავალიშვილი, ლეილა სულხანიშვილი). ერთ ხანს ვიფიქრეთ, ალბათ, საცაა დაბრუნდებიან. ნაშუადღევია, იქეთ ქისტეთის გზაა, სად უნდა წავიდნენ... ჩანს ნაცნობია ეს კაცი, დრო და დრო უკან მობრუნდება და ხელების მოძრაობით რაღაცას ამ მთების შესახებ უყვება. გაღის დრო და ქისტეთისაკენ მიმავალ მაღალი მთის ბილიკზე ჩვენი მგზავრების ფიგურები პატარავდება. დავუსტვინეთ. აღარც სტვენა ესმით. შევშფოთდით და გადავწყვიტეთ, დავწეოდით. სირბილით ავირბინეთ უზარმაზარი მთა. სუნთქვამოხშირებულები ძლივს მწყრალად ვეკითხებით: – სად მიდიხართ?!

– რა კარგია, ბიჭებო, თქვენც რომ წამოხვედით. გაიცანით ჩემი თანაკურსელი იუსუფ ბორჩაშვილი, ჯარეგოში მივეყვებით, – მოგვაფრთხილა ზაირა არსენიშვილმა.

უნდობლობის ნამცეცი აღარ დაგვრჩა იუსუფთან პირველი სიტყვების გაცვლის შემდეგ. იგი ჩვენს უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მესამე კურსიდან გაერიცხათ „წყეული გრამატიკის“ გამო. ეს იყო ლამაზი ფიქრის კაცი. მას ბევრი ცხვარ-ძროხა ჰყავდა, მაგრამ ნატრობდა ღარიბი მასწავლებლის ბედს (პანკისელი ქისტი გახლდათ).

ჯარეგოში რომ ავედით, მზე მთის წვერს ეთამაშებოდა. საოცრად სწრაფად გაატყავეს ცხვარი. დაუვიწყარი



გაშალეს სუფრა – ყოველ წელიწადს ამოდითო. რამდენი კაციც გინდათ, რამდენ ხანსაც გნებავთ. კარვები არ გვიჭირს, სასმელი და საჭმელი. ერთადერთი, რასაც საზღაურად მოგთხოვთ, ეს იქნება დღეში ნახევარი საათი მელაპარაკეთ ფილოსოფიაზე – ვინ შექმნა ეს ქვეყანა, რატომ ვერ ვხედავთ მის შემქმნელს... ძალიან უყვარდა ფილოსოფოსობა. კარავში ღარიბი, მაგრამ ჭკვიანი ბიბლიოთეკა ჰქონდა. უყვარდა ვაჟა, ტოლსტოი... რამდენიმე დღე მიცხოვრია იმპერატორის აპარტამენტში (პეკინი), მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ოტელში, „სან-სიტში“ (სამხრეთ აფრიკა), ზოგი სხვა ქვეყნის ასევე კომფორტულ სასტუმროშიც. მაგრამ ნუთუ შეიძლება იუსუფ ბორჩაშვილის სამყაროში მიღებული შთაბეჭდილება შეადართ რაიმე ფუფუნებას? ეს არაა რომანტიზმისა თუ ნეორომანტიზმის ლიტერატურული კეკლუცობა. ვემშვიდობებით ღმერთსა და მის მიერ შექმნილ ბუნებას, ბუნებრიობას. რანაირი ცხოვრებაა მართალი ცხოვრება, მწყემსის ცხოვრება სჯობს თუ მეფისა – ეს ძველთაძველი კითხვებია, მაგრამ დღეს რომ ადამიანი მოშორდა სინამდვილეს, მის მიერ შექმნილი საგნების მონობაშია, რა ეშველება ამას? „ცივილიზაცია სპობს კულტურას“. სულით გამოფიტული კაცობრიობის შესახებ ამბობს ადრიან ლევერკიუნი: „ახლოა აღსასრული...“ (თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“). ოცნება წინ მავალი სურვილების წარმოდგენაა. სიბერემ იცის ოცნება უკან, ოცნება წარსულით. მაგრამ ეს რომ ჩემი პირადი სიბერის ნიშნები იყოს, რა უჭირს. კაცობრიობას დღეს სული აღარა აქვს, ახლანდელ სინამდვილეს დააყრდნოს მომავლის საოცნებო წარმოდგენები. კლასიკური ხელოვნების, კულტურის მიმართ ისტორიულ-სამუზეუმო დამოკიდებულება გვაქვს. დღეს ხომ დიდი კულტურა

ალარც იქმნება, და რაც იქმნება, ესაა ინერციით იღვის გაფცქვნა, განაწევრება. თანამედროვე ადამიანს არა აქვს ის გარემოცვა, ის სინამდვილე, რომელიც კულტურას შობს. კომპიუტერული პეიზაჟი ხელოვნებას არ ქმნის.

გოეთე ეკერმანთან საუბარში, კლასიკურისა და რომანტიკული ხელოვნების შედარებისას, კლასიკურს უწოდებს ჯანსაღს, ხოლო რომანტიკულს – ავადმყოფურს. ახლა რომ შეეხედა გოეთეს ამ გამოფიტული კაცობრიობისათვის?!

ცოტა გული მოვიბრუნოთ და ისევ დავბრუნდეთ ხევსურეთ-ქისტეთში. შატილი ლამაზია, ირგვლივ თავჩაჩქნიანი დეკებივით შემოგარული მთებით. ქისტეთი მაღალ მთებშია:

„გაღმა ჩანს ქისტის სოფელი  
არწივის ბუდესავითა,  
საამო არის საცქერლად,  
ღიაცის უბესავითა“

შატილი დაბალზეა. მთების ქვაბშია.

საოცარი იდუმალეა ახლავს შატილის ციხე-სიმაგრეებს. საოცრად ლამაზია. ბუნების სილამაზეები სხვადასხვანაირია. ჯარეგო ვაჟას გენიალურმა პოემამ („სტუმარ-მასპინძელი“) გიგანტური ჟღერადობით შემოიტანა ჩვენს ცნობიერებაში. ძძლავრი სახელმწიფო გეგონებათ. იგი მთის წვერზე, ლამაზ ტაფობზეა გადაშლილი. იქეთ, ჩრდილოეთით, ინგუშების ნაკაცრიელ-უკაცრიელი ციხე-სიმაგრეების მღუმარება თითქოს ყურებს გატკენს. ამ სოფლიდან ყველა მიმართულებით დიდი ჰორიზონტი იშლება...

ჯარეგოში მხოლოდ ციხე-სიმაგრეთა ფუძე-ნანგრევებიღა იყო. ადვილად წარმოიდგენ აქ იმ ომს, ხევსურნი რომ შემოესივნენ. საოცარია ვაჟას დოკუმენტური აღ-

ქმაც ბუნების გეოგრაფიული სივრცისა. ბატონი გრიგოლ კიკნაძე გვეუბნებოდა, გადმოცემების მიხედვით, თითქოს ვაჟა შატილში არც ყოფილაო. მაგრამ შატილს ასე დოკუმენტალურად ორ სტრიქონში ვინ დახატავდა: „შატილს ჯერ არ ჩასდგომია შუქი შუადღის მზისაო.“ იუსუფს გზად, შატილში, ყურადღებით შეეთვალიერებინა გადაღებისათვის მზად მყოფნი რაინდები – ქისტები მუცალი – (გეიდარ ფალავანდიშვილი), ხევსური ალუდა (თენგიზ არჩვაძე). ორივე მამეწონენო, – თქვა იუსუფმა, მაგრამ ცხვრის ბარკალი მაინც ქისტ მუცალს გაუგზავნა ქისტმა იუსუფ ბორჩაშვილმა. ჩვენ პატიოსნად გადავეცით ადრესატს ძღვენი. „ქისტმა მუცალმა“ (გეიდარ ფალავანდიშვილმა) ხევსურ ალუდას (თენგიზ არჩვაძეს) უთხრა:

„ჩიქიც არ მინდა მე მეტი,  
გავინაწილოთ ძმურადა.“

ასე რომ, ალუდას შეხვდა ზვიადაურის ნაცვლად „ნანადირევი“. საკმაოდ ძნელი შეიქნა ამ ნანადირევის ტარება. სადამოს დაწყებისთანავე, მზე რომ მთვარეს მაშინვე არ შეეცვალა ჩვენს მეგზურად, არ ვიცი, სად ვიქნებოდით ახლა. ეს სწორედ ის გზა გახლავთ, ვაჟამ რომ თქვა:

„გზას ვამბობ, თორემ რა გზაა,  
ვიწრო ბილიკი კლდეზედა“.

გზად ხშირად ისმოდა გოგონების წივილ-კივილი და სიცილ-კისკისი, რაც მთავარია, ვაჟას ბუნებრივი ციტირება. ერთი ერთ ლექსს გაიხსენებდა, მეორე – მეორეს, სიტუაციის შესაფერს:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,  
თვალწინ მეფინა ქვეყანა,  
გულზე მესვენა მზე-მთვარე,



ვლაპარაკობდი ღმერთთანა,  
ახლა თავ-თავეკვე მოვდივარ,  
ხევში მიმელის ბნელია,  
მალლიდან დაბლა ჩამოსვლა,  
ვაჰმე, რა მეტად ძნელია“. („მთას ვიყავ“)

ჯოყოლა, როგორც ითქვა, ფილოსოფიური ხასიათია. იგი არ არის ფილოსოფოს-სწავლული ისე, როგორც მერაბ მამარდაშვილი არ არის ხმალ-ხანჯლიანი ვაჟკაცი. იგია „უშიში ვითარცა უხორცო“. ეს კიდევ უფრო ძნელია. იგია ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი ვაჟკაცი, რომელსაც რაინდი ჰქვია.

ხშირად ვაჟკაცობასა და რაინდობას აიგივებენ. არაა ასე. კაცმა რომ დიდი სიყოჩაღით დაიცვას სატრფო, თავისი სახლ-კარისა თუ სამეფოს (თუ მეფეა) ღირსება, ეს არის ვაჟკაცობა. იგი იცავს თავისას. რაინდობა კი სწირავს თავისას ჭეშმარიტებისათვის, რწმენისათვის. ისტორიულ რაინდობასაც ხომ ღვთის საფლავის დაცვა, რწმენის დაცვა უდევს საფუძვლად. უფრო განზოგადებით: შეეწირო მას, რაც ჭეშმარიტია და არა სასარგებლო (ღმერთმა ჰქნას და ხანდახან კეთილი დამთხვევაც ხდება!).

მერაბ მამარდაშვილის ლექციებზე ტევა არ იყო. მისი ლექციები თავისუფალი აზროვნების განსახიერება გახლდათ. აზროვნება თავისუფლდებოდა ათეისტური მარქსიზმისაგან.

1984 წლის 11 მაისს ვიცავ სადოქტორო დისერტაციას თემაზე – „ადამიანი როგორც ესთეტიკური ფენომენი“. დაცვის ძირითადი ნაწილი დამთავრდა. გამოდის არაოფიციალური ოპონენტი, რომელმაც ამ დაცვაზე ილაპარაკა ზუსტად 5 საათი. ოქმში დაიკავა 136 გვერდი. არაოფიციალურმა ოპონენტმა მთელი ამ ხნის მან-



ძილზე ილაპარაკა მხოლოდ იდეოლოგიურ მხარეზე, რომ დისერტაცია არის ანტიმარქსისტული, ესაა ქრისტიანობის აპოლოგია, ეს არის საბჭოთა იდეოლოგიის საშიში მტერი და ა.შ. როგორც კი დაიწყო არაოფიციალურმა ოპონენტმა ეს ლაპარაკი, იმთავითვე თქვა, რომ მისი ინტერესი მხოლოდ ამ მიმართულებით არის წარმართული. ოცი წუთის შემდეგ დგება ფეხზე სამეცნიერო საბჭოს წევრი ბატონი მერაბ მამარდაშვილი და მიმართავს თავმჯდომარეს, ბატონ არჩილ ბეგიაშვილს (მდივნობდა ლონდა მდივანი). ვთავაზობთ ფრაგმენტს ოქმიდან: „მერაბ მამარდაშვილი: ცხადია, ის რაც ითქვა ვანტანგ ვოგუაძის მიმართ არაოფიციალური ოპონენტის მიერ, ინტრიგანობის უნიკალური, კლინიკური შემთხვევა არის. ის არ შეეხება არც მეცნიერულ შინაარსს, არც მეცნიერულ პრობლემას. მე, როგორც საბჭოს წევრი, პროტესტს ვაცხადებ. ვთხოვ საბჭოს, ჩამოერთვას ტექსტი და გაგრძელდეს კამათი. მე საღი გონების ადამიანი ვარ და არ მინდა ამის მოსმენა. (იხ. სტენოგრაფიული ანგარიში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზირებული საბჭოს სხდომისა, 1984 წლის 11 მაისი).

თავმჯდომარემ მოუწოდა ბატონ მერაბს დარჩენილიყო. მერაბი ჩამოვიდა კიბეებზე (ქიმიის დიდ აუდიტორიაში), თავისი განთქმული ჩიბუხი გააბოლა და გავიდა. კარებში ერთს დაუბარა, შემომითვალა, მართლა არ ეგონოს, რომ წავედი... ეს ეტყობა, ერთ საათს არ ვათავებს ლაპარაკს, მანამ სახლში წავალო. იგი ახლოს, ბაზალეთის ქუჩაზე ცხოვრობდა. როცა დაბრუნდა და ნახა, არაოფიციალური ოპონენტი კვლავ ლაპარაკის ემხნეობდა, წავიდა და ტელეფონით უკავშირდებოდა მოვლენებს. საღამოს 11 საათისათვის დაცვა დამთავრდა.

მეამაყება, რომ ჩემი მეცნიერული ნაცოდვილარის კურთხევაში მისი კეთილი ხმაც არის. იდეოლოგიური ხერხებით მეცნიერული აზრის წინააღმდეგ ბრძოლა ბილწ ჩასაფრებად ითვლებოდა ფილოსოფოსებში.

ჯოყოლამ ჭეშმარიტების დასაცავად (როგორც ალუ-დამ) გასწირა კეთილდღეობა, სიცოცხლე და ოჯახი თავისი. მერაბ მამარდაშვილმა თავისი ქვეყნის აბობოქრებული ცხოვრების განცდას შეაღწეა თავისი გული.

ჯოყოლა და მერაბ მამარდაშვილი ხომ სრულიად სხვადასხვა სივრციდან განასახიერებენ ქართველი კაცის ბუნებას – ერთია, იყო ბუნებით ფილოსოფიური (არა-წიგნიერი), ჭეშმარიტებისათვის თავგანწირული, თემის წინააღმდეგ ამხედრებული პიროვნება, მაგრამ გასაჭირის ჟამს, ისევ თავისი თემის გვერდით მებრძოლი. მერაბ მამარდაშვილმა თქვა – თუ ჩემი ხალხი ჭეშმარიტების წინააღმდეგ წავა, მე ჩემი ხალხი წინააღმდეგ წავალო. მაგრამ ჯოყოლასავით, ამ სიტყვების მერე, როცა გასაჭირში მყოფი სამშობლოს დასაცავად მოიჩქაროდა, ტკივილით სავსე გულმა გაჰყარა მისი სიცოცხლე ამა სოფელს და ზესთა სოფელში დაუმკვიდრა სასუფეველი.

გაზეთი „მანსი“  
8 სექტემბერი, 1996 წ.



## კოტე მახარაძე (1926-2002)

– ბატონმა კოტემ სპორტული კომენტატორობის სკოლა შექმნა. ჩვენ ყველანი ამ სკოლიდან გამოსულები ვართ. თვითონ ვირტუოზულად ხედავს სპორტული ასპარეზის ისეთ ნიუანსებს, სხვები რომ ვერ დაინახავენ (ჯამლეთ ხუხაშვილი).

„...კოტე როგორც თამადააა, ოოოო, – გროსმეისტერ!!!“ (სოფიკო ჭიაურელი)

ნიჭიერების მრავალსახეობაში რომ ჩემპიონატი ტარდებოდა, კოტე ჩემპიონი გახდებოდა: კოტე კომენტატორი, კოტე რეჟისორი, კოტე არტისტი, კოტე პუბლიცისტი...

ერთხელ მასთან ვართ, ვსაუბრობთ.

– ბატონო კოტე, მრავალი ენის ცოდნა კარგია, მაგრამ, ჩვეულებრივ, მდიდარი არაა ლექსიკური მარაგი პოლიგლოტისა. თქვენ მდიდრულად ლაპარაკობთ როგორც ქართულად, ისე რუსულად, თქვენი ლექსიკური სინშირე ერთობ დიდია... – მეგრული რა, ნაკლებად ვიცი, გვონია?

რა გაუხარდა ვალერი კვარაცხელიას?!

მრავალმხრივი ნიჭიერება კარგია, მაგრამ ზოგჯერ პიროვნების საზიანოდ აპირისპირებენ ერთმანეთს თავისავე ღირსებებს. ერთხელ, წინა საქართველოში, ერთი მინისტრის კანდიდატურას იხილავდნენ. ითქვა, რომ ესაა იშვიათი სპეციალისტი, ორგანიზატორი, მაგარი გავლენა აქვს მოსკოვში...

– ჰოოო, მაგრამ ცოტა სერიოზულობა აკლია. ამას წინათ ერთ სუფრაზე გახლდით. იგი თამადა იყო. დაგ-

ვსოცა სიცილით. მერედა რას მღერის?! – თქვა ერთმა მინისტრმა.

– გავუშვათ მაშინ ფილარმონიაში, – გაიცინეს და დასცინეს მინისტრებმა ფილარმონიას.

ფილარმონია უკეთ დასცინის მინისტრებს. ერთხელ ბატონმა კოტემ ფილარმონიის სცენაზე ჩემი როლიც შეასრულა წუთნახევრით. ფეხბურთის რეპორტაჟის მოტივზე გადმოსცემდა. პაროდია წარმოადგინა – როგორ უტყვენ პოლიტიკოსები სპიკერის კარებს; მაგრამ სპიკერი აუღელვებლივ, მშვიდად იგერიებს მათ ყველა დარტყმას...

ბატონი კოტეს და ქალბატონი სოფიკოს სახლი ფიქრის გორაზე ეროვნული ფიქრების დიდი კერაა. მეც არაერთხელ მქონია ბედნიერება როგორც სპექტაკლის, შეხვედრების მაყურებელ-მონაწილე ვყოფილიყავი. საქართველოს, მისი ძველი და ახალი კულტურული კავშირების შენარჩუნება-განვითარებისთვის. ვის არ ნახავთ აქ ცნობილ მოღვაწეთაგან, – რუსი, ებრაელი, სომეხი... ნამდვილი ჯანსაღი ინტერნაციონალიზმის მასაზრდოებელი წყაროა კულტურა, განსაკუთრებით თეატრალური კულტურა. აქ დიდი ვერიკო ანჯაფარიძის, დიდი მიშა ჭიაურელის ჩაუქრობელი კერაა. ეროვნული მადლობა თქვენ! თქვენს ადამიანურ და თეატრალურ ოჯახს ამ მხრივ რომ ბადალი არა ჰყავს.

როგორ ფიქრობთ, პატარა მოვლენა გახლდათ, რუსეთის იმპერატორი იუბილემზე მშრალი წერილით კი არა, ცოცხალი ხმით ულოცავს, ეფერება ბატონ კოტეს, აღიარებს მის დიდ დამსახურებას კულტურული და ეროვნული, სულიერი კავშირების განვითარების საქმეში. ამის მეტი რა შეიძლება შენს ქვეყანას გაუკეთო ხელოვანმა კაცმა?!

## ნიკო მგელაძე (1889-1962)

ერთხელ პროფესორ გრიგოლ კიენაძესთან, მის მიერვე დაარსებულ ვაჟას კაბინეტში, ვისხედით მისი მოწაფე-მეგობრები. ჩამოვარდა საინტერესო თემა – ვინ იყო ჩვენი ადამიანური იდეალი იმათგან, ვისაც უშუალოდ ვიცნობდით. ჯერი ჩემზეც მოვიდა. პატარა პაუზა გავაკეთე. დარწმუნებული ვარ, ბატონ გრიგოლს ცოტა ეჭვმაც გაურბინა – შეიძლებოდა თვით მასზე მიმეთითებინა. ამის სრული საფუძველი ჰქონდა და მქონდა. წამიერი პაუზის შემდეგ მე ვამბობ – ნიკო მგელაძე!

– „ოო, ნიკო მგელაძე, მესმის!“ – თქვა ბატონმა გრიგოლმა და ყველას გაგვიკვირდა მისი აღფრთოვანების მაღალი ემოციურობა. ბატონი გრიგოლის ფსიქოლოგიური, გამჭოლი მზერა ადამიანის ბუნებაში ბევრს ხედავდა. მას ნანახი და განცდილი ჰქონდა როგორ იქცეოდნენ ადამიანები განსაცდელში. განსაცდელში კი ცოტა, ზოგჯერ ძალიან ცოტა, შემოგრჩებათ ხელში, კაცი რომ ჰქვია.

ნიკო მგელაძე, პეტერბურგის ქართული ინტელიგენციის იმ თაობის წარმომადგენელია, ივანე ჯავახიშვილის თანავარსკვლავედი რომ ჰქვია. იგი ბრიუსელშიც სწავლობდა, ფლობდა ძველბერძნულს, ლათინურს, ფრანგულს, გარკვეულ დრომდე მოღვაწეობდა თბილისის უნივერსიტეტში, შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორად – მათემატიკაში.

– ნიკო მგელაძემ ტრაგიკული ცხოვრება განვლო, მაგრამ არაფერი ეტყობოდა ტრაგიკულობისა. ეს იყო მშვიდი, დარბაისელი კაცი, ჭკუის, ცოდნის ღირსებათა ერთიანობის განსახიერება, შეუვალი პრინციპულობისა



და პატიოსნების, მაგრამ არა „ბუკვალიზმის“ პატიოსნებისა. ეს იყო კაცი ჩვილი გულითა და მტკიცე გონებით.

1956 წლის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ, თბილისის იმ ავადსახსენებელი კომენდანტის შვილს, ძია ნიკოსთან ჰქონდა გამოცდა მათემატიკაში. ვინ არ მიუგზავნეს ამა ქვეყნის ძლიერთაგან, — თუ ცოდნა აქვს, ნიშანს ვერ დავაკლებ. ცოდნა ღმერთს მიუცია ადამიანისათვის, მე რა უფლება მაქვს, ის წავართვა. მაგრამ თუ არ იცის, მე მამამისს ქართველი ახალგაზრდების სისხლს არ შევარჩენ.

როგორც მამბო, მართლა არ იცოდა საგანი, თორემ ორიანს ისე როგორ დაუწერდით. ასე რომ, გენერალ გლადკოვის ვაჟი გაირიცხა პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. საინფარქტო ვითარება თანამდებობის პირებისათვის ბევრი იყო, მაგრამ ყოფილმა კომენდანტმაც არ გაართულა საქმე, ძია ნიკოს გატეხა მაშინ შეუძლებელი გახლდათ. ეს იცოდა მისმა ყოველმა მცნობელმა.

მისი მეგობრები იყვნენ ნიკო ლორთქიფანიძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, ვიქტორ კუპრაძე, გოგი მხეიძე, ავთანდილ ბენდუქიძე... მისი უახლოესი მეგობარი გახლდათ პროფესორი მიხეილ ზანდუკელი...

ძია ნიკოს ამშვენებდა უკეთილშობილესი ქალბატონი, პედაგოგი ოლია ირაკლის ასული ღუმბაძე. მათ შვილი არ ჰყავდათ. მთელი სინაზე, სიყვარული გადატანილი ჰქონდათ ახლობელ ადამიანებზე. ეხმარებოდნენ ყველა გაჭირვებულს. მათ ოჯახში ყოველდღე იყო საინტერესო საუბარი. მე ოჯახის ხშირი სტუმარი ვიყავი, კვირაში ერთხელ თუ არ გამოვცხადდებოდი, ატყდებოდა ძებნა. აქ ხშირად იყვნენ ჩემი მეგობრები იუზა ვვგენიძე და ელგუჯა გიუნაშვილი. ასე იყო 1959 წლის მარტიდან

1962 წლის 27 დეკემბრამდე. ძია ნიკოს გარდაცვალებამდე. რამდენიმე თვე (ივლისამდე) იცოცხლა დეიდა ოლიამ. მერე უკვე თითქმის ყოველდღე დავდიოდით მეც და ჩემი ახლობლებიც დეიდა ოლიას სანახავად. ახლა ძია ნიკო 106 წლისა იქნებოდა.

ეს იყო დიდი პიროვნება და თუ ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მიერ ვერ იქნა ათვისებული მისი დიდბუნებოვანი ღირსებები, დიდი ნიჭი და ერუდიცია, საფლავში რომ გაიყოლა, დასანანია ძლიერ. თუ ვარგა საზოგადოება, სახელმწიფო, თუ იღბლიანია ეპოქა მისი, ასეთ ადამიანებს მაგნიტივით უნდა იზიდავდეს; საზოგადოებას ასეთი ადამიანები არ მიეძალებიან, ისინი უნდა მოძებნო და სთხოვო, შეკვეთა უნდა მისცე დიდი საქმისათვის.

დმერთი რომ არსებობს, მარადიული სასუფეველი რომ არსებობს, იმიტომაც მჯერა, რომ ამგვარი ადამიანების სული არ შეიძლება არარაობად იქცეს. მარადის ცხოვნება მათ.

1992 წელი

## ლეონ მელიქსეთ-ბეგი (1890-1963)

ერთ-ერთი საყვარელი ლექტორი, რომელიც გულს და ტვინს ცოცხლად შემორჩა, გახლავთ უაღრესად კოლორიტული პიროვნება, დიდი მეცნიერი და პედაგოგი, ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ბატონი ლეონი ევროპულად განათლებული კაცი იყო, სხვადასხვა დროს სწავლობდა გერმანიაში, ოდესაში, 1918 წლიდანვე იგი ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებელმა მოიწვია ახალდაარსებულ უნივერსიტეტში არმენოლოგიის კათედრის გამგედ. ბატონმა ლეონმა ძველი ქართული ენა უკეთ იცოდა, ვიდრე თანამედროვე. მაგრამ ამ დიდ მეცნიერს ჰქონდა ყოფითი ენობრივი კოლორიტული დარღვევები, რომელიც ძალიან უხდებოდა, იუმორის ელფერს აძლევდა მის ბევრ გამონათქვამს და მისდამი მხოლოდ სიყვარულს აძლიერებდა.

ბატონი ლეონი იმხანად 70 წლისა იქნებოდა, ჩვენ რომ გვიკითხავდა. შავგვრემანი, ჩაფსკენილი კაცი, არც მაღალი, არც დაბალი (ჩემი სიმაღლისა იყო, რა!).

ყოველი შემთხვევისათვის, თავს დავიზღვევ სუბიექტივიზმის საშიშროებისაგან და შეგახსენებთ ჩემს თანაჯგუფელებს, რომლებიც საკმაოდ პოპულარულნი არიან რესპუბლიკაში: ზაზა აბზიანიძე, მანანა ასათიანი, ბეგო ბეჟუაშვილი, გურამ ბენაშვილი, რისმაგ გორდეზიანი, გია გუგუშვილი, თამაზ კვაჭანტირაძე, გურია კვარაცხელია, ზურაბ ნემსაძე, ვახტანგ როდონაია, იურა ჯაფარიძე, გურამ შარაძე, ტიტეკო ხუხუა... დღეს, დიდად სამწუხაროდ, გია გუგუშვილი, იურა ჯაფარიძე და ზურაბ ნემსაძე ამ ქვეყნად აღარ არიან, მათ ხსოვნას ნათელი დაადგეს.



აუდიტორია თითქმის ყოველთვის ივსებოდა. ჯერ თი, ძალიან განათლებული, ერუდირებული კაცი იყო და მეორეც, უყვარდა მოგონებები, იუმორით შეკმაზული...

„... დიდი ხნის წინ ავლაბარში ვცხოვრობ. ერთხელ ღამეა. კარებზე ბრახუნია. გავალე კარი და ვხედავ: დგანან სამი გაუპარსავი უხეში. მეუბნებიან: აქ დოქტორი ცხოვრობს? – ჰო, მე ვარ. – აბა, სასწრაფოდ ჩაიცივი. ქალი უნდა იმშობიაროს (ბატონ ლეონი უკვე იმათ აჯავრებდა ლაპარაკით). ვეუბნები, კაცო, მე ექიმი დოქტორი კი არა, ფილოლოგი ვარ. დოქტორი ხარ? – კი! – ჰო და მორჩი ახლა ბაზარი, ჩვენ დრო მეტი არ არის. წავიშინე თავში ხელი. ერთმა იარალი მომიღერა... შემეშინდა, რა მექნა, ჩავიცივი...“ მთელი აუდიტორია სულგანაბული ველოდებით შედეგს. ბატონმა ლეონმა რაღაც გრძელი პაუზა გააკეთა. უუუ-ავვიჟინდით. ბატონი ლეონი კი იღიმება და გვეუბნება, რომ მივედი, საბედნიეროდ, ქალი მომშობიარებული დაგვხვდა. ესა თქვა და თვითონ ისე ამოისუნთქა, თითქოს ეს-ესაა ის ქალი ამშობიარაო.

ერთხელ ლეონმა აუდიტორიაში ყური მოჰკრა ფეხბურთზე ჭორაობას. – კაცო, ეს რა უბედურებაა. მთელი ცხოვრება შევწირე იმას, როგორმე ქართველებსა და სომხებს შევაყვარო ერთმანეთი. არადა, უყვართ ჩვენს ხალხებს ერთმანეთი. მარა რა გინდა, გამოვარდება ეს მესხი თუ სუბრიკიანი, ამ ფეხბურთის გამო სულ ირევა ყველაფერი. თვითონ ეს ფეხბურთელები მერე წავლენ რესტორანში და ქეიფობენ ხელგადახვეულები. სომხეთში ვიყავი ამას წინათ, იცი, როგორ უყვართ მესხი? ვერ გავიგე რა? – მერე რა, პატივცემულო, ჩვენც ხომ გვიყვარს ოვივიანი, დალაქიანი და სხვები, ჩვენთან რომ თამაშობენ? საყვედურით მიცემული სტუდენტის ეს შენიშ-

ვნა საკმაოდ ესიამოვნა ბატონ ლეონს. მას სხვადასხვა დროს მიაწერდნენ ზოგიერთ ანეკდოტს. თითქოს, ერთხელ სუფრაზე, ბატონი ლეონი მიმართავს ქალბატონს: თუ შეიძლება მომავლოდეთ, გეთაყვა, აი ის, ის, ის, ქათმის წიხლი.

ბატონ ლეონს უყვარდა ხუმრობა და განსაკუთრებით ეს იყო მისი პიროვნების ქართული ნაწილი, მას უყვარდა ქართული ხუმრობა, ქართულად ხუმრობა.

ბატონ ლეონთან გვაქვს დიფერენციალური ჩათვლა, ფაქტობრივად, გამოცდა. თუ ფრიადს ვერ მიიღებდი, ერთი თუმნით თვეში ნაკლები სტიპენდია გექნებოდა. ეს სტუდენტის ჯიბეს მაგრად დაარტყამდა. გამოცდაზე ვერ მივედი, მიცნობდა, რატომ არ არისო? — იკითხა ჩემზე. — ექსკურსიაზე წავიდა და სხვა დროს მოვაო, — მიახარეს ჩემმა მეგობრებმა. — აა, კნიაზი, დღეს არ ეცალა, არა? მაინც როდის ინებებს მისი აღმატებულება, თუ იცით? — არ ვიცითო, — ტყუილად თავი არ შეიწუხოს, მე მას აღარ მივიღებო. მივედი მეორე დღეს სახლში. ცხოვრობდა, ახლა რომ მეტრო „რუსთაველია“, იმის თავზე. დავრეკე კარზე, ბატონმა ლეონმა ჯაჭვით ცოტათი გააღო კარი. — რა გინდა, რას მოსულხარ, მე შენ არ მიგიღებ! და რომ ვიგრძენი კარი სრულად რომ უნდა მომიხუროს, ფეხი ჩავდგი კარებში და რაც შემეძლო დამტკბარი სახით ვეხვეწები მომისმინოს, მაგრამ ვინ გისმენს. არა, არა, რომ ნახა რომ ფეხს არ ვიღებ ადგილიდან — ახლავე მილიციას გამოვუძახებო. კარგი 3 წუთი გრძელდება კარზე ჯახირ-ჯახუნი. ხვეწნის სიტყვებიდან როგორღაც ყური მოჰკრა ვუნდტის ხსენებას და... მოხდა სასწაული — რაო, რა თქვი? ვუნდტი? საიდან იცი შენ ვუნდტი, ახლავე შემოდი, ისე მიბრძანა, გეგონებოდათ პირიქით ვძალადობდით, ძალით არ შევედი-

ოდი თითქოს. თურმე, გერმანიაში სწავლის დროს იგაბატა ცეცხლი იყო ვუნდტის „ხალხთა ფსიქოლოგიით“ და მეგობრობდა ვუნდტის მოწაფეებთან. თავისთავად რამხელა სიახლე და დიდი მოვლენა იყო ვუნდტის ფსიქოლოგია. აქვს თუ არა ფსიქოლოგია ამა თუ იმ ერს, ხალხს – ფსიქიკა? ფსიქიკა აქვს ინდივიდს, რომელსაც ან ეწყინება, ან ეტკინება, ან გაეხარდება. რანაირად შეიძლება ჰქონდეს შეგრძნების ტკივილი, ფიზიოლოგიური განცდა, ვთქვათ, ქართველ ხალხს, მთლიანად? ასეთ შემთხვევაში გადატანითია – ხალხს ეწყინა, ხალხს ეტკინა. ფსიქიკის ნიშნების გადატანით... წამოდგომა რომ დავაპირე განაღდებული ხუთიანით, იმის მერე ვისაუბრეთ ერთი საათი, სხვათაშორის სომხური ლიტერატურის ისტორიაზეც (ინიციატორი მე ვიყავი) და ამიტომ ოვანეს თუმანიანისა თუ ავეტიკ ისააკიანის შესახებ საუბარი მართლა სასიამოვნო გამოდგა.

ლენ მელქისეთ-ბეგი დიდი მეცნიერი გახლდათ, რომლის განხილვა ბევრს რასმეს გაგვახსენებს სომეხთა და ქართველთა ძმობის ისტორიიდან, დაგვაფიქრებს მომავალ ურთიერთობებზე. ახლა დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას მოვუსმინოთ:

„საქართველოს უმამაცესი და უჭკვიანესი მეფეები, რომელნიც მარტოოდენ მეფეები როდი იყვნენ, არამედ თავკაცები ქართველი ხალხის ნაციონალურ განმათავისუფლებელი ბრძოლისა: ბაგრატ III და ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, გიორგი III და ჩვენი თამარი, ჩვენი ხალხის ტრაგიკული ისტორიის უკანასკნელი გმირი ერეკლე მეორე, მუდამ უდიდესი გულისხმიერებით ექცეოდნენ ჰაოსის შთამომავლებს.

არამარტო ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი განამტკიცებდნენ ახალ დროში სომეხ-ქართველთა ნამ-



დვილ შეძობას, სომეხი ერის გენიამ წარმოშვა სამი  
შესანიშნავი მესიტყვე სომხური მწერლობისა: ოვანეს  
თუმანიანი, დერენიკ დემირჩიანი და ავეტიკ ისააკიანი,  
რომელთაც ნამდვილი, წრფელი სიყვარულით შეახსენეს  
ჩვენს ხალხებს: ქართლოს და ჰაოს ძმები რომ არიან.“

## მიხეილ მესხი (1937-1991)

მიშა მესხი ЭТО ОГОНЬ (ანდრო ჟორდანია) და ჩაქრა იგი ცეცხლი მანათობელი საფეხბურთო კაშკაშისა, ახალგაზრდულობისა, მაგრამ არ ჩაქრა სინათლე ჩვენს გულებში. რას იზამ, ოდესმე მზეც კი დაიშრიტებოდ, მხოლოდ ღმერთია უშრეტი იმედი მარადისობისა...

აი, სულ ახლახან იყო, 80-ათასიან „დინამოს“ სტადიონზე 100 000 კაცი რომ გუგუნებდა. გაჭედდით სტადიონზე მესხისტების ტალღა ვოლფსტრიმის დინებასავით გადაედინებოდა მეორე ტაიმში, ისევ მესხის „მხარეს“ რომ გადამსხდარიყვნენ. ფეხბურთის მატჩი რომ წააგო, აღარაფერი გრჩება. მაგრამ იყო უცნაური რამ. წაუგია თბილისის „დინამოს“, მაგრამ მესხის თამაშის არაჩვეულებრივობა ჩვენს მაყურებელს იმოღენა სიამოვნებას ანიჭებდა, დამარცხების განცდა არ ეტყობოდათ.

მე და მიშას ძალიან გვამსგავსებდნენ ერთმანეთთან გარეგნულად. ყველა ფოტოსურათი მიშასთან გადაღებული ზღვის პირას თუ „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე ადასტურებს, რომ ზუსტად ერთი სიმაღლისანი ვართ. მკითხველო, ცოტა მომითმინეთ და გაგეცინებათ, თორემ ჩემი გარეგნობა რა საინტერესოა.

1970 წლის აგვისტო. მატარებლით მივემგზავრებით ქობულეთში – მიშა თავისი ნორჩ აღსაზრდელ ფეხბურთელთა გუნდით „ავაზათი“, პროფესორი ვენორი ქვაჩაზია, კინორეჟისორი რეზო ხუნწარია და მე. დავბანაკდით. საქმესთან ერთად ზღვაში ვბანაობთ და ფეხბურთსაც ვთამაშობთ. რეზო ხუნწარიამ თავის სოფელში ნოსირში გადარეკა – ხვალ ჩამოვალთო მიშა მესხი, ვენორი ქვაჩაზია... და ტელეფონში სიხარულის კივილმა

შეაწყვეტინა რეზოს დანარჩენების ჩამოთვლა. ჩემი გვარსახელიც... გავემგზავრეთ სამეგრელოში. იმავე სოფელში, მიმას თხოვნით, ჯერ გიგლას (ფირცხალავას) წყარო მოვინახულოთ. გზაში მოვილაპარაკეთ, რაკი რამდენიმეს უკვე შევეშალე ერთმანეთში ქობულეთში, მოდი, მე ვიქნებოდი მიმა მესხი და მიმა მესხი კი – დოცენტი გოგუაძე. ჩვენ ბურთიც თან გვქონდა და საფეხბურთოდაც ვიყავით გადაცმული. მშვენიერად თამაშობდა ვენორი. გზაში კი გვითხრა რეზომ, გაგიჟდნენ – მესხი ჩამოდისო, მთელი სოფელი შეიყრებოდაო.... რეზოს ეზოში ხალიჩასავით სწორი მინდორი მართლა აღვიძრავდა ფეხბურთის თამაშის მადას. ხალხი საგრძნობლად იყო. მასპინძლების კითხვაზე – ფეხბურთს თუ ითამაშებთო, რა თქმა უნდაო და ტრუსებში გამოვცხადდით იმ წუთსავე. წარვსდექით მართლა ასე: მე – მიმა, მიმამ კი გაუცნობლად ჩამოართვა იქ მყოფთ ხელი – დოცენტი გოგუაძე! იქ ბიჭებთან ერთად გავნაწილდით ორ გუნდად, ორი პატარა კარით. დავიწყეთ თამაში, ბურთი მივიღე, ადგილობრივი ბიჭები ვერ მეკარებიან, არ შევრცხვეთ მესხთანო. მაგრამ აფიორამ არ დააყოვნა და მალე გამითამამდნენ. ბურთი მიიღო ერთ ხანს პასიურად მდგომმა „დოცენტმა გოგუაძემ“ და რომ იტყვიან აიწყვიტა – არამართო საფეხბურთო, საცირკო ნომრებიც ჩაატარა, ბურთი უკან მოსდევდა მონუსხული. ქალები ლოყებს იხოკავდნენ – დედა, დედა, მესხი, ეტყობა, დღეს არ ინდომებს (ეს ჩემზე), მაგრამ ნახეთ, ნახეთ ის დოცენტი გოგუაძე რას თამაშობსო... გავიდა კარგა ხანი. მე უკვე თსუ-ს პრორექტორი ვარ, სპორტსმენებთან რაღაც შეხვედრა გვაქვს უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში. იქ არის უკვე ჭარმაგი მიშაც. მე ეს ისტორია მოვყევი. მიმამ გულიანად იცინა. ჰკითხეს, – ზუსტად ასე იყო?



– კი მაგრამ, „დოცენტ გოგუაძეზე“ ნაკლებად არც „მიშა მესხს“ უთამაშნია იმ დღესო, – იხუმრა მიშამ. ისე ვიცინეთ, ვითომ სულ ვიქნებოდით ამ ქვეყანაზე.

ერთხელ ნახალოვკაში ვქეიფობთ მიშას მეგობრებთან. იქ იყო ზაურ კალოვეცი და ის ბიჭიც, ახლა უკვე კაცი, რომელმაც მიშას ყმაწვილკაცობაში ჭიდაობის დროს ხელი მოსტეხა, რის გამოც იგი ჭიდაობის მაგიერად ფეხბურთს გაჰყვა. ჩვენ შევსვით იმ ყმაწვილკაცის სადღეგრძელო, მადლობა გადაუხადეთ. მიშა ჭიდაობას რომ გაჰყოლოდა, დიდი ფეხბურთელი არ გვეყოლებოდაო. ვილაცამ იკითხა, ფეხი რომ მოეტეხათ? – მაშინ დოქტორი გახდებოდა, მაგრამ მეტის მოტეხა აღარ იკითხოთ, – თქვა ვენორმა.

მიშა მესხი უნიკალური ხასიათის კაცი იყო. ერთხელ ვკითხე – მიშა, შენზე ამბობენ, ცოტა მეტს რომ შრომობდეს მოედანზე, მაშინ მსოფლიოში ვერავენ შეედრებოდაო. – რა იცი, – მეუბნება, – მე ხშირად მესმოდა ეს საყვედური. ვგრძნობდი, რომ ეს ასე არაა, სიზარმაცით არ იყო ეს გამოწვეული. მე ვცაღე ერთი-ორჯერ (დაასახელა ორიოდ მშრომელი ფეხბურთელის გვარი) იმათსავით მემუშავა, მაგრამ არაფერი გამომივიდა... და მართლაცდა, მიშას აფეთქება მოედანზე, ეტყობა, მუზის კარნახით ხდებოდა. მატარებელში, ქობულეთში რომ მივდიოდით (ჯერ კიდევ თამაშობდა „დინამოში“), მეკითხება: – შენი აზრით, მე უფრო მაგარი ვარ, თუ სლავა? – პასუხი დავაყოვნე. – იცი რა, მიშა, მე მაინც მგონია, რომ სლავას ტიპი განმეორდება ფეხბურთში, მიშასი არა. – არა, არა. სლავა ჩემზე მაგარია. ჭირიანი პროფესორი თუ გეტყვის, ის პროფესორი ჩემზე მაგარიაო? მიშას რაინდული ჭკუა და ღირსება ჰქონდა.

მიმა ყველა ფენის საზოგადოებას უყვარდა. განსაკუთრებით შემოქმედებით და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ეამაყებოდა სიახლოვე. მისი ყველაზე ახლო მეგობარ-მასწავლებელი იყო ვენორ ქვაჩაჩია. მეგობრობდნენ მასთან ეროსი მანჯგალაძე, ელგუჯა ამაშუკელი და სხვები. ბევრი მათგანი ახლაც ცოცხალია. დიდხანს აცოცხლოს ღმერთმა!

ქართული საფეხბურთო ასპარეზობა ჩვენი ხალხისთვის მეტია, ვიდრე ვიწროდ გაგებული სპორტი. ეს ჩვენი ხალხის არამარტო მოტორულ-ფიზიკური ნიჭის გამოხატველია, მასში მოქმედი ჭკუა-ზნეობაა განსახიერებული. ამიტომაცაა, რომ ქართული ფეხბურთის აღმზრდელ-აღზრდილთა კოჰორტა ჩვენი ერის სიამაყეს წარმოადგენს. ანდრო ჟორდანიას, ნოდარ ახალკაცი, ბორის პაიჭაძე, მიმა მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი... ქართული კულტურის პანთეონს ამშვენებენ.

## შალვა ნუცუბიძე (1888-1969)

### ცას მიბჯენილი მზერით

ყოველ გონიერს აჯადოვებდა ბატონი შალვა ოქროპირი. ეს იყო მეტაფიზიკის ფიზიკურად ხილვის, პლასტიკის უნიკალური განსახიერება. ზევით ასწევდა მზერას – რაღაცნაირი ღიმილის გამომეტყველებით ემზადებოდა ცისკენ სალაშქროდ. იგი არ იყო ციური ჭეშმარიტების ასკეტური შუამავალი, ღვთის სახელით მრევლს რომ ამშვიდებს. იგი ქვევიდან ზევით მიემართებოდა როგორც ტიტანი, მაგრამ არა საუფლოს შესამუსრად, არამედ უზენაესთან საზიარებლად. იგი ამირანის ჯიშისა იყო, სულის მიწიერი ბორკილების მსხვერვის ხმა ისმოდა მის მძლავრსა და მღერად ხმაში. სული ჩაჭედილია მძიმე მატერიაში, ამ მძიმე ზვეულებიდან მის გამოსათავისუფლებლად ტიტანური ძალა და პრომეთეული ჭკუაა საჭირო. ამიტომაც მისი სიტყვა არ იყო გაბმული და უცვლელი ტონალობისა. ხან უეცრად შეჩერდებოდა მეხთატეხა და უზარმაზარი აუდიტორია სუნთქვაშეკრული ისმენდა ცის კაცის ჩურჩულს, თითქოს უფსკრულის პირას უნდა გაატაროსო თავისი სამწყსო.

იგი სულით, ხორციტ ქრისტიანი იყო. მაგრამ ჰქონდა მას იმგვარიც, ძველ ელინებს რომ ამკობდა. რაღაც იყო მასში ერეტიკულიც. ალბათ, ამიტომაც ხდიდა იგი ქრისტიანული მისტიკის, ერეტიკული მისტიკის წყაროდ „არეოპაგულ კორპუსს“. ეს თხზულებანი იყო მისთვის არა ოდენ კვლევის საგანი, არამედ მისი სულიერი სარკე, ორთოდოქსიაზე, სქოლასტიკაზე მეტი რომ არის ინდივიდუალურ-მისტიკური, შემოქმედებითი სწრაფვა ღმერთისა-



კენ. „მთავარი ესთეტიკური აზრი – ესაა შტურმი ცისა ქვეყნიერების სადიდებლად“ (შ. ნუცუბიძე)

არეოპაგიტიკა ღმერთის აღწერის შეუძლებლობას ქადაგებს (აპოფატიკური თეოლოგია): ერთარსება ღმერთი, წმინდა სამება არ მიიწვდომება სიტყვით, აზრით. ეს ისაა, რომლის „არცა გამოთქმა, არცა მოგონებაა შესაძლებელი. და მიუხედავად ამ წინასწარი განაცხადისა („საღმრთოთა სახელთათვის“); თითქოს ფარ-ხმალი რომ უნდა დაყაროს შემეცნებამ, ესაა დაუოკებელი წყურვილის ნიმუში – ავიდეს ცის კიბეზე, ისწრაფოს ღმრთისკენ მისგან მომავალი სინათლის აღსაწერად. ამიტომ პეტრე იბერიელის (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) თხზულება არ არის სქოლასტიკური (თუმცა, ზოგიერთი ავტორი მაინც თვლიდა მას სქოლასტიკურად). იგი, თავისი ბუნებით, ზესწრაფვით არ პასუხობს ცნობილი სქოლასტიკოსის პეტრე დამიანის თეზისს – „ფილოსოფია არის ღვთისმეტყველების მსახური.“ ამიტომაცაა, რომ ბატონი შალვა მასში ხედავს ერეტიკულ-შემოქმედებით, თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზროვნების კლასიკურ ნიმუშს.

არავინ დაიტრაბახოს, თვით ბატონმა შალვამაც, ახსნას ამ საიდუმლოების საიდუმლოება. ესე იგი, ვინმე მლოგიკის ენაზე გვითხრას, როგორ იპოვნა მან არეოპაგიტული წიგნების ნამდვილი ავტორი, რომელსაც, როგორც თავად ბატონი შალვა იტყვოდა, ისტორიამ საბურველი წააფარა. ამგვარი აღმოჩენებისათვის მეცნიერებას არავითარი მეთოდ-აპარატურა არ მოეპოვება, ეს არის ისეთივე აუხსნელი-აუწერელი, როგორც პროცესი მისტიკისა. ეს შეეძლო მხოლოდ განსაკუთრებულ ინტუიციას, რაღაც იმდაგვარს, სიზმარი რომ გაუცხადდება კაცს.



ბატონი შალვას მეცნიერული მოძღვრება აღმოსავლური რენესანსის შესახებ საოცარი სიუჟეტისაა (არ მინდა ვთქვა, საინტერესო სქემა აქვსო). არეოპაგიტკამ შთანთქა და გადაადნო პირველი საუკუნეებიდან VI-მდე მოყოლებული თეოლოგიური აზროვნების უმნიშვნელოვანესი მიღწევები, ხოლო შემდეგ იგი იქცა ქვაკუთხედად შუასაუკუნეობრივი ერეტიკული (შემოქმედებითი აზროვნების როგორც წარწყმედა-ნარევი-მიწიერთან ნაზიარევი) აზროვნების უმშვენიერეს ქრისტიანულ ძეგლად, მთელი შუასაუკუნეების, რენესანსისაკენ მიმავალ მოძღვრებათა საფუძვლად (იოანე სკოტ ერიუგენა, ეკჰარტი, კუზანელი, პიკო დელა მირანდოლა...).

შ. ნუცუბიძის კონცეფციით, აღმოსავლური რენესანსი არსებითად, მსოფლმხედველობრივად, დაემყარა პეტრე იბერიელის თხზულებებს – გენიალური არეოპაგიტკულ წიგნებში ჩამოყალიბებულს. ეს აღმოჩენა მეტისმეტად მოეფერა ქართულ თავმოყვარეობას. ეს დიდად საამაყო ფაქტია, რომელსაც, როგორც წესი, პირველი უნდობლობა ქართველებმა გამოუცხადეს. ბატონი შალვას ამ დიდებულ კონცეფციას (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მხარს უჭერდა არა მხოლოდ თავკაცობა ქართველოლოგებისა, არამედ მისი მოკვდავი დამწყები წევრებიც.

ბატონი შალვა ხანდახან მარტინ ჰაიდეგერს ასე მოიხსენიებდა: „მარტინა ჰაიდეგერი“... ეს იყო ამონაკვესით ნათქვამი, – ევროპის, გერმანიის შუაგულში მოაზროვნე თუ მეტს გააკეთებს, თავის შესაძლებლობაზე მეტად თუ დაფასდება და არა ნაკლებად... ბატონმა შალვამ, ბევრი გარემოების გამო კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვულმა, დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ რომ არა ჯაჭვები... ნახავდა „მარტინა ჰაიდეგერი“... (ამ ფსიქოლოგიურ მომენტს ყურადღება მიაპყრო აწ განსვე-

ნებულმა პროფესორმა ვენორი ქვაჩაზიამ). თავად განსა-  
ჯეთ, რა საოცარი ხვედრი აქვს: „ვეფხისტყაოსანს“  
ფაქტობრივად ციხეში თარგმნის: ციხე და სტალინის  
კაბინეტი კრემლში, მეგობრული მუსაიფი და სტალინის  
ფაქტობრივი რედაქტორული დახმარება! კრემლი და ცი-  
ხე, რომლის გასაღები, ქვეყნის დიდმპყრობელს უდევს  
ჯიბეში. კაი მარშრუტია. კლასიკური თემაა დიდი დრა-  
მატურგისათვის! ეს ცხოვრებაში, მეცნიერულ აზროვნე-  
ბაში?! მისტიკისა და ერესის ისტორიას რომ აანალი-  
ზებდა, ხშირად უხდებოდა მარქსიზმის კლასიკოსების  
ციტატა აეფარებინა წინ. რას იზამ, ამ ჯაჭვებსაც გაუძ-  
ლო ბატონმა შალვამ.

ბატონი შალვა აღმოსავლური რენესანსის თეორიის  
ფუძემდებელია. არც ისე დიდი ხანია დაიწყო ამ თეორი-  
ისა და თვით ბატონი შალვას ღვაწლის დაფასების რე-  
ნესანსიც. 1971 წელს პატარა, 18-წუთიანი სატელევი-  
ზიო დოკუმენტური ფილმი შეიქმნა — „შალვა ნუცუბი-  
ძე“. ამ ფილმსაც შალვას ბედი-მღევარი დასდევდა. ამო-  
ყარეს ბევრი კარგი დეტალ-ეპიზოდი და კინალამ თვით  
ბატონი შალვა ამოაკლეს მას. რომ არა რეზო ჩხეიძის  
ჩვეული რაინდობა, ვერას უშველიდა ავტორთა თავგამო-  
დება.

ხშირი იყო შალვა ნუცუბიძის გაძევება მის მიერვე  
დაარსებული უნივერსიტეტიდან. მაგრამ, ასე თუ ისე,  
ხანდახან ხერხდებოდა მისი მიწვევაც იმ კაცების წყა-  
ლობით, რომლებიც მაინც არ ამოსწყდებიან, თუმცა მა-  
შინ, შალვა ნუცუბიძისადმი დიდი სიმპათიების გამო სა-  
ხელის ნაცვლად ან სამსახურის, ან რანგის დაკარგვა  
ელოდა ნებისმიერს, ამას ახალგაზრდობის საფიქრელად  
ვამბობ!



შალვა ნუცუბიძე გერმანიაში მოღვაწეობის დროს სი-  
ამაყით აცხადებდა: მე დავიბადე ფარცხანაყანევში (ისე,  
როგორც კონსტანტინე გამსახურდია ივონებს თავის  
თავზე – პატარა მდინარისპირელი როგორ ევჯობრებოდა  
ლენინგრადის უნივერსიტეტში ნევისპირელებს, ევროპაში  
კი – სხვა დიდი მდინარისპირელებს). ეს გახლავთ ის  
განცხადება, რომ ტალანტის ცვარი ციდან მოდის, მას  
არ ანაწილებს არც იმპერიის, არც დიდი ქალაქების  
ლოგიკა. ეს ის საზეიმო ჭეშმარიტებაა, მწყემსი ბიჭი  
რომ იქცევა თავისი ხალხის ღვთაებრივ წინამძღოლად  
– დავით წინასწარმეტყველად.

მეუღარებელი იყო ბატონი შალვა-პოლემისტი. რა არ  
უწყობდა მას ხელს საამისოდ! მაგრამ ეს იყო კეთ-  
ილშობილი მოასპარეზე, მეტოქისადმი რაინდული  
გრძნობით აღსავსე. ერთი თქმულების ასოციაცია ამეკვი-  
ატა ამასთან დაკავშირებით: ალექსანდრე მაკედონელს  
უზარმაზარი ძალღი გამოუგზავნეს ინდოეთიდან საჩუქ-  
რად. დაინტერესდა იმპერატორი – რის შნო და მარიფა-  
თი აქვსო ინდოელ გოლიათს. გამოუყვანეს მგელი, –  
ზედაც არ შეხედა, დათვი – არც ის გახდა ყურადღების  
ღირსი. გამოუყვანეს ლომი და გაიმართა ასპარეზი... და-  
აკვირდით ბატონი შალვას თხზულებებს! მას იდეოლო-  
გიის სახელით ესეოდა ავი მწერების გუნდი. სახელს არ  
არქმევდა მათ. სატანის ჭინკებს სატირის ცეცხლს წაუ-  
კიდებდა. აუდიტორიაში კი ერთი კალამბურის მათრახს  
დაუტრიალებდა მათ. იგი ეკამათებოდა მხოლოდ ღირსე-  
ულ მეტოქეს. მწვავე პოლემიკა ჰქონდა ბატონ კორნელი  
კეკელიძესთან. მახსოვს, მეცნიერებათა აკადემიაში მოიწ-  
ვიეს სასწრაფო სამეცნიერო სხდომა – ბატონი კორნე-  
ლის მოხსენებაა... აღმოჩენა ევაგრე პონტოელის (ქარ-  
თველის) შესახებ. მოხსენების შემდეგ გამოდის ბატონი

შალვა (წინასწარვე იგრძნობა და იცნობა, რომ მწვავე ოპონენტი იქნება): — ბატონებო, კორნელი კეკელიძე (პაუზა) არათუ ქართული კულტურის მკვლევარია, არამედ (პაუზა) იგი (პაუზა) თვითონაა ქართული კულტურა.

წელს XX საუკუნის აზრის მესაძირკველების, ბატონი შალვა ნუცუბიძისა და ბატონი სერგი დანელიას დაბადების ასი წლისთავი ვიზეიმეთ. მათი ურთიერთობა იყო რაინდული პოლემიკის ჩაუქრობელი ასპარეზობა. როდესაც ბატონმა შალვამ გაიგო ბატონი სერგის ულამაზესი სიკვდილის შესახებ (იგი უნივერსიტეტის აუდიტორიაში ოპონენტობის დროს, რეცენზიის კითხვის დროს გარდაიცვალა), გაფითრდა, მჯილი მკერდში ჩაირტყა — „ჩემი სერგია, ჩემი სერგია!“ და შეიმშრალა ძმობის ცრემლები.

## ზაალ (ზალიკო) ჟვანია (1932-1977)

– ზალიკო, ფართოეკრანიან ფილმს ვიღებ და მინდა, გიორგი სააკაძის როლი შემოგთავაზო.

– რავა, ხორავა აღარ მოგწონს?

– რავა არ მომწონს, მაგრამ ვნახოთ, რომელი აჯობებთ. შენც ისეთივე „ზღოროვი“ ხარ, ხმალი ძალიან დაგშვენიდებოდა.

– აი, ჩემი ხმალიო, – აიღო კალამი და „თბილისის უნივერსიტეტის“ მორიგი ნომრის ჩაშვებას ხელი მოაწერა – ზ. ჟვანია.

ვიცინეთ ბევრი.

„თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციას რომ ოთახი უკავია, იმოდენა კარავი დაგვექონდა მთაში ზურგით. გავშლიდით და ოთხი ან ექვსი კაცი ვეტეოდით. აქ ხშირად ისხდნენ, ზოგნი იდგნენ. მაგალითად, ისხდნენ თენგიზ ბუაჩიძე, ლევან მენაბდე, ლავანდა კანკავა... ვიდევით: ცხონებული იურა ჯაფარიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, მე და სხვები.

– რა მიკვირს, იცით, ამ გაზეთის რომ ეშინიათ ჩვენს პროფესორებს, „პრავდის“ ისე არ ეშინიათ. გაზეთი „კომუნისტი“ ოთხჯერ დიდი ფორმატით ყოველდღე გამოდის, 700 ათასი ცალი ვრცელდებოდა რესპუბლიკაში. აქ რომ მოგაქვს ეს შენი წერილი, წადი ძმაო, წაიღე „კომუნისტში“, – უთხრა ერთხელ ერთმა ენაკვიმატმა მეორეს. – რატომ, შენ გგონია, მე სიცრუე მოვიტანე, იქ რომ მაგზავნი? თაობები წავლენ, „უნივერსიტეტის გაზეთი“ კი დარჩება რელიკვიად, რომელსაც სიამოვნებით ჩაუჯდებიან გარდასულ დროთა მძიებლები. მაგრამ იმ დროს მაინც ყველგან არსებობდა არამართო



პოლიტიკური ცენზურა, არსებობდა სტილური დოკმა-  
ტიზმი. არამარტო მარქსიზმის მიმართ ჰყავდა სახელ-  
მწიფოს ყარაული. გაზეთს ორიგინალობა არ ეთვლებო-  
და კარგ ტონად.

– ყელში მაქვს ამოსული ეს შაბლონი, ყველაფერი  
დაიშტამპა, ყველაფერი ყველაფერს ჰგავს და არაფერს...  
– შემომჩივლა ერთხელ ზალიკომ.

მეორე დღეს გვერდნახვერიანი (გადაბეჭდილი) ფსი-  
ქოლოგიური ეტიუდი მოვუტანე სათაურით – „ტრაბა-  
ხი“. სტანდარტული წარმოდგენით რედაქტორი შემეკით-  
ხებოდა, რა არის ეს, ფელეტონი თუ არის, ვის ტრა-  
ბახზეა ლაპარაკი? აქვსენტი თუ თეოფილეს ამბავია  
აღწერილი? ყოველ შემთხვევაში, გაზეთში ასეთი ჟანრი  
არ მუშაობდა. ზალიკომ წაიკითხა და გადაიხარხარა. მე-  
ორე დღეს ვხედავ ერთ ნაცნობ ტრაბახს დოცენტს წაუ-  
კითხავს და სიცილით გადამკოცნა. წავიკითხე შენი  
„ტრაბახი“ – კაცო, ვერ ვიტან ტრაბახს ადამიანებს,  
ისე ბევრი იცნობს თავის თავს მასში... ეს ხდება 1974  
წელს. გავიდა რამდენიმე დღე. გაზეთი ყოველკვირეუ-  
ლია. ზალიკო მხვდება „ტრაბახის“ შთაბეჭდილების ანა-  
ბეჭდი ღიმილით: – რას შერები, არ მოიტან რამეს?

დაიბეჭდა „შური“. შურიანებმა თქვეს: – რა კარგად  
დაგიწერია, ვერ ვიტან შურიანებსო. უშურიანებებმა  
თქვეს: რას ერჩი მაგ შურიანებს. რატომღაც მაინც არ  
ეჭაშნიკათ ახალგაზრდა დოცენტის ეს მეტიჩრობა? (მა-  
შინ 34 წლისა ვიყავი, თანამედროვე დროით ღრმა პენ-  
სიონერის ასაკისა).

ზალიკოს კვითხე, – რამე ხომ არ გაწყენინეს? არა,  
ზოგს მოსწონს... ის აღარ მითხრა, ზოგს რომ არაო. არ  
უყვარდა საწყენი ამბის მოტანა. – ვინც რა უნდა თქვა-

სო, წისქვილმა კი ფქვასო, შენ მოიტანე, დაბეჭდვა ჩემ  
ზე იყოს...

ცუნამი წინაა.

იბეჭდება პატარა წერილი დიდი სათაურით: „ფილო-  
სოფოსობა და ფილოსოფიათმცოდნეობა“. აზრი ასეთია:  
ფილოსოფოსი თუ ხარ, შენი აზრი, შენი სტილი. შენი  
სუნთქვა უნდა ჰქონდეს აზრს, თორემ იმან რა თქვა,  
ამან რა თქვა, ეს რა ფილოსოფოსობაა. ჩაყარო ტომარა-  
ში ბრძენი ხალხის გამონათქვამები, ამას ბიბლიოთეკა-  
რიც გააკეთებს. მოკლედ, ტრადიციული პროფესორული  
ფილოსოფიათმცოდნეობა ყალყზე დადგა. ამბობდე ბრძენი  
პლატონის ბრძნულ აზრს ისე, რომ სიბრძნის არაფერი  
გცნიაო, – ეტკინათ ეს ბევრს (ცხადია, მე ფილოსოფი-  
ის ისტორიას როგორც დარგს, არ ვეხებოდი). მოკლედ,  
მოვთხოვე ფილოსოფოსებს – გახდით სოკრატე, პლა-  
ტონი, შოპენჰაუერი... აქ იდეოლოგიას გვერდი ავუარე,  
მაგრამ არსებობდა და ახლაც არსებობს შტამპის მონო-  
ბა.

თავი რომ არ მოგაწყინოთ, დამწკრივდა ფილოსოფიის  
ფაკულტეტიდან სამი პროფესორი და შევიდნენ რექ-  
ტორთან, აკადემიკოს ილია ვეკუასთან. გული იჯერეს  
თავხედი დოცენტის ლანძღვით. – რა არის ეს, რანაი-  
რად წერს, ვის ასწავლის ეს ჭკუას?! – მერე რექტორ-  
მა ზალიკოს დაუძახა. პროფესორებმა ჩემი „შემკობა“  
განაგრძეს. მართალია, ზალიკოს ესენი არც მოუყოლია,  
მაგრამ ერთობ აჭრილ გუნებაზე გამოვიდა რექტორის  
კაბინეტიდან – აღშფოთებულ-აღფრთოვანებული. აღშფო-  
თება – ფილოსოფოსებს, აღფრთოვანება – მათემატი-  
კოსს, რექტორს ეკუთვნოდა.

ვეკუამ საკმაოდ კულტურულად შეჯორა ჭეშმარიტე-  
ბის მაძიებელი ფილოსოფოსები.

– მე იმ წერილში ვერანაირი იდეოლოგიური გადახვევა ვერ ვნახე. თუ ახლა ახალგაზრდა კაცს თავისი აზრი და შეხედულება აქვს, ამას ჩვენ ვერ ავუკრძალავთ. თუ თქვენ არ ეთანხმებით, დაწერეთ – რაში არ ეთანხმებით და დაგობეჭდავს ბატონი ზაალი, – უთხრა რექტორმა.

– რას აპირებენ თუ იცი, ზალიკო, მოგიტანენ წერილს?

– ზომ არ გაგიჟდი, მაგენმა წერა რომ იცოდნენ, ვეკუასთან შეიპარებოდნენ? არ ელოდნენ, თუ რექტორი მათ საიდუმლო საჩივარს არასაიდუმლოდ უქცევდა. აწურული გაიპარნენ.

– ეს კარგი, ჩემო ზალიკო, მაგრამ ახლა ნუ გადაიმტერებ მაგ პროფესორებს, იცი, მაგათ როგორი კულები აქვთ დიდ მაფიასთან? შენ ახლა ბინა უნდა მიიღო, თუ კაცი ხარ, სადარღებელი არ გამიხადო.

– არა, რექტორმაც მითხრა, ესენი რომ გამოუშვა, მთლად ნუ გადაიმტერებ მაგათო... მაგრამ, ჩემო ვახტანგ, შენ მაგას ნუ სწუსარ.

– არა, არა, თუ ძმა ხარ, ყოველთვის ცოტნე დადიანობა არ გამოვა. მოკლედ, იმდენი შემიჩნდა თვითონ, რომ მიმატანინა ახალი წერილი სათაურით: „რატომ არის ორიგინალობა გამღიზიანებელი?“

მე ბოლიში უნდა მოვიხადო მკითხველის წინაშე, რომ აქ ჩემს შესახებ მეტი მომივიდა. მაგრამ ზალიკოს თანამოაზრეობამ, თანადგომამ ბევრს მისცა აზრის გათამამების სტიმული. დიანს, ასეთი პატარა გაზეთიდან ხშირად იწყებოდა დიდი სიძართლე. ზალიკო იყო ვაჟკაცი, ადამიანის სიყვარულის ნიჭი ჰქონდა, ამიტომაც უყვარდა იგი მთელ უნივერსიტეტს.



## ლევან სანიკიძე (1925-2003)

ძნელია, დაასახელო თანამედროვეობის ისტორიკოსი, რომელსაც ასე თავდავიწყებით უყვარდა საქართველოს ისტორია და ასე შეაყვარა იგი არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ ხალხის ფართო ფენებს. სწორად ჩამოგივლებდნენ სიტყვას ცოტა ხნის წინათ ექიმები, ინჟინრები, მძღოლები, დალაქები, დიასახლისები... საქართველოს დიდ მეფეებზე, მის ომებზე... – საიდან იცით ყოველივე ეს? – რომ გეკითხათ, – „უქარქაშო ხმლებიდან“ – მიიღებდით პასუხს. ზოგმა ისტორიკოსმა ტუჩი აიბზუა, პოპულარულობას აკადემიზმი სჯობიაო. ბატონი ლევანი აკადემიზმის პრინციპს იცავდა კვლევის პროცესში. მაგრამ „უქარქაშო ხმლები“ მეცნიერული მონაპოვრის მწერლური გაშუქებაა, რომელსაც არქივის მტკვრისაგან განსხვავებით ცინცხლი ინტერესი აქვს. ემოციური მიმართება თავისი ქვეყნის წარსულისადმი ამ გულგამომშრალი ცივილიზაციის ეპოქაში იშვიათ მუხტს ანიჭებდა ახლა უკვე ქრობად ეროვნულ გრძნობებს. ამ მხრივ ლევან სანიკიძის დამსახურება პატრიოტულ-პედაგოგიური თვალსაზრისით უნიკალურია.

ლევან სანიკიძე მწერალი, მოაზროვნე ისტორიკოსია, თავის ქვეყნის საუკუნეთა მცველია, იგი ფხიზლად დარაჯობს თავისი ქვეყნის წარსულს კოსმოპოლიტიკების შემოსევებისაგან.

ვაი, რომ ხორციელად მიგვატოვა ამა ქვეყნად. წინასწარმეტყველნი ამბობდნენ, – ქვეყნიერების ბოლოს და მის წინა დრო საოცრად სწრაფად გარბისო. ნუთუ, მართლა მოგვიკაკუნა კარებზე უფალმა? უფლის ნებას ჩვენ ვერ გადავალთ, რამეთუ ამ წარმავალ ქვეყანას ის მარა-

დიული ქვეყანა აღემატება, რომელსაც სასუფეველი, ზესთასოფელი ჰქვია. ისტორიის ეს საზრისი იყო ბატონი ლევანის მუდმივი თემა. ეს საკითხი დიდ სიფაქიზეს მოითხოვს, მისი წამალი ისეთი ნიჭიერებაა, ლევანს რომ ჰქონდა მომადლებული. „მოკვდებოდა, აბა, რას იზამდა, შე კაცო, აბა, ცას ხომ არ გამოეკერებოდა“, ჰქონდა მას ერთ-ერთ ქუთათურ ხუმრობაში მეტად სასაცილო სიუჟეტის კონტექსტში. ლევანი და წუწუნი ერთად არავის უნახავს. მისი სასიცოცხლო პრინციპი ასე უღერდა – „სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს უამს გრძელსა“.

ქუთათური ხასიათი მკვებავია ქართული ეროვნული ხასიათისა. კარგა ხანია, რაც კოსმოპოლიტიზმი ღრღინს ქართულ სულსა და გულს; ქართველს ველარც მიაძგავსებ და ველარც გაარჩევ ვინმესაგან, თუ მართლა ასეთ კოსმოპოლიტურ ტიკინებად გადაიქცევიან ხალხები. ჩვენ თუ შეგვრჩა სისხლი, ძალა, ვიხსნათ კულტურის ტრადიციები ველური ცივილიზაციისაგან, მაშინ ღირს კიდევ ცხოვრება ამა ქვეყნად. ყოველი ერი ღვთაებრივი ინდივიდუალობა უნდა იყოს და არა ნარეცხი ნაწილი მსოფლიო ოკეანისა. ლევანი ბრძღვინავდა ბოლო უამის წამლეკავი ურჯულოებისაგან. ლეკიანობას გაუძღელით, რადგან ლეკები ხალხი იყო, მათთან მტრობაც გვექონდა. მეგობრებადაც შევძელით ყოფნა, სხვადასხვა რჯულისანი ვიყავით, მაგრამ ჩვენ ახლა ურჯულოება გვებრძვის, ყოველგვარი რჯულისა და ზნეკეთილობის მტერი. ლევანს აშფოთებდა მტერი, რომელსაც ვერ ხედავ – ვის მოუქნიო ხმალი, ან ხმალი რაღად გინდა ან მისი ქარქაში. მაგრამ, ჩემო ლევან, დინოზავრები გადაშენდებიან, ქართველები კი გადარჩებიან. ლევან სანიკიდის საქართველო არ გადაშენდება.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ლევანს, ქუთათურნი ხასიათის გამომხატველ წარმომადგენელს, ბადალი არა ჰყავს. პირველად იგი გავიცანი ქუთაისში, შესანიშნავი ინტელიგენტის გივი მეფისაშვილის ოჯახში, ამ ორმოცი წლის წინათ. აქ იყვნენ აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, ესთეტიკის კათედრის წარმომადგენლები აკაკი ჩხარტიშვილი, ნიკოლოზ ჯაში, ანზორ ტყემალაძე და სხვ. ბატონ ლევანს სუფრის ერთ წევრთან კამათი მოუვიდა საბჭოთა ოპტიმიზმის გამო ეროვნული ნიჰილიზმის ხარჯზე. მთლად ვერც დავაკონკრეტებ იმ სიტუაციას და ეს არცაა საჭირო. საჭიროა იმის არდავიწყება, რომ ლევანი პირგამეხებული დაუხვდა და დაუხვდებოდა წინ ყველას, ვინც ქართველობას... ქართველებს ჰაიჰარად შემოჰხედავდა.

ლევანი ფართო თვალსაწიერის მეცნიერი გახლდათ. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მსოფლიო ისტორიის კათედრას. უყვარდა და უხდებოდა სუფრანე ლათინური ფრთოსანი სიტყვების ციტირება ლათინურად: „კვო უსკვე ტანდემ აბუტერე კატილინა, პაციენცია ნოსტრა“. ამას რომ იტყოდა, მარჯვენა ხელს მარცხენა მხარეს მკერდზე რომაელი სენატორივით მიიტანდა და თვითონ მართლა რომაელი პატრიციუსი გეგონებოდათ. რაც შეეხება მსოფლიო ისტორიის ცოდნას, იგი გარკვეული აზრით, აუცილებელია – საქართველო შეადარო დანარჩენს ანუ არასაქართველოს – ჩვენ რომ გავიგოთ, თუ რას უდრის ქვეყანა ჩვენი. მე არ შევეხები და არც მაქვს იმის კომპეტენცია, შევაფასო ბატონი ლევანის ისტორიული ნარკვევები საბერძნეთისა და რომის ისტორიიდან. მაგრამ ის კი ყველას შეგვიძლია, ვთქვათ, ჩვენმა ახალგაზრდობამ და ძველგაზრდობამაც უნდა განახლოს კლასიკური განათლება. ცოდნა მაკედონელსა



თუ ცეზარზე. ლევანი ყოველთვის მაღალინტელექტუალურ საქმეს აკეთებდა და განმანათლებელი კაცი იყო.

ქართული სუფრა და ლევან სანიკიძე კარგი სადოქტორო დისერტაციისა ანდა კარგი მხატვრულ-ეთნოგრაფიული ფილმის თემაც იქნებოდა. ბატონი ლევანი, ცხადია, განთქმული ქართველი თამაღების სიას ამშვენებს.

ლევანი ღვინოს, რომ იტყვიან, კარგად სვამდა. ღვინო ათბობდა და არ ათრობდა. სიტყვა აზრიანი და ფრთიანი უხვად მოედინებოდა. იუმორი ჰქონდა, მასპინძლის სკამებს რომ ამტვრევდნენ სტუმრები სიცილისაგან. ის თავის ეროვნულ სატკივარს სიცილშიაც აქსოვდა და ქმნიდა ძალიან სერიოზულ განწყობას – მაშულის წინაშე პასუხისმგებლობის განწყობილებას.

1999 წელს სრულიად საქართველოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის 60-მდე წარმომადგენელი შეკრიბა საპატრიარქოში (მეც ვმონაწილეობდი).

პატრიარქმა შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა; მიზანი: საჭიროა თუ არა, გვექონდეს ეროვნული იდეოლოგია? თავზარი დამცა ჩვენი საამაყო (მე გულწრფელად პატივსა ვცემ მათ დიდ პროფესიონალიზმს) ინტელიგენციის პოზიციამ. – არა, არ გვინდა იდეოლოგია, იგი მარქსიზმის ასოციაციას იწვევსო. და აი, ლევანმა აქ მართლა იშიშვლა იდეური მახვილი ამ შეუნიღბავი კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. ერთი-ორი მხარდამჭერის გარდა ერის ჩინოსანნი გატრუნული უსმენდნენ კოსმოპოლიტებს. ჯერ ერთი, იდეოლოგია, როგორც ტერმინი, ძველბერძნულია; მეორეც, თუ ასეთი ასოციაციები მარქსიზმთან ნერვებს გიშლით, დავარქვათ ეროვნული კონცეფცია. – არა, არა, არ გვინდაო, – იძახდა რამდენიმე აქტივისტი-გლობალისტი.

შეიძლება სახელმწიფო არსებობდეს სასაზღვრო ჯარის გარეშე, თუ მას „ეროვნული ქამარი არ არტყია წელზე?!“ რა მნიშვნელობა აქვს შენ ქართველი ხარ, ბერძენი, ქურთი, რუსი თუ ფრანგი? რა მნიშვნელობა აქვს, ქრისტიანი ხარ, მაჰმადიანი... არც ერთი ეს სარწმუნოება საჭირო არ არის. საჭიროა თავისუფლება და არა წესიერებით შებოჭილობა. როგორია, ბოლოს და ბოლოს, ეს თავისუფლება? ეს არის აღვირის ახსნა, ამეგება. ქართველობა, 3000 წლის ერი, რეალური გაქრობის წინაშე დადგა.

საქართველოს ემუქრება ამორალური პოლიტიკური ცუნამი, გლობალისტური ოკეანე გადაუვლის თავზე და მთავრდება 3 ათასწლეულის ერი? აი, ამ პრობლემაზე კამათი მართლა ტრაგიკული იყო ლევანისათვის და იქ მყოფი 2-3 კაცისათვის. რა უნდა ექნა პატრიარქს? სხვა არაფერი, პატრიარქი რომელიმე ბანაკს ვერ მოემხრობა. იგი მწყემსმთავარია ერისა და ყოველ დაპირისპირებაზე მალლა დგას. მისი ქმედება ლოცვის ძლიერებაშია. პოლიტიკა პატრიარქის საქმე არაა. მან მოიწვია ერის ელიტა და ჰკითხა: – გვინდა თუ არა ქართული საქართველო? არა, არ გვინდაო. ურჯულობას წინააღმდეგობა არ სჭირდებაო.

– ლევანი ძალიან ცუდადაა, – გვითხრა გიორგი ბიჭაშვილმა, ლევანის სიძემ. ვალერი კვარაცხელია და მე მაშინვე მასთან ერთად წავედით სანახავად. ბინაში შესულამდე მოვიკრიბეთ მთელი ფსიქოენერგია, რათა არ შეგვემჩნია ჩვენი სევდა, უნდა გავამხნევოთ როგორმე! ქალბატონი ლილი, გუბაზი და გურამ საღარაძე თავის მეუღლესთან, ქალბატონ მანანასთან ერთად, დაგვიხვდნენ სავარძელში მჯდომ დასუსტებულ ლევანთან. სადაა ის ჩუხჩუხი სიცოცხლისა, მხნეობისა, აგერ ახლა

რომ ჰქონდა 76 წლის ლევანს. ცოტა წავიღიღინეთ ერთად და ცრემლებიც გადავმალეთ...

ცოტა ხნის შემდეგ გურამ საღარაძესთან დარდიანი საუბარი გვქონდა. იგი ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონია, მაგრამ გაცილებით მეტად აინტერესებს თეოლოგია, ვიდრე თავისი საფალავნო თავგადასავალი. – ეეჰ, მართლა რა წამივით გაირბინა ამხელა სიცოცხლის კაცმა?!..

და მაინც ვერ წარმომცდება „საწყალი“ ლევანი. არა, ეგეთი კაცები სულთა სასუფეველში არიან დამკვიდრებულნი. საწყალი ჩვენა ვართ, ისტორიას რომ არ უნახავს, იმ საშინელებას ვუყურებთ. იმ ქვეყანას ტყუილად არ ჰქვია განსასვენებელი. ნათელში დამკვიდრდეს ლევან სანიკიძის სული.

იმ შეხვედრაზეც იყვნენ ადამიანები, რომლებიც საეკლესიო წესს, მარხვისა და ლოცვის წესს იცავენ, მაგრამ სამშობლოს არ იცავენ. ლევანს არ უყვარდა არც ჩვეულებრივი და არც რელიგიური თვალთმაქცობა. ბევრს მის ნაცნობ-მეგობარს ახსოვს ლევანის საყვარელი ადგილები სახარებიდან:

„როცა ლოცულობთ, ნუ იქნებით, როგორც თვალთმაქცნი...

რათა ხალხს თავი მოაჩვენონ...

შენ კი, როცა ლოცულობ, შედი შენს ოთახში, ჩაიკეტე კარი და ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი და შენი მამა, რომელიც დაფარულში ხედავს, მოგიზღავს შენ.

ასევე როცა მარხულობთ, ნუ იქნებით მწუხარენი, როგორც თვალთმაქცნი; ვინაიდან ისინი იმწუხარებენ სახეებს, რათა ადამიანებს მარხულებად აჩვენონ თავი.“ (მათე, 6, 5-6; 16).



## ვენორი ქვაჩახია (1924-1982)

ვენორი ქვაჩახიამ ტიტანური ტანჯვის ცხოვრება განვლო. მაგრამ იგი ბედნიერია, რადგან ამ ტანჯვას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამ ტრაგიკულმა გზამ შექმნა ისეთი მეცნიერი, ჭეშმარიტად მოაზროვნე, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ვაჟკაცი, როგორცაა ვენორი ქვაჩახია. იგი სულ ეჩხუბებოდა უგერგილობას, უნამუსობას, პატარკაცობას, უსამართლობას, ეჩხუბებოდა სიმართლისათვის, კაცს რომ კაცის სახე არ დაეკარგა. საზოგადოდ, სად გინახავთ უტანჯველად მოვლენილი გმირი პიროვნება?

ბატონი ვენორი კალამმომარჯვებული თავისი ნებით არ მიუჯდებოდა მაგიდას, თუ არ ჩასჩურჩულებდა „დაიძმონი“, თუ თვით მოწოლილი აზრი არ აიძულებდა, ეთქვა სათქმელი.

ვენორი ლექციაზეც არათუ დამჯდარი არ უნახავთ, კათედრაზეც კი არ იდგა. სტუდენტების წინ დადიოდა. აზრით, მსჯელობით, ფიქრით კონცენტრირებული, მუდამ დიალოგ-კონტაქტის აღმძვრელი, თავისი ცნობილი პლასტილინით, მარჯვენა ხელში მუდამ რომ ზელდა, ვით მოქანდაკე, აზრებს. დრო და დრო თავის ლამაზ ქოჩორს შეისწორებდა და აგრძელებდა ლაშქრობას ცისკენ. გამზადებული, ნაზებირევი, გაჩერებული აზრების მსმენელი არ იყო მისი აუდიტორია – აი, ახლა ავიდეთ, ვისწრაფოთ ჭეშმარიტებისაკენ... ნამდვილად უპასუხებდა კანტის ცნობილ პრინციპს, სტუდენტებს რომ ეუბნებოდა: – "მე მინდა, თქვენ გასწავლეთ არა ფილოსოფია, არამედ ფილოსოფოსობა." ვენორი სოციოლოგიისათვის დაბადებული კაცი იყო და, მე მგონი, თითქოს სოციო-

ლოგიაც მისთვის გაჩნდა ამ ქვეყანაზე (სადღეგრძელოში ვუთხარი ერთხელ).

ვენორის კათედრა, სოციოლოგიის კათედრა, გაიხსნა 1968 წლის 22 თებერვალს. მანამდე მას სოციოლოგიის კურსიც მომზადებული ჰქონდა და კათედრის მთელი საორგანიზაციო მოდელიც. ეს მოხდა ასე:

ბატონი ვენორი მანამდე მუშაობს იმ კათედრაზე, რომლის წევრიც მეც ვარ – ესთეტიკის კათედრაზე, კათედრას ხელმძღვანელობს აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, რომელიც ამავე დროს გახლავთ საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი. მე საკანდიდატო დისერტაციას ვიცავ ხვალ, ე.ი. 1968 წლის 23 თებერვალს. ჩემი ერთ-ერთი ოპონენტი არის ბატონი ვენორი. მეორე ოპონენტი ბატონი ნიკო ჭავჭავაძეა. უცბად მოდის უნივერსიტეტის სწავლული მდივნისგან შეტყობინება, რომ ვენორს უფლება არა აქვს იყოს ჩემი ოპონენტი. მეზი დამეცა. გვირჩიეს ერთადერთი გამოსავალი – ესაა ბატონი ვენორის სხვა კათედრაზე გადასვლა. ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. თუ ბატონი მინისტრი მოაწერდა ხელს სოციოლოგიის კათედრის გახსნას, დაიწერება ბრძანება ახალი კათედრის შექმნაზე, სადაც, ცხადია, თავისთავად აღმოჩნდება ჩემი ოპონენტი. მაშინ ყველაფერი დიდებულად აეწყობა. მაგრამ ეს ხომ ზღაპარია. ახლა დღის ორი საათია. მინისტრი, ბატონი გიორგი, ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელია, მაგრამ სოციოლოგიის კათედრის გახსნა სარისკოა, საბჭოთა კავშირში „მეუ“-ში სხვა დისციპლინასთან ერთად არსებობს მხოლოდ: მთავრობა კბილებს აკაწკაწებს, სოციოლოგიას ბურჟუაზიულ მეცნიერებად თვლის. ცხადია, არაფერი გამოვა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, გავაცინოთ ეშმაკი-თქო და წავედით, ბატონი ვენორისთან

ერთად, ბატონ გიორგი ჯიბლაძესთან. კაბინეტში შესვლისას ფეხები უკან გვრჩება, ვაითუ, დაგვცინოს: – თქვენ რა, რეალობის გრძნობა სულ დაკარგეთ?! ვენორი ჩემი დისერტაციის დროებით დაცვის ჩაშლას დარღობდა, თორემ კათედრა დღეს თუ არა, ხვალ ხომ გაიხსნებაო. ბატონი გიორგი საოცრად თბილად დაგვიხვდა. მაშინვე მკითხა, როგორაა ხვალის საქმეო. დავიწყეთ ჩემი უბედობის შესახებ. ბატონი გიორგი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მდივანი იხმო – მთავარი ბუღალტერი შემოვიდესო... იქვე დაიწერა ბრძანება საბჭოთა კავშირში პირველი დამოუკიდებელი სოციოლოგიის კათედრის შექმნის შესახებ. მანამდე ბატონმა ვენორმა გააცნო მინისტრს ინფორმაცია „ცნობიერების სოციოლოგიის კურსის შესახებ“, რომელსაც ის უკვე კითხულობდა, მაგრამ კათედრის შექმნის ტემპი მაინც გამაოგნებელი აღმოჩნდა. რომ დავემშვიდობეთ, სულ იმაზე ვოცნებობდით, ნეტავი ბატონი გიორგის ეს ამაგი რაღაცით დამეფუასებინა. შეიძლება კი ყოველივე ამის დავიწყება?!

პროფესორი ვენორი ქვაჩახია ძალიან პოპულარული კაცი გახდა საბჭოთა კავშირში. აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმში ევიაში (საფრანგეთი), მოსკოვსა თუ ლენინგრადში. მას ჭკუას ეკითხებოდნენ ჭკვიანნი ამა ქვეყნისანი. შეიძლება ითქვას, მას, როგორც სოციოლოგს, იმხანად საბჭოთა კავშირში ბადალი არ ჰყავდა. საერთაშორისო შეხვედრებმა მას რწმენა შეჰმატა. ერთხელ, ღიმილს ვერ იშორებს. რექტორის, ილია ვეკუას, კაბინეტიდან გამოსული. – ეეჰ, ჩემო ვენორ, საქართველოში სახელი შორიდან, ამერიკიდან ან საფრანგეთიდან თუ არ ჩამოიტანე, ისე აქ ვინ დაგაფასებს. გადატრიალებაც რომ მოახდინო მეცნიერებაში, – სინანულით შესჩივლა მას ერთ დროს საქართველოდან



განდევნილმა, შემდგომ ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორმა, მსოფლიოში აღიარებულმა მათემატიკოსმა ილია ვეკუამ. მიუხედავად ყველაფრისა, ვენორს მაინც უწევდნენ ანგარიშს, როგორც ძლიერ პიროვნებას. ხელისუფლებაც ფრთხილად, მაგრამ მაინც განეწყო მისი სოციოლოგიური მოღვაწეობის მიმართ. ერთხელ მინისტრთა საბჭოდან დაბრუნდა ერთდროულად აღშფოთებულნი და აღფრთოვანებულნიც. ზოგიერთებმა დაიწყესო კუნკული, — გვინდა ახლა ჩვენ მოსკოვიდან ასეთი დახმარება, თუ არაო. მაგრამ ვიკა სირაძემ (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ) კარგად შეჯვორა ისინი, უთხრა — თქვენ რა, მოსკოვი გვაძლევს და თქვენ წინააღმდეგი ხართო? მაგ ქალის ჭკუა ერთ მთავრობას ეყოფათ....

ბატონი ვენორი მაცნობს დასავლეთგერმანელ ფილოსოფიის დოქტორს, პროფესორს, იგი ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში მუშაობდა. მე ერთ წელზე მეტია, რაც ამ დარგს ვუკირკიტებ, ძლივს გავუგე თავი და ბოლო, მაგრამ დაეჭვებული ვარ, ხან თვით ამ დისციპლინის პერსპექტივაში, ხან საკუთარ თავში. გერმანელი აღმოსავლეთ გერმანიიდან რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა საბჭოთა მარქსისტებზე უფრო მარქსისტი. მაგრამ იგი მთლად გერმანიიდან, ე.ი. დასავლეთიდანაა, ნატურალური გერმანელია. მან იმდენი რუსული იცის, რამდენიც მე გერმანული, ცოტაოდენი ჟესტიკულაციის შეშველება და საკმარისი გახდა ცოტა იუმორიც კი გაგვეჩალებინა, — გავხუმრებულიყავით ერთმანეთს.

მე შიშით შევაპარე გერმანელ კოლეგას — ფილოსოფიური ანთროპოლოგია ანუ ადამიანის შესახებ ფილოსოფია, ადამიანთმცოდნეობა შეიძლება იყოს ყველაფერზე ლაპარაკი და დაგვრჩეს ყველაფრიდან არაფერი. ადამი-

ანს სწავლობს ყველა და ყველაფერი. — ჰო, ეს საშიშროება ამ დისციპლინას აშკარად ეძუქრება, — თქვა სტუმარმა, — მაგრამ... მაგრამ... მერე ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა, მე ზრდილობისათვის ვერტიკალურად მაინც ვუქნევ თავს. შემდეგ კი ჩემი კოზირის გათამაშებას შევეცადე... — მე მაინც მგონია, რომ როგორც მეცნიერული დისციპლინა, რომელსაც აქვს კვლევის საგანი, სფერო და, რაც მთავარია, მეთოდი, ეს არის ჰეგელის ფილოსოფიური ანთროპოლოგია. — არ ვიცი, არ წამიკითხავს, — თქვა სტუმარმა. მე ვიფიქრე, ალბათ, ვერ გავიგე ნათქვამი. მან გამიმეორა: — ჰეგელის ფილოსოფიური ანთროპოლოგია არ ვიცი, არ წამიკითხავსო. ეს ისეთია, კაცმა რომ თქვას, აზერბაიჯანს კარგად ვიცნობ, ბაქო კი არ ვიციო.

კარგა ხანს გაკვირვებული და დანაღვლიანებული მსჯელობდა ამის შესახებ ვენორი, არაერთხელ უთქვამს: — ვაი, შენ ბერავო ქართველოო და აი, რატომ.

მარტინ ჰაიდეგერი! ასე არ წარმოთქვამდა შალვა ნუცუბიძე: მარტინა ჰაიდეგერი! შალვა ნუცუბიძე ხომ ჯიბეში ჩაისვამდა „მარტინსაც“ და სხვებსაც. ჩვენმა პროვინციალიზმმა დაგვაბერავა. დასავლეთის ფილოსოფოსებს, ნებისმიერ დღევანდელ წვრილფეხობას ხომ ფეხზე წამოუდგება ქართველი, გაცილებით მაღალი ღონის ფილოსოფოსი. შალვა ნუცუბიძე უსაშველოდ უყვარდა ვენორს, — ნახე, ნახე, მეუბნება, რა სიამაყით ჩააწერინა გერმანულ ენციკლოპედიაში თავის დაბადების ადგილი „Ich wurde in farzchanakanevi gebozen!“ ნაზარეთიდან რა სიკეთეს უნდა ელოდოო. ასეთი იყო ურწმუნოთა იქედნური აზრი იესოს მიმართ. შალვასეული ხაზგასმა — მე ფარცხანაყანევში დავიბადეო, — უფრო მეტი რიხითაა ნათქვამი, ვიდრე ყველასათვის ცნობილი დიდი ქა-

ლაქის დასახელებისას... ბატონმა შალვამ კარგად უწყობდა, რომ არსთან გამრიგე ღვთის რჩეულებს დიდი ქალაქების მიხედვით არ ამოირჩევს. რომის იმპერიაში დამთრგუნველი ბრწყინვალეობით მორთულ-მოკაზმულ მსახურთა ფონზე, წარმართული კულტურის, თვალისმომჭრელი ხელოვნების ფონზე რაოდენ საწყლად გამოიყურებოდა ცხოვრების დონით ამ იმპერიის პროვინცია, კოლონია იუდეა. მაგრამ აქ მოავლინა ზეცამ, მამაზეციერმა იესო ქრისტე, მანამდე კი დიდი ბიბლიური წინასწარმეტყველნი, მოსე, ესაია, იეზეკიელი, დანიელი, დავითი. რომელი ერთი!!! ბატონი შალვას მოძღვრების აღმოსავლური რენესანსის შესახებ შორს გამიზნული ხედვა ჰქონდა. ბატონი შალვა გრძნობდა, რომ ერთ დროს აღმოსავლეთი შეცვლიდა დასავლეთის ჰეგემონიზმს. აი, დგება ის ჟამი, რომელიც ჩვენს მოაზროვნეთ აწუხებდა...

1971 წელს გამოვიდა 20-წუთიანი სატელევიზიო ფილმი „შალვა ნუცუბიძე“. ფილმის შექმნის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი ვენორი გახლდათ. მე ვარ სცენარის ავტორი, ბატონი ვენორი ფიგურირებს როგორც კონსულტანტი, მაგრამ ლომის წილი მისი დამსახურებაა. გაგიკვირდებათ, გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, მაგრამ თვით ამ ოცწუთიანი ფილმის გადაღებაზე შეიძლებოდა საინტერესო ფილმის შექმნა. ბატონ შალვას აქაც დასდევდა ბედი-მღევარი, ვამბობდით, ახლა რაღა გინდა, ახლა მაინც დასცხრი, ეშმაკ, ახლ მაინც მოასვენე დიდი კაცის სული. სცენარიდან ამოგვალებინეს ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდები – თოვლიანი ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი, ციხის ცივი შენობა... ასეთი რამეები ეწყინებაო საბჭოთა ცენზურას, ამბობდნენ სამხატვრო საბჭოზე. სინამდვილეში კი თავიანთი შურის ცენზურას ასალებდნენ სახელმწიფო ცენზურად. მაგრამ, როგორც



ყოველთვის, იყოჩაღა რეზო ჩხეიძემ და ამ პაწაწკინტე-  
ლა ფილმს მაინც შეუნარჩუნა დიდი შალვას სული. ვე-  
ნორი ბავშვივით ხარობდა, როცა რამდენიმე ფრაგმენტს  
ვუსმენდით, ვუყურებდით და ვტკბებოდით. „Тайна  
Петра Ивера“ ვენორიმ გართობა და მეუბნება: „Тайна  
отношений Сталина и Нуцубидзе, вот самая ве-  
ликая тайна“. საათობით თავი გვიმტვრევია იმ უდიდეს,  
უცნაურ საიდუმლოებაზე, რაც შ. ნუცუბიძეს აკავშირებ-  
და მსოფლიოს უდიდეს საჭეთმპყრობელთან. ამ ქვეყანა-  
ში ყოვლისშემძლე სტალინს პატიმრად ჰყავს უდიდესი  
ქართველი ფილოსოფოსი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმე-  
ლი. აშკარაა, რომ სტალინს უყვარდა ნუცუბიძე, აბა,  
ვის შეიძლება წარმოედგინა ნუცუბიძის მაშინდელი „რე-  
ისი“ – ციხის საკანი – სტალინის კაბინეტი. რატომ მა-  
შინვე არ გაათავისუფლა? რატომ? ვინმესი ეშინოდა  
მსოფლიოს შიშის ზარის მცემელს? იქნება გადაარჩინა  
შალვა?! რატომ არ ლანძღავდა შალვა დიქტატორს,  
„პიროვნების კულტს“, როცა ამისთვის იგი სახელმწი-  
ფოსაგან, ხრუშჩოვისტებისაგან შვებას მაინც იგრძნობდა,  
ლენინის ორდენს თუ არა? ოო, რამდენ კითხვაზე გვიმ-  
ტვრევია თავი თვეების განმავლობაში, დოკუმენტური  
ფილმის „შალვა ნუცუბიძე“-ზე მუშაობისას რეჟისორის,  
აწ განსვენებული რეზო ხუნწარიას კინოსამონტაჟოში,  
სხვა დროსაც და გარკვეული აზრით დღესაც, ვენორის-  
თან საუბარს ვაგრძელებ ამ თემაზეც. დიას, შალვა, რა-  
საც მეც მოვსწრებივარ მის საუბრებს, ყოველთვის სია-  
მაცით, სიამოვნებით იგონებდა სტალინთან შეხვედრებს,  
მაგრამ რას იზამ, სტალინმა ბატონ შალვას უთხრა, პო-  
ლიტიკის ეპოქალური ბოდიში: „Политика Шалва  
Исакович, грязное дело.“ შალვა, რომელიც ნორმაზე  
მეტად ფლობდა რუსულ ენას, სიამოვნებით იგონებდა

„ვეფხისტყაოსნის“ უკვე გადაბეჭდილი ტექსტის შესავალში თუ როგორ ჩაუსწორა ერთი საგულისხმო ნიუანსი, ეწერა: „Перевод Шалвы Нуцубидзе.“, Перевод Шалва Нуцубидзе, Шалва не склоняется“, – დასდინა სოსომ, რომელმაც თარგმანში ერთი სტროფის საკუთარი თარგმანიც აჩუქა შალვას...

1970 და 1971 ახალი წელი მე და ვენორიმ მოსკოვში გავითენეთ. 1970 წელი, 28 დეკემბერი. მატარებლით მივემგზავრებით დიდი ქვეყნის დედაქალაქში. იმდენი საჭმელ-სასმელი მიგვაქვს, ვხუმრობთ, ეტყობა, ამ დამშეულ მოსკოვს ჩვენი იმედი აქვსო. ერთი ყუთი კონიაკი მიშა მესხმაც მოიტანა... კუბეში კარგად მოვეწყვეთ, მეზობლად, მაშინდელ ენაზე რომ ვთქვათ, კომბინატორები მოდიან, დღეს მათ ბიზნესმენები დაერქმეოდათ. მაშინდელი ბიზნესმენები თვალეში შესციცინებდნენ პროფესორებს, ხოლო ახლანდელი პროფესორები – ბიზნესმენებს. მატარებელში პურ-მარილი როცა დრო თავზე საყრელად გაქვს, ძალზე რომანტიკულია, მითუმეტეს გასახსენებლად. ახალდამეზობლებულები მალე დაგვიმეგობრდნენ. მათ სინარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათთვის კარგად ცნობილი, ყველასათვის ცნობილი პიროვნება, ვენორი ქვაჩახია მგზავრობდა და მოილხენდა. გრძელ გზაზე ამბებს რა გამოლევს. არატრაბახით, ბუნებრივად ჰყვებიან – ერთ მათგანს ორი ვოლგა „ჰყავს“, მეორეს ორი „დაჩა“... მე ბინის კარებს ხანდახან ღიას ვტოვებ, – ამბობს ვენორი, – ცოტათი მწყინს კიდეც, რომ ქურდები არ კადრულობენ. ერთ ცნობილ ქურდს გავეხუმრე, ჩემს ბინას რატომ არ ტეხთ-მექი, გატეხვა რად უნდა, კარები მუდამ ღია გაქვთ-და! მარა რა ხეირია იქ, წიგნებს ვის მიყიდი? მეც ჩავერთე, მე ბინა საერთოდ არა მაქვს, რომ ჩიტებსაც კი შურთ ჩემი, ისე თავისუფალი

ვარ, სად დამილამდეს, იქ გამითენდეს, ერთხელ... ვყვები უქონელობის ამბავს... ვენორის თქმით, უნდა გენახათ, რა მდიდრულად ჰყვებოდა არაფრისმქონე, ყველაფრის მქონეს შეშურდებოდალ... ცოტა ხანში ჩვენი მეზობლები ისე მოიხიბლნენ ჩვენი უქონელი სიმდიდრით, რომ მოახდინეს თვითკონფისკაცია, ჰყვებიან (სხვათაშორის, კარგი იუმორით), თუ როგორ შეხვდა ერთი მუთაქა ერთ ქვისლს, მეორე – მეორეს სიდედრის არბიტრაჟით. ის „ვოლგები“ ხომ საუბრიდან აორთქლდა...

31 დეკემბერია. სასტუმრო „მოსკვაში“ ვართ, ოროთახიან ნომერში, რომ იტყვიან, ცხენი გაჭენდება, პირდაპირ კრემლს ჩავყურებთ საყელოში. ლამის დავინახოთ, როგორ სადილობს „გენსეკი“. ფანჯარაში ვიყურები. – ვახო, რა გულმოდგინედ უყურებ ამ კრემლს, რამეს ხომ არ უპირებ?

– არა, სამსახური რომ დავიწყო, ვფიქრობ, რომელ სართულზე სჯობს, რა თანამდებობას შემომთავაზებენ.

– შე კაცო, იმისთანა ჯარისკაცს რა ვუთხარი, გენერლობაზე რომ არ ფიქრობს.

– ე. ი. პირდაპირ „გენსეკობაზე“, Генеральный секретарь?

– რატომაც არა. გურულები ხომ ასე იწყებენ ამბავს: „მე რომ სტალინის ადგილზე ვყოფილიყავი“, „მე რომ ბრეჟნევის ადგილზე ვიყო... ისე კი არა, ასე ვიზამდიო“...

– კარგი იდეაა, ბატონო ვენორ...

ეტყობა, ჩემს მერეც სხვა გურულებიც უთვალთვალელებდნენ კრემლს „მოსკვადან“ და ამიტომაც კრემლმა ეს სასტუმრო ააორთქლა: – ნუ იყურებით აქეთ. თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთო.



31 დეკემბერია. საღამოვდება. წინაღამით ისე დავთვე-  
რით, ამ ღამით საახალწლოდ სხვაგან გასვლა ყოვლად  
მიუღებლად მივიჩნიეთ. აქვე ნომერში ამოვატანინებთ  
რაც საჭიროა, სასტუმროში მყოფ რამდენიმე თანამემა-  
მულეს დაუძახებთ და შევხვდებით ახალ წელს –  
1971-ს. ხელები მოვიფშვნიტეთ ამ ჭკვიანური გადაწყვე-  
ტილების მიღების კმაყოფილებისაგან. არ გასულა ნახე-  
ვარი წუთი, აწკრიალდა ტელეფონი. იგი აქ ხშირად  
წკრიალებდა, მაგრამ მე და ვენორმა ისე შევხედეთ ერ-  
თმანეთს, რომ გულმა რეჩხი გვიყო, ტელეფონი საეჭ-  
ვოდ გვიხმობდა. წინასწარ გამოვიცანით ჩვენი გადაწყვე-  
ტილების სიმყარის საეჭვოობა. – ვახო, შენ აიღე ყურ-  
მილი, ჩემზე უთხარი, თუ მიკითხონ, შეუძლოდ არის-  
თქო...

ავიღე ყურმილი. სასიამოვნო ხმით – გამარჯობა! ვე-  
ნორი არ არის მანდ? – ვინ კითხულობს? – პეტრე  
მშვენიერაძე! – შენ რა გქვია? – მე ვახტანგი. – ჰოო,  
ვახო, გელოდებით სახლში 12 საათისათვის. ისე, რაც  
მალე მოხვალთ, უკეთესია... ამ დროს ვენორი რაღაცას  
მეძახის. ტელეფონის აპარატს მგრძნობიარობა საოცარი  
ჰქონდა. კრემლში გაიგონებ, ვინ რას რეკავდა, ან რას  
ჩურჩულებდა – რაო, მაგ მეგრელი, რაო? დაუძახე ერ-  
თი ტელეფონთან. პეტრემ, ნახევრად მეგრულმა, სრუ-  
ლად იცოდა მეგრული ენა...

მივედით თუ არა, პეტრემ ისე გამაშინაურა, გეგონე-  
ბოდათ, ბავშვობიდან ვმძაკაცობდით. პეტრე მშვენიერა-  
ძეს, წყალბურთის პელედ წოდებულს, კედლებზე გამო-  
ფენილი ჰქონდა თავისი ასპარეზობისა და ჯილდოების  
სურათები. უფროსი ვაჟი კახა „ვსტრეჩაზე“ წავიდაო,  
მოგვიბოდიშა მასპინძელმა. გაგვაცნო კეთილშობილი  
ქალბატონები – დედა და მეუღლე. მომავალი წყალბურ-

თელი ნუგზარი ჯერ ათი წლის ბოკვერი გახლდათ. ვენორი ხარბად ათვალიერებს კედელზე საცურაო აუზის პირს გადაღებულ დიდ ფოტოსურათს, რომელზეც პეტრე საცურაო ფორმაში თავის ვაჟებს შორის მჯდომია გადაღებული. პატარა ნუგზარიც კი ამ შემადგენლობაში გოლიათი ჩანდა.

– ახლა ესეც რაოდენობრივად სამი ქართველია?!.. – მომიბრუნდა ვენორი. დილაძე პეტრემ საოცრად მოგვალხინა, უშრეტე იუმორით.

– ბატონო პეტრე, ჩვენში ლეგენდები დადის თქვენი და გივი კარტოზიას გოლიათურ შერკინებაზე. პეტრემ გადაიხარხარა: – პირველად არ მესმის ეგა. ლეგენდა კი ასეთია: პეტრე წყალბურთის თამაშის დროს წელს ზევით ისე ამოიწვოდა წყლიდან (მე არ მინახავს მისი თამაში), რომ ლამის ტერფით გაივლიდა წყალზე. იგი მოსკოვის „დინამოში“ თამაშობს. პეტრეს გამო თბილისის „დინამო“ ყოველთვის აგებს მოსკოვის „დინამოსთან“. ერთხელ, გამარჯვებასთან ახლოსაა თბილისის „დინამო“, პეტრე წყლიდან ამოიზიდა და უნდა შემუსრომ ჩვენი კარები. ესმის შემახილი: – არ შეაგლო! პეტრემ თითქოს გინებაც გაიგონა. წყლიდან ამოსულ პეტრეს მსოფლიოს რამდენიმე გზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში გივი კარტოზია დაეჯახა. ამ ორი გოლიათის შერკინების სურათი, როგორც ჩანს, მთლად ბოროტი ფანტაზიის ნაყოფი არაა. ბევრს აინტერესებდა, რომელი გოლიათი მოერევაო. პეტრემ თვითონაც მოჰყვა ეს სიუჟეტიც და როგორ უამბობენ ამ ამბავს ერთმანეთს პეტრე და გივი... წლების შემდეგ იგივე სიუჟეტი მოვუყევი გივი კარტოზიას, – იმანაც ბევრი იცინა

როგორც ვრწმუნდები, ცოტ-ცოტა ცრუმორწმუნეობა ყველა მართლმორწმუნესაც კი აქვს. იტყვიან, თვალი არ

ეცესო. ვისი თვალი? მტრის, შურიანის, ბოროტისა? არა, თვალისცემა, ბედისწერაზე ცუდად ზემოქმედება მტრისგან კი არა, შეიძლება ახლობლისაგან მოდიოდეს. მშობლის თვალი არ ეცეს თავის შვილს, მოხიბლული რომ შესცქერის. შეიძლება, კაცს თვითონ ეცეს თავისი თვალი. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ გადაიწერო პირჯვარი, მადლობა ღმერთო. „ღმერთო შენითა და არა ჩემითაო“... მახსოვს, ვენორის სადოქტორო დისერტაციის შემდეგ დიდი ბანკეტი შედგა რესტორან „ისინდში“ (იბოდრომზე). მახსოვს, მიხეილ ქვაჩაჩიას მხარზე შალვა ნუცუბიძის მოხვეული ხელი. გვერდით მდგარი შვილებით ძმები იროდიონი, ვენორი, ნიკოლოზი, ვანო... თვალადობით თვალი იპყრობდა. გულადობით, გონიერებით, ნიჭიერებით განთქმულნი იყვნენ ძმები. მახსოვს, ვილაცამ თქვა ხმამაღლა, ტფუი ეშმაკს, ავი თვალი არ გეცეს, რა კარგები ხართო. ეექვ, რა გითხრათ, აბა, ადრე კი დატოვეთ ეს ისედაც მოკლე წუთისოფელი ამ შესანიშნავმა ქვაჩაჩიებმა.

ათი წელი არაჩვეულებრივი დატვირთვის, მეგობრული ცხოვრებით დატვირთვის წლებია ბატონ ვენორთან. ეს ჩემთვის ფუფუნების წლებია. ბოლო წლებში რაღაცა მოხდა და ვერ ვუძეგობრე, როგორც ჯერ არს. ცხადია, ღალატი და ავადმოსაგონარი არა გეგონოთ. მაგრამ კინაღამ ჩატენილი ხიდი მისმა მძიმე სენმა აღადგინა. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ძმებზე არანაკლები ამაგი დასლო ვალერი კვარაცხელიამ. თუ მე მკითხველს აქამდე იმაზე ვუამბობდი, ქეიფ-ქეიფ როგორ დავდიოდით მოსკოვში (ცხადია, სამეცნიერო საქმესაც ვაკეთებდით), ვალერი მძიმე ავადმყოფს ჭეშმარიტი ძმის მზრუნველობით თავს ედგა საავადმყოფოში. ნეტავი ბევრი შვილი დაიტრაბახებდეს მამის ისეთ მოვლას. სარეცელს მიჯაჭვული





ვენორი თვეობით კარნახობდა ვალერის იმ მონოგრაფიას, რომელსაც ჰქვია – ვენორი ქვაჩახია, „ვეფხისტყაოსანის საიდუმლო“, რომელმაც მხოლოდ ახლა შეისხა ხორცი. იგი ვალერის კარგა ხანია დამუშავებული აქვს. ბევრიც იმუშავა, მაგრამ შეგნებულად არ ჩქარობდა მის გამოქვეყნებას. ახლა ხალხს რევოლუციების პროკლამაციებით აქვს თავი გამოჭედილი, ვის აინტერესებს შენი რუსთაველი. ვენორის გარდაცვალების შემდეგ ვალერიმ გამოსცა წიგნი „ვენორი ქვაჩახია“, რომელსაც უცრემლოდ ვერ წაიკითხავს მკითხველი.

ბატონო ვენორ,

თქვენ ჩემზე უფროსი იყავით 16 წლით. ახლა მე ვარ თქვენზე უფროსი 8 წლით. ადრე დაგვტოვეთ და მაინც ბედნიერი ხართ. მოაზროვნე კაცის აზრის სამჭედლო ტანჯვა ყოფილა. თქვენ გოლგოთას გზაზე გაჰყევით ქრისტეს. ბედნიერი ხართ იმიტომ, რომ ჩემისთანა და ბევრად უკეთეს ადამიანებს ენატრებით, უყვარხართ, სიყვარულში ჩაუქრობელი ვენორ. სასაცილოა, როცა თქვენს სასუფეველს წარსულს უწოდებენ, ეს ხომ ჩვენი მარადიული მომავალია.

## ჟიული შარტავა (1945-1993)

უმძიმესი ჟამი დაგვიდგა, სიკვდილი არ ყოფილა ისეთი საშინელი, როგორც გვეგონა, სიცოცხლე გაგვიმწარდა და იმიტომ. შენ საქართველოს ახლანდელი ტრაგედიის მსხვერპლი და გმირი ხარ. ბედნიერნი არიან შენი ვაჟკაცები, გმირი მამის შვილები. გმირული სიკვდილი გმირულ სიცოცხლეს სჯობიაო. მტერმა სწორად შეაფასა შენი მნიშვნელობა საქართველოსთვის. ასე მხოლოდ ქედუხრელ მამულიშვილებს უსწორდებიან სულმდაბალი მტრები. მიწაც არ მიიღებს ადამის ტომის ამ შემარცხვენელთ.

კარგა ხანს ვეძიე, თუ აშენებულა საქართველოში ქალაქი, ერთი კაცის სახელს რომ უკავშირდებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს საუკუნეში ასეთი ფაქტი არა გვაქვს. შენ ააშენე ახალგაზრდების ქალაქი, სადაც სიცოცხლე და ინტელექტი ჩქეფდა. აქ ზოგიერთ საერთაშორისო კონფერენციასა თუ სემინარში მეც მიმიღია მონაწილეობა. ვიმედოვნებ, ამ ქალაქს შენი ძეგლი და სახელი დაამშვენებს (ეს აზრი მარტო მე არ მეკუთვნის).

ყველგან აღმშენებელი იყავი, ქალაქისა თუ ადამიანური ურთიერთობებისა. კონფლიქტებიდან მეგობრობა ავიშენებია. მაგრამ იმ ურჯულოთა ქმედებას სახელი არა აქვს. ამ მიწა-წყალს შენი წმინდა სისხლიც განბანს ამდენი ცოდვისაგან. კურთხეული იყოს შენი სახელი, უფლის წყალობით შენ დაიმკვიდრებ სასუფეველს.

2 ოქტომბერი, 1993 წ.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

(სიტყვა, წარმოთქმული ჟიული შარტავას დაკრძალვაზე)

## დავით ჩხიკვიშვილი (1921-1987)

დავით ჩხიკვიშვილს იცნობდნენ როგორც ძლიერსა და უშიშარ კაცს. ამიტომაც იყო საოცრად დამთმობი, რბილი თანამშრომლებთან ურთიერთობაში. ვინც მისი საბრძოლო ბიოგრაფია იცოდა, ლეგენდებს ჰყვებოდნენ, როგორ დაბომბა ბერლინი, როცა გერმანელები მოსკოვს უახლოვდებოდნენ. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება არა, მაგრამ მიღებული ჰქონდა ლენინის ორდენი და სხვა 8 ორდენი, როგორც მამაც მფრინავს. ჩხუბს და ჭიჭყინს თავის ძალებში დაეჭვებული ადამიანები იწყებენ ყოველთვის, ბატონ დავითს ასეთი პრობლემა არ ჰქონდა.

1978 წლის 14 აპრილიდან დიდი დრო არ გასულა. ცოტაც დარჩა და გაიხსნება 14 აპრილის საიდუმლო. მე ამას სენსაციისთვის არ ვამბობ. მანამდე, საიდუმლოების გარეშე შევხედოთ ერის ისტორიაში, კერძოდ, ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ჯერ არსებული საზოგადოებრივი აზრის გადასახედიდან. უდავოა, რომ ეს იყო ერის არნახული კონსოლიდაციის დღე. ქართველების ასეთი ერთად ღგომა არც მანამდე გვენახა და არც შემდეგ გვინახავს. ყოველ შემთხვევაში, მეოცე საუკუნეში მაინც. იმ დღეს მილიცია, უშიშროება თუ საშიშროება – ყველა ერთად იყო, ყველას პირზე ეკერა: – მშობელ ენას არ დავთმობთო. ამ ღონისძიების მაშინდელ პროცესს არ აკლდა დამაბულობა და საშიშროების განცდა. 1956 წლის ლანდები ელანდებოდა თბილისს. გაბედულებაც იყო საჭირო და გონიერებაც.

თუკი ვინმე იმსახურებს 14 აპრილის ისტორიაში ჯილდოს, უფალმა უწყის, – ეს დავით ჩხიკვიშვილია



(ამ ღონისძიების მთავარ ორგანიზატორს მე არ ვასახე-  
ლებ). ბატონმა დავითმა ცკ-შიც გაიხსენა მფრინავის  
გამბედაობა და უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექ-  
ტივის სახელით გააფრთხილა კრემლი – რომ ჩვენ უკან  
არ დავიხევთო.

ბატონი დავითის მაშინდელი გმირობა საკმაოდ ადრე  
გახდა ცნობილი, მაგრამ თვითონ ბატონი დავითი ამ  
მოვლენით მაინცდამაინც თავს არ იწონებდა. როგორც  
ჩანს, პირადად თავისთვის ეცოტავებოდა ეს გმირობა  
იმასთან შედარებით, ბერლინს რომ ბომბავდა, როცა  
გერმანელები მოსკოვს ბომბავდნენ. ეეჰ, იყვნენ ვაჟკაცე-  
ბი!

15 აპრილის დილას შევადე რექტორის კაბინეტი თუ  
არა, სკამიდან წამოხტა, ტუჩებზე თითი მიიტანა ამ ცა-  
რიელ კაბინეტში, მაგრძნობინა არაფერი თქვაო. ძალიან  
მგრძნობიარე იყო მაშინდელი კედლები. კარგი ყურები  
ჰქონდა კედლებს! ბატონმა დავითმა გულზე მიმიკრა, გა-  
დამკოცნა და კარებს და კარებს შუა ჩამიჩურჩულა: –  
არ ილაპარაკო, ბიჭო, არ გინდაო... გულით მივულოცეთ  
ერთმანეთს ეს გამარჯვება. მე ამ გამარჯვების მოწმე  
ვიყავი.

ყოველი შემთხვევისათვის გთხოვთ, გაიხსენოთ 14 აპ-  
რილის უმაღლესი საბჭოს სესიიდან ის ინფორმაციები  
საზოგადოებრიობის მოთხოვნებისა. უნივერსიტეტიდან  
გამოცხადდა 1300 თანამშრომლის მოთხოვნა. ეს ბატონი  
დავითის და იმ თანამშრომლების დამსახურებაა.

„გავეცანით და ვიწონებთ საქართველოს სს რესპუბ-  
ლიკის კონსტიტუციის პროექტს.

გვაქვს წინადადება, შესწორდეს პროექტის 75-ე მუხ-  
ლი ამგვარი ფორმულირებით:

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ქართული ენა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია ხმარება რუსულის, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.“

გარდა იმ დიდი ტალღისა, უნივერსიტეტის სტუდენტობამ რომ წამოიწყო, მას ჰქონდა ის ზურგის ქარი, 1300 თანამშრომლის მოთხოვნა რომ ჰქვია. ყოველივე ამ მოვლენების უკან, კადრში რომ არ ჩნდება რეჟისორით, იყო დავით ჩხიკვიშვილი.

ბატონ დავითს რით გააკვირვებდით. ამიტომაც, მან ჩააქრო მისი ამ გმირობისადმი დაფნის გვირგვინის ცერემონია.

ბატონმა დავითმა მშვენიერი მონოგრაფია გამოსცა „სუბტათაშვილ-იუჟინის“ შესახებ. იგი ფართო და მდიდარი ბიოგრაფიის კაცი იყო: დაწყებული საბჭოთა კავშირის მარშლებიდან, ზოგიერთებთან მეგობრობდა, ფართო ურთიერთობა ჰქონდა სსრ კავშირის თეატრალურ და საზოგადო მოღვაწეებთან. ამით მან ბევრი იცოდა საცოდნელი, რაც წიგნებშიც არ გვხვდება ყოველთვის.

ერთხელ ბატონი დავითი მეუბნება: – ბიჭო, გერმანული თუ რუსული კულტურის შესახებ ქართულად წერე წიგნები, მაგრამ ქართული კულტურის შესახებ დაბეჭდე რუსულად და უცხო ენებზე, თუ არა ფოილოს ხიდს იქეთ არავის ეცოდინება ჩვენი ავ-კარგი. ბატონი დავითი ჯავშანი იყო. პროგრესული აზრებისა, ვისი აზრიც არ უნდა ყოფილიყო – პირადი მტრისა თუ მეგობრისა.

დიდი საქმეები ხანდახან როგორ უბრალოდ წყდება. უნდა ვიამბოთ ბატონი დავითის ერთ-ერთ სიკეთეზე. რუსეთს XX საუკუნეში არ ჰყოლია ალექსეი თეოდო-

რეს ძე ლოსევისოდენა ფიგურა ანტიკური ფილოსოფიისა და ფილოლოგიის საქმეში. მან კარგა ხანს გაატარა თავისი ცხოვრება გადასახლებაში. წლების მანძილზე რეპრესირებული, პოლიტიკურად არასაიმედო ლოსევი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კარგა ხანს შევიწროებული იყო და კაცმა რომ თქვას, ვერც სიკვდილის წინ ეღირსა სრულ თავისუფლებას. ა. თ. ლოსევს საოცრად უყვარდა ქართული ფილოსოფიის ისტორია, დიდი ნდობა და მხარდაჭერა გამოუცხადა ნუცუბიძე-ჰონიგმანის აღმოჩენას პეტრე იბერთან დაკავშირებით. შეგახსენებთ: საუკუნეების მანძილზე (V საუკუნიდან) უცნობი იყო, ვინ იღვა გენიალური თეოლოგიური წიგნების „არეოპაგიტული“ წიგნების უკან. მანამდე პირობითად, გაურკვეველად, მას მიაწერდნენ დიონისე არეოპაგელს. მაგრამ ხანგრძლივი კვლევის შემდეგ ეს დიდი საიდუმლოება „Тайна Дионисия Ареопагита“ გახსნა ჩვენმა საამაყო ფილოსოფოსმა შალვა ნუცუბიძემ (პარალელურად, სრულიად დამოუკიდებლად, იმავე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი ჰონიგმანი). ცოტა მოგვიანებით ამ საკითხზე ავტორიტეტული აზრი გამოთქვა და სრულად დაუჭირა მხარი ნუცუბიძის თეორიის იმ აზრს, რომ გენიალური არეოპაგიტული წიგნების ავტორია V საუკუნის მაიუმის ეპისკოპოსი, ქართველი პეტრე იბერი. გარდა ამისა, ლოსევს ძალიან უყვარდა ქართველი ფილოსოფოსები და ფილოლოგები, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მათთან. და აი, ანტიკური ფილოსოფია-ფილოლოგიის ამ ქურუმს 1983 წლის 23 სექტემბერს უსრულდება დაბადებიდან 90 წელი. მოსკოვში თავისი საყვარელი მოწაფეები, დიდი ინსტიტუტები ვერ ბედავენ, აღნიშნონ ამ დიდი მეცნიერის იუბილე ისე, როგორც ჯერ არს. პროფესორმა გურამ თევზაძემ შეაგრო-



ვა ქართველი მეცნიერების ნაშრომები და მოამზადა საფუძვლიანი უბილყო კრებული. ბატონმა გურამმა მეც შემოძოთავაზა და კრებულში მოთავსდა ჩემი ნაშრომი სათაურით „Титанизм и неотитанизм“. კრებულის გამოცემის საკითხში ვეხმარებოდი ბატონ გურამს და ამიტომ მოხლოვა, ამ კრებულის გამოშვების პასუხისმგებელი მდივანი ვყოფილიყავი. მე, მაშინ პარტკომის მდივნის მოადგილე, ვცდილობდი, კრებულს მწვანე გზა ჰქონოდა. ეს არც ისე ადვილი საქმე გახლდათ. კრებული რომ ქართულ ენაზე ყოფილიყო, არავითარი პრობლემა არ იქნებოდა. მაგრამ ერთ არამშვენიერ დღეს მოსკოვიდან ჩვენს გამომცემლობაში მოვიდა უარი Остановить издание книги. ეს ნიშნავდა ასეთ „ხუმრობას“ – წერეთ და იკითხეთ თქვენთვისო. შევწუხდით ფრიად. არადა, მოსკოველ პროფესორებს ჩვენი იმედი აქვთ (რამდენჯერ უნდა ვუშველოთ ამ მოსკოვს ქართველებმა?!). რეკავენ წამდაუწუმ. ისევ ჩვენი იმედი აქვთ მოსკოველ ლოსევისტებს. არადა, რა გინდა, რომ ქნა? მოსკოვმა თბილისელებს აუკრძალა მოსკოველ დიდ მეცნიერზე წიგნის გამოცემა. ერთ დღეს დაგვირეკეს და გვითხრეს: – კარგი ამბავი უნდა გახაროთო (ლოსევს ამ დოს შეუჩერეს წიგნი „სოლოვიოვი“). ლოსევმა მისწერა წერილი ანდროპოვს, სკკპ-ს გენერალური მდივანს „სოლოვიოვის“ მონოგრაფიასთან დაკავშირებით. ანდროპოვმა ლოსევის წერილს საოცარი რეზოლუცია გაუკეთა: „Соловьев – наша культура, Лосев – наша культура“ ფრთაშესხმული მოსკოველები გვირეკავდნენ – ეს ხომ თქვენთვისაც კარგია და თქვენი კრებულიც გამოვაო. დღე დღეზე ელოდეთ ზარსო. გავიდა ერთი კვირა, გავიდა ორი კვირა, გავიდა მესამეც და მოსკოველებმა ოხვრით დარეკეს – ეეჰ, როგორც ჩანს, არც ისე ადვილად დადის გენსე-

კიდან წამოსული რეზოლუციები მიწაზეო. სხვათაშორის, მანამდე გენსეკის დავალებით ბატონი ირაკლი ჩხიკვიშვილი ეწვია ლოსევს სახლში. ბატონი ირაკლი მაშინ გახლდათ სსრკ-ს სახელმწიფო გამოძცემლობებისა და ბედჯვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. სამი კვირის შემდეგ მირეკავს პროფესორი ბიჩკოვი, მიხსნის სავალალო მდგომარეობას, ლამის კენესის კაცი – დეგეგმილი საიუბილეო ღონისძიება 23 სექტემბრისთვის ვეღარ შედგება, თუ ეს წიგნები არ გვექნებაო. იქნებ ისევ თქვენ, ქართველებმა, მოიფიქროთ რამე, ჩვენ უძღურნი ვართო. მაშინ დავრწმუნდი, რომ რუსები მართლა ცოდვები არიან ქართველების გარეშეთქო. თანაც ვილაცყებს ვეხუმრები, – გენსეკმა რახან ვერ გადაწყვიტა, გოგუაძესაც გაუჭირდება-თქო. ცხადია, საკუთარ თავს ვაშაყირებ. უცბად ამ ხუმრობა-ხუმრობაში გამიელვა ერთმა აზრმა, კაბინეტში ჩავიკეტე და მთავრობის ტელეფონზე ნომერი ავკრიფე. ბატონი დავითი მაშინ მუშაობდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად. ვფიქრობ, ბატონ დავითს მე ისე ვუყვარვარ, უარი არაფერზე უთქვამს და ახლაც, თუ შესაძლებელია, უარს არ იტყვის. მაგრამ ეს ისეთი სარისკო სიმაღლეზე მყოფი საკითხია, მისი ძმის, ბატონი ირაკლის კარიერაც ხომ არ უნდა შეეწიროს. რაც არის, არის. ავუხსენი პრობლემის სირთულე: „ბატონო დავით, დღეს კი ძალიან არამოდურია ამ დიდი მეცნიერის მხარდაჭერა, მაგრამ ხვალ რომ სრულად აღიარებენ. ღმერთი არ დაგივიწყებთ ამ სიკეთეს. ეს ქართველი ინტელიგენციის დიდი გამარჯვება და მაღლი იქნება.“ ასე დავამთავრე ჩემი თავხედური თავმდაბლობა და ველოდები მის განაჩენს. ნახევარწუთიანი პაუზა გულისცემის სიჩქარის მიხედვით დიდი აღმოჩნდა: „კარგი, ვახ-

ტანგ, მე ახლავე დავურეკავ ირაკლის...“ ცოტა ხნის შემდეგ. ალბათ ორი საათის შემდეგ, გადავედი უნივერსიტეტის გამომცემლობაში და ორი საათი ბატონ ვალერიანთან და ბატონ ნიკო ბერძენიშვილთან ვსაუბრობდი. ნიკო ბერძენიშვილი ამბობს, – რას ვიცინებ ახლა, ეს ამბავი რომ გამოვიდეს, იტყვიან ანდროპოვმა ვერ გადაწყვიტა, მაგრამ გოგუაძემ ხომ გადაწყვიტაო. ამ სიცილ-ხორხოცში გაგატარეთ ორი საათი. გამოვემშვიდობე და სწრაფად დავეშვი კიბეზე. აწკრიალდა თურმე მოსკოვის ზარი. ბატონი ვალერიანი ყვირის – დაუძახეთ ვახტანგს, არ წავიდესო. მაგრამ ვეღარ დამეწივნენ. მოსკოვი კი ასე აჭიკჭიკდა: „Постарайтесь издать сборник на приличном полиграфическом уровне“. იმ დღეს ბატონ დავითთან ჩემი საუბრის შემდეგ ზუსტად ოთხ საათში აწკრიალდა მოსკოვის ტელეფონი. მეორე დღეს დილიდანვე გამომცემლობამ ფორსირებულად დაიწყო კრებულის ბეჭდვა. გამომცემლობას ბრძენი ადამიანები ხელმძღვანელობდნენ, აქაოდა დაყოვნების შემთხვევაში მოსკოვში სხვა ბიუროკრატს რამე არ გაჰკრას თავში და კვლავ არ გვიბრძანონ: არ დაბეჭდოთო. ჩვენ ფაქტის წინაშე უნდა დავაყენოთ: – რა ვქნათ, ბატონო, უკვე შემოგვებეჭდა წიგნით. სულ რამდენიმე დღეში სამი ათასი ეგზემპლარი, გარეკანზე ლოსევის პორტრეტით, მზად იყო. მაშინვე 1500 ცალი გავუგზავნე ლოსევის მეუღლეს, პროფესორ ტახოგოდის. 23 სექტემბერს ეს წიგნი და ბატონი გურამ თევზაძე ლოსევის სახლში იყვნენ. მე კი იმ დღეს კიევში გახლდით ჩემი დისერტაციის თაობაზე. იუბილე დაინიშნა 12 დეკემბერს. უნდა გენახათ გადაჭედული დარბაზში ნახევარი ქართველები ვისხედით. ცნობილმა ფილოსოფოსმა არსენი გულიგამ ტრიბუნაზე თბილისური კრებული მაღლა ასწია



და თქვა: ოცი წლის წინათ თბილისში ჩატარდა საკავშირო სიმპოზიუმი აქსიოლოგიის (ღირებულებათა) შესახებ. „Молодцы грузины“, მათ ნამდვილად დაამტკიცეს, რომ იციან ფასი ფასეულობათა. საბოლოო სიტყვა ლოსევმა წარმოთქვა ლათინურ და რუსულ ენებზე, რომელიც დაასრულა ასეთი ფრაზით: „С ВАМИ ГОВОРИЛ УМИРАЮЩИЙ ЛОСЕВ“. 90 წლის უსინათლო კაცი (დაბრმავებული იყო ბოლო 20 წელი) საოცარი ნათელი გონებით და აზრით მოეფერა მეცნიერებს, ყველა იქ დამსწრეთ. ჩვენ კი დავმწკრივდით და სავარძელში მჯდომარე ალექსი თეოდორეს ძეს ვაკოცეთ.

ცხადია, იქ და სხვა დროსაც ნაკლებად გახსენებით ამასთან დაკავშირებით ძმები ჩხიკვიშვილების ღვაწლი, მაგრამ ამას არც ითხოვდნენ ისინი. უფალი ხედავს ყველაფერს. უფალში იყოს მათი სულები.

## აბონ ციციაშვილი (1931-2002)

აბონ ციციაშვილმა ქრესტომათიული სიბრძნის აზრი თქვა. მე მის ციტირებას ხშირად ვახდენ, განსაკუთრებით ბოლო წლებში რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნებში: „მე ებრაელი კაცი ვარ, ქართველი ებრაელი. მისხალით ნაკლებად არ მიყვარს ქართველი ვიდრე ებრაელი. მაგრამ მე მიყვარს ნამდვილი ქართველი თავისი რჯულით, თავისი ხასიათით. თუ ქართველმა თავის რჯულს უღალატა, ის მე არ მიღალატებს?!“

– ბატონო აბონ, ახლა კი დავრწმუნდი, რომ ბიბლია მართლა თქვენი დაწერილია.

– რავა, აქამდე ეჭვი გეპარებოდა, თუ?

– არა, მაგრამ თუ მასში ქართველი ებრაელებიც მონაწილეობდით, არ მეგონა.

ვიცინეთ ბევრი. ღმერთი ხომ ერთია? ერთია, ერთი! ახლა ეს დედამიწა ისე დაპატარავდა, შეიძლება გლობულის ოდენა გახდეს, თუ ისევ ღვთის სასწაულით ადამიანები არ იქცნენ ადამიანებად... აბონს ვთხოვე ერთხელ, ჩვენ რომ გაჯავრებთ, – საბჭოთა მუშტებით როგორ აშინებდი რეიგანს, მოდი ერთი გაიხსენეთ. აბონმა სიამოვნებით დააჯავრა აბონს: – „ასე რომ, რეიგანს ავიწყდება ქართული ანდაზა, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.“ ძალიან საყვარელი კაცი იყო. სიცოცხლით სავსე, იუმორით აღსავსე...“

– ამ რამდენიმე წლის წინათ აბონმა გადმომცა უზარმაზარი საქალაქე, იმდენად უზარმაზარი, რომ ვკითხე, ეს მარტომ მოიტანე? – მე კი მოვიტანე მარტომ, მაგრამ შენ რა გეშველება, მარტომ რომ უნდა წა-

ილო სახლში და წაიკითხო. წიგნის სათაურია „ებრაელები და საქართველო 2000 წელი ერთად“.

გადავშალე თავფურცელი და ვკითხულობ იმ სიტყვებს, რაც დღეს წიგნის შესავალში, ბატონი აბონის ფოტოსურათის ქვეშ არის დასტამბული:

„ამ წიგნს ვუძღვნი მსოფლიო ისტორიის უნიკალურ ფენომენად აღიარებულ ქართველთა და ქართველ ებრაელთა 26 საუკუნოვან მეგობრობას“.

წიგნის სარჩევს აბონის თანდასწრებით ვფურცლავ. შევჩერდი სტალინის კრიტიკაზე და პარაგრაფზე – „სტალინი და ებრაელები“. – აბონ, წინასწარ გეტყვი, ძალიან გამიკვირდება, თუ სტალინი ანტიისემიტად გყავს გამოყვანილი. – რას ამბობ. აი, ნახავ, სტალინს ებრაელები უფრო აფასებდნენ, ვიდრე, არ გეწყინოს და – გურულები (სიცილით). წიგნიც წავიკითხე, სიამოვნებაც მივიღე და ბევრი ისეთი ინფორმაციაც, რასაც ვერ ნახავდი სხვაგან. თვალსა და ხელს შუა გაფრინდა წლები. აბონიც წავიდა ამაწუთისოფლიდან, მაგრამ გაცოცხლდა მისი კოლოსალური ნაშრომი (თბილისი, 2003).

წიგნს წამძღვარებული აქვს პროფესორების: დევი სტურუას, ვახტანგ გოგუაძის, ნელი ჩაფიძის, ჯანგირ მამალაძისა და ირაკლი ანდრიაძის რეცენზია-წერილები. რა თქმა უნდა, საქართველოში არ მეგულება ინტელიგენტი, რომელსაც განსხვავებული აზრი ჰქონდეს ქართველ ებრაელთა მიმართ. ჩვენი დამოკიდებულების შესახებ ებრაელებმა საოცარი სითბო აჩვენეს მსოფლიოს. განსაკუთრებით კი ეს გამოჩნდა მათი საქართველოდან აღთქმულ მიწაზე დაბრუნდები შემდეგ. ეს ჭეშმარიტად უნიკალური ურთიერთობაა, რაც ბევრგზის კეთილად დახვედრია წინ ჩვენს ხალხს ხილულად თუ უხილავად. მე ბოდიშს მოვიხდი მკითხველის წინაშე და გამოვიჩენ



სისუსტეს, მოვიტან ამ წიგნიდან ჩემს რეცენზიაზე გაკეთებულ ბატონი აბონის მინაწერს:

„ბატონი ვახტანგის ამ მეტად გულთბილ წერილს დავუმატებდით მხოლოდ ერთ შტრიხს, რომელიც კარგად გამოხატავს მის დამოკიდებულებას ქართველ ებრაელთა მიმართ.

1995 წლის თებერვალია. ფესახამდე – ებრაელთა დღესასწაულამდე – ერთი თვე რჩება. ფესახში ებრაელობამ გაუფუებელი პური – მაცა – უნდა ჭამოს. ღვთის ნებით, წინასწარმეტყველმა მოსემ 40 წელი ატარა ებრაელობა უდაბნოში. აი, მაშინ ებრაელობა პურის ნაცვლად ხშიადით (მაცით) იკვებებოდა. იმ დღიდან მოყოლებული მსოფლიოს ებრაელობა ყოველწლიურად აღნიშნავს რა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსვლის დღესასწაულს, არ ჭამს პურს, იკვებება მაცით. 26 საუკუნეა ქართველ ებრაელებს ეს წესი არ დაურღვევია. მაცის გამოცხობა ელექტროენერჯის შეუწყვეტელ მიწოდებას მოითხოვს. დედაქალაქში კი ეს მაშინ საკმაოდ რთული პრობლემა იყო. თბილისის მორწმუნე ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბატონმა იოსებ დავითაშვილმა ბატონ ვახტანგს, რომელიც იმხანად საქართველოს პარლამენტის სპიკერი იყო, თხოვნით მიმართა. მან გულთან ახლოს მიიტანა ეს პრობლემა და წერილს ასეთი რეზოლუცია დაადო: „ქ. თბილისის მერს, ბატონ ლეკიშვილს. ჩვენი ებრაელი ძმების მოთმინება და დიდსულოვნება თქვენთვის კარგადაა ცნობილი. თუ მართლა საღმრთო აუცილებლობა არაა, არაფერზე შეგაწუხებენ. ძალიან გთხოვთ, შევესრულოთ ეს თხოვნა. ვ. გოგუაძე, 20.02.95წ.“

რა თქმა უნდა, მაცა შეუფერხებლად გამოცხვა.“ (გვ. 17)

ლამის საათი მოუნდება ბატონი აბონი იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიების ჩამოთვლას, რომელთა წევრიც თვითონაა. ძალიან გაუხარდა ჩვენი აკადემიის წევრად არჩევა (პრეზიდენტი პროფესორი გრიგოლ ჟვანია).

კაცს, რომელსაც ასე უყვარდა საქართველო, ღირსია იგი უყვარდეს საქართველოს. აბონ ციციაშვილი ნამდვილი თბილისელი იყო, ყოველთვის სიყვარულით გაიხსენებს მას თბილისი, მისი ფუნდამენტური ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ხალხების მომავალ მტკიცე მეგობრობაში.

## სავლე ჟურნალი (1907-1966)

საბჭოთა კავშირში დიალექტიკური ლოგიკა პირველად თბილისის უნივერსიტეტში იკითხებოდა მისი შემქმნელის, პროფესორ სავლე წერეთლის მიერ. ბედნიერება მხვდა წილად, მოხალისედ წელიწადნახევარი მესმინა ეს კურსი მეზობელ ფაკულტეტზე, ფილოსოფიის ფაკულტეტზე. კურსზე 10 სტუდენტი სწავლობდა, მეთერთმეტე მე – „ვოლონტიორი“ – ვიჯექი აუდიტორიაში. ესენი ჩემი მეგობრები იყვნენ, ბატონმა სავლემ რაჭული მოთმინებით ერთი სემესტრის მერე მკითხა: – შენ ვინ ხარ? – მე ფილოლოგი ვარ! – მერედა, ფილოლოგს რად უნდა დიალექტიკური ლოგიკა? – ბატონი სავლე არაჩვეულებრივად თბილი, უკეთილშობილესი კაცი იყო, მიხვდა, რომ შეკითხვა არ მესიამოვნა. – არა, ისე გითხარი, დაბრძანდი... ეს ისეთი თბილი ღიმილით იყო ნათქვამი, რომ სიტყვიერ კომპლიმენტს სჯობდა.

წლის ბოლოს გამოცდა აქვთ დიალექტიკურ ლოგიკაში. იქაური სტუდენტი, ჩემი მეგობარი დევი ბეჭვავია, მეუბნება: – ვახო, მოდი გამოცდაზე, რა გენადვლება, ჩააბარეო. – მე უარი ვუთხარი იმიტომ, რომ ვერ ჩავაბარებდი, ყოველ შემთხვევაში, კარგად მაინც ვერა. მე ბატონი სავლეს აზროვნების გავლენას განვიცდიდი. აზრებს ვერ ვიხსომებ. რაღაცას იმ ხანებში ვცოდვილობდი, ვაჟას მიმართ ვფილოსოფოსობდი. მერე დავაყურადე ჩემს ნაწერებს და მასში სავლე წერეთლის აზროვნების სუნთქვა ვიგრძენი. ეს იყო ღონიერი გონების, ღონიერი აზროვნების კაცი; მიძინებულ გონებას გაგიღვიძებდა, მსჯელობის სითამამის მუხტს გადაგდებდა. მე დიალექტიკური ლოგიკა ლოგიკური აზროვნების გამომუშავები-



სათვის მჭირდებოდა. თუ ვერ გაიგებდი, ვერ გაძლებდი და გაანებებდი თავს.

რამდენიმე დღე გრძელდებოდა, თუ არ ვცდები, ორი კვირა, დისკუსია, საჭიროა თუ არა დიალექტიკური ლოგიკა. მისი ოპონენტი იყო ფორმალური ლოგიკა, რომელიც 25 საუკუნეა არისტოტელედან მოყოლებული ჰეგელამდე დამკვიდრებული იყო. როგორც აზროვნების მეფე, ფორმალური ლოგიკა ამბობს: წანამძღვარიდან გამომდინარე დასკვნა უნდა იყოს სწორი. ის არის აზროვნების სისწორის ოპერაცია. ის შეიძლება იყოს ჭეშმარიტი და შეიძლება არა. ჭეშმარიტების შემეცნება სხვა დისციპლინების საქმეა. დიალექტიკური ლოგიკა კი სწორედ ჭეშმარიტების შეცნობის, ლოგიკურად სწორად შეცნობის დისციპლინაა. მე, ცხადია, დიალექტიკური ლოგიკის მომხრე ვიყავი და არა აზროვნების გრამატიკისა (მწერალმა გრამატიკა შეიძლება არ იცის, მაგრამ გრამატიკოსზე უფრო კაი ქართულით წერს!). ეს დისკუსია აზროვნების გოლიათური შერკინება იყო. ეს მიმდინარეობდა „იმელის“ იმ დარბაზში, სადაც მე 32 წლის შემდეგ თურმე პარლამენტის სხდომები უნდა წამეყვანა. სხდომების დროს ხშირად ცოცხლდებოდა ჩემს თვალწინ 32 წლის წინანდელი ის პაექრობა და ვადარებდი ამ პაექრობას...

სავლე წერეთელი სისხლით ხორცამდე ფილოსოფოსი, ბუნებრივია, იდეალისტია. მატერიალიზმის ფილოსოფია არც არასდროს სწამდა. მაგრამ ბატონი სავლე დიქტატურას უმტკიცებს, რომ დიალექტიკა მარქსიზმის საყრდენია და იგი იდეალიზმს საკუთრებად არ უნდა დავუტოვოთ. ეს თეთრი ძაფით შეკერილი დეკლარაცია განლდათ, თავისი ფილოსოფიური პრაქტიკით კი იგი ჰეგელინელია, იდეალისტი ფილოსოფოსია. არაერთგზის

მიუხვდნენ „ემპაკობას“ კომუნისტები და უწერდნენ ჩივრებს. ბევრი წვალემა გამოიარა მან სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებით და შემდეგაც. ბატონ სავლესთან მეგობრობდა გივი (სტეფანე) სახაროვი. ბატონი გივი ძალიან საყვარელი, კეთილი და პატიოსანი კაცი, მეტსახელად „ბაბაია“, ვერ იტანდა შპიონ და მახეზღარ ფილოსოფოსებს. თავის ფილოსოფოსობაზე თვითონ ხუმრობდა: ერთხელ „ბაბაია“ გამოიძახეს ცეკაში და უთხრეს, — შენ ხომ სავლე წერეთელთან ერთად სანადიროდ დადიხარ? — დავდივარ, კი ბატონო! — აბა, ახლა გვითხარით, ხომ არის იგი იდეალისტი და საზღვარგარეთის აგენტურასთან შეკრული? — ყოლიფერს გეტყვით, ბაბაია. ამას წინათ ვკითხე სავლეს: — მართლა ხომ არ ხარ იდეალისტი-მეთქი. სავლეს გაეცინა და არაფერი მიპასუხა. 15 წუთის შემდეგ ესროლა და მწყერი არ ჩამოაგდო?! აიღო ხელში მწყერი და მითხრა: — გივი, ნახე ერთი, ეგ მართლა მწყერია თუ მწყერის იდეა. — რას ამბობ, სავლე, ნაღდი მწყერია. — ჰოდა ცკ-ს შვილები დავუფიცე, რომ მწყერის იდეა არ მოუკლავს სავლეს-მეთქი. შენ იმაზე უარესი ყულიკი ხარ, ეტყობაო. და ცეკამ კინწისკვრით გამოაგდო გარეთ მაშინდელი დროის შვეიკი, ბატონი გივი სახაროვი.

დიალექტიკის ფილოსოფიურ განხილვას მე არ შევუდგები. ესაა წინააღმდეგობის ისეთი ერთიანობა, რომელიც აზრს, იდეას წარმოშობს. თორემ მატარებელს რომ მატარებელი დაეჯახება, ამისთანა მექანიკურ წინააღმდეგობას არანაირი საერთო არა აქვს დიალექტიკურ წინააღმდეგობასთან. როგორია დიალექტიკური აზროვნების ბუნება, ამას რომ გაგვეთ, ... (ბატონი სავლე წელიწადნახევარი გვიხსნიდა ამ საკითხს). მე მინდა, დიალექტიკური აზროვნების ერთ ფსიქოლოგიურ შტრიხს შევგხო.

არიან ადამიანები, რომელთაც არაფერი წაუკითხავთ დიალექტიკის შესახებ, მაგრამ ლაპარაკს რომ იწყებს საქმეზე, იგი აზროვნებს, დიალექტიკურად აზროვნების პროცესში ფიქრობს არა მხოლოდ იმაზე, რომ ეს არის ასე, არამედ იმავდროულად გაიფიქრებს, თუ რა არ არის ასე. რომ ამბობს „კო“, მის საპირისპირო „არას“ მოიაზრებს, მოწინააღმდეგის სავარაუდო არგუმენტს მოძებნის. ამიტომაც, დიალექტიკური აზროვნების კაცთან კამათი ძნელია. მას მოაზრებული აქვს არა მარტო ის, რა უნდა თქვას, არამედ ისიც, რა არ უნდა თქვას. იგი ერთდროულად ფიქრობს თავისი აზრის საწინააღმდეგო აზრზეც. ამიტომაც, ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწენი მოზომილნი რომ არიან თავის სიტყვაში. გაბმული ლაპარაკი არც ახასიათებთ. თუ მიტინგურად აზროვნებს გაბმული მეტყველებით, ისეთი კაცი ჯერ ლაპარაკობს, მერე ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, აზროვნების დიალექტიკური მეთოდი „მოვლენათა ჭრელ-ჭრელ თამაშში“ (ჰეგელი) დაიჭერს უმთავრესს. ძლიერი გონება მიაპობს ყოველგვარ ბარიერებს, რაც აზრისაკენ მიმავალ გზას ეღობება. სავლემ წერეთელი ქართული ფილოსოფიის მშვენიერია. იგი პეტრე იბერი (V ს.) მოყოლებული დიდ ქართველ ფილოსოფოსთა თითზე ჩამოსათვლელ რჩეულთა შორის იმკვიდრებს საბრძანებელს.



## ნიკო ჭავჭავაძე (1923-1997)

„უშიში, ვითარცა უხორცო!“

ნიკო ჭავჭავაძე სულიერი სიმამაცის განსახიერებაა. მეორე მსოფლიო ომი გამოიარა ფაშისტებისაგან მიღებული ჭრილობებით, მაგრამ გაცილებით მძიმე იყო ბრძოლა იმ იდეოლოგიასთან, რომლის წიაღში აზროვნება ჰკარგავდა თავის ღირსებას. აზროვნების მიზანი ჭეშმარიტებაა, რომელიც თავისუფლების გარეშე არცა იწვის, არცა ანათებს.

სამწუხაროდ, ისტორიას არც ისე კარგი მეხსიერება აქვს. დღეს ადვილი გვეგონია ბევრი ისეთი რამ, რაც აუტანელი შეიძლება იყოს იმ დროს. დროის ფაქტორის ყოველმხრივი გახსენება-გათვალისწინება ძნელია, მაგრამ ნაწილობრივ რომ მაინც აღვადგინოთ, რა გააკეთა ნიკო ჭავჭავაძემ იმდროინდელ საქართველოში, საკმარისი იქნება დავინახოთ იგი როგორც დიდი პიროვნება. ნიკო ჭავჭავაძე მეოცე საუკუნის მამულიშვილთა ზეციურ პანთეონს ამშვენებს.

მე შორსა ვარ იმ მოღური კეკლუცობისაგან, საბჭოთა ეპოქის, სოციალიზმის ღირსებები დავაკნინო. მშრომელი ხალხისათვის, დღევანდელობის გადასახედიდან, შემთხვევით არ არის იგი ნოსტალგიის საგანი, მაგრამ მარქსიზმის დიქტატურა, აზროვნების ხუნდებში მომწყვდევა ფილოსოფოსთათვის მძიმე უღელი გახლდათ. მრავალი დიდებული მოაზროვნის სიცოცხლე შეიწირა იმ რეჟიმმა. სიცოცხლეს ვინ ჩიოდა, ამოცანა იყო სიცოცხლეზე მეტის გადარჩენა, გადარჩენა აზროვნების პატიოსნებისა, ჭეშმარიტების შექმნების სწრაფვას არ დაჰკარგოდა ის

მარადიული სტიმული, რისთვისაც იშვა ფილოსოფია. და აი, ნიკო ჭავჭავაძე 34 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის სკოლას, ინსტიტუტს იმ ქვეყანაში, საქართველოში, სადაც აზროვნების ურჩობა გამოირჩეოდა მთელ საბჭოთა კავშირში. მართალია, ბოლო ათწლეულები ბიოლოგიური სიცოცხლის ისეთ საფრთხეს აღარ ქმნიდა, მაგრამ სულიერი ტრავმა წილად ერგო ყოველ მეცნიერს, ვისაც წვაში გამოვლილი აზრი თავს ერჩინა. თუმცა, აკრძალული ხილი უფრო მიმზიდველიაო. ეს წინააღმდეგობა არათუ ვერ აქრობდა შემოქმედებით მისწრაფებებს, არამედ უფრო ააღმასებდა მას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კაცობრიობის ისტორია ტანჯვის, ბრძოლის, წინააღმდეგობის ისტორიაა, უნდა ვიხელმძღვანელოთ პლატონისეული პრინციპით უმცირესი ბოროტების შესახებ. თუ ნიკო ჭავჭავაძე და ღვთით გამორჩეული პიროვნებანი გაუსაძლისის ჟამსაც ახერხებდნენ თავისი სიტყვის თქმას, მათ სიკვდილისა არ ეშინოდათ. ნიკო ჭავჭავაძე სწორედ ის პიროვნებაა, ვის შესახებაც უთქვამს საეკლესიო მწერლობას – „უშიში ვითარცა უხორცო“. ნიკო ჭავჭავაძემ გაიმარჯვა. სამწუხაროდ, დღეს არც ამგვარი ასპარეზია, არც ამგვარი ბრძოლაა, რომელიც გამარჯვებულს გამოავლენდა. დღეს ვიღას სჭირდება ძლიერება, ვიღას სჭირდება ფილოსოფია. მაგრამ რა! ეს დროებითია. ზესთა სოფლიდან გამოგვძახებენ დიდთა სულები, ისევ აღდგება, გაიღვიძებს სული, აზრი იმ ქვეყანაში, სადაც იგი ქრისტეს დასაბამიდან გვაქვს ბოძებული. მომავლის იმედსაც წარსული გვაძლევს. ნიკო ჭავჭავაძის ერი ფილოსოფოსობას თავს ვერ დაანებებს...

ნიკო ჭავჭავაძე იყო ყველაზე ორიგინალური დირექტორი საქართველოში. ბატონ ნიკოს „დირექტორის“ აღ-

მინისტრაციული, სტანდარტულად დაყენებული სახე არ ჰქონდა. თანამშრომლებთან, მოწაფეებთან ურთიერთობის თავისუფალი, სოკრატესეული სტილი ძალიან აღიზიანებდა რობოტიზებულ ადამიანებს. განსაკუთრებით ნერვებს უშლიდა იგი ცეკას. ეს ურთიერთობა კი მხატვრული ნაწარმოების დიდი თემაა.

1968 წლის 23 თებერვალს ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ რესტორან „ივერიაში“ ვაგრძელებთ „დესერტაციას“. ბატონი ნიკო ჩემზე მეტადაა გახარებული. სადღეგრძელოს ნაცვლად ვყვები – რას იტყოდნენ ბელურას შესახებ შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, ნოდარ დუმბაძე და ნიკო ჭავჭავაძე....

ბატონ ნიკოსთან მიდის ცეკას კომისია და მოითხოვს ფილოსოფიის ინსტიტუტის აზრს, – რას ფიქრობს ინსტიტუტი ბელურას შესახებ.

– თქვენ გენაცვალეთ, ეტყობა მისამართი შეგეშალათ. თქვენ უნდა მიხვიდეთ ზოოლოგიის ინსტიტუტში.

– არა, ამხანაგო, ცეკას არაფერი ეშლება, – შეუბღვირა ცეკამ, – ერთ კვირაში ჩვენ უნდა გვქონდეს თქვენი დასკვნა, გვჭირდება იდეოლოგიურად მუშაობის შემდგომი სრულყოფისთვის. მზადდება ცეკას საგანგებო პლენუმი.

– ერთი კვირის შემდეგ ინსტიტუტს კვლავ ეწვია ცეკა. ბატონო ნიკო: იცით რა, ჩვენ ვიმსჯელებთ ამ მეტად სერიოზული საკითხის შესახებ, მოვიწონეთ ცეკას პლენუმის თემატიკაც, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ჯერ გაგვიგოს ცეკამ, – რას ფიქრობს ბელურა ჩვენს შესახებ და მერე გეტყვი, რას ფიქრობენ ფილოსოფოსები ბელურასა და ცეკას შესახებ...



ვის არ ეშინოდა ცეკასი – თითქმის ყველა მეცნიერს, ხელოვანს, მაგრამ უნიკალური გახლდათ ბატონი ნიკოს სიმშვიდე. მან თითქოს ორიგინალური სფინქსურ-დიპლომატიური ხერხიც იპოვნა, რათა გადაერჩინა ხშირად დახურვისათვის გამზადებული ფილოსოფიის ინსტიტუტი.

ბატონი ნიკოს მეცნიერული მოღვაწეობის ანალიზს ჯერ არ ვაპირებ. ამჯერად ერთ მომენტზე შევჩერდები მხოლოდ.

ქართული ესთეტიკური აზრი ქართული კულტურის, ფილოსოფიის სათავეებიდან იღებს სათავეს, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ესთეტიკას სრულიად სხვა იდეოლოგიური სახე ჰქონდა – ოფიციალურად ეს იყო მარქსისტულ-ლენინური დისციპლინა. მარქსიზმს რომ თავისი ძალა და ღირსება გააჩნია, ეს სოციალურ დისციპლინათა მკვლევრების საქმეა, მაგრამ ესთეტიკა და მარქსიზმი მეტისმეტად შეუგუებელი ცნებებია. ამიტომ ამოცანა იყო ლომის ხაზიდან გამოეხსნათ ეს მარგალიტი და მას ესთეტიკის, როგორც მეცნიერების ისტორიულ-კლასიკური სახე მიეღო, ევროპული სტანდარტებით ესთეტიკა, როგორც მეცნიერება, ევროპის მონაპოვარია, რომლის თეორიული გვირგვინი ჰეგელის „ესთეტიკაა“. არ ეწყინებათ სხვა დარგის ფილოსოფოსებს, თუ ვიტყვი, – ესთეტიკა ფილოსოფიის არისტოკრატიია და ამ არისტოკრატიული დარგის პირველი დამამკვიდრებელი საბჭოთა საქართველოში, წარმოშობით და ღვაწლით არისტოკრატი ნიკო ჭავჭავაძეა. როდესაც, პირველად, 1958 წელს, მისი „ესთეტიკის საკითხები“ გამოვიდა, მეტისმეტად შეიშმუშნა კონიუნქტურულ-დოგმატური აზროვნება. ბატონი ნიკო ფილოსოფიაში ნოვატორია (ეს სიტყვა მთლად არისტოკრატიულად არ უღერს). მას ჰქონდა პერსპექტივის

იშვიათი ალლო. საბჭოთა კავშირში, პირველად მის ინსტიტუტში, გაიხსნა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილება. ამ მოვლენას ერთი ვაი-ვიში მოჰყვა – აქაოდა, რად უნდა ადამიანის ფილოსოფიას ახალი ინტერპრეტაცია, ეს ხომ მარქსიზმში გარკვეულიაო. ერთი სიტყვით, ნამეტანი არ ვუყვარდით მარქსს!

1980 წელს ბატონი ნიკოს რედაქტორობით გამოვიდა ჩემი წიგნი, სათაურით: „ადამიანი როგორც ესთეტიკური ფენომენი“. ამავე თემაზე დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. ისე გამაწამეს პარტიულ-მარქსისტული რეჟიმის წარმომადგენლებმა, რომ თავი მომძულდა, ლამის ადამიანი შემძულდა და როცა ერთ კულტურულ საზოგადოებაში მკითხეს, რა არის შენი სადოქტორო დისერტაციის თემაო, მე ვუპასუხე – „ადამიანი, როგორც ესთეტიკური არამზადა“. 1983 წლის 23 დეკემბერს დისერტაციის დაცვაა დანიშნული, ავტორეფერატი მზადაა. ერთი თვეც არ არის დარჩენილი და მოსკოვიდან ერთ-ერთი ოპონენტი მირეკავს, ვერ გაგიწევს ოპონენტობასო. შენმა მოწინააღმდეგეებმა თბილისიდან ააწრიალეს აქ ცეკა და მე ვერ გავერევი თქვენ ინტრიგებშიო. იმ პროფესორს, უპარტიო, მორწმუნე ესთეტიკოს-თეოლოგს საშინლად ეშინოდა რეპრესიებისა. შევხვეწე – ნუ ჩამიშლი დაცვას, ჩამოდი და უარყოფითი რეცენზია დაწერე. – არა, მე მაგას როგორ ვიკადრებ, ამ დისერტაციაზე უარყოფითი დასკვნა გავაკეთო... ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს ისეთი დეპრესია. რა უბედურება არ გადამხდენია, მაგრამ ისე არასოდეს დამიწყევლია საბჭოთა წყობილება და მისი მომგონი, როგორც მაშინ. გავვარდი ბატონ ნიკოსთან. ძალიან გაუკვირდა ჩემი ასეთი შემოთქება. და აი, ნახეთ სიბრძნე. პედაგოგიურობის, ფისქოლოგიურობის

სიღრმე: ბატონმა ნიკომ თავი დახარა, ქოჩორი გადაიწია და მეუბნება:

– ვახო, აი, ნაჭრილობევს ხომ ხედავ, ეგ ფაშისტები-საგანაა. ფრონტზე ტყვიის ცეცხლში რომ მივდიოდი, ვის ახსოვდა სიცოცხლე. მაგრამ ის გასაჭირი, შენს ახლანდელ განცდაზე უფრო მძიმე არ იყო! შენი ეს მდგომარეობა უფრო მძიმეა. არ მეგონა, თუ ბიჩკოვს ასე შეაშინებდნენ...

ბატონმა ნიკომ არაყი დამისხა. ჭიქა აიღო:

– ვახო, მე და შენ იმიტომ ვართ მასწავლებელ-მოსწავლე, საინტერესო ადამიანები, რომ მძიმე დარტყმებს უნდა გავუძლოთ. ჩვენ რომ გავიმარჯვებთ, ეჭვი ხომ არ გეპარება?!

– ცოტა ხნის შემდეგ იმდენი ვიცინეთ, ვის ახსოვდა შენი დისერტაცია. ტელეფონი აიღო და მის მოწაფეს, ჩემს მეგობარს, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სპეციალისტს რეზო ბალანჩივაძეს დაურეკა. ვახოს ოპონენტობა უნდა გაუწიო... რამდენიმე თვის შემდეგ დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. არც ერთი ჩემი სამეცნიერო ნაბიჯი არ გადამიდგამს ბატონი ნიკოს ხელდასხმის გარეშე.

1982 წელს ბატონ ნიკოს ინფარქტი დაემართა. მის ვაჟთან, ზურიკოსთან ერთად წავედი მოსკოვში. ბატონი ნიკო კარგად ცნობილ მეოთხე სამმართველოში იწვა (ზურაბი მანამდე იყო იქ). შევდივარ საავადმყოფოში შეშინებული, გულდამძიმებული, ველოდები ლოგინზე მწოლარე, მკვნესარე ავადმყოფს. ამ დროს ბატონი ნიკო ექიმს მოაცილებს პალატიდან. გაიხრა ფრიალ.

ეს რაა, ბატონო ნიკო? – სიგარეტის კოლოფზე მივუთითე.



– ეს რა არის და მე აქაური ექიმები დავარწმუნე, რომ ლამის ბავშვობიდან ვეწევი, ეგრე უცხად სიგარეტის მიტოვება უარესი არ იყოსო. დავითანხმე... – ეს რაღაა? – კონიაკის ბოთლზე ვანიშნებ.

– ეს რა და ეგენი ამაშიც დავარწმუნე, რომ მე მოქეიფე კაცი ვარ და ცოტ-ცოტა დაღვევის ნება დამძრთეს – 11 გრამი დღეში სამჯერ, სულ 33 გრამი.

– ვაააჰ, მე ბატონო ნიკო 33 გრამი კონიაკი ქე მათრობს.

დაგვისხა კონიაკი. დავილოცეთ. მოსკოვში მე და ზურა მოვეწყვეთ სასტუმრო „ტურისტში“, იქ რაღაც ტალონებს არიგებდნენ და სადილზე საზეიმო ხმით აცხადებდნენ „ტურისტ ჩავჩავადზე“, „ტურისტ გოგუადზე“. – ბატონი ნიკო, საბჭოთა ხელისუფლებამ არანაირი ჩინმედლები, წოდება არ მოგვცა, მაგრამ აი, მე და ზურამ უცხად გამოვკარით ხელი ტურისტის საპატიო წოდებას...

ზურაბ ჭავჭავაძე ეროვნული მოძრაობის მშვენიება იყო. მისი საიდუმლოებით მოცული დაღუპვით ეროვნულმა მოძრაობამ სილამაზეც დაკარგა და სიცოცხლის ხალისიც. აქედან დაიწყო ამ მოძრაობის ნამდვილი ტრაგედია. მაგრამ ზურაბმა მოასწრო თავისი მკაფიო კონცეფციის ჩამოყალიბება. მისი სამეცნიერო-პუბლიცისტური ნააზრევი ერის ისტორიაში თავის ღირსეულ ადგილს იკავებს...

მოგონებებსაც თავისი რეგლამენტი აქვს. მითუმეტეს ბატონი ნიკოს მიმართება წინაპართადმი, თავისი ლამაზი შვილებისა და შვილიშვილებისადმი, მეგობრებისადმი – ზნეობრივი ნიშუშია საზოგადოებისათვის. აქ უღევია მოსაგონარი!

ჩემს მასწავლებელს 1963 წლიდან დაკუმოწაფდი. იგი ჩემი რეპეტიტორიც იყო, კერძოდ მასწავლიდა ფილოსოფიის ისტორიას. ოღონდ ანაზღაურების ნაცვლად გაკვეთილების შემდეგ ჩაიზე მპატიჟებდა, ლამის სტიპენდიაც მომეთხოვა მისგან. არ ყოფილა ჩემს მოძღვარსა და ჩემს შორის წყვეტილი. როცა სახელმწიფო უნივერსიტეტში იდეოლოგიის დარგში პრორექტორად დამნიშნეს, შეკმინდი. მაშინვე გავიქეცი მოძღვართან და გავუზიარე ჩემი შიში, ხომ არ მიპირებენ იდეოლოგიურ დაჯავშნას, უარი ვთქვა თუ არა-მეთქი. ბატონმა ნიკომ ჭიქა მომიჭახუნა და მითხრა, — ვახო, მოდი, შენ გაგიმარჯოს, გისურვებ უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის იდეოლოგია გაგეტარებინოს...

ბედნიერება მხვდა წილად, ვყოფილიყავი იმ პარლამენტის წევრი, სპიკერი, სადაც მოღვაწეობდა ბატონი ნიკო. არ ყოფილა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი, რომელიც მასთან ასე თუ ისე არ შემეთანხმებინოს. არავის დაავიწყდება ის პირველი სხდომა პარლამენტისა, რომელიც უხუცესთა სახელით გახსნა ბატონმა ნიკომ. მან ბრძნულად დამოძღვრა და დალოცა პარლამენტი, ამასთან არც მისი კლასიკური ხუმრობა ავიწყდება სხდომის მონაწილეებს, ტელემსმენელებს. ბატონი ნიკო შესანიშნავად გრძნობდა თავს, თმაში ჭალარაც არ ერია. სიცოცხლის სიღარიბეს არ უჩიოდა... — რაც შეეხება იმ პატივს, — ბრძანა მან, — რაც მე მერგო, გამოვსულიყავი უხუცესთა სახელით, მაღლობელი გახლავართ, მაგრამ რამდენად მოხუცებული ვარ, ეს მანდილოსნებს ჰკითხეთ... ქართველი კაცის ყველა ღირსებით: ბრძოლის დროს ბრძოლა, შრომის დროს — შრომა, საოცარი რეჟიმით; ლხინიც მაღლიანი იცოდა და არც მანდილოსნები აკლებდნენ ყურადღებას, სპიკერობის დროს ხანდახან

გავიპარებოდი მასთან სახლში ლარსის ქუჩაზე, ვსაუბრობდით... ჩვენ ერთი აღმოჩენაც გვქონდა – ნარდის თამაშში. – ვინაიდან ფული არც შენ გაქვს და არც მე, მოდი, ნარდი ვითამაშოთო იმ ადამიანებზე, რომლებიც სახელს უტეხდნენ საქართველოს (ოღონდ ცოცხლებზე). ბუნებრივია, ასეთი თამაშის დროს ორივე ვცდილობდით თამაშის წაგებას. ერთხელ სწორედ ასეთ ნარდს ვითამაშობთ, მოდის ბატონი ნიკოს ერთი ახალბედა ასპირანტი. დაჯდა და უყურებს ჩვენს აზარტულ და უცნაურ თამაშს. ერთხანს ნარდს უყურა, მერე ხან ერთს შემოგვხედავს, ხან მეორეს. ცოტა ხნის შემდეგ თვალები მოისრისა, პირფვარი დაიწერა ნიშნად იმისა, ალბათ, ვერა ვარ კარგადო...

ხანდახან რეალობის ზღვარზე გამოვიწვევ ბატონი ნიკოს სულს, მის ცოცხალ სახეს, მოძრაობას, მოქმედებას, ხმას... როგორ აცხელებს გაზზე საჭმელს, რა აკურატულად გამლის სამზარეულოში პატარა მაგიდას... საათობით ვსაუბრობდით, ვნაღვლობდით, ვიცინოდით, ვოცნებობდით საქართველოს მომავალზე. როცა საქართველო აღდგება, სულიერობას დაუბრუნდება, ბატონი ნიკო უფრო ხშირად გაახსენებს თავს სრულიად საქართველოს. ყვარლის ღვთივეკურთხეული ეკლესიის ღვთივეკურთხეული საფლავი, სადაც ილიას სული ტრიალებს და სადაც განისვენებს ორი დიდი ქართველი – ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეები, სიამაყეა ერისა, უკვდავი და უჭკნობი ყვავილებით შემკული.



## გურამ ჭილაშვილი (1929-1990)

### დიდი მორალური ძალა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელთა შემდეგ ძნელია დაასახელოთ მეორე პიროვნება, უნივერსიტეტისთვის რომ სიცოცხლე ასე შეეწიროს. იგი იყო ჭეშმარიტი ზვარაკი, ჩვენი ერის ინტელექტისა და ზნეობის საერთო ტაძრის დამცველი. იგი არ იყო „საწყალი პატიოსნება“. იგი ორი ათეული წელი უნივერსიტეტში დიდსა თუ პატარას კანონიერებასა და წესიერებას ასწავლიდა. მისი ზნეობა და ფსიქიკა შორს იდგა თავის გატანის „ფილოსოფიისაგან“ – „არავის აწყენინო“, „ეცადე, ყველამ კარგი თქვას შენზე“... კარგი კარგზე კარგმა კაცმა უნდა თქვას. მას ბევრი მოძღურავი ჰყავდა. ბატონი გურამიც იგულისხმება დიდი ვაჟას მიერ საუკუნის წინათ ნათქვამში: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო“. როგორ საჭირო იყავი, ბატონო გურამ, დღევანდელ საქართველოში, როგორც წესიერების განსახიერება.

თქვენ ფიზიკოსობას ფიზიკოსები გიქებენ. მე იმას ვამბობ, რაც მინახავს, მიგრძენია და მიცვნია. ტანჯვით, მოთმინებით, თვითგაძარცვით, პირადი მაგალითის ძალით თქვენ დიდი მორალური ძალა დაუტოვეთ უნივერსიტეტს და არა მარტო უნივერსიტეტს. თქვენ იყავით საქართველოში ყველაზე პოპულარული პრორექტორი, ყველა უმაღლესი სკოლისათვის დიდი ავტორიტეტი.

გურამ ჭილაშვილი განზოგადებითი მნიშვნელობით იხსენიება. ჭილაშვილობა მაშინვე მოაგონდებათ, როცა უპრინციპობას წააწყდებიან, როცა ნატრობენ მექრთამე-

ობისათვის, პროტექციონიზმისა თუ სხვა უბედურებისათვის გზის გადაღობვას.

უნივერსიტეტში იქმნება გურამ ჭილაშვილის სახელობის სტიპენდია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სხვაა: ბატონი გურამი არაორდინარული პიროვნება იყო. კეთილშობილური, სიმკაცრესთან ერთად საოცარი თბილი გული ჰქონდა, იცოდა დიდი სიყვარული. ხალხის პატიოსანი მესხიერება არ დაივიწყებს ჩინებულ ვაჟკაცს, მეცნიერსა და პედაგოგს.

## გიორგი ჯიბლაძე (1913-1989)

### საქმით ქრისტიანი

არამარტო ჩვენ ვცნობოვრობთ საოცარ საუკუნეში. სა-  
ოცრად საოცარი ყოფილა ის დროც, საიდანაც ახლახან  
მოვედით. ის დრო სიტყვით გამოხდა ქრისტეს, მაგრამ  
ქრისტიანობა ჩაუმქრალად ღვივოდა ნაღვერდალში. რო-  
გორც პირველი საუკუნეების დევნილი ქრისტიანები რო-  
მის იმპერიაში მიწის ქვეშ კატაკომბებში იკეთებდნენ  
ბუდეს, სამლოცველოებს, მსგავსად ამისა ქრისტიანული  
ღვაწლი, სიკეთე შეინიღბა კომუნისტური იდეოლოგიის  
პირობებში. ახლა მეორე უბედურება გვჭირს. ძველ კო-  
ნიუნქტურას დაუპირისპირდა ახალი კონიუნქტურა —  
მაღიმაღ პირჯვრის წერთა ქვეყანას რომ ვაჩვენებთ  
ქრისტესადმი ფარისევლურ სიყვარულს, რადგან საქმით  
ყვიდით მამულსა და სარწმუნოებას, ადამიანობას. ადამი-  
ანობა მაშინ მეტი იყო...

ამას წინათ მიტროპოლიტ კირილეს წინასააღდგომო  
ქადაგებას ვუსმენდი:

— სამწუხაროდ, — თქვა მან, — ხშირია შემთხვევა,  
როცა მორწმუნე სიმკაცრით იცავს მარხვას, მაგრამ შემ-  
დეგ ისეთი გაბოროტებით ლაპარაკობს და ირჯება, რომ  
არავის სჭირდება ასეთი თვითგვეძო.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქრისტე რეალურ სიკეთეს,  
კეთილი საქმის კეთებას მოითხოვდა ჩვენგან; რწმენა  
საქმის გარეშე მკვდარია.

გიორგი ჯიბლაძე ობიექტური ვითარების გამო სიტ-  
ყვით ვერ იყო ქრისტიანი. იგი ბუნებით, სისხლით,



ხორცით, წარმოშობით გახლდათ ქრისტიანი. იგი საქმით, ქმედებებით გახლდათ ქრისტიანი.

გიორგი ჯიბლაძე, პირველყოვლისა, ისტორიას ეკუთვნის, როგორც ჩვენი დროის გამოჩენილი მეცნიერი. მაგრამ იგი ამავე დროს გახლდათ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე ცკ-ს მდივანი, განათლების მინისტრი... ამ პოსტებზე მუშაობით მან იმდენი სიკეთე აკეთა, რომ გადასწონის სხვის ცოდვებსაც კი. ჩემი მასწავლებლის ბიოგრაფიულ ღირსებად მიმაჩნია მაშინდელი მისი სახელმწიფოებრივი თანამდებობები და დამსახურებანი. არ ვარგა კაცი, რომელიც თავის ბიოგრაფიას არ სცემს პატივს.

გიორგი ჯიბლაძე ჩვენი მეცნიერების უმაღლეს ტიტულებს ფლობდა და თითქმის არავისზე ნაკლებად. იგი საოცარი ენერჯისა და შრომის უნარით დაჯილდოებული კაცი გახლდათ. თამაში იყო მისი მეცნიერული ჰორიზონტები. პირველყოვლისა იგი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურისმცოდნეობის, ესთეტიკის მკვლევარია. მისი ლექციები დაწყებული ანტიკური ფილოსოფიით, დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და ფილოსოფიის ფართო ცოდნით გახლდათ სასარგებლო და მიმზიდველი. მე ვერ შევჩერდები მის მონოგრაფიებსა და გამოკვლევებზე – ილიას, შოთას, ვაჟას მისეულ განხილვაზე. იგი ჩვენი მეცნიერების, ქართველოლოგიის დიდებულ ფონდს ამშვენებს.

ბატონმა გიორგიმ ფილოსოფიის ფაკულტეტზე, კათედრაზე გამიკეთა ასპირანტის ადგილი (ესთეტიკაში) და იტვირთა ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელობა. დავიწყე საკანდიდატო მინიმუმის გამოცდების ჩაბარება. დიალექტიკურ მატერიალიზმს არ მაბარებინებენ. ფაკულტეტის არაფორმალური ლიდერი, ფილოსოფოსთა რეალური

ლიდერი, დიდი მეცნიერი კარგად არ მიყურებს – ჩემი ასპირანტი რომ იყოსო... ვუთხარი – გადმოვალ თქვენთან-თქო. კმაყოფილებით მიიღო ჩემი თხოვნა და დასძინა, – ოღონდ ჯობლადისაგან თანხმობა მიიღეო. ვიფიქრე გუნებაში, თავის გამართლებისათვის, ბატონ გიორგის ჩემთვის მაინც არ სცალია, იმდენი საქმეები აქვს... მივედი ბატონ გიორგისთან და ვუთხარი. განაწყენება არ შემიძინევია, კეთილი რჩევებიც მომცა; თუ რამე გაგიჭირდეს, არ მომერიდოო. ბატონი გიორგის სამართლიანად უნდა სწყენოდა ჩემი არცთუ პატიოსანი საქციელის გამო. მე არ მახსოვს ჩემი ცხოვრებიდან მსგავსი სასინანულო ნაბიჯი, რომელსაც ღალატი შეიძლება ეწოდოს, ისე, რომ თავს ვერ დავიცავ. მაგრამ სიუჟეტი ახლა ნახეთ: მოვედი ჩემს ახალ „ხელმძღვანელთან“ და ოი, საკვირველებავ, უარი მითხრა: „ხუთი ასპირანტი მყავს და თურმე ამდენი არ შეიძლებაო. საოცარი ამბივალენტური (ურთიერთსაწინააღმდეგო) გრძნობები დამეუფლა. ერთდროულად მეწყინა და გამიხარდა კიდეც. ის მეცნიერი არ იყო ჩემი ფსიქოლოგიისათვის მისაღები.

რამდენიმე დღეს ვიფიქრე. ბატონმა გიორგიმ დაუბრკოლებლად მიმიღო „მე შეცდომილი“. არ დამტუქსა, მაგრამ ამჯერად არ დამიმალა თავისი განაწყენება ჩემი ამჩატებული მოქმედების გამო. მაპატიო. იცოდა, რომ მე ის ძალიან მიყვარდა. ჩემი ნებივრობა მისი ხელმძღვანელობის წყალობით კვლავაც გრძელდებოდა: რამდენიმე გაჭირვებულ ასპირანტს ძალუმად დავეხმარე. ვერ ჩამოვთვლი მის გაკეთებულ სიკეთეს. ძლიერ განვიცდიდი ჩემი ორი ძვირფასი მასწავლებლის ბატონი გიორგისა და ბატონი გრიგოლ კიკნაძის დაპირისპირებას. მე ძალიან ახლოს ვიყავი ბატონ გრიგოლთან, მის წრესთან. მეცნიერთა ხასიათი ხომ მოგეხსენებათ: – ჩემს მოწინა-

აღმდეგეს როგორ იმოწმებს საღისურთააციო ნაშრომში რომელზედაც ვიზა მე უნდა დაგიწერო. ასე იფიქრებდა აბსოლუტური უმრავლესობა. ბატონი გიორგისაგან მსგავსი არაფერი მიგრძენია. მე ბატონი გრიგოლის ნაშრომებზე რეცენზიები დამიწერია, დამიბეჭდავს, მის შესახებ შექმნილი ერთი წიგნის თანაავტორიც ვარ. ვნატრობდი მათ შერიგებას. საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში საგრძნობლად შეიცვალა ვითარება, ყოველ შემთხვევაში, რაიმე მწვავე მოვლენას ადგილი არ ჰქონია. ბატონმა გიორგიმ ბევრი რამ მასწავლა, შეიძლება ყველაზე უკეთესი ის ქრისტიანული დამოკიდებულება ურთიერთგატანისა, თავისი მაგალითით რომ მიჩვენა.

ბატონი გიორგი ჯიბლაძე დიდებული მეცნიერი, აღმზრდელ-ხელმძღვანელი, ბედნიერი კაცი ყოფილა. დრო არ ახუნებს მის ღამაზე მზერას, მის კეთილშობილებას, ადამიანისადმი სიყვარულს. დღესავით ვხედავ მის თბილ მოხვევას, საკანდიდატო დისერტაციის დაცვა რომ მომილოცა და ლოყაზე მიჩქმითა. დღეს, როცა მის პიროვნებას ვიხსენებთ, სევდას როგორ მოიშორებ. დიდია მონატრების გრძნობა, წუთისოფლის უკმარობის განცდა, საყვარელ ადამიანთან რომ გაშორებს.



## ოთარ ჯინორია (1914-1975)

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ ჭადრებში – ქვემოდან მომავალი პროფესორი ვენორი ქვაჩაჩია და მე, ვაკის მხრიდან ნერვიული სიჩქარით მომავალ ოთარ ჯინორიას ვხვდებით. რომ მოგვიახლოვდა, მაშინ შემოგვხვდა:

– ჰო, რა კარგია რომ გნახეთ, გულზე ვარ გახეთქილი. ნახეთ, რა მიქნა ამ შეჩვენებულმა კოწიამ. ჟურნალი გაშალა და გვიჩვენებს – „პასუხი ყმაწვილ რეცენზენტს“. მე რომ რეცენზია დავუწერე ამას წინათ, გაბრაზებულია და მეკამათება ისე, რომ ჩემს სახელს და გვარს განგებ არ ახსენებს, ყმაწვილ რეცენზენტს მიწოდებს. ყმაწვილის რეცენზიას ახლა ვაჩვენებ მაგას...

– ბატონო ოთარ, ამ ცხელ გულზე მაინც აღარ გაგვიცვლი გურულებს კოწიას ეგნატე ნინოშვილზე?

– ოჰ, კიდევ რა გინდა, მოხარშულ წაბლს ხომ არ ინებებ? – გულიანად გადაიხარხარა წამის წინ გულიანად განრისხებულმა ოთარ ჯინორიამ. – კოწია დიდი მწერალია! – დასძინა უკვე არა კერძო განწყობილების ჯინორიამ. ოთარმა იცოდა ჭეშმარიტების ფასი.

– ოთარ, ეუბნება ვენორი, – ახლა თუ იცი, წუთის წინ როგორ გაგჭორა ვახტანგმა, რა თქვა შენზე, თუ იცი?

– ეგ კარგს რას იტყოდა, ჩემი მტერი ჩავარდა მაგის ყბაში. მაინც რაო გურუღმა?

– ეგ მთლად გურული კი არა, ეგ ხომ დედით მეგრელია.

– ეეჰ, მეც არ გამიკვირდა, რატომაა კაი ბიჭი-მეთქი. ახლაც გულიანად იცინა, – წუთის წინ ცუდი გურული,

როგორ აღმოჩნდა თურმე ნახევრად მეგრელი და ამიტომ კარგი ბიჭი.

ეს გურულ-მეგრელობა ხომ იმ დროს გასართობი სა-  
ლალობო თემა იყო. ახლა ლამის საქმეგრელოს საგარეო  
საქმეთა მინისტრმა ნოტა გაუგზავნოს კახეთის ხელი-  
სუფლებას („დაჰყავი და იბატონე“).

– ჰოო, მაინც რა თქვა ამ „შეჩვენებულმა“, – უთი-  
თებს ჩემზე.

– რაო და, ოთარი დედით გერმანელი და მამით მეგ-  
რელი არის, ნამყენი ქართველიო.

– რას ერჩი, ვიღებ კომპლიმენტს, ვაი მას, ვისაც  
სანამყენე რტო არა აქვს. აღარ ვკამათობ...

ოთარი ბუნებით პოლემისტი იყო, უყვარდა კამათი.

60-იანი წლების ბოლოს ფილოსოფიის ფაკულტეტის  
ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთათვის სემინა-  
რი წამოვიწყეთ. რომ არ გამოშრეს ახალგაზრდა ფილო-  
სოფოსთა ფანტაზია, მოდი მოვიწვიოთ მეზობელი ჰუმან-  
ნიტარები... ერთხელ ბატონი ოთარი გვყავს მომხსენებ-  
ლად. საათნახევარზე მეტ ხანს გრძელდება ლექცია-მოხ-  
სენება. სულგანაბული უსმენს ყველა. შეკითხვებს ვერ  
ბედავენ... შევწუხდი და დავიწყე საუბარი მოხსენების  
ირგვლივ. კამათი არ გამოდის. ბატონმა ოთარმა მწყრა-  
ლად ითმინა ჩემი დადასტურებითი მოსაზრებები და ერ-  
თხელ, როცა წამომცდა – „ვეთანხმები ბატონ  
ოთარს...“, – მოიცა, მოიცა, შენ რომ მეთანხმები, მე ვე-  
თანხმები შენს თანხმობას?.. სიცლიმა

გამოაცოცხლა 89-ე აუდიტორია (II კორპ.) მოვნახეთ  
საკამათო. იყო ძველად მეცნიერული თეორია-დისკუსიე-  
ბი. ჩვენს თაობას კარგად ახსოვს პროფესორ გრიგოლ  
ხავთასისა და ბატონი ოთარ ჯინორიას გოეთეოლოგიუ-  
რი კამათი. პროფესორი გრიგოლ ხავთასი შედარებით

უფროსი თაობის კაცი, იმდენად სასტიკი რეჟიმის პროექტორი იყო, თუმცა პატიოსანი, გაჩნდა სტუდენტური წყევლა: „ვაი შენ და ხავთასიო“. აუტანელი გახლდათ მისი ორთოდოქსული მარქსიზმი. მე დავსწრებივარ მათ მრავალსაათიან კამათს. ბატონი ოთარი შევიდოდა თუ არა აზარტში, მოიყვანდა არგუმენტებს, — ახლა სად მიღიხარ? — უცბად ხავთასი დაჰკრავდა — მარქსი! ეს არაა მარქსისტული. ეს ანტიმარქსისტულია... ერთხელ ხმაწეული გაცხარებული ლაპარაკის ტემბრი უეცრად შეცვალა ბატონმა ოთარმა:

— ბატონო გრიგოლ, მოდი კაცურად შევთანხმდეთ, — თუ ჩვენ ვჩხუბობთ, მეჩხუბეთ თქვენ, მაგრამ მე მარქსთან ჩხუბის თავი არა მაქვს. ერთხელ ხომ გააგდებინეთ მარქსს ჩემი თავი უნივერსიტეტიდან. აუდიტორიაში შეწყდა თუ არა სიცილი, ხავთასმა კვლავ გაბმულ დაცემინებასავით განაგრძო: მარქსი, მარქსი, მარქსი.

ოთარ ჯინორია მეცნიერებაზე გამიჯნურებული კაცი იყო. სულ გოეთე, თომას მანი... საათობით არ მოსწყინდებოდა ეტრიალა იმ სამყაროში და არა მხოლოდ სალექციო-სამეცნიერო ვითარებაში. მე გავსინჯე ჩემი ერთი ნაცოდვილარი-ნაფიქრი. თან მეშინია, არ დამცინოს და არ მითხრას: შენ რა, ახლა იგონებ ველოსიპედს, ეს რამდენი ხანია ყველამ იცის, ყველასათვის ცხადის მიგნებად რომ ასაღებო.

— ბატონო ოთარ, ალბათ ბევრი დაწერილა, მაგრამ მე ხელი არ მიმიწვდება უმდიდრეს ლიტერატურაზე, გულუბრყვილო დაკვირვება-გაკვირვებისთვის არ დამცინო.

— შე კაცო, თქვი შენ და თუ სისულელეს იტყვი, ხომ იცი ჩემი ამბავი, მიეთ-მოეთის გარეშე გეტყვი, ეგ ხომ სისულელეა-თქო.



დავიწყე: რა მიკვირს იცით, გოეთე აზროვნების ეს გიგანტი, რატომ ლანძღავს დიალექტიკას?

ოთარ ძალიან დაინტერესდა, — არა, არა, არ მახსოვსო. ვესაუბრები, ვყვები, თანაც მაქეზებს, მერე აშკარად დაინტერესდა და შორს არის დაცინვის ყოველგვარი ნიშნებისაგან. ჩვენ საკმაოდ შინაურულად-შეზუმრებული ვიყავით, მაგრამ მეცნიერებას თავისი სიფაქიზეც აქვს.

ძირითადი არსი რომ გადმოვეცი, მითხრა, ვახტანგ, გულწრფელად გითხრა, გოეთეს თითო სიტყვაზე ლამის თითო ტომი მაქვს გადაკითხული, მაგრამ ასეთნაირად საკითხის განხილვა ნამდვილად არ მახსოვს, ძალიან საინტერესოა. აღმითქვა და აასრულა, ლიტერატურაც მომაწოდა საკითხთან დაკავშირებით და მისი კონსულტაციები ძალიან გამომადლა. ოთარი რამდენიმე თვე მეჩხუბებოდა, როდის მოიტან გოეთეს საზოგადოებაში ამ მოხსენებას, რა ასეთი უსაშველო გახდაო. იმ დღეს, როცა სინარულით გავვარდი უნივერსიტეტში ბატონი ოთარის სანახავად — მოხსენება მზად მაქვს, აღმოვჩნდი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მეტყველება წართმეული ბატონი ოთარის სანახავად. თვალებით რაღაცას მანიშნებდა. ვცდილობდი, უიმედობა არ შემძინეოდა. ლაპარაკზე ნორმალურად რეაგირებდა. მე მოვეფერე და მალე გამოჯანმრთელება ვუსურვე. უკანასკნელად გადავკოცნე ბატონი ოთარი.

მკითხველისთვის არ იქნება უინტერესო ის, რაც ბატონ ოთარს აინტერესებდა და მისი შთაგონებით დაწერილი მოხსენება მისი გარდაცვალების შემდეგ წაკითხული იქნა გოეთეს საზოგადოების სხდომაზე. ახლა, ცხადია, ამ მოხსენების არსს გავიხსენებ, იგი დაბეჭდილია ქართულად და რუსულად. მე მინდა აღვადგინო ის პირველი ნაამბობი:

ბატონ ოთარს შევახსენე, მანაც კარგად გაიხსენა ეკერმანთან საუბრების მიხედვით ჰეგელის წვეულება გოეთესთან, ვაიმარში, 1827 წლის 18 ოქტომბერს. ამ საუბარს ცელტერიც ესწრებოდა.

გოეთე ლანძღავს დიალექტიკას, როგორც აზროვნების წესს. ჰეგელი კი დიალექტიკის ღმერთია. ამიტომ ამ ორი ტიტანის ამ შეხვედრის დროს გამართული პოლემიკა წარმოუდგენლად მწვავეა, თითქმის შეურაცხყოფაც მიაყენეს ერთმანეთს. არადა, გოეთე აშკარად განიცდის ჰეგელის დიალექტიკის გავლენას, განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს მისეული დემონიურის გაგებისას. ჰეგელის ეს კეთილისმყოფელი გავლენა გოეთემ ცოტა მოგვიანებით აღიარა კიდევ. დემონიური არის მიმზიდველობა ბოროტებისა, შეიძლება ითქვას მშვენიერი ბოროტება. ასევე განმარტავს ბოროტების მნიშვნელობას ჰეგელიც. ბოროტება რომ არ ყოფილიყო, ადამიანი სამოთხეში პირუტყვული სიმშვიდის პირობებში დარჩებოდა. ადამიანი ადამიანად აქცია ამ ტირილმა, ტკივილმა, ტრაგედიამ, რასაც ბოროტებას ვეძახით. ცნობიერებამ დაარღვია, „გათიშა“ მყუდროებისაგან ადამიანის ყოფა და აზრის მაძიებელ სუბიექტად აქცია.

ახლა მაინც შევახსენებთ, როგორ დაეჯახნენ ერთმანეთს ეროვნული, მსოფლიო აზრის დიდმპყრობელნი:

ჰეგელის თქმით, დიალექტიკა ეს არის აზროვნების დახვეწილი წესი, „რომელსაც შეუძლია გაარჩიოს დიდი მნიშვნელობა ჭეშმარიტებისა სიყალბისაგან.“

გოეთე: „სამწუხაროა მხოლოდ, რომ აზროვნების ამგვარ დახვეწილ ხერხებს ზოგჯერ ბოროტად იყენებენ იმისათვის, რომ ჭეშმარიტი წარმოადგინონ ყალბად და ყალბი ჭეშმარიტად.“

ჰეგელი: „ჰო, ეს რა თქმა უნდა, ხდება, მაგრამ მოსდით სულით ავადმყოფებს.“

გოეთე: „მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მრავალი, დიალექტიკით დაავადმყოფებული, ბუნების შესწავლაში იპოვნის თავის კეთილმოქმედ მკურნალს.“

აი, საოცრება. რამხელა ან არ უნდა იყოს ადამიანი, ის მაინც ადამიანია. ბავშვივით არ იჩხუბეს ამ გენიოსებმა? თანაც აზრის და სერიოზულობის განმასახიერებელმა ტიტანებმა. სულით ავადმყოფები უძახეს ერთმანეთს... არ გასულა ექვსი დღეც (24 ოქტომბერს) გოეთე ცელტერს (რომელიც მათ საუბარს ესწრებოდა) სწერდა:

„მაღლობა ბატონ ჰეგელს წვეულებისათვის. მე ვერც კი გამოვხატავ, იმდენად სასიამოვნო აღმოჩნდა ის ჩემთვის“ ცოტა მოგვიანებით (14 ნოემბერს) კი გოეთე კნებელს სწერდა:

„ჰეგელის ყოფნას, ცელტერთან ერთად, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამან მე გამომაცოცხლა... მით უმეტეს, პირველთან ჩემმა საუბარმა უფრო მეტი ხნით ჩემთან დარჩენის სურვილი აღმიძრა“.

ცოტა უფრო მოგვიანებით ცელტერს სწერს გოეთე:

„...ჰეგელის „გონი“, რომელიც, როგორც მე გავიგე სრულად გამოვიყენე“.

როცა შევადარეთ გოეთეს დემონურის განმარტება ჰეგელის ბოროტების ცნებასთან და აზრი იმის შესახებ, რომ გოეთე ძლიერ გავლენას განიცდიდა მის მიერვე ნაღიანი დიალექტიკისაგან, ბატონმა ოთარმა მითხრა, ეს აზრი, ეს შედარება მართლა არსად წამიკითხავსო...

ასე რომ, ბატონო ოთარ, მივიღე თქვენთან ჩათვლა თუ არა? – ჩაგეთვალა, – მითხრა მან და შემდეგ საუბარი კვლავ გავაგრძელეთ ჰეგელის ეკლესიისადმი დამოკიდებულების შესახებ. ჰეგელი ერთ დროს მღვდელიც



იყო. იგი თავს თვლიდა თეოლოგად. ჰეგელი ეთანხმება ეკლესიის აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანი ბუნებით ბოროტია, მაგრამ არ ეთანხმება ეკლესიურ ახსნას, თუ რატომღა ბოროტი. ეკლესიის მიხედვით, ადამიანი ბოროტია იმიტომ, რომ ჩვენმა პირველმა წინაპრებმა ადამმა და ევამ ჩაიდინეს ცოდვა, დაარღვიეს ღვთის დარიგება. ე.ი. ეს მოხდა შემთხვევით? მოხდა ის, რაც არ უნდოდა ღმერთს? – არაო, – ამბობს ჰეგელი, – ღმერთმა ასეთად შექმნა სამყარო, ის, რომ ადამიანი ბუნებით ბოროტია და არც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს შეიძლებოდა სხვაგვარადაც ყოფილიყო.

ასე რომ, ღმერთს რავა უნდოდა ადამიანი ბოროტი რომ ყოფილიყო, მაგრამ რაღაცა ვერ მოიცალა, და ასე მოხდაო?.. „საწყალი ღმერთი?!“

ღიას, ხორციელი, ბოროტი საწყისის ადამიანს ღმერთმა მისცა ღვთისაკენ ლტოლვის საშუალება, რათა მუდმივად ებრძოლოს ბოროტებას, ისწრაფვოს ღვთისკენ. ჩვენი დრამატურგიით ღმერთს ვერ შევაცვლევინებთ ადამიანის ბუნების მოწყობის წესს. ვერ გავიხსენებ, რაღაც თემასთნ ახლოს მყოფი ანეკდოტი მოყვა ბატონმა ოთარმა. მაშინ სიცილით დავშორდით.

ოთარ ჯინორია განხლდათ საქართველოში გოეთეს საზოგადოების დამფუძნებელი, ამ საზოგადოების პირველი პრეზიდენტი. მე ამ საზოგადოების წევრი ვიყავი და არ ვაცდენდი მის სხდომებს იმ შენობაში, სადაც ახლა აშშ-ს საელჩოა.

ოთარ ჯინორია ქართველობით სავსე ევროპელი იყო. იგი ამშვენებდა ევროპულობას და ევროპას. იგი იყო გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თვალსაჩინო ფიგურა, სადაც მის აზრს, პიროვნებას პატივს სცემდნენ და სცემენ.



ოთარ ჯინორიას პრიზმაში გატარებული გოეთესა და შილერის სამყარო უყვარდა უნივერსიტეტის სტუდენტობას. XIX საუკუნის კლასიკური ევროპული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ჩვენი სახელოვანი წინაპრები, უნივერსიტეტის დამაარსებლები ახლაც გვაცოცხლებენ, გვავსებენ სულით. ის ევროპა ჩვენთვის არც დღეს არ დასრულებულა. მაგრამ იმ სულგამომშრალ ევროპას, ევროპის შეერთებულ შტატებს (ევროკავშირს) ჩვენ იქეთ თუ ჩავბერავთ ჯერ კიდევ ჩვენში უკეთ შენახულ XIX საუკუნის კულტურის ევროპის სულს, ვიდრე თვით იქაური დღევანდელი ცივილიზებული ევროპელები.

ჩვენ კულტურის ევროპა გვირჩევნია ველური ცივილიზაციის ევროპას, როგორადაც მას თვლიდნენ შპენგლერი, თომას მანი...

თქვენი ღვაწლი უკვალოდ არ გამქრალა, ბატონო ოთარ, ახლა განსაკუთრებით მოენატრა იგი ქართულ საზოგადოებას!

## სერგო ჯორბენაძე (1926-1998)

ბევრი ტკბილმოსაგონარი მაკავშირებს ბატონ სერგოსთან, მხოლოდ რამდენიმეს გავიხსენებ.

1975 წლის დეკემბერში ბატონი სერგო მაჩერებს რექტორატის წინ, ვახტანგ, ცკ-ის დადგენილება თუ წაიკითხე მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ?

– ისე რა?!

– არა, გულდასმით წაიკითხე და იფიქრე 1-2 ფორმიან ბროშურაზე, შენი სტილით.

– რას ბრძანებთ, ბატონო სერგო, ჩემი და ცკ-ის სტილი?

– ხვალ სათაური მომიტანე, გეგმაში შევიტან.

კარგა ხანს დოყლაპიასავით ვიდექი დერეფანში, ფანჯარასთან და ვფიქრობდი, – ეს რა დავალება მომცა?!

– „შენი სტილით“. ცკ-ის ამ დადგენილებებთან დაკავშირებით უკვე საზარელი კამპანია იყო გაჩაღებული. პრესა-ტელევიზიამ აიკლო ყველაფერი. მეცნიერებათა აკადემიაში, უმაღლეს სკოლებში, ყველა ორგანიზაციაში შექმნილი იყო საგანგებო კომისიები, ტარდებოდა მომაბეზრებელი კონფერენციები... ამკარად ჩანდა ქართული ტრადიციების დისკრედიტაციის მცდელობა. ე.ი. ქართველებს არ გვივარგაო ცხოვრების წესი...

მეორე დღეს ბატონ სერგოს მივუტანე მომავალი ბროშურის სათაური. დარწმუნებული ვარ, თავზე გადამახვეს. ამიტომ უარს მეტყვის, მაგრამ მე ხომ დავალებას ვასრულებ. „სილამაზე ქართული ზნე-ჩვეულებების“, – ბატონმა სერგომ რომ წაიკითხა, არც შეყოყმანებულია.



– კარგია, ვახტანგ, იცი რა, ეს ყბადალებული კამპანია გადაივლის. ვაჩვენოთ დადებითი. ეს დარჩება. შევთანხმდით!

ერთი თვის შემდეგ ბატონმა სერგომ შემახსენა დავალების შესახებ. როცა კარგ მასალებს მივადგებოდი, გავიფიქრებდი ამას ცკ არ გაუშვებს-თქო. მერე წარმოვიდგენდი ბატონი სერგოს ყოვლისშემძლე დიპლომატიას. „მაინც გაიტანს!“ და სტიმული მეძლეოდა. გავიდა წელიწადნახევარი და ნაცვლად ორფორმიანი ბროშურისა გამოდის ათფორმიანი წიგნი – „ერი გულადი, პურადი“. ნაცვლად – ძირს ჩვენი ტრადიციები! – გაუმარჯოს ჩვენს ტრადიციებს! წიგნი ათი ათასი ტირაჟით მაშინვე გაიყიდა. წაიკითხა ცკ-მ და ხმა გაკმინდა, იმ დღიდან შეწყდა გამაყრუებელი პროპაგანდა ჩვენი „მაგნე“ წესჩვეულებების წინააღმდეგ.

1978 წლის აგვისტოში, მისაღები გამოცდების დროს, უნივერსიტეტის მალლივ კორპუსში რექტორმა, ბატონმა დავით ჩხიკვიშვილმა გვერდზე გამიხმო და ჩურჩულით მეუბნება: – ბიჭო, რა კარგი გამოვიდა შენი წიგნი, ვითომ ცკ-ის დადგენილებას ეხმაურება, სულ არაა ცკ შიგ. – თუ რაღე უვარგა მაგ წიგნს, ბატონო დავით, ეს ბატონი სერგოს დამსახურებაა. – ვიცი, ვიცი, მაინც რა ხართ ეს ლესელები, აა?!

ერთსა და იმავე დროს უნივერსიტეტში პრორექტორად ბატონ სერგოს გვერდით მეც ვმუშაობდი. ამ დროს პარტკომის მდივნის მოადგილეა ცნობილი ფსიქოლოგი და „ცნობილი ლესელი“ თამაზ გოგიაიშვილი. ერთხელ ურეკავს ერთ-ერთ დეკანს. – ხვალ 3 საათზე მობრძანდით ბატონ სერგოსთან თათბირზე. – გოგუაძეც იქნება? – იქნება! – თქვენც იქნებით? – მეც ვიქნები. – ჰო, ეს

კარგია, მაგრამ მე ბილეთი არა მაქვს და ლესაში ვერ ჩამოვალ...

ბატონი სერგო, როგორც პრორექტორი, ოცი წლის მანძილზე უნივერსიტეტის გამომცემლობას კურირებდა. გამომცემლობის უცვლელი დირექტორი, აწ განსვენებული ვალერიან გამყრელიძე, თავისი უცვლელი მოადგილით, ახლა კი მისი საქმის გამგრძელებლით ნიკო ბერძენიშვილით – დიდოსტატები იყვნენ მთავლიტის თვალთვალისაგან ეროვნული, პროგრესული აზრის გადამალვისა. ბატონი სერგო ცკ-ის მრავალ უხერხულ დავალებას თავს დაუქნევდა და აკეთებდა საწინააღმდეგოს, ერის ინტერესების სასიკეთოდ.

საბჭოური იდეოლოგია არ ეალერსებოდა ეროვნულ-კულტურულ ღირებულებებს, თუმცა იცავდა მათ. თვით ეკლესიას, ამ იდეოლოგიით შერისხულს, მაინც იცავდა სახელმწიფო. ლენინ-ტროცკი-ხრუშჩოვის დაუნდობელი რეპრესიების მიუხედავად, ეკლესიამ გაუძლო მაშინდელ განსაცდელს და გამოიწროო კიდევ ამ ბრძოლაში. ოფიციალური ათეიზმი ღიად უპირისპირდებოდა სარწმუნოებას. გაცილებით ვერაგია თანამედროვე ათეიზმი. იგი მოვიდა კრავის სამოსელით და მგლის სულით, გველივით უხმოდ იპარება ტაძარში. – აშენონ, აშენონ ეკლესიები – წყნარად, შიშშილით, დაუხოცოთ მრევლი, სანთლის დამნთებელი რომ აღარ დარჩეთ, – ასეთია ანტიქრისტეს თანამედროვე გეგმაც, მეთოდიც...

უნივერსიტეტს, დღიდან დაარსებისა, ჩვენი ხალხი ტაძარს ეძახის. სერგო ჯორბენაძის კაბინეტში სანთელს არავინ ანთებდა, არც პირჯვარს იწერდნენ მალიმალ, მაგრამ ქართველოლოგია წმინდად იცავდა იმ კულტურას, რაც ეკლესიის წიაღში შეიქმნა. ბევრგზის შეჭრილან მის კაბინეტში, მარქსიზმის დროშით რომ ეშუქრე-

ბოდნენ ხელმოცარული მომეცნიერო ელემენტები – მოსკოვში ჩავალ, იქ გინივლებო. ბატონი სერგო ზემოქმედებითი სიმშვიდით დააწყნარებდა ტვინამღვრეულთ, დაუცვავებდა, მაგრამ არაფერს დაუთმობდა.

ბატონი სერგოს კაბინეტი მუდამ ღია გახლდათ, მდივანი არავის აჩერებდა. ხშირად ტევა არ იყო. ერთხელ მასთან ვსხედვართ პრორექტორები: გურამ ჭილაშვილი, ზურაბ ფორაქიშვილი, მირიან შინაშვილი... საუბრები დიდ და პატარა თემებზე შეუსვენებლივ მიდის იუმორის მაღალი ხარისხით. შემომსვლელებს ბატონი სერგო ზოგს რეზოლუციით ისტუმრებს ზოგს დაპირებით, ზოგს უარით ისე, რომ წუთითაც არ წყდება ინტელექტუალურ ჭორაობას.

– ზურაბ, ერთი ის მოყევი, კირილენკოსთან რომ წარგვადგინე პრორექტორები.

– კარგი რა, სერგო, ასმეერთეჯერ მაყოლებინებ მაგ ამბავს! არც სხვები მოეშვნენ და ბატონი ზურაბიც ჩვეული არტისტულობით შეუდგა თხრობას, თუ როგორ შეეგება პირველი კორპუსის წინ პოლიტბიუროს წევრ კირილენკოს და მიუთითებს უნივერსიტეტის წინ ჩამწკრივებულ ხელმძღვანელობაზე: „პრორექტორ, პრორექტორ, პრორექტორ...“ უკაცრავად, მაგრამ, „Сколько у Вас проректоров? Во всяком случае, не больше членов Политбюро!“ – ეს რომ თქვა ზურაბმა, წამით გავიყინეთ, – ამბობს ბატონი სერგო, მაგათთან ხუმრობა ხუმრობა არ არის, მაგრამ უეცრად კირილენკოს სიცილი წასკდა და ჩვენც ბედნიერად გადავიხარხარეთ...

– ხალხო, რას ვსხედვართ ამ სერგოსთან მთელი დღე იდიოტებით. მაგას ათას ერთი ღამის ზღაპარით ამბებს რა გამოუღვეს, თაფლი გცხია, სერგო შენ, – თქვა ზურაბმა და ჩვენ ჩვენი კაბინეტისაკენ გაგვიძახა.



– ბატონო შალვა, ის როგორ იყო, ბატონ ივანეს თოვლის გუნდა? – თანაც ჩამოჯდომა სთხოვა ბატონ შალვა ნუცუბიძეს. ბატონი შალვა თავპატიუის გარეშე მოჰყვა. ერთ დილით უნივერსიტეტის ეზოში შესულმა ივანე ჯავახიშვილმა ახალმოსულ თოვლთან ერთად შალვა ნუცუბიძის დანახვითაც გაიხარა. ცოტა რომ მიუახლოვდა უნივერსიტეტის დამაარსებელი თავის თანამებრძოლს, ეშმაკურად გაეღიმა (სად ბატონი ივანე და სად ეშმაკობა!). დაიხარა, გუნდა შეჰკრა და ნუცუბიძეს ესროლა. ბატონი შალვა ოსტატურად, ხონურდ გვერდზე გადაიწია, გუნდა კი მოხვდა ერთ უაღრესად დახვეწილ, არისტოკრატ მანდილოსანს, უაღრესად უხერხულ ადგილას. ბატონი ივანე უხერხულობისაგან დროშასავით გაწითლდა, მანდილოსანმა კი კეთილშობილური ღიმილით დარბაისელთა ცელქობა სასიამოვნო მოგონებად უქცია ისტორიას...

ბატონი სერგო დიდოსტატი გახლდათ ჩვენი დიდი მამულიშვილების, მეცნიერების პიკანტურ თემებზე საუბრებისა. შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი.... ყოველთვის კარგი გუნება-განწყობილებით გამოდიოდნენ მისი კაბინეტიდან.

1988 წელს ეროვნული მოძრაობა რომ აბობოქრდა, ჩემი კაბინეტი გახდა „სმოლნი“. შემოდის ერთი ცნობილი მეცნიერი. კაბინეტი სავსეა სტუდენტური მოძრაობის ლიდერებით. ზოგი მაგიდასთან ზის, ზოგი – მაგიდაზე. მეცნიერმა აათვალიერ-ჩაათვალიერა ნეობოლშევიკები, გვერდით მომიჯდა და ჩუმად მელაპარაკება (ისე კი იმ სტუდენტებმა მოსმენა მაინც არ იცოდნენ, ზოგს დასმენა უყვარდა და „ცეეროვნული“ მოძრაობის წარმომადგენელიც გახდა) – ვახტანგ, შენ რა, სერგოს ბაძავ, კაბინე-

ტი რომ სულ ღია გაქვს? მასთან ქე მაინც ხალხი რიდა თავს, შენ ეს ხუნვებინები სად შეაგროვე?..

მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა სხვათა ნა-აზრევ-ნაღვაწის მოვლას და დაკვალიანებას ნიშნავს. ბატონი სერგო თავისუფალი იყო შურისა და ეგოიზმისაგან. მას ახარებდა ყოველი უნივერსიტეტელის, ქართველი მეცნიერის თუ სპორტსმენის ისეთი წარმატება, საქართველოს რომ სახელს მოუტანდა. უნივერსიტეტში ამ წლების განმავლობაში ვერ დაასახელებთ მონოგრაფიას, საყურადღებო ნაშრომს, მზის სინათლე რომ არ ღირსებოდა.

რაც შეეხება ბატონ სერგო ჯორბენაძეს, როგორც მეცნიერ-იურისტს, მას თანატოლ-კოლეგებიც კი მასწავლებლად მიიჩნევდნენ. ძნელი იყო იურისპრუდენციაში თავისუფალი აზრის განვითარება, მაგრამ ამ მხრივაც მისი დინამიურობა, გონიერება, მეცნიერული დისციპლინის ავტორიტეტს მაღლა სწევდა. საამისოდ მას ხელს უწყობდა მომადლებული ნიჭიერება, იშვიათი ოქროპირობა. იგი იყო ინტელექტუალურ-აკადემიური და არა მიტინგური სტილის ორატორი. სამეცნიერო კონფლიქტების დაშოშმინების იშვიათი ოსტატი. ორივე მხარე რომ განაწყენებული დარჩენილიყო, ცოტა ხნის შემდეგ ორივე მხარე პატივს სცემდა ობიექტურობასაც და ჯორბენაძესაც. მას შეეძლო, ყოველთვის ჰქონოდა მაღლა მდგომი პიროვნების პოზიცია. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იურისტების არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ზნეობრივ აღზრდას. კარგად ჭკვრეტდა, რომ დემოკრატია უნდა იყოს არა თვითმიზანი, არამედ საშუალება სამართლიანობის დასამკვიდრებლად. ერთხელ იურისტებს რაღაც საიუბილეო ღონისძიება ჰქონდათ (მე მაშინ პარტკომის მდივნის მოადგილე

ვიყავი). ერთ საათში სააქტო დარბაზში (კლუბში) უნდა გაიმართოს საზეიმო სხდომა. პარტკომში შემომესმა ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძის გაანჩნლებული ლაპარაკი, თითქმის – ყვირილი. შემოვიდა ერთი თანამშრომელი და მიამბო ქალბატონ მარიკას რისხვის მიზეზი. სააქტო დარბაზის კოლში მოეწყობოთ სტენდი გამოჩენილი იურისტების ფოტოებით. დაუთვალე რეზიდა ქალბატონ მარიკას და რას ხედავს! სტენდზეა ტალახაძის ფოტოც. ვიდრე „მარადმწვანე დისიდენტი“ (ასე ვეძახდით ქალბატონ მარიკას) ბატონი სერგოსაკენ მიმავალი, დერეფანში გზადაგზა მოძრავ მიკრომიტინგებს მართავდა, თავის აღშფოთებას გამოხატავდა, შევედი კოლში. თანამშრომელს სასწრაფოდ ჩამოვახსნე ვინე ტალახაძე, მის ადგილზე სხვა იურისტის ფოტოსურათი გადმოვიტანეთ. ხუთ წუთში ისე ოსტატურად ჩავატარეთ ეს კომბინაცია, შეშურდებოდა კანონიერ თუ არაკანონიერ ქურდს... ქალბატონ მარიკას კიბის თავზე შევხვდი, ვითომ შემთხვევით.

– ვახტანგ, ეს რა ხდება, ჯალათი ტალახაძე გვინდოდა ახლა ჩვენ? 37-ში პროფესორებს ახვრეტინებდა?..

მე ვითომ არაფერი ვიცი, მიხსნის ვითარებას და თან სიტუაციას ისე რთულად ხატავს, თითქოს იმ სურათის ჩამოხსნა შეუძლებელია. მე ვამშვიდებ ქალბატონ მარიკას, მაგრამ უნდობლად მიყურებს.

– ქალბატონო მარიკა, თქვენ მშვიდად იყავით (ყურთან ჩურჩულით,) ტალახაძის კი არა, თქვენი გულინათვის, ლენინის სურათსაც ჩამოვხსნი.

– ვახტანგ, ნუ ხუმრობ. იცოდე, რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა ჩამოვხსნათ ტალახაძე! – მიბრძანა პირგამებებულმა ქალბატონმა აკადემიკოსმა. ჩემი ხუმრობა მი-



სი რისხვის შენელების ხერხად მიიჩნია, ალბათ, ვერ შეძლებსო...

შევდივართ ჰოლში. უკან მოგკეცებოდა ცნობისმოყვარე თანამშრომელთა ჯგუფი. ქალბატონმა მარიკამ მკლავში ხელი ისე მტაცა, თითქოს არსად გამექცესო, და პირიქით, აჩქარებით მიმიყვანა სტენდთან – აი, ვახტანგ, მოდი, მოდი – აი, აი, ვაი, ვაი!

ეს რა ხდება?.. ქალბატონი მარიკა გაოგნებულია... – აი, ამ ადგილზე იყო წარწერაც, ფოტოც, ღმერთო ჩემო, მოძულანდა?.. ქალბატონმა მარიკამ შეწუხებულმა რომ შემომხედა, სიცილი ვეღარ შევიკავე...

როცა ბატონ სერგოს დეტალ-დეტალ, ფსიქო-პასაჟებით მოგუყევი ყველაფერი – ტაში დაჰკრა და სავარძლიდან კინალამ გადავარდა.

ბატონმა სერგომ გემრიელი, გადამდები სიცილი იცოდა. ერთხელ მასთან მისი ნათესავი, შეხუმრებული ქალბატონი მოვიდა. – სერგო, შენ ძალიან გასუქდი, აი, მარა შე „შეჩვენებულო“, კაცს გასუქება ასე უხდებოდეს, ლოუტონის გარდა არავინ მინახავს.

ბატონმა სერგომ ერთ კაცს თავისი ფუნდამენტური მონოგრაფია „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“ აჩუქა ასეთი წარწერით – „ელვარე ნიჭის ქართველს“. ეს ეპითეტი ჩემი აზრით, მას უფრო შეეფერება. სწორედ ელვარე ქართული გულითა და სიყვარულით არის შექმნილი ეს მონოგრაფია. იგი ღრმა ანალიზია ეპოქისა, რომელიც აღსავსეა საქართველოს ისტორიის ყველაზე ღრმა გარდატეხებით. ესაა უნივერსიტეტის შექმნის, საქართველოს ისტორიისა და თვით ივანე ჯავახიშვილის ფენომენის ერთიანობაში განხორციელებული ანალიზი. ამ ნაშრომში ბატონი სერგო ნამდვილი ისტორიკოსია, ქართველოლოგია. ისტორიკოსის პროფე-

სიონალური მისია, პირველ ყოვლისა, პირუთენელი ობიექტურობაა. ამის განსახიერება გახლდათ დიდი ივანე ჯავახიშვილი. ბატონი სერგო სწორედ ამ მეცნიერული კეთილსინდისიერების აუცილებლობას ანიჭებს დიდ მნიშვნელობას (აბა, ახლა ნახეთ, საქართველოს ისტორიას იმისთანა ადამიანები წერენ, რომელთაც სინდისთან არასდროს ჰქონიათ შეხვედრა. ერთ სუფრაზე ასეთი საუბარი შედგა: – ბიჭო, შენ ძალიან მომწონხარ, გინდა ისტორიაში ჩაგწერო? – როგორ? – როგორ და, ჩემი ამხანაგი წერს საქართველოს ისტორიას. ეროვნულ მოძრაობაში ხომ იყავი? – კი, მაგრამ პატარა ვიყავი. – არა უშავს-რა, ფოტოსურათი მომიტანე. – თუ კაცი ხარ, ეს ბიჭი იმ წლების მოვლენებში არ ჩართო, როდესაც ჯერ დაბადებული არ იყო – ურჩია უფრო ჭკვიანმა მასპინძელმა).

ბატონი სერგო უკანასკნელად ოპერის თეატრში ვნახე, ერთ სამეცნიერო-საიუბილეო ღონისძიებაზე. ერთად დავსხედით. იგი მეუღლესთან, ქალბატონ ნუნუსთან ერთად იყო. ერთობ ნალვლიანი მომეჩვენა. – ვერა ვარ კარგად, ჩემო ვახტანგ, – მითხრა მან და მაშინვე შეცვალა საუბრის თემა. საქმეზე, მეცნიერებაზე ჩამოაგდო სიტყვა. მე რაღაც უსიამოვნო სევდამ გამკრა გულში. ივნე ჯავახიშვილის დიდი ცხოვრების და დიდი სიკვდილის, ბატონი სერგოს მიერ შექმნილმა, სურათებმა გამიელვა გულში.

„სამუდამოდ ჩაქრა თვალთაკრთომა ნათელი კაცისა, რომელიც ერის შორეულ წარსულს ყველაზე ღრმად ხედავდა, თანამედროვეობაზე სიყვარულით ზრუნავდა და მისი ბედნიერი მომავლისათვის თავდაუზოგავად იღვწოდა.“

სიკვდილით ჩაიხშო გულისცემა იმ კაცისა, რომელსაც ხალხის ძლიერი სიყვარული დარაჯად ედგა (ვაი, რომ სიკვდილის პირისპირ კაცი ყოველთვის მარტოსულია!). სიკვდილის გამარჯვებას ეს სიყვარული არამც და არამც არ შეუწელებია. ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ღვაწლის სიდიადე და მშვენიერება სიკვდილის შემდეგ წარმოჩინდა მთელი სისრულით, სწორედ სიკვდილის შემდგომ პირველად მიმართეს მას: „დილო ივანე!“

ბატონო სერგო, ცოტათი გული მოვიოხე, ამ სტრიქონებით თითქოს თქვენთან ვიყავი, თქვენთან ვისაუბრე. მერე-და, რა ტკბილმოუბარი იყავით და ხართ, არამართო თქვენი ნაწერებით; თქვენი ჩაუქრობელი სახე და თქვენი ქმედებანი გვესაუბრება. მე უფრო მჯერა იმ ქვეყნის ჭეშმარიტებისა, თქვენ რომ ახლა მკვიდრობთ, ვიდრე ამ ქვეყნისა, სადაც ჩვენ ერის საშინელ დაცემას ვუმზერთ. მაგრამ ყველაფერი უფლის ნებითაა, ალბათ, თქვენს სათაყვანებელ საქართველოს მოხედავს ღმერთი..



**მომკვლევები**

**ვანკატანო გომეზაქივი**



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და  
უნეტარესი ილია II და ვახტანგ გოგუაძე

მე ბატონ ვახტანგს ძალიან კარგად ვიცნობდი. მან დიდი როლი შეასრულა ეკლესიისა და საზოგადოების დაახლოებაში. პატრიარქ კირიონის მკვლელობის შემდეგ ხალხს ეშინოდა სასულიერო პირებთან ურთიერთობის და არ გვპატიჟებდნენ ხოლმე საზოგადოებრივ შეკრებებზე. მახსოვს, 1981 წელს ბატონმა ვახტანგმა უნივერსიტეტში დაგვპატიჟა გამოფენაზე. იმ დროს ეს ძალიან საშიში იყო. ბატონმა ვახტანგმა ბიბლიაზე ისაუბრა, ღმერთი ახსენა და პირჯვარიც დაიწერა. ძალიან გაბედული ადამიანი იყო და დიდი შრომა გასწია ერისა და ეკლესიის შერიგებისათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი  
უწმიდესი და უნეტარესი ილია II





ვახტანგ გოგუაძე, კორნელი დანელია, ირაკლი აბაშიძე



გური ასათიანი, ვენო ქვაჩავაძე, ვახტანგ გოგუაძე



ვახტანგ გოგუაძე და მიხეილ მესხი



ვასტანგ გოგუაძე, ბეგო ბეჟუაშვილი, ვასტანგ როდონაია





ვახტანგ გოგუაძე და ელგუჯა გიუნაშვილი



უნივერსიტეტის დამთავრების აღსანიშნავი დღე. 1963 წ.



ვახტანგ გოგუაძე და ალექსანდრე ალექსიძე



იურა ჯაფარიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ვახტანგ გოგუაძე,



ზაალ ჟვანია



თეიმურაზ ხუროძე, გურამ ლორთქიფანიძე, ვახტანგ გოგუაძე



ციალა ხინთიბიძე, ვახტანგ გოგუაძე, ანზორ ტყემალაძე, ნიკო ჭავჭავაძე, სერგი ავალიანი, უცხოელ სტუმრებთან ერთად



სამეცნიერო ექსპედიცია ფშავში გრ. კიკნაძის ხელმძღვანელობით



ვახტანგ გოგუაძე უნივერსიტეტის სტუდენტებთან





ვახტანგ გოგუაძე და ნოდარ ამბროსიძე



ვახტანგ გოგუაძე და ნოდარ კაკაბაძე გერმანულ მეცნიერებთან ერთად





გივი ბაქრაძე, ვახტანგ გოგუაძე, ათანდილ სილაგაძე



ელენე გოციელი, დალი ბოჯგუა, რევაზ ჩხობაძე, ნათელა ლალიძე,  
გიორგი ჯიბლაძე, ვახტანგ გოგუაძე



გივი სანაძე, ზურაბ ფორაქიშვილი, ვახტანგ გოგუაძე



ვახტანგ გოგუაძე, აპოლონ სილაგაძე, ზურაბ ფორაქიშვილი, ნელი გურგენიძე, ნათელა ლალიძე, გივი ბაქრაძე, გურამ ჭილაშვილი





ჯანსუღ კახიძე და ვახტანგ გოგუაძე





ანზორ ერქომაიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ლადო მინაშვილი, ვახტანგ გოგუაძე



ანზორ ერქომაიშვილი და ვახტანგ გოგუაძე



გოგი სუციშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, გივი ღამბაშიძე, კარლო მეშველიანი, ეფრაიმ გური, გიორგი ნადირაძე, ვახტანგ გოგუაძე, ანდრო ღვედარიანი, მიხეილ ხავთასი



გოგა ხაინდრავა, ვახტანგ გოგუაძე, ჯაბა იოსელიანი, ვია ჭანტურია, ვია კობახიძე, მამუკა კიკალეიშვილი, ირინა სარიშვილი





ირაკლი ქადაგიშვილი და ვახტანგ გოგუაძე



ვახტანგ გოგუაძე და თემურ ფიფია ექიმების ჯგუფთან





გიგა ლორთქიფანიძე, თამაზ გამყრელიძე, ვაზტანგ გოგუაძე,  
ნანა ჩხაიძე ჩინეთში



მიშა მცურავიშვილი, ომარ ბერიძე, ვახტანგ გოგუაძე.  
ვ. გოგუაძის 60 წლის იუბილე



ვალერი კვარაცხელია და ვახტანგ გოგუაძე.  
ვ. გოგუაძის 60 წლის იუბილეზე



ვახტანგ გოგუაძის საფლავი საბურთალოს სასაფლაოზე



ვწერ ჩემი მეგობრის, ვახტანგ გოგუაძის მოსაგონარ წერილს და სურვილი მიჩნდება, სათაურშივე ვთქვა, რომ ის ერთ-ერთი დიდი მეცნიერი, პედაგოგი, აღმზრდელი, პრინციპული პოლიტიკოსი, პატრიოტი, ჰუმანისტი და ერთგული მეგობარი იყო. მე მასთან ურთიერთობაში დავინახე და შევიცანი ყველა ეს თვისება და ხასიათი.

ბატონ ვახტანგთან ჩემი ურთიერთობა ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაიწყო, რომლის პროფესორიც იგი იყო და სადაც მას წლების განმავლობაში პრორექტორის თანამდებობა ეკავა. ვახტანგი ახალგაზრდების აღმზრდელი, მეგობარი და ნამდვილი წინამძღოლი იყო. იმ რთულ წლებში მან არა მხოლოდ საერთო ენა გამოინახა სტუდენტებთან, არამედ მათი უდიდესი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

ვახტანგი დისიდენტური ბუნების კაცი იყო. მის საღისერტაციო ნაშრომებსა თუ მონოგრაფიებში იშვიათად ნახავდით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატებს, სამაგიეროდ, უხვად იყო მოხმობილი ადგილები ბიბლიიდან თუ სხვა წმინდა წიგნებიდან. მაშინ ეს არ იყო იოლი. ამის გამო ის ბევრ სირთულეს წაწყდომია და მრავალი წინააღმდეგობის გადალახვაც დასჭირვებია.

მე მახსოვს ბატონი ვახტანგი მოსკოვში ჩემი სსრ კავშირის დეპუტატობის პერიოდში. მახსოვს, სასტუმრო „მოსკოვში“ როგორ ვკამათობდით აფხაზეთის მაშინდელ ლიდერთან ვლადისლავ არძინბასთან. არძინბა, რომელსაც აფხაზეთის ისტორიის ღრმა ცოდნის პრეტენზია ჰქონდა, სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდა ვახტანგთან პოლემიკაში.

1991 წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა. ამ არჩევნებთან დიდი ვნებათაღელვა იყო დაკავშირებული, წყდებოდა საქართველოს მომავალი. მე საპრეზიდენტო ბრძოლაში ჩავები და იმ საყოველთაო ისტერიის პირობებში „პრეზიდენტობის ერთადერთ სრულყოფილებიან კანდიდატს“ – გამსახურდიას დავუპირისპირდი. ბატონმა ვახტანგმა სწორად განჭვრიტა, თუ რას უქადდა საქართველოს ის ძალა, რომელიც მაშინ უკვე იყო მოსული ხელისუფლებაში და ქვეყანას ავტორიტარიზმისკენ მიაქანებდა. ვახტანგი ნდობით აღჭურვილ პირად დამიდგა, რაც საკმაო რისკს შეიცავდა იმისა, რომ მორალური და ფიზიკური ტერორის მსხვერპლი გამხდარიყო, მაგრამ მას არც მაშინ მიუუტოვებია, როცა საქართველოს მილიციამ (უშუალოდ მინისტრის ხელმძღვანელობით) ხელჩართულ ბრძოლაში შტაბ-ბინა დამირბია.

1992 წელს ვახტანგი საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტის სპიკერად აირჩიეს. ძნელი იყო ოცდაექვსი პოლიტიკური პარტიისგან შემდგარი პარლამენტის გაძლოლა, მაგრამ იგი, დიდი ძალისხმევის შედეგად, ახერხებდა პარლამენტის „მოთვინიერებას“ და ამკვიდრებდა ცივილიზებული საპარლამენტო მუშაობის წესს. პარლამენტის არსებობის მანძილზე ამ მიმართულებით მან ბევრი რამ გააკეთა. მას ხშირად უხდებოდა ყოველად უსაფუძვლო შემოტევების მოგერიება, მაგრამ მისი წონასწორობიდან გამოყვანა შეუძლებელი იყო. მახსოვს ასეთი დიალოგი:

– რუსეთი ჩვენი ისტორიული მტერია! – ყვირის მიკროფონში გაცხარებული დეპუტატი.

– რუსეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია! – უპასუხებს მას სპიკერი.

– ბატონო სპიკერო, თქვენ სამშობლოს მოღალატე ხართ!

– გმადლობთ, ჩართეთ მესამე მიკროფონი! – ოლიმპიურ სიმშვიდეს ბოლომდე ინარჩუნებს ბატონი ვახტანგი.

მიუხედავად მტკიცე ხასიათისა, ერთხელ მაინც გააკეთა განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, მაგრამ მთელი პარლამენტის თხოვნით (მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც ხშირად ამკობდნენ ისეთი ეპითეტებით, რომლის ერთ-ერთი ნიმუშიც ზემოთ მოვიტანეთ), მან უკან წაიღო თავისი გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ.

ბატონი ვახტანგი მისმა პრინციპულობამ ძალე დააპირისპირა სახელმწიფოს მეთაურ ედუარდ შევარდნაძესთან, რომლის პროამერიკული და ანტირუსული კურსი მისთვის მიუღებელი იყო. ვახტანგმა წინასწარ განჭვრიტა, რომ ეს გზა საქართველოს დაანგრევდა. დღეს, ვახტანგის სიმართლეში ბევრი დარწმუნდა, მაგრამ მაშინ იგი თითქმის მარტო იყო.

1996 წლის 2 სექტემბერს შეხვედრა მქონდა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან. ვახტანგი მაშინ მეორე მოწვევის პარლამენტის რიგითი დეპუტატი იყო. ძირითად საკითხებზე საუბრის შემდეგ, სიტყვა ბატონ ვახტანგთან მის ურთიერთობაზე ჩამოვადე. ძალიან მკაცრად მაკრიტიკებსო, თქვა. ნაწყენი ჩანდა, მაგრამ ვახტანგის განსაკუთრებულ ნიჭიერებას და პატრიოტიზმს მაინც გაუსვა ხაზი და საუბარი მოხერხებულად წაიყვანა სხვა მიმართულებით.

რუსეთში ჩემი საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ყოფნის პერიოდში მეუღლესთან, ქალბატონ ნანისთან ერთად ჩინეთში მიმავალმა ვახტანგმა მომინახულა. დიდხანს ვისაუბრეთ. ვახტანგი გლობალურ გეოპოლიტიკურ



კონტექსტში შესანიშნავად ერკვეოდა, რის გამოც ძალიან საინტერესო პროგნოზებს აკეთებდა. მაშინ ეს პროგნოზები შეიძლება ბევრს უტოპიური მოჩვენებოდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ვხედავთ, რომ ვახტანგს პოლიტიკური ალლო და შორსმჭვრეტელობა თურმე არ ღალატობდა. ახლა ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ყველაფერი ვახტანგის მიერ დაწერილი სცენარით წარიმართა-მეთქი.

მომდევნო პერიოდში მეც ძირითადად მოსკოვში ვმუშაობდი და ჩვენ მუდმივი სატელეფონო კავშირი გვქონდა. მისი ზარი თუ დაიგვიანებდა, მე ვრეკავდი და – პირიქით.

ვახტანგი დაუფარავად და პირდაპირ აცხადებდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მისი ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა უშუალოდ არის დაკავშირებული რუსეთთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის აღდგენასთან. მე მას ამასი აბსოლუტურად ვეთანხმებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადებები ე.წ. „მედსავლეთეებში“ ბოროტ ღიმილს იწვევდა და იწვევს.

ვახტანგი ძალიან ბევრს მუშაობდა როგორც პოლიტიკაში, ასევე მეცნიერებასა და პუბლიცისტიკაში. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მის მიერ დაწერილი საგაზეთო სტატიები პუბლიცისტური ესეები, სამეცნიერო სტატიები თუ მონოგრაფიები, ის ძვირფასი მემკვიდრეობაა, რომელსაც, ეჭვგარეშეა, რომ დიდი ინტერესით შეისწავლის მომავალი თაობა. ამ წლებში მისი რამდენიმე სქელტანიანი წიგნი გამოიცა რუსულ ენაზე (მათ შორის „Верните мне мою Россию!“, „Глас из Грузии“, „Судьба Грузии от Бориса Годунова до Владимира Путина“ და სხვა.). ხშირად მთხოვდა, რომ ამ წიგნების

ცალკეული ეგზემპლარები შესაბამისი წარწერებით, ჩვენი მოსკოველი მეგობრებისათვის გადამეცა, რასაც სიამოვნებით ვასრულებდი.

ბოლო წლებში, თბილისში, ერთ სახლში, გვერდიგვერდ სადარბაზოებში მოგვიწია ცხოვრება და ჩვენი ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. ვახტანგი ხშირად მეპატიჟებოდა სახლში, მის განუყრელ მეგობარ ვალერი კვარაცხელიასთან ერთად და, ზოგჯერ, გათენებამდე ვსაუბრობდით ხოლმე სამშობლოს ბედზე, მის მომავალზე. ეს დაუვიწყარი საღამოები იყო.

ვახტანგის პოლიტიკური ორიენტაციისა და პოზიციის გამო, მისთვის დაკეტილი იყო სატელევიზიო არხები. გაზეთების კორესპონდენტებიც კი იშვიათად დადიოდნენ მასთან, მაგრამ ამით რუსეთთან კეთილმეზობლობისა და საქართველოს მართლმადიდებელ სამყაროში დარჩენის იდეა არ კვდებოდა. ვახტანგი მტკიცე რწმენის კაცი იყო. ამიტომ იყო იგი დევნილი და შევიწროებული, ან როგორ არ იქნებოდა შევიწროებული, როცა ასეთ რამეს ამბობდა: როცა ბუში აღარ იქნება აშშ-ის პრეზიდენტი, ხალხი თბილისში მისი სახელობის ქუჩას ნაბუშარს დაარქმევსო. როცა კომუნისტებთან სიახლოვის გამო უსაყვედურეს, მან უპასუხა: ცისფერებთან მეგობრობას, წითლებთან მეგობრობა მირჩევნიაო. — იუმორის გრძნობა უხვად ჰქონდა მომადლებული.

ამაჟვეყნიდან ვახტანგის წასვლის შემდეგ (რაც ჩემთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია), ბევრი რამ მოხდა, ბევრი რამ შეიცვალა. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან ომიც კი მოახერხა. მართალია, დღემდე ვერ გაურკვევიათ, დამარცხდნენ თუ გაიმარჯვეს ამ ომში, მაგრამ რაც მთავარია, ხომ იომეს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჯერჯერობით ყველაფერი ცუდად

არის, მაგრამ ვახტანგისეული დიალექტიკა – „საქმე ისე ცუდად მიდის, რომ არ შეიძლება კარგი რაღაც არ მოხდესო“, ჯერ კიდევ ძალაშია, ვახტანგმა ამ რწმენით იცოცხლა, მეც ამ რწმენით ვცოცხლობ.

ვალერიან ადვაძე



## კაცი, რომელიც ძალაქს დააკლდა

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი მოსვლით არაფერს ჰმატებენ ქვეყანას და ასევე ამ ცხოვრებიდან წასვლითაც არაფერს აკლებენ მას. ამათგან გამორჩეული იყო ვახტანგ გოგუაძე. იგი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა სიკეთით, რომელიც წყაროსავით სუფთა იყო. სიკეთეს თესავდა ყველგან და სიკეთის იდეას ემსახურებოდა. იგი თავისი თაობის ლიდერი იყო, ახალგაზრდობისათვის – სამაგალითო და საამაყო. შინაგანად ვახტანგი გაუბზარავი ადამიანი იყო. მის სულს არ შეეხო ეფემერული ცვლილება მოდისა, იგი ძველი მარადიული ღირებულებების ერთგული დარჩა, ერთგული იყო თავისი ემოციის უშუალობისა და პირდაპირობისა.

არ შეიძლება, ხაზი არ გაესვას ვახტანგის კიდევ ერთ თვისებას, ეს იყო ერთგულება, რაც გამოსჭვიოდა მის პირად ცხოვრებაში, შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობაში, სიყვარულში, მეგობრობაში. მან ვერ ისწავლა იმ ხავსის გამოყენება, გაჭირვების ჟამს რომ მოეჭიდებიან ხოლმე მისი გამოცდილების მქონე ადამიანები. გულის ამაჩუყებელი იყო ვახტანგის დაბნეულობა ასეთ წუთებში, თანაც უცნაურად მომხიბვლელი.

მან ყველაზე უკეთ იცოდა სიამე ტანჯვისა, სინათლე წყვდიადისა, და რაც მთავარია, სიბრძნე სიცრუისა. ამ თვისებებს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მისი ცხოვრება ჰარმონიული გაეხადა. აქ იყო აღმაფრენის სიხარულიცა და დაცემის სიმწარეც, შემოქმედებითი შრომაცა და შემოქმედებითი კრიზისიც, რომელსაც შემოქმედებითი იმიტომ ჰქვია, მხოლოდ ადამიანს რომ ემართება, ვინც რაიმე ახალსა ჰქმნის. საშუალო ნიჭმა და ერთფეროვნებამ შემოქმედებითი კრიზისი არ იცის. ამიტომაც

იყო ვახტანგი ნიჭისა და სულის ადამიანი, რომლისთვისაც ამცხოვრებისეული არაფერი უცხო და უცნაური არ იყო.

ყველას ეამაყებოდა ვახტანგთან მეგობრობა, ყველას უნდოდა მის სუფრასთან მჯდარიყო, მასთან ახლოს ყოფილიყო. ისიც თითქმის ერთდროულად ყველას სუფრასთან იჯდა. როგორ ახერხებდა იგი ამას, ძნელი ასახსნელია, რადგანაც ამასაც თანდაყოლილი მადლი და ნიჭი განაპირობებდა. მის ნიჭიერებას თითქმის სტიქიური გამოვლინება ახასიათებდა. თითოს ტალანტს თავისი პირველყოფილი სახით გვაწვდიდა. თითქოს ჩვენ თვალწინ ამოჰქონდა მიწიდან ოქრო და გულუხვად გვასაჩუქრებდა კიდევ. მე ვგრძნობდი, რომ ამ ადამიანისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, სადაც იგი პრორექტორად მუშაობდა, იდუმალი და მართლაც მშვენიერი სამყარო იყო. უნივერსიტეტი იყო ჭეშმარიტი ბინა-კეთილი. შინ კი თითქოს დასაძინებლად და სიზმრისათვის უნდა ევლო. მისთვის სიზმარშიც ისევ უნივერსიტეტი ხშიანობდა.

იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში ეროვნული მოძრაობა დაიწყო და ასპარეზზე გამოვიდნენ ჩვენი ხალხის საამაყო შვილები მერაბი და ზვიადი, მაშინ აქციები უნივერსიტეტის ეზოში, ასევე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების თაოსნობით დაიწყო. სამწუხაროდ, ამ აქციებს ხშირ შემთხვევაში არბევდნენ ორგანოს თანამშრომლები. პირველი დარბევის მსხვერპლნი მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იყვნენ. ერთ-ერთი ასეთი დარბევის დროს ზვიად გამსახურდია ორგანოს თანამშრომლებმა დააკავეს და ტანზე ჰიჯაკი შემოახიეს. ხალხმა ამ დაგეშილ მგლებს ზვიადი ხელიდან გამოსტაცა. ეს რომ ვახტანგმა გაიგო, კაბინეტიდან გამო-

ვიდა და ზვიადი და მერაბი თავის კაბინეტში შეიყვანა. იმ დღიდან, უნივერსიტეტის მართლაც გამორჩეული პრორექტორის ვახტანგ გოგუაძის ნებართვით, სახალხო აქციებს ზვიადი და მერაბი უნივერსიტეტის კლუბში მართავდნენ. იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმი მძვინვარებდა საქართველოში, ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვახტანგის მხრიდან გმირობის ტოლფასი იყო და სწორედ ამიტომაც დაიმსახურა ვახტანგმა ხალხის სიყვარული და პატივისცემა. ვახტანგთან იმდენი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა, რომ დღეს ჩემთვის ძნელი მოსაგონარია, თუ როდიდან და რა ვითარებაში გავიცანი იგი უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი იყო ჩვენი სახლიცა და თავშეყრის ადგილიც. ვახტანგი გამორჩეულად უყვარდა ყველას, სადაც მას უმუშავია. იგი იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტუდენტთათვის საიმედო და ღირსეული მასწავლებელი, მეგობარი და კეთილის მსურველი ადამიანი. ვახტანგი მეგობართა და სტუდენტთა დიდ სიყვარულს გრძნობდა. ერთ დღეზე ცხოვრებას ვერ ეგუებოდა. მას პატივმოყვარეობა კი არ აწვალებდა, მარადიული სიახლის გრძნობა და სრულყოფისკენ ლტოლვა სიცოცხლის უმთავრეს პირობად მიაჩნდა.

თავის პირად მარტოობაშიცა და მუდამ აფორიაქებულ ცხოვრებაშიც ის ბედნიერი კაცი იყო. არავინ დაიჯერებდა მის ავადმყოფობას ან ნაადრევ დამაბუნებას, ამიტომაც უცებ არ დაიჯერეს მეხვიით გავარდნილი ვახტანგის სიკვდილის ამბავი. თითქოს ქარში გადატყდა ძლიერი მუხა, ისე შემძვრელი და სიმზარეული იყო მისი გარდაცვალება.

თითქოს ადვილი უნდა იყოს ვახტანგზე მოგონების დაწერა. თითქოს იგი არ იყო რთული პიროვნება. რო-



გორც ყველა ჭეშმარიტი მეცნიერი, უბრალო, რასაკვირ-  
ველია, ჩვეულებრივი, ალალი, მართალი კაცი იყო და  
ასეთების ხვედრი კი უფრო ტანჯავა ვიდრე ბედნიერება.

ვახტანგს ლამაზი ოჯახი ჰქონდა. უძმვენიერესი და  
სათნო მეუღლე ნანა, შვილები თამარი და გიორგი და  
შვილიშვილები. რაც დრო გადის, მით უფრო მიჭირს  
იმის შეგუება, რომ ვახტანგი ჩვენს შორის აღარ არის...  
ეს სულით ხორცამდე კეთილი კაცი ერთ დღეს, სრუ-  
ლიად ჯანმრთელი მეტეორივით გაქრა ალბათ, ასეთი  
სიკვდილიც რჩეულთა ხვედრია, წავიდა ჩვენგან კაცი  
ალალი და მართალი. მისი ამ ქვეყნიდან წასვლით კი  
ქალაქს კაცი დააკლდა. კაცი ერზე და თავის ქვეყანაზე  
მზრუნველი, მისი ჭირვარამის გამზიარებელი და მისივე  
დიდი ჭირისუფალი. ჩვეულებრივი იყო ვახტანგის ყო-  
ველდღიური ცხოვრება: სამსახური და მეგობრობის გა-  
რემო ყველგან და ყველაფერში, ცდილობდა, „ხელოვნუ-  
რად“ არავისგან გამორჩეულიყო.

არიან ადამიანები, რომლებსაც ყოველთვის უამრავი  
თავისუფალი დრო აქვთ. ვახტანგისათვის კი ეს გაუგე-  
ბარი იყო, მას დრო არასოდეს ჰყოფნიდა. დაამთავრებდა  
თუ არა ერთ კეთილ საქმეს, უმაღლ მეორეს იწყებდა.  
ეძებდა, სად რა სიკეთე დაეთესა. ამიტომაც იყო, რომ  
მას სხვისი გასაჭირი გულთან მიჰქონდა. მისთვის არ  
არსებობდა დრო და საათი, სამაგიეროდ, თავის გასა-  
ჭირს, „თავის სატკივარს“ მაღავდა, არავის შეაწუხებ-  
და, საყვედურს არავისზე იტყოდა. ყველას გამართლებას  
ცდილობდა, მაშინაც კი, როდესაც მას უახლოესი მეგო-  
ბარი გულს ატკენდა, საყვედურის თქმის უფლებას არც  
შენ მოგცემდა და არც სხვას.



ვახტანგი ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო. მისი ყოველდღიური ცხოვრება ლოცვით იწყებოდა და ლოცვით მთავრდებოდა.

როდესაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აკურთხეს უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, თხოვნით მომმართა, რომ მასთან შეხვედრა მომეწყო. თუმცა ამ შეხვედრის მსურველი უწმინდესი ილია მეორე იყო. ვინაიდან მას აინტერესებდა ქართველ მეცნიერებთან შეხვედრა, რათა მათთვის ეთხოვა საქართველოს ეკლესიის ისტორიის დაწერა. ეს შეხვედრა შედგა ილია მეორის ინიციატივით და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა გაინაწილეს პერიოდების მიხედვით ისტორიის დაწერა. ვახტანგი ცალკე შევახვედრე პატრიარქს. მათ დიდხანს ისაუბრეს და უნდა ითქვას, რომ პატრიარქი მოხიბლული დარჩა მისი ღრმა ფილოსოფიური და თეოლოგიური ცოდნით. გამოთხოვებისას პატრიარქმა ვახტანგს ბიბლია აჩუქა და სთხოვა, რომ მასთან კონტაქტი არ გაეწყვიტა. ვახტანგი საპატრიარქოდან ისე აღტაცებული გამოვიდა, რომ კი არ მოდიოდა, თითქოს ფრთაშესხმული მოფრინავდა, ალბათ ამ სიყვარულის უკანასკნელი გამოხატულება ისიც იყო, რომ ვახტანგი უკანასკნელად სიონის ეკლესიიდან გაასვენეს, პატრიარქის კურთხევით. ილია მეორემ ის უკანასკნელ გზაზე გააცილა.

ვახტანგი ბელადთა შორის დიდი პატივისმცემელი იყო სტალინის. მის მოღვაწეობას მან მრავალი შრომა და წერილი მიუძღვნა. თავისი ერთ-ერთი წიგნი „სტალინი და საშინელი სამსჯავრო“ მაჩუქა შემდეგი წარწერით „ეთერო, რა დამაზიწყებს ჩვენს შეხვედრას (ჩემთვის პირველს) უწმინდესთან (15.07.1978), აუპ, რა დრო გავკსნლეთა ხელიდან?! ძმური სიყვარულით ვახ-

ტანგ გოგუაძე 01.02.07”. მართლაც, რა დრო გაგ-  
ვსნლექტია ხელიდან, ჩემო ძმაო და მეგობარო, მას შემ-  
დეგ, რაც შენ ჩვენს შორის აღარა ხარ, მაგრამ გწამ-  
დეს, რომ შენგან დარგული კეთილი ხე ნაყოფს გამოი-  
ღებს და შენ მარად უკვდავი იქნები შენს მეგობრებსა  
და ახლობლებს შორის. მათ შორის, ვინც შენ გიცნობ-  
და, ვინც შენ გაფასებდა და ვისაც შენ უყვარდი კაცი –  
როგორც ნიჭიერი და კეთილი პიროვნება.

ეთერ ავსაჯანიშვილი



## სრულიად გამორჩეული პიროვნება

ბატონი ვახტანგ გოგუაძე სრულიად გამორჩეული პიროვნება იყო იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც მე ვიცნობდი.

ვიხსენებ და ვამაყობ, რომ არათუ ვიცნობდი მას, არამედ ჩემი უსაყვარლესი სულიერი შვილი იყო. კეთილშობილი, ტკბილი, ადამიანური, მოსიყვარულე, მოწყალე, თავმდაბალი... თუმცა ამ და ბევრი სხვა უამრავი კეთილი თვისებისაგან რამდენიმეს განსაკუთრებით გამოვყოფდი, რომლებიც ასე ძალიან ამკობდა ბატონ ვახტანგს. ეს არის თავმდაბლობა, მოწყალება და კეთილშობილება.

მოგონებები მის ქველ საქმეებზე იმდენად ბევრია, რომ შემოკლებით თქმა შეუძლებელია. მე მხოლოდ ზოგიერთ მომენტს გავუსვამდი ხაზს. უსაყვარლესი პიროვნება იყო. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ და ეკლესიაში შემოდის და როგორც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი. თავდაპირველად, წირვა-ლოცვის დაწყებამდე უეჭველად მნახავდა, დამლოცვინებდა თავს, შემდეგ კი კელაპატრის დიდ სანთელს აიღებდა და მორჩილად ჩადგებოდა სხვათა შორის. იდგა ბოლომდე, მანამ, სანამ წირვა-ლოცვა და ქადაგება არ დასრულდებოდა. წირვა-ლოცვის შემდეგ კი, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით, შებრძანდებოდა საკურთხეველში, დაილოცებოდა და ძალიან ძაღვევ, მშვიდად გამოდიოდა.

იმის გამო, რომ ეკლესია-მონასტრების მშენებლობით ვიყავი დაკავებული, ბევრჯერ მიწევდა ბატონი ვახტანგის შეწუხება, თუმცა არც ერთხელ არ მინახავს მისი შეწუხებული, ან უკმაყოფილო სახე. მარტო მე კი არა

ნებისმიერი ადამიანი რომ დალაპარაკებოდა, ყურს უგდებდა დიდი ყურადღებით და თუ რაიმე შეეძლო, შეეცდებოდა შეესრულებინა მთხოვნელისთვის. უყვარდა, როცა ადამიანებს გახარებულებს ხედავდა.

ისეთი თავმდაბალი იყო როგორც შვენის განათლებულ, მორწმუნე ადამიანს და ღმრთისმოსიშ კაცს. მართალი იყო ღმრთისა და ერის წინაშე.

ერთხელ ასეთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. ერთ მაღალი თანამდებობის პირთან გარკვეული უსიამოვნო საუბარი მქონდა საქმესთან დაკავშირებით. ამ ამბავმა ბატონი ვახტანგის ყურამდე მიაღწია, რომელიც მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო, თუმცა ჩემთვის არაფერი შეუტყობინებია ამის შესახებ. ერთხელაც, როცა მივედი, მითხრა, რომ სურდა იმ თანამდებობის პირთან ჩემი თანდასწრებით გასაუბრება. მართალი ვითხრათ, ცოტა არ იყოს, არ მომეწონა ეს აზრი, ვინაიდან ვიფიქრე, რომ კოლეგები იყვნენ, მეგობრები და ვაითუ, რაიმე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მთხოვა და აღარ შევეკამათე. გამოვიდა კაბინეტიდან, ჩავიდა ქვემოთ და გარეთ, დაცვის თანხლებით, ფეხით საკმაოდ დიდი მანძილი გაიარა. მე ვთხოვე, მანქანით წასულიყო დანიშნულების ადგილამდე, მაგრამ ბატონმა ვახტანგმა მიპასუხა: არა უშავს, გავისეირნებო. მაშინ კი ჩემთვის ნათელი გახდა, რომ იგი ნერვიულობდა მომხდარზე და გულის გადაყოლებას ცდილობდა.

იმ თანამდებობის პირთან რომ შევედით, მივესალმეთ ერთმანეთს. ბატონმა ვახტანგმა, როგორც განათლებულმა და კულტურულმა ადამიანმა, განსაკუთრებული სალაში უძღვნა ჩვენს მასპინძელს, ხოლო შემდეგ კი დელიკატურად მოახსენა, რომ არქიმანდრიტი იოაკიმე მისი და მთელი მისი ოჯახის სულიერი მამა იყო. იმ პიროვ-

ნებამ შეიცხადა და განაცხადა, რომ ყველაფერს ისე გააკეთებდა, როგორც საჭირო იყო. შემდეგ, ბატონმა ვახტანგმა მისი ჩვეული იუმორით ბევრი იხუმრა და მშვიდობიანად და ლამაზად დავცილდით ერთმანეთს. ამის მერე, საქმე, რომელზეც დავა მიდიოდა, ბევრად უკეთ შესრულდა, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვედგინა.

ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს პატრიარქის სადილზე, ვინაიდან უყვარდა საქართველოს ეკლესიის მამამთავარს ბატონი ვახტანგი როგორც ინტელიგენტი და მორწმუნე ადამიანი. მახსოვს, მარნეულში წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის გახსნაზე ვახლდით პატრიარქს მეც, ბატონი ვახტანგიც და ბევრი სხვა ადამიანიც. ტაძრის კურთხევის შემდეგ დიდი სუფრა გაიმართა, რომლის თავკაცად პატრიარქმა ბატონი ვახტანგი დანიშნა. ამ ადამიანის განათლებამ და იუმორმა ყველა მოზიბლა და სუფრაც უტკბილესად წარიმართა, როგორც ეს საპატრიარქო სუფრას შეშვენოდა. იგი მაშინ არ იყო თანამდებობის პირი. იმდენად კარგი განწყობა შეიქმნა, რომ პატრიარქი, რომელსაც ეჩქარებოდა, დარჩა და საკმაოდ გვიანობამდე საუბრობდნენ.

განსაკუთრებით უყვარდა, როცა ეკლესია-მონასტრების საქმით იყო დაკავებული, მათი აღდგენით. ეს ის პერიოდი იყო, როცა მე მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ გადამიყვანა წმიდა მარინეს ტაძარში და მისი აღდგენა მიმდინარეობდა. არ მახსოვს დრო, რომ ბატონ ვახტანგს, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, რომელიმე წირვა-ლოცვა გაეცდინა. თანაც ისე არ წავიდოდა, რომ ტაძრისთვის რაიმე შესაწირი არ დაეტოვებინა. მე ვწუხდდი, რომ გადამეტებულად არ დახარჯულიყო, ვინაიდან უშურველი გაცემა იცოდა, მაგრამ მპასუხობდა, რომ იგი ღმრთისმოშიში და ღმრთისმოყვარე კაცი იყო და რასაც



უფალი ბრძანებდა ბიბლიაში, იმას ასრულებდა – მეათე დი უფლის ტაძრისაა და მასვე უნდა შევწირო. გარდა ამისა, გამუდმებით აქცევდა ეკლესიას ყურადღებას, თვალს ადევნებდა რამე ხომ არ უჭირს, ან რაიმე ხომ არ დააკლდაო. ხშირად უყვარდა მოსვლა და ჩემთან საღმრთო წერილზე საუბარი. კარგად იცოდა ათი მცნება, ცხრა ნეტარება, შვიდი საიდუმლოება. განსაკუთრებულად უყვარდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ჩემზე კი ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, ვითომ რაღაცას წარმოვადგენდი.

მჯერა, რომ ბატონი ვახტანგი უფალს უყვარს, რომ მისი სული ისევე ტკბილად არის, როგორი ტკბილიც თვითონ იყო, რომ ისევე ხშირად მოდის ჩვენს წირვა-ლოცვაზე და ღება დიდი კელაპტრით, როგორც ადრე იდგა და ისეთივე ნათელი, სუფთა და მომდიმარი სახით შეპყურებს უფალს.

სანამ ცოცხალი ვარ, ყოველ ჩემს წირვა-ლოცვაზე მისი ხსენება იქნება, არასოდეს დამავიწყდება და დარწმუნებული ვარ, რომ მიუხედავად სხვადასხვა განზომილებისა, ჩემი სულიერი მამობა აუცილებლად იქნება მისთვის და მისი სულიერი შვილობა ჩემთვის. უფალმა გაანათლოს მისი სული და მოუვლინოს ყველა ის მადლი, რაც ტაძრების აგებისა და მოწყალების საქმეებში გაუკეთებია, ამინ.

ვახტანგ გოგუაძისა და მთელი  
მისი ოჯახის სულიერი მამა  
არქიმანდრიტი  
იოაკიმე ასათიანი

## ელვარი ნიჭის აღამიანი

ბატონ ვახტანგ გოგუაძეზე ბევრი დაწერილა და მომავალშიც ბევრი დაიწერება. რაც უფრო მეტი ხანი გავა მისი გარდაცვალებიდან, მისი სახე კი არ გაფერმკრთალდება ადამიანთა ხსოვნაში, არამედ მით უფრო სსინენათელი და შთამბეჭდავი გახდება.

ბატონი ვახტანგი მაღალი ინტელექტითა და დახვეწილი გემოვნებით, თავმდაბლობითა და კეთილშობილებით, პრინციპულობითა და ობიექტურობით, სინდისიერებითა და პატიოსნებით გამორჩეული ადამიანი იყო.

იყო ღინჯი და გაწონასწორებული მეცნიერი, რომლის ყოველი მსჯელობა გაჯერებული იყო უტყუარი არგუმენტებითა და ლოგიკური დასაბუთებით, საპარლამენტო ტრიბუნაზე (როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ან რიგითი პარლამენტარი) საოცარი პოლემისტი იყო, გამორჩეული მახვილგონიერებით, მჭევრმეტყველებით, ორატორული ოსტატობით. იგი არა მარტო სიტყვის ხელოვნებას ფლობდა, არამედ ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებასაც. მისგან ყოველთვის სითბო და სიკეთე მოდიოდა. ამიტომ ახერხებდა ყველასთან საერთო ენის გამონახვას. თავისი უჩვეულო იუმორიც კი სიკეთის სამსახურში ჰქონდა ჩაყენებული. როგორც ღრმადმორწმუნე ქრისტიანს, მას ქრისტესმიერი სიყვარულით უყვარდა ყოველი ღვთის შვილი. ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, ყველას დახმარებოდა. თბილი, მზრუნველი და ყურადღებიანი დამოკიდებულება ჰქონდა ნაცნობებთანაც და უცნობებთანაც.

ბატონი ვახტანგისათვის უმაღლესი ღირებულება სამშობლო იყო. მისთვის შეეძლო ყველაფერი გაეწირა. საკუთარი იმიჯისათვის ყველაზე არააპოკალარულ ნაბიჯ-

ზეც კი წასულიყო. გამხდარიყო „უშიში, ვითარცა უხორცო“, თუკი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ეს ნაბიჯი მისი ქვეყნისა და ხალხისათვის სასარგებლო იქნებოდა. თუმცა ამ თემით სპეკულაცია უღირს საქმედ მიაჩნდა. უყვარდა პოეზია, ზეპირად იცოდა ქართული და რუსული პოეზიის შედევრები, მიაჩნდა, რომ მთაში, ამ პირველქმნილ სიწმინდესა და სისუფთავეში, ისინი უკეთ ისმინებოდა. ეთაყვანებოდა ხალხურ სიმღერას და თავადაც კარგად მღეროდა. თანამეინახეებსაც კი (ცხადია, თუკი ამის საშუალება ჰქონდა) ამ ნიშნით ირჩევდა. ბოლო პერიოდში „ბინდისფერია სოფელი“ იყო მისი უსაყვარლესი სიმღერა. ახლა, მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი მეგობრები ისე არ ჩავატარებთ სუფრას, ეს სიმღერა ვინმემ არ წამოიწყოს. იგი ვახტანგის სადღეგრძელოს განუყოფელ ატრიბუტად იქცა ჩვენთვის. ახლა თითქოს სხვა დატვირთვა მიეცა სიტყვებს: – „რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება“. აკი, გაგვიფრინდა კიდევ ერთი ლამაზი, სხვათაგან გამოორჩეული, ღირსეული სიცოცხლე.

ბატონი ვახტანგის ასე ნაადრევი წასვლა ამქვეყნიდან მოუშუშებელ იარად დარჩა ბევრს, მაგრამ მათ შორის, პირველ რიგში, მის უმშვენეირესსა და უნიჭიერეს შვილებს – თამუნასა და გიორგის, მის უსათნოეს მეუღლეს ქალბატონ ნანა ჩხაიძეს, რომელიც ქმრისადმი ცოლის ერთგულების ეტალონადაც კი შეიძლება გამოდგეს, ისე თავდაუზოგავად და დაუყვედრებლად ემსახურა ქმარს, რომლის ფასი მან ძალიან კარგად იცოდა და რომლის ჯანმრთელობა და სულიერი მხნეობა მართო მას კი არა, მთელ ქართველ ხალხს სჭირდებოდა.

ვაკვირდები: როგორც კი ბატონ ვახტანგზე ვიწყებ საუბარს, სიტყვა მისი პიროვნული ღირსებებისა და მი-



სი საუცხოო ოჯახის დახასიათებისაკენ გამექცევა ხოლმე, არადა, ჩრდილში რჩება მისი მოღვაწეობის ერთი მხარე, რომელიც არანაკლებ ამაღლებს მის პიროვნებას. ეს არის მისი სამეცნიერო საქმიანობა, რომელზედაც სწორედ ახლა მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა:

ბატონი ვახტანგი თვალსაჩინო მეცნიერი იყო, ჭეშმარიტი ფილოსოფოსი და ღრმა მოაზროვნე. იგი გახლდათ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო მისი, როგორც მეცნიერის, მოღვაწეობა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურმა საქმიანობამ ბევრი ღრო წაართვა, მან მაინც მოახერხა, თავისი წონადი სიტყვა ეთქვა როგორც საკუთრივ ფილოსოფიაში, ისე ესთეტიკაში, ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში, კულტუროლოგიაში, რელიგიათმცოდნეობაში.

ბატონი ვახტანგი რომ მაღალი რანგისა და კვალიფიკაციის მეცნიერი იყო, ამის დასტურად მხოლოდ ერთ ფაქტს დავასახელებ: აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის შემდეგ ე.წ. ფილოსოფიურ-ფილოლოგიური კვლევა იმ სიმაღლემდე არავის აუყვანია. იგი ამ საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში. პირველი საუცხოო ნიმუში ასეთი ფილოსოფიურ-ფილოლოგიური კვლევისა არის ბატონ ვახტანგ გოგუაძის წიგნი „ერი გულადი, პურადი“, რომლის პირველი რედაქცია 1977 წელს გამოვიდა.

სამწუხაროდ, აქ მე არ მაქვს საშუალება, გამოწვლილვით დავახასიათო ეს უაღრესად საინტერესო წიგნი, მაგრამ იმას კი აუცილებლად ვიტყვი, რომ ეს არ იყო ოდენ ტრადიციებისადმი მიძღვნილი წიგნი, როგორც ეს გულუბრყვილო მკითხველს შეიძლება მოეჩვენებოდეს.

ნოს. აქ ბატონი ვახტანგი, დიდძალ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიის, სოციოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიის მონაცემების გათვალისწინებით (ამას ახლა მულტიდისციპლინარულ კვლევას უწოდებენ), ეძებს და ადგენს ქართული კულტურის სპეციფიკას, მის უნიკალურობას, განუმეორებლობას, თვითმყოფადობასა და თავისთავადობას. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ქართული კულტურა ქართული გონის განსხეულებაა, იგი ცდილობს, დაადგინოს, ქართველი ერის ფენომენი, საზოგადოდ „ქართულის“ სპეციფიკა, მისი გამოვლინებით ქართულ მსოფლალქმაში, ღირებულებით ორიენტაციაში, ქართული ხასიათის ისეთ თვისებებში, როგორებიცაა: მშობლიური მიწის უსაზღვრო სიყვარული, თავისუფლებისაკენ სწრაფვა, „კაი ყმობა“ და ვაჟკაცობა, ჭირთა თმენის უნარი, მოყვასისათვის ზრუნვა, მხარდაჭერა, თანადგომა, თანაღმობა, ქალის კულტი, სტუმართმოყვარეობა (სხვა ხალხებისადმი პატივისცემა), მეგობრისადმი თავდადება და ა.შ. ეს ყველაფერი „ქართველის“ ზოგადი დახასიათებაა, მისი ბუნების უღრმეს ფენებში ჩაწვდომის ის განსაკუთრებული ხელოვნებაა, რასაც ასე უზადოდ ფლობს ბატონი ვახტანგ გოგუაძე.

ბატონი ვახტანგის მეცნიერული ინტერესებიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს მისი დაინტერესება ადამიანით, როგორც ესთეტიკური ფენომენით. მისი მრავალწლიანი შრომა ამ მიმართულებით დასრულდა ფრიად სოლიდური ნაშრომით „ადამიანი როგორც ესთეტიკური ფენომენი“ და სადოქტორო დისერტაციით, მე კარგად ვიცნობ ამ წიგნის შინაარსს და შემიძლია, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ეს არის ერთ-ერთი

საუკეთესო ნაშრომი XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში.

ბატონი ვახტანგ გოგუაძე ღვთისგან გამორჩეული ადამიანი იყო. ამას როცა ვამბობ, პირველ რიგში, ვგულისხმობ მის წიგნს „სტალინი და საშინელი სამსჯავრო“. რამდენი ნაშრომი არ წამიკითხავს სტალინზე, ზოგი – მაქებარი, ზოგიც – მაგინებელი, მაგრამ იმის მსგავსი, რასაც ბატონი ვახტანგი წერს სტალინზე, არსად არაფერი შემხვედრია. შორს რომ არ წავიდე, წიგნის მხოლოდ ზოგიერთი ქვესათაურის დასახელებით დავკმაყოფილდები: „ქრისტესა და სტალინის ასკეტიზმი“, „ბიბლია და სტალინის კონსტიტუცია“, „სტალინი როგორც წინასწარმეტყველი“, „სტალინი – უდიპლომო მღვდელი“ და მრავალი სხვა. სწორედ ამაზე იტყვიან: სასწაულის ხილვის უნარს ღმერთი მხოლოდ იმათ აძლევს, ვინც მას ჩამოჰგავს, ვინც ქრისტიანული წესიერებითა და ზნეობით ცხოვრობს. სტალინის მიმსგავსება ქრისტესთან, მათ შორის მსგავსების პოვნა, სასწაულია, აბა, რა არის?!

მე მგონი, ღვთის ნებისა და „ჩარევის“ გარეშე არც ბოლო წიგნი – „პანთეონი“ შექმნილა. აქ ხომ ბატონმა ვახტანგმა XX საუკუნეში მოღვაწე სახელოვან მეცნიერთა, ხელოვანთა, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა დაუვიწყარი პორტრეტები დახატა. დახატა სულ რამდენიმე აბზაცით, სულ რამდენიმე შტრიხით, მაგრამ ნახეთ, რა ზუსტად, უზადოდ წარმოაჩინა თითოეული მათგანი. ადამიანის ხასიათის ასეთი ზუსტი და ადეკვატური წვდომა მხოლოდ განსაკუთრებული პოეტური ნიჭის ადამიანებს ხელეწიფებათ. ბატონი ვახტანგი სწორედ ასეთი ნიჭის ადამიანი იყო, „ელვარე ნიჭის ადამიანი“, როგორც ბატონმა სერგო ჯორბენაძემ უწოდა მას.



უნიჭიერეს ადამიანად და თვალსაჩინო ფილოსოფოსად მიიჩნედა მას ბატონი ნიკო ჭავჭავაძე, ქართული ფილოსოფიის ნამდვილი მშვენება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი. ახლა თუ ისევ „პანთეონს“ დავუბრუნდებით, შემიძლია ვთქვა, რომ მან თავისი მშვენიერი წიგნით „პანთეონი“ საკუთარი პანთეონი აიგო, ანუ როგორც პოეტი იტყოდა: „ძეგლი აიგო ხელთუქმნელი“.

„პანთეონის“ შესავალი ბატონი ვახტანგი სვამს კითხვას: „ვის სჭირდება მოგონება, მოფერება გარდასულ სულთა – ჩვენ თუ მათ? და თვითონვე უპასუხებს: „უწინარესად, ეს ჩვენ გვჭირდება... მხოლოდ სამგანზომილებიან სივრცეში ცოცხლობს ყოველი ერი.“

სანამ ეს სამი განზომილება არსებობს (წარსული, აწმყო და მომავალი), მანამ ბატონი ვახტანგიც იქნება როგორც სიმბოლო დროთა დიალექტიკური კავშირისა, სიმბოლო კაცური კაცობისა, პატიოსნებისა, ზნეობრივი სიწმინდისა და სისუფთავისა, ჭეშმარიტების მსახურებისა.

რევაზ ბალანჩივაძე

## ვახტანგ გომიჯანი – საქართველოს ღირსეული შვილი, მეცნიერი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე

ისტორიულმა ქართველებმა მას ბრწყინვალე გაკვეთილი ჩაუტარა – არ შედრეკილა, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ არასდროს წასულა. ვახტანგ გომიჯანი, როგორც ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, მუდამ მზად იყო, თავი გაეწირა იდეისათვის. მან, სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმა და პოლიტიკოსმა, ტრადიციებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ საბჭოთა კომპარტიის განმარტებულ დადგენილებას ღრმად ფილოსოფიური გამოკვლევა – „ერი გულადი, პურადი“ დაუპირისპირა, რომლის მიზანი, როგორც თვითონ ბრძანებდა, „ქართული ტრადიციების სილამაზის, ლაზათის, შნოს ჩვენება და ამ გზით იმის ჩვენებაც იყო, თუ რა არ არის ესთეტიკური, როგორი ზნეობით გამოირჩევა ქართველი ადამიანი, როგორია მისი დამოკიდებულება ჭირისა და ღვინისადმი, თანამომისა და უცხოელის მიმართ.“ შთამომავლობა ჯეროვნად და ღირსეულად დააფასებს მის ღვაწლს სახელმწიფო უმაღლეს თანამდებობაზე საქმიანობისას ქვეყანაში დემოკრატიის და თავისუფლების დასამკვიდრებლად. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შემქმნელთა რიგებში მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. მავანთაგან დაუმსახურებლად და უსამართლოდ ხელყოფილი ბატონი ვახტანგი მისთვის მომადლებულად დამახასიათებელი იუმორის გრძნობას არასოდეს კარგავდა. 1991 წლის შემოდგომა იყო, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ბატონმა ვახტანგ რაზმაძემ თავისთან მიხმო, მის სამუშაო ოთახში შესულს გენერალური პროკურორის მოადგილე ბატონი როლანდ გილიგაშვილი დამხვდა. მა-

რად დინჯი და თავშეკავებული ბატონი ვახტანგი ფრიად შემფოთებული იყო, მას ხელში გაზეთი ეჭირა, გამოგვიწოდა გაზეთი და გვითხრა – გაეცანით პუბლიკაციას და თქვენი მოსაზრება გამაცანითო. პუბლიკაცია ეხებოდა კრიზისს, რომელმაც ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით აღწერილი იყო უძძიმესი კრიმინოგენური ვითარება და განუკითხაობა. პუბლიკაციის ავტორი უმაღლეს ხელისუფალთ ამხელდა ხალხისა და სამშობლოს ინტერესების იგნორირებაში, საქართველოს მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირებაში, ძმათა მკვლელი ომის ინსპირირების მცდელობაში, ეკონომიკური ხასიათის სერიოზულ სამართალდარღვევებში. წერილი ხელმოუწერილი იყო და მისი ავტორი – უცნობი. ბატონი როლანდი და მე საერთო დასკვნამდე მივედით: აუცილებელი იყო მითითებული ფაქტების მიუკერძოებლად და სრულყოფილად გამოკვლევა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო პუბლიკაციის ავტორის დადგენა და გამოკითხვა. ამ მოსაზრებით ვეახელით გენერალურ პროკურორს. შესვლისთანავე ბატონმა ვახტანგმა გვითხრა – ახლა მელაპარაკა პრეზიდენტი (ბატონი ზვიად გამსახურდია) და მითხრა, რომ მაგ პუბლიკაციის ავტორი პროფესორი ვახტანგ გოგუაძეა და საკადრისიც უნდა მიეზღოსო. ბატონი ვახტანგ გოგუაძის გვარის გაგონებაზე ორთავენი სახტად დავრჩით. ბატონ ვახტანგ გოგუაძეს პირადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ვიცნობდი როგორც ქართული ხასიათის, ქართული ზნე-ჩვეულებების, კულტურის, პროგრესული ევროპული ცივილიზაციის დამფასებელს და პატივისმცემელს, ქრისტეს გზით მავალს, უპრეტენზიოს და შემწყნარებელს. აუცილებელი იყო ბატონი ვახტანგის პროკურატურაში მოწვევა, ამას-



თანავე ვიმედოვნებდით, რომ იგი არ დაადასტურებდა წერილის ავტორობას. იმედი არ გაგვიმართლდა, ჩვენს პირველსავე კითხვაზე თვალი გადაავლო პუბლიკაციას და გვითხრა: არავის პირადი ინტერესები ანდა მტრობა არ მაქვს, დიდი ხანი ვითმენდი და ვიტანდი უბედურებას, რომელიც სამშობლოს თავს დაატეხეს და თუ ასე გაგრძელდა, კატასტროფა გარდუვალიაო. ხელიდან, გამომართვა ბურთულიანი საწერი კალამი და პუბლიკაციას მიაწერა: „ტექსტი მე მეკუთვნის, ვადასტურებ“ და ხელი მოაწერა და განაგრძო – ბიჭებო, ვიცი უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენეთ, სხვაგვარად არ შემიძლო, მისთვის დამახასიათებელი ღიმილით გვითხრა – მზად ვარ საკანში განსამწესებლად, შორს წასვლა არ დაგჭირდებათ, გვერდითაა „გუბერნსკიო“ (გენერალური პროკურატურის ახლოს მდებარე №1 საპატიმროს გულისხმობდა). ამასთანავე, მან ცხოველი ინტერესით დაიწყო ჩემი საწერი კალმის დათვალიერება, რომელიც ივრითულ ენაზე შესრულებული სიტყვებით იყო აჭრელებული. ახალი დაბრუნებული ვიყავი ისრაელიდან და ეს კალამიც იქ შევიძინე. ისე, გთხოვთ ცოლ-შვილს ნუ დამიწიოკებთო – ყრუდ, საშინლად ნალვლიანმა ჩაილაპარაკე. კკითხე – მანქანით ხართ მეთქი? არაო, – მიპასუხა. ჩემს თანამშრომელს ვუთხარი, მძლოლი გამოვიდეს და ერთად მიაცილეთ ბატონი ვახტანგი სახლამდე-თქო. თან ის ავტოკალამი პატივისცემის ნიშნად ვუსახსოვრე. ერთ წელზე მეტი გავიდა და ბატონი ვახტანგი გენერალურ პროკურატურაში გვეწვია, ამჯერად, საქართველოს პარლამენტის სპიკერის რანგში, მან გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშნული ბატონი თედო ნინიძე წარმოგვიდგინა. კოლეგიის სხდომის მსვლელობისას იგი გამომწვევად ეთამაშებოდა ჩემს ნაჩუქარ ავტო-

კალამს და სიამოვნებით ილიმებოდა. დარბაზში მყოფნი გაკვირვებულნი უცქერდნენ. სიტყვით გამოსვლისას ჩვეული იუმორით მოყვა საწერ კალამთან დაკავშირებული ამბავი.

გამოჩენილ მეცნიერს, ჭეშმარიტ მართლმადიდებელს, სამშობლოს ერთგულ და უანგარო დარაჯს სხვა დროსაც მიაყენეს დაუმსახურებელი ტკენა. ცილისმწამებლები ამოდ ცდილობდნენ, მისი პატივისა და ღირსების შებღალვას. საბედნიეროდ, გაწვრთნილი პროვოკატორები ვერასდროს აღწევდნენ საწადელს.

სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო, რომ ბატონი ვახტანგი ჩვეული სიმტკიცითა და რუდუნებით ველარ ემსახურება საკუთარ სამშობლოს და ხალხს.

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი  
ანზორ ბალუაშვილი

## მოძღვარი

„საფლავი ღამით ზოგიერთი ანათებს მხოლოდ“

ვახტანგ გოგუაძე! ეს იმ კაცის სახელია, ვისი წარმოდგენაც ერთ იპოსტაზში შეუძლებელია. თითქმის იმ დღიდან ვიცნობდი, რაც ჩემთვის საოცნებო უნივერსიტეტის კარი შევალე და პირველად ვიმღერე „გაუდეაძუსი“. პირველი სიტყვით ბატონმა ვახტანგმა მოგვმართა პირველკურსელებს. არ განიხიბლოთო, გვითხრა. მალე დაინახავთ, რომ უნივერსიტეტი არც ისე „თეთრი ტაძარია“, მერხები დაფხაჭნილია, ანჯამები არ იკეტება, ზოგიერთი ლექტორიც მოიკოჭლებს. მაშინ არ გაგიცრუვდეთ იმედო, არ გაგიცრუვდეთ, რადგან გაივლის ხანი და მიხვდებით, რომ ეს, მართლაც „თეთრი ტაძარია“. მიუხედავად იმის, რომ აქა-იქ პარკეტია აყრილი, აქა-იქ პროფესორ-მასწავლებლებიც ვერ ვარგიან, მაინც ის „თეთრი ტაძარია“, რადგან აქ არის ყველაფერი საუკეთესო თავმოყრილი, ყველაფერი რაც გადარჩა...

ეს იყო პირველი მისი ხილვა და თუნდაც პროგნოზი, გნებავთ, წინასწარმეტყველება, რომელიც ახდა... კიდევ ბარე ათი მახსოვს ასეთი. შეუძლებელი იყო მისი ერთ რომელიმე იპოსტაზში დანახვა. ხან მოძღვარი იყო, ხან ღონ-კიხოტივით მიამიტი და რომანტიკული, ხან ყანაში მიმავალ თავზე ყაბალახგაკრულ გურულს ჰგავდა, შესვენებისას ნადურს და ხასანბეგურას რომ დასძახებდა. ხან გათათრებულ საქართველოში მჭმუნვარე ეპისკოპოსს მოგაგონებდათ... ოღონდ, არასდროს იყო უიმედოდ, დათრგუნული, მხრებჩამოყრილი...

რას მიქვია კაცი, მწუხარებით თავდახრილი!



## ღინების წინააღმდეგ

მანც რა გამოარჩევს ვახტანგ გოგუაძეს თანამედროვეთაგან? იყო შესანიშნავი მწიგნობარი, ბრწყინვალე ფილოსოფოსი, გამჭრიახი პოლიტიკოსი, დიდებული პოლემიკოსი, უგანათლებულესი პიროვნება, მახვილი სიტყვიით და ბასრი კალმით.

მაგრამ, ღვთის მადლით, ასეთი კაცი ხომ ყოველთვის ბევრი გვყავს ქართველებს!

სხვა ნიშნით იყო იგი გამორჩეული. მთელი ცხოვრება ღინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა. ერთი შეხედვით კონფორმისტს, გრაფ სეგელივით შეეძლო ეთქვა – ამ პარტკომებში და პროფკომებში თუ ოხრობებში იმიტომ ვარ, რომ აქ ყველაზე მეტად არის ძნელი მაღალი ადამიანური ღირებულებების შენარჩუნებაო. იგი დისიდენტი იყო თავისი არსით, მხოლოდ აღმა, კავკასიონისკენ მიაპობდა ჩანჩქერებს, რამეთუ თავისი დიდი ოპონენტისა და იმავდროულად თანამოაზრის – ზვიად გამსახურდიასავით სწამდა, რომ ღინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან.

და მაოცებდა მისი მარადიული ძიება ღვთის სამყაროში, ცის დასალიერში და საკუთარ თავში. ბიბლიის ზედმიწევნით ცოდნა და ბიბლიური პასაჟების სიღრმისეული ვარიაციები. მაოცებდა მთავარზე მთავარი აპოკალიფსის განცდა, იგი ცხოვრობდა და ცხოვრობდა ყოველღე, განკითხვის ჟამის, აპოკალიფსის განცდით, ეძებდა მის ძირებს, ფესვებს ადამიანის სულში, ყოფაში, წერდა, კამათობდა და იბრძოდა, ფხიზლობდა და გვაფხიზლებდა და ყველაზე მთავარი, ზემთავარი, რაც გამოარჩევდა, – ყოველთვის დგამდა არაპოპულარულ ნაბიჯებს, ამბობდა იმას, რაც სწამდა, მისი სიტყვა არას-

დროს იყო გათვლილი ეფექტზე, ტაშზე, ვაშაზე. განა არ იცოდა, რომ დსთ-ში შესვლის წინადადების გახმიანებისათვის ბევრი შეაჩვენებდა?! მაგრამ ასე სწამდა და ასე მოიქცა. სწამდა, რომ ამით დიდი კატასტროფისგან იხსნა საქართველო, ხოლო იმიჯი არ ანაღვლებდა, რამეთუ იცოდა, რომ „საგნებისა და მოვლენების ნამდვილი, ჭეშმარიტი აღქმისათვის აუცილებელია ერთგვარი ისტორიული სიშორე“ (ჰეგელი), როცა დღევანდელი მარცხი შეიძლება დიდ გამარჯვებად იქცეს.

### გოეთე და ეკერმანი

ბატონი ვახტანგი სულ ხალისიანი და შემართული იყო. სულ ხუმრობდა და ოხუნჯობდა, როგორც ნაღდი გურული. ამოუწურავი და მრავალფეროვანი იყო მისი კალამბურები. ლამაზი და მოსწრებული სიტყვისათვის თავს დადებდა, მსხვერპლს გაიღებდა. მაგრამ არ მახსოვს, ვინმესთვის დაეცინოს, „ეკბინოს“, ვინმე „ენით დაეკოდოს“. მე მქონდა პატივი ორჯერ, რამდენიმე წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით მემუშავა, ერთხელ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში და მეორედ, სახელმწიფოს მეთაურის აპარატში. მიუხედავად მისდამი ჩემი დიდი პატივისცემისა, ჩვენი საუბარი ყოველთვის კამათში გადაიზრდებოდა ხოლმე და როგორც წესი, ჩემი, ანუ შეგირდის პოზიციები, არასდროს ემთხვეოდა ოსტატის თვალსაზრისს. მე ეკერმანობაზე ვდებდი თავს და ვკამათობდით, რით სჯობს „ამერიკული ოცნება“ „ქართულ ოცნებას“. მან არ მომიწონა შეპირისპირებითი დახასიათება ჰოლივუდის შედევრის „ლამაზმანის“, სადაც ჩემი აზრით, ამერიკული ოცნებაა ხორცშესხმული, და „უძინართა მზის“, სადაც ქართული ოცნებაა დახა-

ტული, ანუ მოცემულია ცხოვრება კაცისა, რომელიც ზოგადსაკაცობრიო მიზანს – საშინელი სენისგან იხსნას ადამიანები, სწირავს პირად ბედნიერებას და საკუთარი ოჯახის ინტერესებს. ბუნებრივია, იგი იტანჯება და უბედურია. ამერიკული ოცნება კი მეძავსაც აძლევს შანსს, იყოს ბედნიერი ამქვეყნად. ბატონ ვახტანგს აშფოთებდა, რომ ამერიკულ ოცნებაში ზნედაცემულობა აგრერიგად მიმზიდველი იყო, ფარჩით და ღიბა-ატლასით გარემოსილი. მე შიგადაშიგ მოდურად და რადიკალურად ანტირუსული განწყობის გახლდით, ვურჩევდი და მოვუწოდებდი, ემეგობრა ბრაუნთან, ამერიკის მაშინდელ ელჩთან და არ ყოფილიყო მისი მიღებისას აღტაცებული რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებით და ვიცე-პრეზიდენტ შუმეიკოს პიროვნებით, რომელსაც ელცინის შემდეგ პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებდნენ.

არა და არა! მას სწამდა, რომ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა იყო და არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა.

## Нет пророка в родном отечестве

მას ჰქონდა აბსოლუტურად ზუსტი ხედვები. იგი, შესაძლოა, არ იყო ნათელმხილველი, მაგრამ, ანალიზისა და გამახვილებული ინტუიციის საფუძველზე, ბევრ რამეს წინასწარ ჭვრეტდა. ედუარდ შევარდნაძესაც იმის გამო კი არ დასცილდა, რომ მსოფლმხედველობრივად და კონცეპტუალურად სხვადასხვანაირად აზროვნებდნენ, – დაინახა, რომ შევარდნაძე ამდაგვარი ბალანსის პოლიტიკით ქვეყნის საჭირობოროტო პრობლემებს ვერ გადაწყვეტდა.



... 2000 წელია. მე უკვე აღარ ვმუშაობ ბატონ ვახტანგთან და, სამწუხაროდ, იმვითად ვხვდები (ვნანობ, რომ ბოლო წლებში, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, მას ვერ ვხვდებოდი და აღარც მასთან ერთად მომიწია მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ძირითადად არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობდა და მეც მედიასა და NGO-სექტორში ვსაქმიანობდი). ვკითხულობ მის ინტერვიუს, სადაც ამბობს, რომ ამერიკას დიდი განსაცდელი და კატასტროფა ელის, რომელიც შეცვლის მსოფლიო ისტორიას. მეღიშება, ვფიქრობ, რომ ბატონი ვახტანგი ნაწყენია ამერიკელებზე... გადის ცოტა ხანი და ამერიკაში ხდება ტრაგედია – ტერორისტები უტევენ ამერიკას. იწყება ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, მსოფლიო, მართლაც, შეიცვალა...

### მოძღვარი

ვახტანგ გოგუაძე არ უყვარდათ პარტიის ცეკაში. რომ არ მოსულიყო „დრო სანეტარო“ და გონიერი ხალხი არ დაჭირვებოდათ პარტიულ აპარატებში, თსუ-ს პრორექტორად არავინ დანიშნავდა. აბა, როგორ ეყვარებოდათ, როცა ცეკას პლენუმზე, რომელიც კადრებთან მუშაობას ენებოდა, სიტყვა ვახტანგ გოგუაძემ ასე დაიწყო: „ბატონებო, კადრები რომ იკადრებენ...“ სადოქტორო დისერტაცია ლამის ჩაუგდეს. მორწმუნეობა „დასწამეს“ და მორალი დაუწუნეს, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. ბატონი ვახტანგი რის ბატონი ვახტანგი იქნებოდა, არ ეპასუხა – „მართალი ბრძანდებით, ჩემი მორალი ამორალია, დიახ, ამორალიო“ და როცა ოპონენტებს სიხარულით გააჟრჟოლათ, ბატონმა ვახტანგმა დაამატა – „დიახ, ამორალი. ამორალი, ოღონდ

აფხაზურად. ბატონებო, აფხაზურადო“... სხვისი მოსწრე-ბულად ნათქვამიც დიდხანს ახსოვდა. სახელმწიფოს მე-თაურის მრჩეველად ვინიშნები, ბატონი ვახტანგი ედუარდ შევარდნაძესთან გასაუბრებისთვის მამზადებს, ანკეტას ვავსებ. პროტესტს ვაცხადებ, ვეუბნები, შევარდნაძე ჩემ-ზე გამოცდილი კაცია და მე რატომ უნდა ვიყო მისი მრჩეველი, არ სჯობს, ის იყო ჩემი მრჩეველი-მეთქი... უთხრა შევარდნაძეს, გვარიანად იხალისეს, მერეც ხში-რად მახსენებდა...

და მაინც, იგი მოძღვარი იყო, მენტორი, მასწავლებე-ლი. ყველა მასწავლებელს დიდი მასწავლებლისგან და მოძღვრისაგან ერთი თვისება განასხვავებს: ჭეშმარიტ მენტორს, ქართულად – მოძღვარს, უნდა ჰქონდეს ხედ-ვა და სულიერება. ვახტანგ გოგუაძე ამ მადლით იყო მირონცხებული. ამიტომ იყო იგი მოძღვარი. ეს მისი ცხოვრების წესშიც ჩანდა, მაგრამ უფროვე დამოკიდე-ბულებაში უნივერსიტეტის პრესკლუბთან. ეს იყო „სწავ-ლის ძირი მწარე არის“, ეს იყო დაუნდობელი ბრძოლა შეგირდების მოძღვართან, სადაც მიზანი არ იყო დამორ-ჩილება, ან უარყოფა, მოქცევა, ან მეტოქის დამარცხება. მაგრამ ეს იყო სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც არავინ უწყის, როგორ დამთავრდა, რადგან ამ ბრძოლის შედეგი ასი წლის შემდეგ გამოჩნდება და მხოლოდ ჩვე-ნი შთამომავალი დაინახავს მას. მეტს, ამჯერად, არა-ფერს ვიტყვი ამ სულისკვეთებაზე, ჩამოვთვლი მხოლოდ პრეს-კლუბის წევრებს: დათო ტურაშვილი, ფიქრია ჩიხ-რაძე, ნიკო ნიკოლოზიშვილი, კახა ლორია...

იგი ეთაყვანებოდა ქართველ ხალხს, რომელიც მის-თვის იყო „ერი გულადი, პურადი“. აღიდებდა ადამიანს, „როგორც ესთეტიკურ ფენომენს“, თუმცა, პირუთვნელიც იყო და ჩვენს ნაქებ და საამაყო სტუმარ-მასპინძლობას

ხშირი მტრების წინაშე ქედმოდრეკის გამოსატულებად მიიჩნევდა.

ასეთი იყო ვახტანგ გოგუაძე, რომლის ფასი და ღვაწლი აწი უფრო და უკეთ გამოჩნდება, მისი ნაქმნარ-ნაღვაწი კი გზას გაუნათებს, როგორც მის დიდებულ ოჯახსა და შთამომავლობას, ისე თითოეულ ჩვენგანს. რამეთუ მან კარგად იცოდა, რომ მთელი ცხოვრება უნდა აგროვო „შუქი და შუქი“, რადგან „საფლავი ღამით ზოგიერთი ანათებს მხოლოდ...“

ვაჟა ბერიძე



## ბინდისფერია სოფელი

ვანტანგ გოგუაძეს მეგობართა ძალიან ფართო წრე ჰყავდა, მაგრამ უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში ყველაზე ახლო ურთიერთობა ვალერი კვარაცხელიასთან, ელდარ გოდერძიშვილთან და ჩემთან ჰქონდა.

1995 წლის მოწვევის პარლამენტში ვანტანგი და მე რიგითი დეპუტატები ვიყავით. პირველ სართულზე ოთახი გამოგვიყვეს და ოთხი წელიწადი იმ ოთახში ვავატარეთ. როდესაც ვანტანგის რომელიმე ყოფილი სტუდენტი სიამაყით იტყოდა, რომ ბატონი ვანტანგი ერთი სემესტრის ან ერთი წელი მიკითხავდა ლექციებსო, მე გაკვირვებული ვკითხავდი ხოლმე: თქვე კაი ხალხო, მე ოთხი წელი მიკითხავდა ლექციებს და მისი მოწაფე მე უფრო არ ვარ-მეთქი? ახლა რომ ვაკვირდები, ვანტანგთან გატარებული წლები მთელი აკადემია და სამეცნიერო სკოლა იყო. იგი ფილოსოფოსი იყო ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო და სრული გაგებით. იგი მოვლენებს ისეთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში ხედავდა. რომ მუდამ გაოცებას იწვევდა. ამას თუ მის არაჩვეულებრივ იუმორსა და მის სამოქმედო დევიზსაც დავუმატებთ, რომელიც რუსთაველისგან ჰქონდა აღებული, — „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“, — მისი სახით ჩვენ მის თანამედროვეებს მართლაც ცოცხალი ენციკლოპედია, ფილოსოფოსი და ბრძენი კაცი გვყავდა, რომელიც სულაც არ ჩემულობდა სიბრძნეს. პირიქით, ძალიან ლაღი, თავისუფალი და ძალდაუტანებელი ცხოვრების წესით, ხშირად ემოციური და იმპულსური კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ სინამდვილეში სხვა კაცი იყო — ყველაფერს ამჩნევდა, არაფერს

იმჩნევდა! ეს გამოთქმაც მისია და კარგადაც მიესადაგებოდა...

ძალიან მძიმე დღეები გამოიარა ვახტანგმა. შევარდნაძეზე 1999 წელს განხორციელებული, რიგით მეორე ტერაქტის შემდეგ, პარლამენტმა ხელი ვახტანგ გოგუაძისაკენ გაიშვირა. უტიფრად, უსინდისოდ გაჰყვიროდნენ, — ტერორისტებს რაღა შორს ეძებთ, აქვე, ჩვენს წრეშია ის კაცი, ვინც კვლავ რუსეთისკენ შეტრიალებას ქადაგებს. ტერაქტიც, რა თქმა უნდა, სწორედ ამგვარად მოაზროვნე ხალხის მოწყობილიაო. ყველა მიხვდა, ვისზეც იყო საუბარი. ცოტა ხანში ვახტანგის ირგვლივ სკამები დაცარიელდა. ზის ვახტანგი მარტო, კეთროვანივით. მზერა ჯიქურ მიბჯენილია შევარდნაძისთვის, ხმას არ იღებს, თითქოს ქვისგან გამოკვეთილი ქანდაკებააო. მხოლოდ მაღალი შუბლიდან საფეთქლისაკენ დაშვებული იისფერი ძარღვის ოღნავი ფეთქვალა ამჟღავნებს, რომ ეს ქვა კი არა, ადამიანია. ნამდვილი ვახტანგ გოგუაძეა, ღვთისმოსავი და სამშობლოზე მლოცველი ვახტანგ გოგუაძე, ვისაც ეს უნამუსო ბრბო, პარლამენტში რომ შეკრებილა, ახლა სამშობლოს ღალატსა და ტერორისტობაში სდებს ბრალს... ავდექი და გვერდით მივუჯექი კაცს, ვის გულშიც, ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რა ცეცხლიც ტრიალებდა. მეგონა გაუნარდებოდა, მაგრამ შეშფოთებულმა მითხრა, — ცოტნეობას თავი დაანებეო. ესენი ყველაფრის მკადრებლები არიან, ჩემი შვილები დიდები არიან. შენ კი ბავშვები გყავს გასაზრდელიო, ჩემი თავიდან მოცილება უნდოდა, მაგრამ, რას მოვშორდებოდი?!

ვახტანგს სიმღერა უყვარდა, ჩინებულადაც მღეროდა და სულ ღიღინებდა. სუფრასთან, განსაკუთრებით ვიწრო წრეში, გვაიძულებდა, გვემღერა, მიუხედავად იმისა, შეგ-

ვეძლო თუ არა სიმღერა. რამდენიმე სიმღერა გვასწავლა და აგვამღერა კიდევ. თან გვამხნევებდა. სუფრას პროფესიონალი მომღერლების სიმღერაზე მეტად მოყვარულების სიმღერა ამშვენებსო. „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“... წამოიწყებდა რამდენიმე ჭიქის შემდეგ. ხშირად მღეროდა ამ სიმღერას და, ახლა ვხვდები, რომ გული უგრძობდა აღსასრულის მოახლოებას, – „ჩვენ რას წავიღებთ იმქვეყნად, სხვას არა წაუღია-რა“, – ნალვლიანად მღეროდა იგი და თუ ვინმე შემხვედრია ამ ქვეყანაზე, ვისაც არათუ იმქვეყნად რამის წაღების სურვილი არ ჰქონდა, ამ ცხოვრებაშიც თითქმის არაფერს ითხოვდა, ეს სწორედ ვახტანგი იყო. თავისთვის არაფერი უნდოდა, ყველაფერს სამშობლოსთან მიმართებაში ზომავდა, ერთთავად შრომაში იყო. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ხუთი წიგნი დაწერა, მაგრამ სიჩქარე ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებდა. პირიქით, ეს წიგნები იმდენად შემოქმედებითი იმპულსითა და მხატვრული პასაჟებითაა დახუნძლული, რომ მათში ნაჩქარევობის კვალს ვერავინ იპოვის...

უკანასკნელად 28 მაისს ვიქეიფეთ, ჩვენი მეგობრის ლევან პერტაიას მეგრულ სამზარეულოში. სამნი ვიყავით – ვახტანგი, ვალერი და მე. ვახტანგი თამალობდა, მღეროდა. ოხუნჯობდა და ისე ქეიფობდა, გეგონებოდათ, სუფრასთან რამდენიმე ათეული ადამიანი მაინც ჰყავსო. არ ვიცი, გული რას უგრძობდა, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ ეს მისი უკანასკნელი ქეიფი იყო, არც ჩვენ შეგვეძლო და არც მას, ალბათ... მეორე დღეს, 29 მაისს საღამოს ერთი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავით მიწვეულები, მაგრამ ვალერი არ წამოვიდა და ვახტანგმაც უარი თქვა წასვლაზე. სუფრასთან ვალერი თუ არ იყო, იმ სუფრას გემოს ვერ ატანდა. ორი დღის



შემდეგ თავი ცუდად იგრძნო და 10 ივნისს კი ალესრულა უდროოდ.

ვანტანგი ღრმად მორწმუნე კაცი იყო, თუ რამ წარმატება ჰქონდა ან რა იმედს გამოთქვამდა, ღმერთო, შენითა! – დააყოლებდა იმავე წამს.

სოფლის სამღურავს იტყოდა, მაგრამ ღვთის სამღურავი არ დასცდენია არასდროს...

დარწმუნებული ვარ, რომ ვანტანგი შევიდა უფლის სასუფეველში და განისვენებს, სადაც მართალნი განისვენებენ...

ღმერთმა ნათელში ამყოფს სამშობლოზე ფიქრით გვემული მისი სული!

გოგი ბიჭაშვილი

## კეტილად მზრდელი მასწავლებელი

როგორც ჩანს, ამქვეყნად ყველაზე მეტი კრიტიკოსი მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეულ ადამიანებს “ერგებათ”. მათივე ბავშვური გულწრფელობის მიღმა ზოგჯერ რაღაც საფრთხილოს გვიანლა შევიწინებთ ხოლმე... ან გარდაცვალებამდე რატომ ვერა ვგრძნობთ, რომ მათი გულის სითბო გვენატრება?!

ბატონი ვახტანგი მთელ ჩემს თაობას – 80-იანი წლების მიწურულის სტუდენტობას – მამობას უწევდა, თუმც ზოგი მაინც მამინაცვლობად უთვლიდა... ხან ქორწილს უხდიდა ზოგიერთ ჩვენგანს, ხან დაჭერისგან იფარავდა, ითმენდა ჩვენ გამო ათასგვარ გულისხეთქვასა და საყვედურს, თამამ-თამამ გვაკითხებდა წიგნებს, ერთ-ერთი მცირეთაგანი იყო უნივერსიტეტში, ქრისტიანულ ეთიკასა და ესთეტიკაზე რომ გვესაუბრებოდა. ხშირად მრგებია პატივი, პრორექტორის კაბინეტში, პირველს ჩემი თაობიდან, მომესმინა მისი ახალშექმნილი პუბლიცისტური წერილები, ჯიუტო, აბა, ჰე, მეკამათეო, მათამამებდა. წლების შემდეგ მივხვდი, რომ სიმტკიცესა და უკომპრომისობაში მავარჯიშებდა თავად დიპლომატიური კომპრომისების ოსტატი, გამუდმებით დანის პირზე მოსიარულე, რომელიც უცნაური ალლოთი, ცნობიერად ირიდებდა და არ იკრავდა ბიწსა და ლაფს. სხვა რომ თავის ბეხრეკ ზურგს ფსევდოინტელიგენტურად აარიდებდა ეპოქის ტალახსა და წკვარამს, ის თავგანწირული რაინდის უნითა და ფილოსოფოსთათვის ჩვეული უშიშრობით ებმებოდა საშიში დროის ორომტრიალში. ჰქონდა უნარი, მოეგვარებინა თითქოსდა მოუგვარებელი, შეერიგებინა გაჯიქებული მტრები.

იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელსაც თანაბრად შეამჩნევდი, რას გრძნობდა და რას ფიქრობდა, ოღონდ... ძალიან კარგად უნდა გცნობოდა იგი. ვინც მას ზერეულედ უმზერდა, ამბობდა, ათ იმდენ ემოციასა და ფიქრს არავის უმხელსო. მე სხვაგვარ ბატონ ვახტანგს ვიცნობდი, ვხედავდი, რომ ბედმა ინება, ამგვარად თუ იმგვარად მოფიქრალ ადამიანთა შუაგულში, შუაკაცად რომ აღმოჩენილიყო სწორედ იმიტომ, რომ “ესენიც” უყვარდა და “ისინიც”. ხანდახან ვბრაზობდი კიდეც მასზე, თუმც ვხვდებოდი, რომ მისთვის არავის უსწავლებია ვინმეს სიძულვილი...

“სტუდენტური პრეს-კლუბის” კურატორობა ისევ “სხვათათვის” თვალის ახვევა აღმოჩნდა, ისე “გვეკამათებოდა“, საგანგებოდ გვამყარებდა ჩვენსავე შეხედულებებსა და პოზიციაში, ამიტომაც, კომუნისტების გულის გასახეთქად, მაინც ჩვენებურად ვირჯებოდით, ვხმაურობდით, ძვირფას სამშობლოს ვგულშემატკივრობდით... საბედნიეროდ, მაშინ უანგარო წუხილი და ფიქრი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე კეთილ ზრახვად ითვლებოდა, საშიშ და ვაჟკაცურ საქმედ... დევნისას თუ კრიტიკულ სიტუაციაში პრესკლუბელ ბიჭებს ხშირად აფარებია ბატონი ვახტანგი. გარეჯთან დაკავშირებული უზარმაზარი მიტინგის კვალობაზე, როცა გახეთმა “თბილისმა” პოლიგონზე სამხედრო მანევრების შესახებ დამავალა სტატია, სწორედ ბატონმა ვახტანგმა, თსუ-ს პრორექტორმა, მათხოვა თავისი სამსახურეობრივი მანქანა. ახალგაზრდა მძღოლთან მარტო ვერ გაგიშვებო, და ერთი-ორი ბიჭი ჩამისვა, გზად ორიოდეც შევიმატეთ, — უშიშროების გადაცემულ მუშაკებს წავლლიტეთ ხელიდან და... ჩამოვიტანეთ კიდეც ამიერკავკასიის სამხედრო ხელისუფლების მაკომპრომეტირებელი მასალა. წვალებით



ჩამოსულები, ბეწვზე გადავრჩით დაჭერას. იმ დღეს ვახტანგ გოგუაძემაც შეაგლო სასწოროზე თავისი ბედი...

მას ჰქონდა რეალობის მძაფრი განცდა, შეედლო სინამდვილესა და სასურველს შორის ძნელად მოსახელთებელი ზღვარი ეგრძნო და საოცარი სისადავითა და სიმსუბუქით მიენიშნებინა შეუსაბამობებსა თუ ადეკვატურ შესაძლებლობებზე. ის გრძნობდა ეპოქის დინამიზმს, დასავიწყებლად არაფერი ემეტებოდა, სურდა, რომ ჩვენც გვეგრძნო “საზოგადო ცხოვრების დენა“. ამიტომაც მოგვიწოდებდა ჩაგვეწერა, აგვესახა ყოველდღიურობა, ეპოქის სუნთქვა. ვნანობ, დაპირება ვერ შევუსრულე...

მისი სიყმაწვილის მეგობრები ერთხმად აღიარებდნენ ბატონი ვახტანგის ცინცხალ ნიჭს.

მისი სტუდენტები სიყვარულით იხსენებენ პროფესორის საინტერესო, სიღრმითა და გონებამახვილობით გამორჩეულ ლექციებს.

მე არ ვყოფილვარ მისი სტუდენტი, მაგრამ გულისგულში ბევრნი, ბობოქარი 80-იანელები, ნაწილობრივ მაინც მისი მოწაფეები ვიყავით. მალე უფროსებისა და უმცროსებისც შეჭირვებული სამშობლოს ორომტრიალმა მორევივით ჩაგვითრია...

მერე წლები გადიოდა. ვერც კი ვხედავდი ხოლმე. ბოლოს ეკლესიაში ვნახე წირვაზე. იდგა უჩვეულოდ მშვიდი, სევდიანი და ოდნავ გაუცხოებული. იდგა ჩაფიქრებული, მორჩილი... მალე მოულოდნელად გარდაიცვალა კიდევ.

ისე მოხდა, ჩემი საყვარელი მასწავლებლები – ბესიკ ჯორბენაძე, ბეჟან კილანავა, ალექსანდრე გვახარია – გარდაცვლილნი ვერ ვნახე. ასე გავეჩქეცი მათ სიკვდილს. ვერ ვნახე ვახტანგ გოგუაძეც...

არც ერთ ჩემს ნაცნობ ავტორს არ მიუწერია წიგ-  
ნზე მიძღვნის შემდგომ აგრერივ უბრალოდ და გულის-  
შემძვრელად: “ვახტანგ მასწავლებელი”.

ქეთევან გვაზავა



როდესაც ვახტანგ გოგუაძეზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მისი დინჯი, დარბაისელი და ჭკუადამჯდარი მამა, ვლასი (ლასა) ბიძია. ვისაც ლასა ბიძიას ღრმასზრიანი საუბრები მოუსმენია, მისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი და მოულოდნელი ვახტანგის მაღალნიჭიერება. ეს ყველაფერი მამისგან მოდის! ლასა ბიძია ცხოვრებაზე დაკვირვებული და დაფიქრებული კაცი იყო. შექმნილ სიტუაციებზე მისეულ ლოგიკურ ანალიზს ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მეც ბევრჯერ გაუკვირვებოვარ!

ლასა ბიძია კურსკის რკალის ფრონტიდან მძიმედ დაჭრილი ჩამოვიდა და მძიმე ფიზიკური შრომა არ შეძლო. იგი პატიოსნების განსახიერება იყო.

ლასა ბიძია ამყობდა თავისი ვაჟით. ოღონდაც! ხანდახან სინანულით მეტყოდა, ვახტანგი ძალიან დაკავებულია და შენსავით ხშირად ვერ ჩამოდის სოფელშიო. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ვახტანგსაც შურდა და შურს (კეთილი შურით) ჩემი ლესა-ჭინათთან სიახლოვე. ბატონი სერგო ჯორბენაძე კი ამის შესახებ პირდაპირ მეუბნებოდა – მშურს შენო.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ვახტანგის ბიძა, მოსე გოგუაძეც. მოსე ბიძია ჩემს (და არა მარტო ჩემს) თვალში მუხლჩაუხრელი მშრომელი კაცის განსახიერება იყო. მე იგი გაჩერებული არ მინახავს. მოსე ბიძიას ბუნებრივი მდგომარეობა შრომა იყო. მას მზე და მთვარე ვახტანგზე ამოსდიოდა! მისი ალალი შრომის ნაყოფი ვახტანგისათვის იყო გამიზნული.

ლესა-ჭინათიდან წასულ, თბილისში მცხოვრებ და მოღვაწე, თანასოფლელებს საოცრად თბილი ურთიერ-



თობები გვაქვს ერთმანეთთან. ჩვენ ერთმანეთის არაფერთ  
გვშურს! როგორც შეგვიძლია, ერთმანეთს ყოველთვის  
ვეხმარებით. სხვა სოფლებისა და რაიონების მიხედვით  
თუ ვიმსჯელებთ, ყველგან არაა ისეთი ერთსულოვნება.  
ეს ვახტანგის დამსახურებაა!

1958 წელს მე და ვახტანგმა ერთად დავამთავრეთ  
ლესის საშუალო სკოლა. მზად ვართ თბილისში წამო-  
სასვლელად. პასპორტები აღებული და უნივერსიტეტში  
წარსადგენი ყველა საბუთი მოწესრიგებული გვაქვს. ივ-  
ნისის ბოლოა. ვახტანგი და პროფესორი იუზა ეგვნიძე  
(მაშინ ის მეცხრე კლასში იყო) იუზას მამიდას სტუმ-  
რობდნენ ჭინათში. შეზარხოშებული ბრუნდებოდნენ  
უკან. ჩამოიარეს და ჩემი ეზოს წინ წისქვილთან, კაკ-  
ლის ხეივანში შეისვენეს. მეც მათ შევუერთდი. იმ პერი-  
ოდში მეწისქვილედ მუშაობდა ჩემი ახლობელი, დედაჩე-  
მის ალალი მამიდაშვილი, მამანტი ასკურავა. მამანტი  
ბიძია მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო და მრავა-  
ლი ჭრილობა ჰქონდა მიღებული. იგი მეტად კოლორი-  
ტული კაცი გახლდათ. მას ძალიან უყვარდა პოლიტიკა-  
ზე საუბარი. ერთი სიტყვით, ნოდარ დუმბაძის ბეგლარა  
მეწისქვილე, მასთან შედარებით, დამწყები და ახალგაზ-  
რდა „პოლიტიკოსი“ იყო. მე პოლიტიკით არასდროს ვი-  
ყავი გატაცებული. მითუმეტეს, მაშინ! ჩემთან პოლიტი-  
კური საუბრებით მამანტი ბიძია ვერ კმაყოფილდებოდა.  
ერთი სიტყვით, მე არ ვიყავი მისი შესაფერი მოპაექრე.

— სწორი ხარ, თამაზი, ბიძია, პოლიტიკამ შეიძლება  
დაგლუპოს. — ხშირად უთქვამს მას ჩემთვის.

მამანტი ბიძიას მე ძალიან ვუყვარდი და მეც ყოველ-  
თვის თბილად ვიგონებ მას. სიტყვა გამიგრძელდა. მამან-  
ტი ბიძიამ და ვახტანგმა საუბარი პირდაპირ პოლიტიკი-  
დან დაიწყო. ძალიან გააკრიტიკეს ნიკიტა ხრუშჩოვის

პოლიტიკა, ვასილ მჟავანაძესაც გაჰკრეს კბილი და ამერიკის მაშინდელ პრეზიდენტსაც გადაჰკრეს მათრახი. ერთი სიტყვით, აიქაფეს ენები! თურქეთისა და ირანის საქართველოსთან ძველ ურთიერთობაზეც ბევრი იკამათეს. კარგად რომ დაიღალნენ, ჩამოლამდა კიდევც. ვახტანგი და იუზა მე გავაცილე ჭინათის ღუქნამდე. სახლში დაბრუნებისას მამანტი ბიძიამ მასთან მიმიხმო და პირდაპირ მითხრა:

– აი, ლასაის ბიჭი, თამაზი, ბიძია, ან მთლად დიდი კაცი გახდება, ან სულაც დახვრეტენ!

მამანტი ბიძია ვახტანგს, როგორც „მთლად დიდ კაცს“, მოესწრო. ტელევიზორში მისი ცქერით ძალიან ხარობდა. ერთხელ მას გავახსენე ვახტანგის შესახებ მისი წინასწარმეტყველება.

– მამანტი ბიძია, ვახტანგ გოგუაძის მიმართ შენი წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი ახდა, დიდი კაცი უკვე არის, მეორე ნაწილი როგორ იქნება?

– არ ვიცი ბიძია, აგენის ხელში არაფერი არაა გამორიცხული. – ამაზე ვახტანგმა ბევრი იცინა.

**თამაზ გოგინიაშვილი**  
ნაწყვეტი წიგნიდან „გუშინდელივით მახსოვს“

## ცინცხალი გონების კაცი

საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვახტანგ გოგუაძესთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა, არაერთი სასიამოვნო ეპიზოდის გახსენებაც შემიძლია, მაგრამ ეს უფრო პირადული სფეროა და ამჯერად ამაზე არ ვისაუბრებ.

ჩემს მიზანს ერთი ფაქტის გახსენება წარმოადგენს, რომელიც, ვფიქრობ, მკაფიოდ მეტყველებს ვახტანგ გოგუაძის გონების სიმკვირცხლეზე. ეს ამბავი 80-იანი წლების დასაწყისში, უფრო ზუსტად, 1981 წელს მოხდა. მე, მართალია, ამ ფაქტის უშუალო მონაწილე არ ვყოფილვარ, მაგრამ მასზე მთელი უნივერსიტეტი ლაპარაკობდა (ღიმილითაც არაერთხელ გაუხსენებიათ ვახტანგის თანდასწრებით), როგორც ვახტანგის ნიჭიერებისა და მანვილგონიერების დასტურზე. ვიდრე ამ ამბავზე ვისაუბრებდე, თავს მცირე ექსკურსის უფლებას მივცემ.

კომუნისტური მმართველობის უკანასკნელი წლები, არსებითად, განსხვავდებოდა ბოლშევიკური ეპოქის პირველი ათწლეულების მმართველობის ხისტი და რეპრესიული სტილისაგან. კომპარტიის ხელმძღვანელობა იძულებული იყო, საზოგადოების მოთხოვნის საპასუხოდ, უფრო ლიბერალური და რაფინირებული გამხდარიყო. ხელისუფლება ცდილობდა, ხელმძღვანელ თანამდებობაზე ისეთი პირები დაენიშნა, რომლებიც ამკარად გამოირჩეოდნენ ინტელექტით, ლიბერალობითა და ავტორიტეტით საზოგადოებაში. ვფიქრობ, ამ ტენდენციის გამოხატულება იყო, როცა ვახტანგ გოგუაძეს, იმხანად ესთეტიკის კათედრის დოცენტს, შესთავაზეს (ფაქტობრივად, დააძალეს, დათანხმდებოდა) უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილეობა. მასსოვს, ვახტანგი



ამის შესახებ იმ ადამიანებს გაესაუბრა და რჩევა ჰკითხა, როგორ მოვიქცეო, ვის აზრსაც ანგარიშს უწევდა და პატივს სცემდა. ურჩიეს: ვახტანგ, უნივერსიტეტისთვის უმჯობესია, შენ იყო პარტკომის წევრი, ვიდრე ვინმე პირწავარდნილი კომუნისტიო, ხოლო ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ: „ჩემო ვახო, შენ უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის იდეოლოგიას გაატარებ და აუცილებლად უნდა დათანხმდეთ“. ვახტანგიც დათანხმდა შეთავაზებას. თანამდებობაზე, ფაქტობრივად, ნიშნავდნენ. არჩევნები ფიქცია იყო. გადაწყვეტილების მიღება, კანდიდატურის დასახელებისთანავე, ერთხმად და ერთსულოვნად ხდებოდა. ასე რომ, ვახტანგის თანხმობის შემდეგ მისი არჩევა, ფაქტობრივად, ფორმალბა იყო. მით უფრო, რომ ვახტანგ გოგუაძის დასახელებას დარბაზი ტაშით შეხვედრია. ამ დროს წამომდგარა ერთი პიროვნება, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ერთგულებით გამოირჩეოდა და განუცხადებია: რას უკრავთ ტაშს? როგორ შეიძლება ვახტანგ გოგუაძის პარტკომის მოადგილედ არჩევა, მისთვის იდეოლოგიის ჩაბარება, როცა მას რელიგია სწამს?!

ეს სერიოზული ბრალდება იყო. ათეისტობა კომუნისტობის აუცილებელი პირობა იყო. დარბაზში ჯერ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილა, მერე ხმაური ამტყდარა, შენ რა იცი, ვახტანგ გოგუაძეს რა სწამსო? თვითონ მითხრა ამის შესახებო, — განუცხადებია იდეურად მტკიცე კომუნისტს. კრების მონაწილეები კი შეეცადნენ გოგუაძის გამოქომაგებას, მაგრამ სიტუაცია ვერ განმუხტეს. გაფითრებული და დაბნეული კრების თავმჯდომარე იძულებული გამხდარა, ვახტანგ გოგუაძისთვის ეთხოვა, პასუხი გაეცა ე.წ. „კობენტიისათვის“. დარბაზში ხმაური და წამოძახილები არ წყდებოდა.

ბოლოს კათედრასთან ვახტანგი მივიდა. დარბაზი გა-  
ისუსა. წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ, როგორ შეძლებდა  
„ბრალდებული“, თავის მართლებას. ვახტანგმა სულ  
ორიოდე სიტყვა თქვა: — გთხოვთ, ნუ დაუჯერებთ ჩემს  
ოპონენტს, მე მისთვის არ მითქვამს, რომ რელიგია  
მწამს.

დარბაზს უკმაყოფილების ახალმა ტალღამ გადაურ-  
ბინა. ჩათვალეს, რომ ვახტანგ გოგუაძემ უკან დაიხია.  
არც ეს მოეწონათ. ვახტანგმა კი მშვიდად განაგრძო: —  
აბა, მითხარით, რა ქართულია „რელიგია მწამს“? ამას  
ქართული ენის, მცირედ მცოდნეც კი არ იტყვის. მე კი  
მგონია, ასეთთა რიგს არ მივეკუთვნები. ქართულად კი  
ასე ითქმის: — ღმერთი მწამს! ჰოდა, როგორ ვიტყოდი,  
რელიგია მწამს-მეთქი?

ეს თქვა და დატოვა კათედრა. უნივერსიტეტის სააქ-  
ტო დარბაზი ლამის ჩამოინგრა ტაშით... ვახტანგი მაინც  
აირჩიეს.

აი, ასეთი ცინცხალი გონება ჰქონდა ვახტანგ გოგუ-  
აძეს. რა თქმა უნდა, მორწმუნე იყო. მეტიც, ეკლესიური  
პიროვნება გახლდათ.

ღმერთი ნათელში ამყოფებს!

ამირან გომართელი

## ნიჭით და კაცობით გამორჩეული... ამჟვეყნად სიკეთის მთესველი...

ვანტანგ გოგუაძე ელვარე ნიჭით, მკვირცხლი გონებით, სიცოცხლის წყურვილით ანთებული არაორდინალური პიროვნება გახლდათ. ღმერთმა ინება, ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთად გვეწია ძმობის უღელი. ჯერ კიდევ მოუშუშებელია მისი მოულოდნელად ამქვეყნიდან წასვლით გამოწვეული ტკივილი, ამიტომაც ჭირს კიდევ 5 ათეული წლის მანძილზე დაგროვილ იმ მდიდარ შთაბეჭდილებათა კორეგირება, რომლის გახსენებას დროის დისტანციურობა სჭირდება, დროითი მანძილისა, რომელიც არის ერთგვარი მკურნალი სულისა. მით უფრო, რომ ვანტანგი ჩემთვის პირადად იყო ერთდროულად ძმადნაფიცი, მონათლული და ინტელექტუალური ორიენტაციების განმსაზღვრელი მეგზურიც ცხოვრებაში: საერთო გვყავდა მეგობრებიცა და მოწინააღმდეგეებიც, გვიცხოვრია ერთ ჭერქვეშ და გვიმუშავია ერთ კათედრაზეც. ყველა მეგობრისთვის და მათ შორის ჩემთვის, ვანტანგი იყო საამაყო მეგობარი, ფარი და მახვილიც.

მახსენდება ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან; 70-იან წლებში, ერთმა ულტრაკომუნისტურმა ლიტერატორმა მოიწადინა საბჭოთა სახელმწიფოს მტრად გამოეცხადებინა მისი უმცროსი ძმა და მეგობარი, როცა გამოსაქვეყნებლად ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში წარმოადგინა რეცენზია – სათაურით „წითელქუდა მეცნიერი და ღვთისმადიებელი მგელი“, ვანტანგმა ისეთი პასუხი გასცა გულდამწვარ „საბჭოთა პატრიოტს“, რომ მცირე ხნით მაინც დაუკარგა წერის ხალისი... საქვეყნოდ ცნობილია, როცა ვანტანგის სადოქტორო დისერტაციის



დაცვა შედგა, იმჟამად საბჭოთა იდეოლოგიური სამყაროს ერთმა „ბოსმა“, საჯაროდ რანაირად ლანძღა არა მხოლოდ ანტიმარქსისტული დისერტანტი, არამედ მის ბრწყინვალე წიგნზე – „ადამიანი როგორც ესთეტიკური ფენომენის“ – პრესაში დადებითად შემფასებელი რეცენზენტები, და მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორიც... მაგრამ დრომ გაასწორა, დიდი ვაჟას პერიფრაზით რომ ვთქვათ, „მრუდედ ნაჩორგნი საქმენი“ და მომავალს დაანახა „თეთრიც და შავიც“. ვახტანგ გოგუაძეზე ბევრი რამ გამოქვეყნდა და კვლავაც დაიწერება მომავალში. საინტერესოა ვახტანგ გოგუაძის მრავალმხრივი ნატურა, როგორც ესთეტიკოსი და ლიტერატორი, ჩვენში ე.წ. ფილოსოფიური პუბლიცისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი და პოლიტიკოსი... ვფიქრობთ, ყველა ამ საკითხის ნათელყოფა მაინც მომავლის ამოცანაა...

ამჯერად, აღნიშნული მდიდარი სააზროვნო მექვიდრობიდან, მხოლოდ ერთ ნიმუშზე შევაჩერებთ ყურადღებას, იმიტომაც, რომ მასში რელიეფურადაა ასახული ვახტანგ გოგუაძის, როგორც მოაზროვნისა და მამულიშვილის სულიერი ავტოპორტრეტის შტრიხები. ამ მხრივ ვფიქრობთ, გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე გამოქვეყნებული წიგნი „პანთონი“, – მისი ავტორის „ელვარე ნიჭის“ კიდევ ერთი გამობრწყინებაა, იმითაც, რომ მასში ერთგვარად იგრძნობა მოახლოებული აღსასრულის წინასწარი ჭვრეტაც...

ადრე, 1993 წელს გამოცემულ წიგნში: „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“, „პანთონის“ სახელწოდებით, ვახტანგმა ცალკე ქვეთავად გამოყო მარადისობაში გადასული რამდენიმე ღირსეული მამულიშვილისადმი მიძღვნილი გახსენება: ამჯერად კი, მან დამოუკიდებელი ნაწარმოების სახე მისცა გახსენება – მო-

გონების ფორმით წარმოდგენილ 37 შთამბეჭდავ ესსეს, სადაც მან მკითხველის თვალში გამოაცოცხლა საქართველოსთვის გულანთებული სხვადასხვა თაობის ქართველები და არა ქართველებიც, ვისაც ჩვენი ტანჯული ქვეყნისათვის თავიანთი ცხოვრების მანძილზე არ დაუშურებიათ „სიტყვა საქმიანი“ და „საქმე სიტყვიანი“...

ვახტანგ გოგუაძე, ისეთი რანგის მოაზროვნე გახლდათ, რომელიც თავისი ყოფითი და შემოქმედებითი ცხოვრების ნირით, არაორდინალურ ინდივიდუალობას წარმოადგენდა და ყოველი ახალი პუბლიკაციით, დღენიადავ ცდილობდა, ვეზიარებინეთ სიანლის ხიბლს. ამ ნიშნით შემოვიდა მკითხველის ცხოვრებაში ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის თვალსაზრისით ისეთი ბრწყინვალე მონოგრაფიები, როგორცაა: „ერი გულადი, პურადი“ (1977), „ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი“ (1980). ამ წიგნებში ვახტანგის ნატურის ორიგინალურობა მთელი სისრულითაა გამოკვეთილი. ორიგინალობა კი, როგორც ერთგან თავად წერს, გამაღიზიანებელიცაა, იმ აზრით, რომ თუ დადებითი პათოსით აღავსებს საზოგადოების გარკვეულ ფენას, უარყოფითად მუხტავს ყოველგვარი სიანლისადმი შიშით და ეჭვით განწყობილ ე.წ. „საშუალო“ ადამიანებს. მაგრამ ვახტანგის დასახელებული წიგნებისა და ნაწერების ბედს თუ გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ გაივლის დრო და ვახტანგი, თავისი პროფეტური აზროვნებით კულტურულ-ლიტერატურული და სოციოლოგიური „პროგნოზებისა“ და „დიაგნოზების“ სიზუსტით, ბოლოსდაბოლოს მაინც ახერხებდა თვით უკიდურესად სკეპტიკურად განწყობილი აუდიტორიის მოთვინიერებას.

„პანთეონის“ სახელით მონათლულ ერთ-ერთ უკანასკნელ წიგნში კი, ვახტანგის ხედვით, ახალი ქართუ-

ლი კულტურული ელიტის, ჩვენგან წასულ შესანიშნავ წარმომადგენელთა „აჩრდილებია“, როგორც ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა, „აკლდამებიდან გამოწვეული“ და მანამდე ნაკლებცნობილი, ან სულაც უცნობი, ადამიანური ხასიათის გამომხატველი დეტალებითა და შტრიხებით კიდევ ერთხელ ცოცხლდებიან საზოგადოების თვალში, XIX საუკუნის II ნახევარში მოღვაწე მწერლები, ხელოვანები, მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწენი, კულტურისა და სპორტის გრანდები, საერთოდ, ბრწყინვალე, დახვეწილი ინტელიგენტები, ვისთანაც ოდესმე ურთიერთობა ჰქონია ვახტანგს.

როგორც ცნობილია, ეს პიროვნებანი, თავიანთი არსებობის ფორმით, XX საუკუნის საქართველოში ჰქმნიდნენ დიდ ზნეობრივ და ინტელექტუალურ კლიმატს და ყველაფერს აკეთებდნენ მისთვის, რომ ქართული გონი და ნიჭი, ძნელ დროშიც კი, საქვეყნოდ გაბრწყინებულიყო.

პიროვნულ-ადამიანური თვალსაზრისით, ვახტანგის, როგორც ჩვენი მეგობრის კაცური ღირსება და უშურველი ხასიათი ისიც გახლავთ, რომ „პანთეონში“ მისი მჭერმეტყველური სიტყვით გამოცოცხლებულ მრავალ ცნობილ პიროვნებასთან, წიგნის ავტორი, ბუნებისაგან მომადლებული კონტაქტურობისა და კომუნიკაბელური თვისების წყალობით, თავის უახლოეს მეგობრებსაც გვიწევდა მეგზურობას ამ დიდებულ ადამიანებთან ურთიერთობის დასამყარებლად, და რაც შეეძლო, გვაკვლიანებდა კიდევ: იქნება ეს, ჩვენთვის მარად ძვირფასი და დაუვიწყარი ბატონები: ნიკო მგელაძე, გრიგოლ კიკნაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ვენოზ ქვაჩაძე, თუ სხვები.

ამბობენ, „კულტურა ეს გარდასულთა საფლავების კულტიაო“ (ვ. ივანოვი). ჩვენს ძნელ დროში, როცა თა-



ნამემამულეთა მნიშვნელოვანი ნაწილი „უგუნურ თავგუნებად“ და მაძლარ „ლამურებად“ ქცეულან, ვახტანგმა, როგორც ეს დიდი კულტურული წარსულის მქონე რაოდენობრივად პატარა ერის ღრმა ინტელექტითა და ზნეობით შეჯავშნულ ღირსეულ შვილს შეეფერება, თაობათა თვალში, თავისი წიგნით „პანთეონი“, ლამაზი ძეგლი დაუდგა ჭეშმარიტ მამულიშვილებს და ინტელექტუალებს. „პანთეონში“ გაჟღერებული ძვირფასი სახელებიც ხომ თითქოს საფლავიდანაც ხელს გვიწვდიან და გვეხმარებიან ჩვენი სულიერების გადარჩენაში.

რაოდენ დასანანია და დიდი დანაკლისი, არა მხოლოდ ოჯახისა და მეგობრების, არამედ საერთოდ ერისთვის, რომ თავისი ნიჭის ზეობის ხანაში ასეთი მაღალი დონის მოაზროვნე, თავად ნაადრევად იქცა გახსენების ობიექტად... მაგრამ ვახტანგ გოგუაძის სახელი და მის მიერ დათესილი სიკეთე, როგორც იტყვიან: „მღვიძარ არს მარადის“, ხოლო თავისი საეტაპო ხასიათის წიგნები მუდამ შეახსენებს შთამომავლობას, რომ მათი ავტორი, მომავლის თვალსაზრისით, ქართველთა სულიერი ცხოვრების საიმედო თანამგზავრია.

იუზა ევგენიძე

## ჩვენი ღროის გმირი

ეს ლერმონტოვის ცნობილი ნაწარმოების სათაური გახლავთ — „Герой нашего времени“, თუმცა მის პრობლემატიკასთან არავითარი ქვეტექსტური კავშირი არ გააჩნია ჩემს ყოფით-საზოგადოებრივ დაკვირვებებს თუ უცაბედ შენიშვნებს; მე არც ირონიას ვდებ ამ ფრაზაში და არც დათირამბულ ხოტბა-დიდებას... მე ქრონოლოგიური და, უკეთ რომ ვთქვათ, მიმდინარე პროცესების მონაწილე გმირების სახეები მაინტერესებს.

ახლა ასეთი ხერხია ჟურნალისტურ მოღვაწეში აუცილებლად რესპონდენტის ცოლის, მეგობრებისა თუ ახლობლების დაკითხვაა საჭირო. მერე თავად „პერსონაჟის“ მონოლოგი უნდა ვისმინოთ იმის შესახებ, თუ რატომ, საიდან, როგორ, რანაირად, რამდენჯერ, ვისთან, სად... მე კი მინდა, რომ ჩემს გმირებს ვუყურო, ვიფიქრო მათს შესახებ და ცოტა რამ მკითხველსაც გავანდო ჩემი ნაფიქრალიდან, ეს ჩემი სურვილი გახლავთ, — წაკითხვის სურვილი კი თქვენზე იყოს:

**ზღვის ერთი წვეთი ანუ მრავლისმეტყველი ფრაზა**

პარლამენტის სხდომებს რომ ვესწრები, სულ ის მიტრიალებს გონებაში, — ამ ხალხის პორტრეტები შექმნა-მეთქი, რადგან „აქაურთა“ ხასიათები ისეთ უზარმაზარ საფიქრალ მასალას ქნიან, რაც თვით ჰომეროსის პოემებშიც არაა ჩაპროგრამებული (არადა, ამფითეატრალური ანტურაჟიც რა მშვენიერ ძველბერძნულ ტრაგიკულ-ფატალურ გარემოს ქმნის!!!) Parliament, მოგეხსენებათ, ლათინური პარლადან მოდის, რაც ლაპარაკს ნიშნავს. მე კი, ვაჟა-ფშაველას მსგავსად, აქაურობას „სა-



ფიხვნო“ დავარქვი, ჰოდა დეპუტატი „მოფიხვნარი“ გა-  
 მოდის, სპიკერი კიდეც – „მიფიხვნელი“, ბოდიშს კი მო-  
 გახსენებთ ამგვარი სიტყვებისათვის, მაგრამ „ფხვ“ ძირი  
 სწორედ ასეთი ვარიანტის საშუალებას იძლევა. რა თქმა  
 უნდა, მე ვაჟა-ფშაველა არა ვარ, ბატონი ვახტანგი კი  
 საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი გახ-  
 ლავთ („სპიკერი – to speak – ინგ. ლაპარაკი). ჩემი  
 პროფესიიდან გამომდინარე, ლინგვისტური პარალელების  
 გავლება ძალიან მიყვარს, ამიტომაც დაუუკავშირე ერ-  
 თმანეთს parla (ლათ) ფიხვნა (ხევს) და speak (ინგ.)  
 რაც ყველა ერთად ლაპარაკს ნიშნავს, არადა, ბატონი  
 ვახტანგიც მოლაპარაკე კაცია! ამგვარი სპეციალიზაციის  
 მოხელისათვის ჩვენში ყოვლადცნობილი არაბული სიტ-  
 ყვა „თამადა“ არსებობს, რაც ნდობით აღჭურვილ პირს  
 ნიშნავს და წესრიგსაცა და ლაპარაკსაც ერთდროულად  
 წარმართავს სუფრაზე. ამიტომაც დარწმუნებული ვარ,  
 ჩვენს პარლამენტარებს მიკროფონის ნაცვლად ღვინით  
 სავსე ჭიქები რომ ეჭიროთ, მათ შორის უმშვენიერესი  
 დამოკიდებულება იარსებებდა. ამით ჩვენც შეგვიძლებუქ-  
 დებოდა ყოფა და თამადა-სპიკერსაც, რადგან კიდეც ერ-  
 თხელ ვარ დარწმუნებული, რომ ბატონი ვახტანგი შესა-  
 ნიშნავი თამადა იქნებოდა! ამჟამად კი პარლამენტის  
 ხელმძღვანელი საოცრებებს იქმს, რადგან სწორედ რომ  
 საოცრებაა ორასი მოყელყელავე ქართველის გაძლება და  
 გაძლოლა ამდენი ხნის განმავლობაში! ჩემს პირად მად-  
 ლიერებას თუკი რამ მნიშვნელობა გააჩნია მისთვის,  
 სწამდეს, რომ ამგვარი გრძნობა დიდი ხანია არსებობს  
 ჩემში. რადგან მრავალსუფრაგამოვლილი თამადა გახლა-  
 ვართ და ვიცი, რა რთულიცაა მოგურგურე ქართველთა  
 ერთ სამასლაათო ყალიბში მოქცევა. მით უმეტეს, რომ  
 ამ მოგურგურე ქართველთა ნარკოლოგიურ-ფსიქიური



გამოკვლევის საკითხი არცთუ უსაფუძვლოდ წამოიჭრა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე.

ზემოაღნიშნულ მადლიერებას ა.წ. 9 მარტს თავად ბატონმა ვახტანგმაც „შეუწყო ხელი“, როცა სხდომა ამგვარი ფრაზით განაახლა: გაფიცებთ პარლამენტს, ადგილები დაიკავეთო!

ასეთი სიტყვები არსებულ ვითარებას შეუძლია მორაგოს მხოლოდ იმ კაცმა, ვინც ადამიანებთან ურთიერთობას საერთო კეთილგანწყობის შესაქმნელად წარმართავს და არა მათზე ამბიციური ზეგავლენის მოსაპოვებლად! ოღონდ თუ ღმერთი გწამთ, ბატონი ვახტანგის ამ მშვენიერი თვისების გამოკვეთას, რაიმე პოლიტპროპაგანდის მცდელობად ნუ ჩამითვლით, რადგან მე ადამიანთა პიროვნული სიკეთე უფრო მეტად მიზიდავს, ვიდრე ნებისმიერი უმრავლესობა-უმცირესობის ნაირგვარი საიერარქიო ცდუნებანი და იმასაც გეტყვით, რომ საქებარ სიტყვებს არც ბატონი სპიკერის პოლიტიკური ოპონენტებისათვის დავიშურებ, თუკი ეს დაიმსახურეს მათ...

ალექსანდრე ელერდაშვილი

## ვახაყობ, რომ ვიყავი მისი თანამედროვე და მასთან ვმშობრობდი

ვახტანგ გოგუაძეს სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობდი. ჩვენ თანატოლები ვიყავით და ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. იგი იშვიათი ადამიანური თვისებებით იყო დაჯილდოებული, შურის ნატამალი არ გააჩნდა და ხარობდა სხვისი წარმატებით, ადამიანში ყოველთვის სიკეთეს ეძებდა, ამიტომ ყველასთან შეეძლო ურთიერთობა, იყო მშვენიერი თამადა, გამოირჩეოდა მჭერმეტყველებითა და შესანიშნავი იუმორით. იშვიათად ნახავთ პიროვნებას, რომელშიაც ასე ლამაზად იყოს შერწყმული არაჩვეულებრივი პროფესიონალიზმი და საუკეთესო ადამიანური თვისებები.

მას დიდი სამეგობრო ჰყავდა, რომლის შუაგულში ტრიალებდა და, საჭიროების შემთხვევაში, ყველას გვერდით ედგა.

ბატონ ვახტანგს ჰქონდა მუსიკალური სამყაროს შეცნობისა და შეფასების უტყუარი ალლო და უნარი. იგი იყო ქართული ხალხური სიმღერის ტრფიალი და დამფასებელი, თვითონაც მშვენივრად მღეროდა. მეგობრობდა ანსამბლ „რუსთავის“ წევრებთან, უყვარდა ჰამლეტ გონაშვილი, თაყვანს სცემდა ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეს“. ქართული ხალხური სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაცია საშვილიშვილო საქმედ მიაჩნდა, ამიტომ მომღერლებს დიდ პატივს სცემდა და ყოველთვის გვერდში ედგა. — ქართულ სიმღერას ერთი საოცარი თვისება აქვს, იგი სიყვარულისთვის განაწყობს ყველასო, — ამბობდა იგი.

უნივერსიტეტში მისი პრორექტორობის დროს ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა ქართული კულტურის საკეთილდღეოდ, თვითონ იყო ყოველივე ამის მოთავე და

ორგანიზატორი. იმ პერიოდში გამოცემული მისი შესანიშნავი წიგნი „ერი გულადი პურადი“ არაჩვეულებრივი წარწერით მაჩუქა, ეს წიგნი დღემდე ჩემი სამაგიდო წიგნია.

არასოდეს დამავიწყდება ერთი საღამო: როცა გამოვიდა ჩემი ფირფიტების კრებული „პირველი გრამფირფიტები საქართველოში“, ბატონმა ვახტანგმა უნივერსიტეტში მიმიწვია და არაჩვეულებრივი შეხვედრა მომიწყო, რომელსაც დაესწრნენ უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები და სტუდენტობა.

საღამო ვახტანგს მიჰყავდა, მან წარმადგინა საზოგადოების წინაშე, მერე სიტყვებით გამოვიდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები. მე დამსწრეთ ვუამბე პირველი ქართული ფონოგრაფიების შესახებ. დასასრულს ბატონმა ვახტანგმა უნივერსიტეტის სახელით ივანე ჯავახიშვილის მედლით დამაჯილდოვა. ეს იყო ჩემთვის უმაღლესი ჯილდო და დღემდე მადლიერი ვარ ბატონი ვახტანგის, რომელმაც ესოდენ დიდი აღიარების ღირსი გამხადა.

ვახტანგ გოგუაძე დიდი პატრიოტი იყო. საქართველო მისთვის გაუნელებელი სატკივარი გახდა, რომელიც უკურნებელ სენად გადაიქცა. კომუნისტების მმართველობის პერიოდში იგი გვერდში ედგა ეროვნულ მოძრაობას, ჩემს თაობას კარგად ახსოვს, თუ რაოდენ ძნელი იყო სახელმწიფო მოხელისათვის ეროვნული მოძრაობის თანადგომა, მაგრამ ვახტანგ გოგუაძე ბუნებით უშიშარი კაცი იყო და სამშობლოს სიყვარული აიძულებდა, დღენიადაგ ეზრუნა საქართველოს კეთილდღეობაზე. მისი ასეთი საქციელი მაშინ გმირობის ტოლფასი იყო.

როცა ბატონი ვახტანგი საქართველოს პარლამენტის სპიკერი გახდა, ბევრი რამ გააკეთა ქართული კულტუ-



რის საკეთილდღეოდ, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ხელოვნების მოღვაწეებთან და ყოველნაირად უწყობდა ხელს მათ.

ვახტანგ გოგუაძე ალაღმართალი, კეთილშობილი და კეთილმოსურნე კაცი იყო. არასოდეს დამავიწყდება ჩემს მიმართ მისი განსაკუთრებული სითბო და სიყვარული, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. მისი სიკეთე ფასდაუდებელია. ბატონი ვახტანგი პასუხისმგებლობით სავსე კაცი იყო, მისთვის მეორეხარისხოვანი საქმე არ არსებობდა. მისი მოღვაწეობა, სამწუხაროდ, საქართველოსათვის უმძიმეს პერიოდს დაემთხვა. ამიტომ იგი მტკივნეულად განიცდიდა თავისი ქვეყნის ბედს. იგი სამშობლოს სამსახურში გაიხარჯა და ნაადრევად გუღნატკენი წავიდა ამა სოფლიდან.

ვამაყობ, რომ ვიყავი მისი თანამედროვე და მასთან ვმეგობრობდი.

ღმერთმა აცხონოს!

ანზორ ერქომაიშვილი

## თურემ სრულიად არ ყოფილა აუცილებელი ფუფუნებაში იცხოვრო...

ჩემი ხნის კაცს სიზმარიც კი დაეჯერება, მაგრამ მე მინდა, ცხადზე გესაუბროთ. აი, ამ დარბაზში დიდი ხნის წინ მამია გურიელისადმი მიძღვნილი საღამო ჩავატარეთ. მოხსენება თემაზე – „მამია გურიელის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თინა იმნაძემ გააკეთა. სიტყვები წარმოთქვეს პროფესორმა იური სიხარულიძემ, დოცენტმა აბელ სურგულაძემ, ბათუმიდან ჩამოსულმა მწერლებმა. საღამო დაავგირგვინა აწ განსვენებული, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვალოდია წულაძის მიერ წაკითხულმა მამია გურიელის ლექსმა – „ადამიანი“. იმ დროს ნინოშვილის მუზეუმში ვმუშაობდი, ჩემს მიერ შეკრებილი მასალების საფუძველზე, მსმენელებს მამიასა და ეგნატეს კეთილი დამოკიდებულების შესახებ ვესაუბრე. საღამოს დამთავრების შემდეგ ლოყაწითელა, ბუნჩულა პატარა ბიჭუნა მომიახლოვდა, მომესალმა და მკითხა: თქვენთან მინდა რომ მოვიდე, მამიასა და ეგნატეზე შეგროვებული მასალებით სარგებლობის ნებას თუ დამართავთო. გამიკვირდა, ეს ჩემს თავზე დაფრქვეული უდიდესი ბედნიერება იყო. ბიჭუნას ვინაობა გამოვკითხე. იგი ლესის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასელი ვახტანგ გოგუაძე აღმოჩნდა. ცხადია, ვახტანგს თანხმობა განვუცხადე. კვირა დილით კალათით ხელში შემწვარი ქათმებით, ხაჭაპურებითა და სხვა ძვირფასი ნახელავით დატვირთული ვახტანგი გვეწვია. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ თავი შევიკავე. ცხადია, მასალები მივაწოდე. სტუმარმა მისთვის საჭირო ცნობები ამოიწერა. შემდეგ ბიბლიოთეკას გაეცნო და რამოდენიმე წიგნი სანათხოვროდ წაიღო. მომდევნო კვირასაც კვლავ მოსაკითხებით გვეწ-

ვია. მესამე კვირას გადაჭრით განვუცხადე: თუ კვლავ შენი არ მოგიშლია და ასე ხელდამშვენებული გაბედვ მოსვლა, ეზოში აღარ შემოგიშვებ, ჩვენ აქ ყველი და პური გვექნება თუ სხვა რაიმე, იმას დავკვრდეთ, რომელ ოჯახს აქვს საშუალება, რომ ყოველ კვირას ასეთი საგზალი გაამზადოს-მეთქი.

დამიჯერა, შემდეგში მასთან ერთად, ხანგამოშვებით იუზა ევგენიძე და სხვა ნიჭიერი ბავშვებიც მოდიოდნენ. მუზეუმში დაცულ მასალებს ეცნობოდნენ, ჩვენი მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ და გულს სიამით გვივსებდნენ.

წლები გადიოდა, ბავშვები იზრდებოდნენ და მათი თვალსაწიერი ფართოვდებოდა. ვახტანგმა საშუალო სკოლა მედლით დაამთავრა. გეზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაკენ აიღო. იმ წელიწადს აბიტურიენტები ყველა საგანს აბარებდნენ, გამონაკლისი არ არსებობდა. ვახტანგისაგან წერილი მივიღე, წერილს პესიმისტური ელფერი დაჰკრავდა. მწერდა, კონკურსი დიდია, არ ვიცი მოვეწყობი თუ არაო. პასუხად ვწერდი, თუ ქვეყნად კანონი და სამართალია, შენ უთუოდ უნდა ჩაგრიცხონ, უმაღლეს სასწავლებელში პროფესორები კი არ შედიან, არამედ იქედან ათასში ერთი პროფესორად გამოდის-მეთქი. ისე თქვენ ყველა კარგი ფიქრი გაგმართლებოდეთ, როგორც მე მაშინდელი აზრი გამიმართლდა. პირველ გამოცდას ვახტანგი ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბარებდა. ბილეთის მიხედვით, ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ უნდა ეპასუხა. ვახტანგმა იმით კი არ დაიწყო, რომ ალ. ყაზბეგი დაიბადა 1848 წელს და სხვა, არამედ საუბარს ასეთი შესავალი წაუძმღვარა: „გასულ წელს ლანჩხუთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა მოაწყო ექ-



სკურსია მარშრუტით: ლანჩხუთი-მცხეთა-ყაზბეგი-ვლადიკავკაზი. ავტობუსით გავლილი გზა მცხეთამდე. დავათვალიერეთ სვეტიცხოველი, დავბრუნდით უკან, გავემართეთ ჩრდილოეთით, აღმართ-დაღმართ მივიკვლევთ გზას, შევედით კლდეებისა და მთების სამყაროში, თვალს იტაცებს დათოვლილი მწვერვალები, ჯვრის უღელტეხილიდან თავქვე დავეშვით, შემდეგ ისევ აღმართები გრძელდება, აი, გამოჩნდა სტეფანწმინდა, ვუახლოვდებით დიდებულ სასახლეს, სადაც 1848 წელს დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი." ბიოგრაფიულ ცნობებზე რომ საუბარი დაამთავრა, შემდეგ ვახტანგი ყაზბეგის ქმნილების გარჩევას შეუდგა. ერთი საკითხის შესახებ აღნიშნა: ამაზე ყაზბეგი ასე ფიქრობს, პლუტარქე კი ამ აზრისააო. გამომცდელს თვალები გაუბრწყინდა, ვახტანგი შეაჩერა და ჰკითხა: პლუტარქე წავიკითხავს? – დიახ, მიუგო ბიჭუნამ. აბა, მითხარი, ვინ თარგმნა პლუტარქე? – სამწუხაროდ მთარგმნელის ვინაობა დამავიწყდა, წიგნის რედაქტორი კი, ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილი ბრძანდება. – აბა, მთარგმნელი ახლა შენი გამომცდელია – ალერსიანად უპასუხა კეთილმა ადამიანმა, რომელიც საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პროფესორი აკაკი ურუშაძე აღმოჩნდა.

სხვა საკითხებზეც ჩინებული პასუხი გასცა ვახტანგმა, ბიჭის ცოდნით მოხიბლულმა პროფესორმა საბუთში პირველი ხუთიანი ჩაუწერა და მომავალი წარმატებები უსურვა. კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა გამოცდა ისტორიაში პროფესორ ილია ტაბალუასთან, როცა ყველაფერს მორჩა ბატონი ილია, ვახტანგი კომისიის თავმჯდომარეს პროფესორ კოტე მეგრელიშვილს მიჰკვარა და მიმართა: „ბატონო კოტე, ამ ყმაწვილმა არაფერი იცის, ვერ დავაჯერე რომ ორიანის გარდა მას სხვა ნი-

შანი არ ეკუთვნის, და იქნებ თქვენ დააჯეროთ თავის უცოდინარობაშიო.“ მშვიდი და აუღელვებელი ბატონი კოტე (რომელიც თავის დროზე მეც მიკითხავდა ლექციებს) დინჯად უსვამდა კითხვებს ვახტანგს. ვახტანგიც ღრმად და საფუძვლიანად საუბრობდა ყველა საკითხზე. ბოლოს, ბატონ კოტეს მოთმინების ძაფი გაუწყდა და ილიას მიმართა: მგონია ბატონო ილია, თქვენ ცდებით.

ილიამაც არ დააყოვნა, გადაიხარხარა და კოტეს მიმართა: მე ხომ დავტკები და მინდოდა ეს სიხარული თქვენთვისაც გამეზიარებინაო. ორთავემ, სავსებით სამართლიანად, ვახტანგს ისევ ხუთიანი არგუნეს. პროფესორებმა ვახტანგის გადაბირება მოინდომეს. რა გინდათ ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ჩვენთან, ისტორიის ფაკულტეტზე ჩაგრიცხავთო. ვახტანგმა მოკრძალებით უპასუხა: ჯერ კიდევ ორი გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. არ ვიცი, რა შედეგი მექნება, ჩამრიცხავენ თუ არა, თუკი ბედნიერება მეღირსა და ჩავრიცხე, თუ ნებას დამრთავთ, თქვენს ლექციებს სიამოვნებით დავესწრებიო. პროფესორებმა დასტური დასცეს. ვახტანგმა დანარჩენი საგნებიც ბრწყინვალედ ჩააბარა და გამარჯვებული დაგვიბრუნდა.

სექტემბრიდან დაიწყო სტუდენტური ცხოვრების ხუთწლიანი მარათონი. სწავლის პერიოდში ვახტანგი ბევრისაგან გამოირჩეოდა. ერთხელ, მისმა თანაკურსელმა, ერთ-ერთი პროფესორის შვილმა ვახტანგს მიმართა: ასეთი ღრმა ცოდნა უთუოდ იმის შედეგად მიიღე, რომ მამათქვენს მდიდარი ბიბლიოთეკა გააჩნიაო. ვახტანგმა გაიღიმა და უპასუხა: არა, მამაჩემი გლეხია, დიდი ბიბლიოთეკა ნინოშვილის მუზეუმს აქვს და წასაკითხ წიგნებს იქიდან ვირჩევდიო.

სტუდენტობის პერიოდში იგი სტუდენტთა ქალაქში ცხოვრობდა. ერთ ოთახში ცხოვრობდნენ ზურაბ სარ-

ჯველაძე, ლადო მინაშვილი, ოთარ ონიანი, ელგუჯა გუნაშვილი. შემდეგ მათ შეუერთდა მათზე უმცროსი იუზა ევგენიძე. ბიჭებს ხან ულხინდათ და ხან უჭირდათ, ზოგჯერ მოვინახულებდი და გული სიამით მეგვსებოდა. ყველანი ცხოვრების კეთილ გზას ადგნენ, კომფორტს მოკლებულნი, თავდადებით მეცადინეობდნენ. მაგალითად, ვახტანგი ჭიდაობის სექციის წევრი იყო. თუმცა ვერც ერთი მათგანი გამოჩენილი სპორტსმენი ვერ გახდა, მაგრამ სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში წაკითხული მოხსენებების წყალობით, მიიპყრეს პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, რაც იმის საწინდარი გახდა, რომ უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ყველა მათგანი ასპირანტურაში ჩაირიცხა და ამჟამად სამეცნიერო ხარისხის მფლობელი გახლავთ.

თურმე სრულიად არ ყოფილა აუცილებელი ფუფუნებაში იცხოვრო და ამ გზით გაიარო კარიერა.

თუ თავს არ მოგაბეზრებთ, მინდა ერთი ფაქტი გავიხსენო ვახტანგის ასპირანტურაში ჩარიცხვის პერიოდიდან. გერმანულ ენაში გამოცდებზე ვახტანგს ეკითხებიან – აბა, რას წავგიკითხავ და გვითარგმნით? – ჰეგელს, მკვეთრად მიუგო ვახტანგმა. გამომცდელებმა ჩაიქირქილეს და კბილებიდან გამოსცრეს. ჰეგელს ჩვენ ვკითხულობთ, მაგრამ ნახევარი არ გვესმისო. აი, ბატონო, ჰეგელის სამი ტომი, ცხრაასი გვერდი, აირჩიეთ რომელი გვერდიც გნებავთ, მე წავიკითხავ და ვთარგმნიო. ასეც მოიქცნენ, ეს ამბავი სენსაციად იქცა უნივერსიტეტში, ვახტანგს დამსახურებული ხუთიანი არგუნეს. თქვენი თანხმობით, ძვირფასო მეგობრებო, მინდა გულითადი მადლობა ვუძღვნა ჩემს თანაკლასელს, ვახტანგის გერმანული ენის მასწავლებელს, გრამიტონ ჩხაიძეს, რომელმაც ჯერ კიდევ ლესის საშუალო სკოლაში



გაუღვიძა თავის მოსწავლეს უცხო ენის შესწავლის სურვილი და წყურვილი.

დანარჩენ საგნებშიც იზეიმა ვახტანგმა ბრწყინვალე გამარჯვება, მაგრამ რაკი „პატრონი“ არ ჰყავდა, დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხეს. ასპირანტი ვახტანგ გოგუაძე ნინოშვილის მუზეუმს ეწვია. გამარჯვება გვახარა. ჩვენც მივულოცეთ, მაგრამ იმანაც დაგვადონა, რომ საჭირო ცნობის ასპირანტურაში წარსადგენად ვახტანგს სამუშაო ადგილი უნდა ეშოვნა. დავპირდი და დავაიმედე, რომ ლანჩხუთში გავიკითხავდი და როგორმე, სადმე სამუშაოს მოვუძებნიდი. ვიზიტის შემდეგ გამოგვეთხოვა.

სალამოს ფეხით ჯუმათის სადგურში ჩავედი (ბედნიერება მქონდა, ყოველდღე მატარებლით ჯუმათში მივსულიყავი, იქიდან სამი კილომეტრი ფეხით გამეველო, მუზეუმში მივსულიყავი და იქიდან ასევე დავბრუნებულიყავი).

სადგურში ვახტანგის და დავინახე. მესიამოვნა. დავაბარე, რომ მეორე დღეს ვახტანგი გვწვეოდა. მომაგონდა, რომ მუზეუმში მეცნიერ მუშაკის ნახევარი შტატი გვქონდა. ხელფასი 35 მანეთი (ამიტომ ჩვენთან ამ ადგილზე არავინ მოდიოდა). ვახტანგი გვეწვია. პირობები გავაცანი და ისიც დავძინე, რომ ცნობის წარსადგენად ეს ადგილი გამოადგებოდა. ვახტანგი სიხარულით დავეთანხმდა. ბრძანება დავწერე, ცნობა გავამზადე, ჩვენი ახალი თანამშრომელი თბილისში გაემგზავრა.

ვცდილობდი, ჩვენი ახალი მუშაკისათვის მეცადინეობის ხელსაყრელი პირობები შემექმნა, თუმცა იგი არავითარ კომფორტს არ მოითხოვდა. შევთანხმდით, რომ მხოლოდ "ექსკურსანტების" მოზღვაგების პერიოდში ჩაუტარებდა მოსულებს საუბარს. დანარჩენ დროს, თუ კარგი ამინდი იყო, გაიტანდა ჯორკოს, ჩრდილში დაჯ-

დებოდა და განუწყვეტლივ იმეცადინებდა, მოამზადებდა საგანს, თბილისს გაემგზავრებოდა და აბარებდა საგნებს. ერთხელ თურმე ერთმა ასპირანტმა ჰკითხა, ასე ყველას როგორ გაგვისწარი, ჩვენ დასწრებულზე ვსწავლობთ და საგნების ჩაბარებას დროულად ვერ ვახერხებო. ვახტანგმა თავისებური ენამოსწრებულობით უპასუხა, რომ იგი ისეთ დაწესებულებაში მუშაობდა, სადაც მას მეცადინეობის ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს.

ბოლოს ასპირანტურის ხელმძღვანელობა და პირადად მისი ხელმძღვანელი მიხვდნენ, რომ ვახტანგი დასწრებულ განყოფილებაზე გადაეყვანათ და მისთვის სტიპენდია დაენიშნათ. ვახტანგმა შესანიშნავად გამოიყენა შექმნილი პირობები, საკანდიდატო დისერტაცია მოამზადა და ბრწყინვალედ დაიცვა.

შემდგომში პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად სამეცნიერო საქმიანობასაც გულმოდგინედ განაგრძობდა, რაც მის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვით დაგვირგვინდა.

ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის  
ყოფილი დირექტორი  
მიხეილ ვადაჭკორია  
ლანჩხუთი, 1991 წელი

## მან რაც მოასწრო, სავსებით საკმარისია ისტორიაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად

ვახტანგ გოგუაძე ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი და უკეთილშობილესი პიროვნება იყო. მას უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო. როდესაც ვახტანგ გოგუაძე პარლამენტის სპიკერად აირჩიეს, გულიც კი დამწყდა იმის გამო, რომ იმ დონის მეცნიერი, როგორც ბატონი ვახტანგი იყო, პოლიტიკური მოღვაწეობის გამო, შემოქმედებით საქმიანობას არ უნდა მოწყვეტოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, მაინც მისასალმებელია, როდესაც მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებს გაუნათლებელი და უწიგნური ადამიანები კი არა, მაღალი ინტელექტის, მაღალი ზნეობისა და მაღალი პასუხისმგებლობის ადამიანები იკავებენ. ვახტანგის ცხოვრება სწორედ ამის ნიმუში იყო. მან რაც მოასწრო, სავსებით საკმარისია ისტორიაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ მას მრავალი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა...

ირაკლი კალანდია



## ოჩხომურიდან პრეზიდენტობაზე

(ფრაგმენტი პროფესორების – გრიგოლ ჟვანიასა და ვახტანგ გოგუაძის საუბრიდან)

გრიგოლ ჟვანიას ცხოვრება მხოლოდ საინტერესო ადამიანებს აინტერესებთ, ვინც აზრსა და აზრიან ადამიანებს ეძიებენ. ფართო მკითხველს უფრო ავანტიურისტების თავგადასავალი იზიდავს. მადლობა ღმერთს, ჯერხანობით, საქართველოში არ დამშრალა წყარონი სიბრძნისანი.

ბატონ გრიგოლს ერთმა არასტრონომმა რუსმა ასტრონომიული სტილის შეკითხვა მისცა:

– შენ თუ იცი, საიდან იწყება კოსმოსი?

– ოჩხომურიდან, – უპასუხა ბატონმა გრიგოლმა.

– კაკ? კაკ?.. – გადმოკარკლა თვალები გაკვირვებულმა რუსმა, ასე უყოყმანოდ რომ მიიღო სავარაუდო პასუხთა შორის სრულიად არასავარუდო ვარიანტი.

ბატონი გრიმა თავის “აგარაკზე“, როცა ოჩხომურის წყლის პირას გაისეირნებს რეალურად ან წარმოსახვაში...

ბატონმა გრიმამ სიარული და ცურვა თითქმის ერთდროულად ისწავლა. ეს ის ოჩხომურის წყალია, რომლის ანკარა ფსკერზე კენჭებს დაითვლი, მაგრამ ერთხელ კი რატომღაც გაბრაზებია კეთილი მდინარე. პატარა გრიმა იზრჩობოდა, რომ არა მეზობლის გოგონას კივილი, მამამისი, ბატონი კონდრატე, ვერაფერს გაიგებდა, მამამ გადაარჩინა.

– სამწუხაროდ, ის გოგონა საკუთარ სახლში გაჩენილ ხანძარში მოჰყვა და დაიღუპა, – ამოიოხრა ბატონმა გრიმამ, – ვერაფერს გაიგებ ამ წუთისოფლისას.

– ოჩხომურას მარტო საბანაოდ როდი მოვინახულე-  
დი ხოლმე...

„წარველ წყლის პირას სევდიანი ფიქრთ გასართვე-  
ლად...“ ხანდახან დიდ ქვას შეჯახებული ნაკადი რომ  
ბუყბუყებს, გეგონება რაღაცას გიამბობსო. „მრავალ  
დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“. მაგრამ მო-  
ნატრება იცის, როგორც უსაყვარლესმა ადამიანმა. ერ-  
თხელ გამეცინა და ფიქრში ვკითხე – რა იყო, რას  
მერჩოდი, ოჩხომურა, რომ მაღრჩობდიო, – შეგაშინე და  
ფიქრი გასწავლეო, რა არის ადამიანის ცხოვრება, რამ-  
დენი არშემდგარი სიცოცხლეც არის, თურმე...

რომ წამოვიჩიტე, რა დაგიმალოთ და, ერთი მღვდლის  
ოჯახში დავდიოდი. ძალიან მომწონდა მისი ქალიშვილი  
ლიუდმილა. მღვდელი ძალიან კარგი კაცი იყო, მაგრამ  
ცოლი ჰყავდა აფთარი.

– რაო, ჟვანიას გავატან ქალიშვილს, იმ ობოლს...  
იმას?!

მართლაც, მე ადრე დავობლდი. თუმცა ბუნდოვნად,  
მაგრამ ჩაუმიქრალად მახსოვს, პატარა ვიყავი, როცა ღე-  
დას კუბოში ვეამბორე და ატირებული ძლივს მომაშო-  
რეს გაციებულ ცხედარს. დედაჩემისგან მხოლოდ თეთრი  
სუდარა შემორჩა ჩემს მეხსიერებას. 11 წლისა მამასაც  
გამოვეთხოვე, მაგრამ ბებია და ბაბუამ ობლობა ძალზე  
შემიმსუბუქეს. სიყვარულით მზრდიდნენ. თუმცა, ცხოვ-  
რება მაშინ მძიმე იყო, ყველას უჭირდა, 16 წლის ასაკ-  
ში, ვინ იცის, რამდენჯერ, ჩემი სოფლიდან ზუგდიდამდე  
(ოცდაათ კილომეტრზე მეტია) ერთი ფუთი სიმინდი  
ზურგით ჩამიტანია გასაყიდად. ფეხსაცმელებს ქამარში  
გავირჭობდი, ქალაქს მიახლოებამდე.

– ახლა თუ უჭირს სოფელს, ბატონო გრიშა?

– ახლა სოფელს კი არა, მსოფლიოსაც უჭირს. მაშინ სიკეთე ფასობდა, მდიდარი ან არ იყო ახლო-მახლოს. ან ყოველ შემთხვევაში, ის ცინიზმი, აუტანელი უსამართლობა, ერთს ყველაფერი, სხვებს არაფერი, მაშინ არ იყო...

– ბატონო გრიშა, მოდით, ერთი ისევ ოჩნომურას პირას „გავისეირნოთ“. აი, ჩვენ შევედით იმ ეპოქაში, როცა მდინარეების ამბოხებას მოვესწარიით. საოცარია რა, არამარტო ეს გოლიათი მდინარეები, პატარ-პატარა ნაკადული რომ მოწანწკარებდა, ლამის გაცოფდნენ და ღვარცოფად იქცნენ, მიაქვთ ხე და მიწა. ოჩნომურის წყალიც ხომ არ გნრისხებულა?

– მე შარშანწინის შემდეგ არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ არ უცვლქია. სტიქია ნიშნავს ბუნების უგუნურმოქმედებას. განრისხებას, მაგრამ ახლ რაც ხდება მსოფლიოში, ნოეს კილობანის შემდეგ, შეიძლება ითქვას, არც ხდებოდაო. როგორც ჩანს, აქ სხვა რამეშია საქმე. ეს არის პასუხი კაცობრიობის ზნეობრივ დაცემაზე, ამიტომ დამბების გამაგრება არ ჰყოფნის საქმეს.

– წირვა-ლოცვა, მარხვა?

– ეს ყველაფერი კარგია, თუ ეკლესიიდან გამოსული კაცი უკეთესი გახდა, მაგრამ თუ მარცვა-გლეჯის „ნებართვა“ აიღო ღმერთისაგან, თავისი წარმოდგენით, რასაკვირველია, მაშინ ამისთანა ლოცვა-თვალთმქცობას ღმერთი უფრო მეტად დასჯის.

ერთხელ ბატონ გრიგოლს ვაჩვენე პოპულარული ფოტოსურათი: „გურული ცხენოსნები ამერიკაში“ ყურადღება მივაქცევინე ერთ მათგანზე.

– ეს მთლად შენ გგავს, – მითხრა უყოყმანოდ.

– ეს იყო ჩემი ბაბუა, მაგრამ არა გურული, დედის მხრიდან. ჩხოროწყუდან, სოფელ ნაფიჩხოვოდან. 19



წლისა, ქალების გამო ინტრიგაში გაეხვია და გურიაში გაიქცა და დასახლდა. მიხა დარსალია გურულებმა სინაუქისა და ცნენოსნობისათვის წაიყვანეს ამერიკაში.

– არა, არა, ძალიან გგავს გარეგნულად, – სიხარულით დააექსპერტა ბატონმა გრიშამ.

– ეს არ არის, ბატონო გრიშა, ხმით, ქცევით, მანერებით სულ მიხააო, ჩემზე ამბობდნენ. 1937 წელს გადასახლებაში (ტაშკენტში) გარდაიცვალა.

– მეც არ მიკვირდა...

– ჰო მარა, თქვენც ხომ გურულების სიძე ხართ...

ბატონი გრიშას მეუღლეს, ქალბატონ რუსუდან დუდუჩავას კარგად იცნობდა ქართველი ინტელიგენცია, როგორც უსათნოეს ქალბატონს. იგი უცხო ენათა ინსტიტუტში ასწავლიდა ინგლისურ ენას. მათი ურთიერთსიყვარული, ცოლ-ქმრობა სამაგალითო იყო.

ბატონი გრიგოლი არის „ეროვნული და სოციალური ურთიერთობათა აკადემიის“ პრეზიდენტი დღიდან დაარსებისა, რომელიც მრავალ პროფესორსა და საზოგადო მოღვაწეს აერთიანებს. პატარა ორგანიზაციის კარგი პრეზიდენტი ჯობს, ვიდრე დიდი სახელმწიფოს შტერი პრეზიდენტი. ამიტომაცაა, ჩვენ გაცილებით უფრო ვამაყობთ ჩვენი პრეზიდენტით, რომელსაც გრიგოლ ჟვანია ჰქვია, ვიდრე ამაოდ დამამშვრალნი ამპარტავნობენ უვიცი, უგუნური პრეზიდენტებით.

საქართველოს საკმაოდ ბევრი კარგი სწავლული ისტორიკოსის ისტორიული სიმართლე ეთქვა – არ ვუღალატოთ ერეკლეს გზას, არ ვუღალატოთ ილია მართლის მართალ გზას. სიმართლე ისტორიკოსის პროფესიის საძირკველია.

– ძმაო, ვახტანგ!

– მე პოეტი არა ვარ, ლექსების წერა ჩემი ჰობია-მეთქი, რომ ვიტყვოდი, მიბრაზდებოდი-ხოლმე.

– ბიჭო, შენ თუ არა ხარ პოეტი, აბა სხვა ვინ არისო, – მეტყვოდი, – შენზე მეტად ვინა გრძნობს ერისა და ეპოქის სატკივარსო.

– მეფერებოდი და მამხნეებდი, თორემ მე რომ პოეტი არა ვარ, ჩემზე კარგად იცოდი...

– ასე ვეფერებოდი და ვამხნეებდი ერთმანეთს, რადგან გვიჭირდა, სუნთქვის საშუალებას არ გვაძლევდნენ, პრესა-ტელევიზია სათოფეზე არ გვეკარებოდა, კეთროვანებივით ეშინოდათ ჩვენი...

სიცოცხლეშივე გიძღვნიდი ლექსებს, მოთხრობებს, სტატიებს, სიკვდილის შემდეგ უფრო გავთამამდი და გავითამამდი. რამდენიმე ლექსი მართლა კარგი გამოძივდა. არ გაგეცინოს, მაგრამ გული მწყდება, რომ ამ ლექსებს შენ ვერ წაიკითხავ. შენზე უკეთესი მკითხველი და შემფასებელი არასოდეს მყოლია. არც მეყოლება, ვინაიდან ჩვენი ძმობის სიწმინდე უფრო მეტი იყო, ვახტანგ, ვიდრე სხვა დანარჩენი ამ ქვეყანაზე. დათა თუთაშხიას სიტყვები, საიდანაც ეს პერიფრაზი გავაკეთე, გიყვარდა და მოგწონდა, მოკლედ, ასე მოხდა – შენ წახვედი და მე აქედან ლექსებს გიძღვნი. არც შენ მომაკლებ იქიდან ყურადღებას, ჩემო ვახტანგ, სიკვდილმა რომ ვერ გავყვარა, იმის დასტურია ეს ყველაფერი. არ ვიცი, როდის იქნება, მაგრამ აუცილებლად შეგვხვდებით ერთმანეთს...

ეს ლექსი 9 ივნისს, საღამოს, დავწერე, მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახე, ჩემო ვახტანგ, 10 ივნისი კი აღარ გათენდა შენთვის. ლექსის ლირიკული გმირი, რა თქმა უნდა, მე ვარ, მაგრამ რაკი დამასწარი იმქვეყნად წასვლა, მას შენ მოგიძღვნი, როგორც უკანასკნელ საჩუქარს...

## უკანასკნელად!

მიახლოვდება საბედისწერო  
ჟამი, რომელიც ვეღარ მათვალბებ...  
დაემსგავსება ის კოცნა პირველს,  
უკანასკნელად როცა ვაკოცებ...

უკანასკნელად ავხედავ ზეცას,  
იქნება, ბედმა კვლავ გამიღიბოს...  
დადგება ჟამი, უკანასკნელად  
დავეწაფები კამკამა ღვინოს.

თუმცა, ვერ მივხვდები, ბოლო რომ არის,  
სადღეგრძელოსაც ვიტყვი ძველებურს,  
წავიღიღინებ რამეს – დარდიანს,  
რამეს – ნაცნობს და რამეს – ჩვენებურს.

უკანასკნელად დაგლოცავთ, ძმებო,  
ხოტბას შეგასხამთ მსუყე ფერებით,  
მაგრამ არ ვიცი, საბედნიეროდ,  
უკანასკნელად თუ გეფერებით...

ცუდი სიზმრისგან გამოვიღვიძებ  
და სიმწრის ოფლი, თუმცა მასკდება,  
წვერს გავიპარსავ, ღილებს შევიკრავ,  
კიბეს ჩავივლი უკანასკნელად.

ეკლესიაში შევალ, ვილოცებ,  
ლოცვა გამყვება სანთელ-საკმეველად,  
ნაცნობ მათხოვარს შევხედავ შურით,  
ხურდას გავუწვდი უკანასკნელად.



უკანასკნელად გამახსენდება,  
რაც გავიარე... თუ გამახსენდა,  
თვალს გადავაველებ წარსულს, შფოთიანს,  
მოვინანიებ უკანასკნელად...

უკანასკნელად, უკანასკნელად...  
და არაფერი განმეორდება.  
მორჩა, ჩაივლის წუთისოფელი,  
დამთავრებულა, თურმე ცხოვრება!

ვალერი კვარაცხელია



ვახტანგ გოგუაძე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პიროვნებაა, რომელთანაც, ბედნიერება მხვდა წილად, ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მქონოდა. ვახტანგმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის პრორექტორი იყო, და, ფაქტობრივად, სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდების ეროვნულ მოძრაობას უმთავრესი უმაღლესი სასწავლებლის კედლებში.

ვახტანგ გოგუაძემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის პროცესში. მაღალი ინტელექტუალური თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი იყო და ჩვენთვის, მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს და შემდგომში პარლამენტის წევრებისათვის, სრულიად ნათელი იყო მისი როგორც ერთ-ერთი ლიდერის როლი.

ახალი პარლამენტის პირველსავე სხდომაზე იგი ხმათა აბსოლუტური უმავრლესობით ავირჩიეთ პარლამენტის სპიკერად.

მაშინდელი პარლამენტი მართლაც რომ მრავალპარტიული იყო, ერთმანეთთან დაპირისპირებული და სხვადასხვა მრწამსის მქონე ადამიანებისაგან შედგებოდა და რაიმე საკითხების გადაწყვეტას რამდენიმე დღის უკომპრომისო ბრძოლა სჭირდებოდა. ამ რთულ პროცესს დიდი ოსტატობით უძღვებოდა ახალი სპიკერი. მისი ძირითადი იარაღი იყო: გონიერება, კეთილგანწყობა ყველას მიმართ და პრინციპულობა. იგი მზად იყო, კომპრომისული გზები ეძია ურთიერთობაში, მაგრამ სრულიად უკომპრომისო იყო, როდესაც საკითხი ეხებოდა ქვეყნის ბედს.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჩვენი ერთად ყოფნამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი, ვახტანგი ბრწყინვალედ უძღვებოდა შეხვედრებს ჩინეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებთან. ამ უზარმაზარ სახელმწიფოში იგი ღირსეულად წარმოადგენდა ჩვენს სამშობლოს.

ჩვენი მასპინძლები გაოცებული იყვნენ მისი ერუდიციით, ჩინეთის ისტორიისა და ჩინური ფილოსოფიის ღრმა ცოდნით. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, როდესაც დიდი ფილოსოფოსისა და მეცნიერის კონფუცის სახლ-მუზეუმში ვიყავით. ვახტანგმა ისეთი ღრმა და პროფესიონალური ცოდნა გამოიჩინა ჩინური ფილოსოფიის, რომ ჩვენი მასპინძლები გაოცებას ვერ მალავდნენ.

ძალიან ადრე წავიდა ჩვენგან ეს შესანიშნავი მოღვაწე და ადამიანი. მან უმოწყალოდ დახარჯა თავისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე ქვეყნის სამსახურში.

მე პირადად დაგკარგე ახლო მეგობარი და გამორჩეული ადამიანი, რომელმაც თავისი სიცოცხლე სამშობლოს სიყვარულს მიუძღვნა.

გიგა ლორთქიფანიძე



## ბატონი ვახტანგი

ბატონ ვახტანგ გოგუაძეს 1979 წლის აპრილის ამბების დროს დაეუახლოვდი. მაშინ უნივერსიტეტი ერთ მუშტად იყო შეკრული, რექტორატი, პროფესურა და სტუდენტობა. ვახტანგი ახალგაზრდების განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა და ეს არ გახლდათ შემთხვევითი. ის ძლიერ პიროვნებად ჩამოაყალიბა უნივერსიტეტმა, როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით. შემდგომში ის არაერთხელ იხსენებდა კ. ზაუტაშვილის ძალოსნობის კლუბს, თსუ სპორტდარბაზს, 1958-1963 წ.წ. ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. იცოდა უამრავი დეტალი უნივერსიტეტის ცხოვრებიდან და სხვებსაც უზიარებდა რომანტიკულ ისტორიებს. განსაკუთრებით უყვარდა შალვა ნუცუბიძის „სიტყვა-თქმათა“-ს მოყოლა. ამას დიდი ოსტატობით ახერხებდა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ხშირად გამიგონია მისგან, ჩემი სიმდიდრე ჩემი სამეგობრო წრე და ოჯახიაო. მის სამყაროსთან ზიარება, დაახლოება არ იყო ადვილი. მაცნებდა მისი ერუდიცია, განსწავლულობა, ანტიკური სამყაროს, ბიბლიის კარგი ცოდნა. ერთხელ საუბარში მითხრა: სახარების თანახმად არ არსებობს იმაზე მეტი სიხარული ვიდრე ის, რომ ჩემი ოჯახი, შვილები ჭეშმარიტების გზით დადიანო. ვკითხე, ხშირად მოგყავს ბიბლიური ამონარიდები და საიდან გაქვს ასეთი ცოდნა-მეთქი? სოფელში სკოლის გარდა სამწყესურშიც მიწევდა მორიგებით წასვლა და „ბიბლიის“ კითხვა მიმსუბუქებდა ყოფასო. მაშინ გავიგე, რომ მას საშუალო სკოლა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში ჰქონდა დამთავრებული. მას განსაკუთრებით უყვარდა თავისი მშობლიური

კუთხე, ხალხური და კლასიკური მუსიკა. მასთან ხანგრძლივი ურთიერთობის პროცესში არაერთხელ დავრწმუნდი, თუ რა დიდი ეროვნული სულისკვეთების მატარებელი გახლდათ ბატონი ვახტანგი. ამავე დროს პრინციპული და უკომპრომისო. ეს თვისება განსაკუთრებით წარმოჩინდა სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს 1985 წელს, რომელიც მწვავე პოლემიკის ვითარებაში მიმდინარეობდა. საბაზო განათლებით ფილოლოგმა შეძლო დამკვიდრება ფილოსოფიურ ელიტაში. მისი წიგნი „ერი გულადი, პურადი“ მაშინ უაღრესად პოპულარული, დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. თსუ, სადაც ვახტანგთან ერთად სწავლობდა და მოღვაწეობდა მთელი თაობა ნიჭიერი ახალგაზრდებისა რ. გორდეზიანი, ალ. ალექსიძე, ე. ხინთიბიძე, როინ მეტრეველი, რ. გაჩეჩილაძე, შოთა ბადრიძე, გ. მამულაია და სხვა, მაშინ ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი გახლდათ საბჭოთა კავშირში. მე მოწმე ვარ, თუ რა დიდი ღირსებით წარმოადგენდა ბატონი ვახტანგი მშობლიურ უნივერსიტეტს იენასა და ზაარბრუკენში. როგორ ზრუნავდა საერთაშორისო ქართველოლოგიური ჟურნალის „გეორგიკას“ კეთილდღეობაზე. არცერთი მისი საჯარო გამოსვლა არ ყოფილა ფორმალური და ზერელე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვახტანგი ჩამოყალიბდა, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ფილოსოფოსი. უნივერსიტეტი დიდ ასპარეზს უმზადებდა თავის ნიჭიერ შვილს.

XX ს. ოთხმოციან წლებში კიდევ უფრო დავახლოვდით, ხშირად ვხვდებოდით ჭირსა თუ ლხინში. ჩვენ თვალწინ იცვლებოდა ქვეყანა, საზოგადოება, უნივერსიტეტი. შესაცვლელი ჩანდა თსუ იდეოლოგიური მართვის კონსერვატორული სისტემა. ვგრძნობდით, ის მიუღებელი

ხდებოდა მოაზროვნე ახალგაზრდებისათვის. მასხენდება, თუ როგორ მოვიდა ჩემთან მაშინ თსუ პარტიული კომიტეტის მდივანთან, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ლელა მარგიანი. მან საკმაოდ კატეგორიულად მითხრა: უნივერსიტეტისთვის დიდი სირცხვილია, რომ თქვენი კაბინეტის წინ დიდი ასობით, რუსულად აწერია „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“ გარდა ამისა საეჭვო მხატვრული ღირებულებებისაა მარქსის, ენგელსის და ლენინის ფერწერული ტილოები. ასეთი რამე სოფლის კლუბებსაც კი აღარ ამშვენებსო. შევედი ვახტანგთან, მოადგილესთან იდეოლოგიის დარგში და შეშფოთებულმა მოუყევი მომხდარი ამბავი. ვახტანგი მაშინვე მიხვდა, მეტად სერიოზული პროცესების დასაწყისთან გვქონდა საქმე. ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე, გამოვიძახეთ ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების გამგე ნოდარ ბლიაძე და მივეცით დავალება – სასწრაფოდ ჩამოეხსნა პარტიული ლოზუნგები და ბელადების პორტრეტები. მოულოდნელად წავაწყდით წინააღმდეგობას. დაგვჭირდა სპეციალური ახსნა იმისა, თუ რისთვის ვაკეთებდით ამას. ვახტანგმა შემდეგ სიცილით მითხრა, რას წარმოვიდგენდი, რომ ნოდარი რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკე აღმოჩნდებოდაო. სამეურნეო ნაწილი დავამშვიდეთ, რომ სულ მალე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ესთეტიკურად დახვეწილი სააგიტაციო საშუალებებით დავამშვენებდით ფოიეს. ცოტა ხნის შემდეგ სლოვაკეთში, კერძოდ ბრატისლავის ი. კომენსკის სახელობის უნივერსიტეტში მომიწია ყოფნა და იქაური პარტიული კომიტეტის წინ ზუსტად ასეთი, ანალოგიური ლოზუნგები და სურათები დამხვდა. ჩამოვედი თუ არა მოუყევი ამის შესახებ ბატონ ვახტანგს, რომელიც უკვე თსუ პრორექ-



ტორი გახლდათ. ღიმილით მითხრა, საშვილიშვილო საქმეს დაგადგით თავიო. ლოზუნგები აღარავის მოუკითხავს...

პრორექტორის თანამდებობაზე ყოფნის დროს განსაკუთრებით გამოჩნდა მისი ორგანიზაციული ნიჭი და ერუდიცია, სიყვარული და ერთგულება უნივერსიტეტისა და მისი სტუდენტი ახალგაზრდობის მიმართ. ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. რეგულარულად ტარდებოდა ხალხმრავალი ლექტორიუმები, მუსიკალური საღამოები. განსაკუთრებით ზრუნავდა საუნივერსიტეტო სპორტის აღორძინებაზე, თსუ საგამომცემლო ბაზის გაძლიერებაზე.

ღირსეულად, ძალზე რთულ ვითარებაში, 1992 წელს ის დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს მდივნად. მან მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია, ძალა შეაღო ახალი საქართველოს კეთილდღეობას. ის ჭეშმარიტად დიდი კაცი, ღვთის მადლით შემკული უღალატო პიროვნება გახლდათ, რაც განსაკუთრებით წარმოჩინდა მისი პარლამენტის სპიკერობის დროს. ის ძალზე დაკავებული იყო, ბუნებრივია, უკვე იშვიათად ვხვდებოდით. ბოლო შეხვედრისას, ჩვეული მანერით მაგრად მომიჭირა ხელი და მითხრა: უნივერსიტეტში გატარებული წლები ჩემთვის ყველაზე ბედნიერია, რომელიც არასოდეს დამავიწყდებაო. აუცილებლად დავწერ და მოვიგონებ ჩვენი თანამშრომლობის პერიპეტეიებსო. „უნდა გამოგიტყდე, ჩემი სიახლოვე შენს მიმართ განაპირობა იმანაც, რომ სახლში სტუმრობისას კედელზე ღვთისმშობლის ხატი შევნიშნეო“. ის ხატი ისევე ძველ ადგილას ასვენია, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვყავს ძვირფასი ადამიანი – ვახტანგ გოგუაძე. ჩემთვის დღესაც საკრალურად ჟღერს მისი მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვები „დროა,

დავკვალიანდე!“ ჭეშმარიტად, სანთელ-საკმეველი თავის გზასა და კვალს არ კარგავს. სანთელივით კაცი გახლდათ თსუ პროფესორი ვახტანგ გოგუაძე და ასეთივე მემკვიდრეობა დაუტოვა თავის ერსა და ქვეყანას. დროა დავკვალიანდეთ.

გურამ ლორთქიფანიძე

ვახტანგ გოგუაძე იყო პიროვნება, რომელიც ეროვნულ საქმეს ხმაურის გარეშე აკეთებდა. ჩემთვის კარგად არის ცნობილი როგორ ფრთხილად ამზადებდა ის სტუდენტებს, პარტიული კომიტეტის მდივანის მოადგილედ ყოფნის დროს იმ მნიშვნელოვანი მოვლენისათვის, რომელიც 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის პრობლემას უკავშირდება. ის უხსნიდა სტუდენტებს, რას ნიშნავს სახელმწიფო ენა, რომ რუსული, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის მასშტაბით საერთაშორისო ენაა და მისი ცოდნა საჭიროა, მაგრამ საქართველოს ყველა მოქალაქემ აუცილებლად უნდა იცოდეს ქართული და ეს დაკანონებული უნდა იყოს საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციით. ის, თითქოს სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის თვალსაზრისით, მკრეხელურს არაფერს ამბობდა, მაგრამ იმ სტუდენტებს, რომელთაგან ზოგიერთთან მეც მქონდა ურთიერთობა, ყველაფერი კარგად ესმოდათ. მნიშვნელოვანია მისი როლი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების იმ აქტივობაში, რომელიც მაშინ მათ გამოაჩინეს.

ვახტანგ გოგუაძე უნივერსიტეტის პრორექტორი იყო, როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სახურავიდან ჩამოხსნეს საბჭოთა საქართველოს წითელი დროშა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა აღმართეს. ამ დღის მომზადებაშიც მან უხმაუროდ მიიღო საქმიანი მონაწილეობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთობლივი მუშაობის წლებში არაერთხელ მიმიმართავს მისთვის თხოვნით, დაეცვა უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის ინტერესები, რომლის დამოუკიდებელი კათედრის სახით



არსებობას უტევდნენ მოსკოვიდან სათანადო ინსტანციებში. აქაც იყვნენ ისეთები, ვინც თვლიდნენ, რომ ჩვენ ხომ ერთიანი სახელმწიფო, საბჭოთა კავშირი ვართ და როგორც საქართველოსა და სომხეთის გარდა სხვა რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში საკუთარი ისტორიის კათედრა ცალკე არ არსებობს და ის გაერთიანებულია სსრკ-ის ისტორიის კათედრასთან, ჩვენთანაც ასე უნდა იყოს. ჩვენ, მიუხედავად სიძნელებებისა, შევინარჩუნეთ კათედრის დამოუკიდებლად არსებობა და ამ საქმეში ვახტანგის წვლილიც არის. ქართული საზოგადოებისათვის, განათლებისა და მეცნიერებისათვის დიდი დანაკლისია ვახტანგ გოგუაძის ადრე წასვლა ამ ქვეყნებიდან. რასაკვირველია, ეს მისდამი არასამართლიანმა დამოკიდებულობამაც განსაზღვრა გარკვეულწილად.

მჯერა, რომ მისი როგორც ჭეშმარიტი მორწმუნის, ერისა და ქვეყნისთვის დამაშვრალი პიროვნების სული დღესაც დაჰყურებს ზემოდან საქართველოს.

მარიამ ლორთქიფანიძე

## კაცი გულადი, პურადი

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ, დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ, „მაკნე ტრადიციების და წეს-ჩვეულებების შესახებ“ კომუნისტური იდეოლოგიის მიერ გაჩაღებული კამპანიისთვის, რომელიც ჩვენი ქართული მამაპაპური ადამ-წესების უარყოფა-წაშლას ითვლისწინებდა, მეტად თამამი და იმ პირობებში თითქმის გამბრუნებელი ტოლფასი საქმე იტვირთა და ქართულ საზოგადოებას ეროვნული სულისკვეთებით გაუღენტოილი წიგნი მიუძღვნა, რომელიც ქართული ტრადიციული ყოფითი კულტურის ნიმუშებით იყო დაამშვენებული. სწორედაც რომ, ცეკას იმ ცნობილი დადგენილების საწინააღმდეგო-საპასუხოდ იყო გამოცემული. ამ შესანიშნავ „ალტერნატიულ“ ნაშრომს, წიგნს — პროტესტს, სათაურიც მრავლისმეტყველი შეურჩია ავტორმა: „ერი გულადი, პურადი“. სწორედ, ამიტომაც ამ გლოვის დღეებში, ჩვენი ძვირფასი მეგობრის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილს ეს სათაური შევურჩიე, რადგან თვითონაც ასეთი გახლდათ ბატონი ვახტანგი, ქართველი პატრიოტი, მისი საყვარელი სამშობლოსათვის გულადი და პურადი. ესე იგი, მამაცი, ეროვნული საქმისთვის, უნივერსიტეტისთვის, მისი ოჯახისთვის თავდადებული, პურადი, ესე იგი, მოყვრისთვის ლუკმის გამყოფი და დამპურებელი, ჭირსა თუ ლხინში მეგობრების გვერდში მდგომი...

ამ წერილს მეორე სათაურიც დაამშვენებდა: „კაცი გონიერი და ღონიერი“. მის მიერ შექმნილი ეს ფრთიანი, სატოვანი გამოთქმა, ჯერ უნივერსიტეტში, შემდეგ ყველგან დევიზ-ლოზუნგად იყო აღქმული, განსაკუთრებით, როცა თვით ბატონი ვახტანგი შესძახებდა, მოუწო-

დებდა, ვითომ ხუმრობით, სხარტად და ომახიანად, მუდამ იყავით გონიერი და ღონიერი, ღონიერი და გონიერიო! ასე მოძღვრავდა იგი სტუდენტ-ახალგზრობას უნივერსიტეტის აუდიტორიებში, შეკრებებზე სპორტულ დარბაზებსა თუ სტადიონებზეც. არადა, თვითონ იყო ასეთი, სულხან-საბასთან გონი და ღონე რომ ასოცირდება სიმხნევისა და ძლიერების ნიშნად... გონიერი – გონებიანი, გულისხმიერი ბრძანდებოდა ჩვენი ვახტანგი და მუდამ მხნედ, ცოცხლად სპორტულად გამოიყურებოდა 60-იანი წლების სტუდენტობიდან, ბოლო დღემდე... სხვაგვარად ვერ გაუძლებდა იმ უზარმაზარ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას, რომელიც თან ახლდა მთელ მის ცხოვრებას.

შუახნის კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, ენერგიითა და ოპტიმიზმით სავსე... არადა, რამდენი რამ მოასწრო – უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მოკლე ვადაში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, ხოლო შემდეგ ფილოლოგიის სპეციალისტი ფილოსოფიის დოქტორი გახდა (რაც დღემდე უნიკალური ფაქტია). მრავალმხრივ განათლებულ-განსწავლული პროფესორი სტუდენტებთან ისეთი უშუალო და კომუნიკაბელური იყო, ყველას გაგაოცებდათ, ლექციაზე პრობლემური და აქტუალური თემატიკის გადაცემის ბოლოს ისეთ ამბებს ჩართავდა, გადაღლილ სტუდენტებს უძალ გამოაცოცხლებდა. ისინიც აჰყვებოდნენ საყვარელ ლექტორს, გარეთ გამოაცილებდნენ და უნივერსიტეტის დერეფნის თეთრი კედლები კიდევ უფრო განათდებოდა, აივსებოდა ხალისიანი ჟრიაბულით... იქვე ბატონ ვახტანგს კოლეგებიც შეუერთდებოდნენ, მათ, მასთან შეხვედრის სიხარულის გარდა, ათეულობით შეკითხვა თუ თხოვნა ჰქონდათ, ამჯერად, როგორც პრორექტორთან,



და იგი, როგორც ყოველთვის, დაუღწეულად ამომწურავ პასუხს გასცემდა ყველას. მოეფერებოდა, იმედს მისცემდა და სიტყვასაც შეასრულებდა... დღემდე გამოუცნობი რჩება, თუ სად და როგორ ახერხებდა ეს მართლაც „გონიერი და ღონიერი კაცი“ ამდენს...

ჯერ მხოლოდ მისი მეცნიერული ინტერესების სფეროებს გადაავლეთ თვალი – ფილოსოფია, ფილოლოგია და რელიგიათმცოდნეობა, ხელოვნების, კულტუროლოგიის, ისტორიის, ეთნოლოგიის საკითხები... მან ათეულობით მონოგრაფია, ასეულობით სამეცნიერო სტატია დაწერა ამ დარგებში. აქვეყნებდა ღრმა ანალიტიკურ წერილებს პოლიტიკაზე, ეროვნულ იდეოლოგიაზე, რელიგიაზე, ეთნოფსიქოლოგიაზე... არაერთი ესსე თუ ნარკვევი შექმნა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებზე, მწერლებზე, მეცნიერებზე, მხატვრულ-პუბლიცისტური წერილები ცნობილ უცხოელ მოღვაწეებზე. და ყველაფერი ეს, არა მხოლოდ მშობლიურ, არამედ – რუსულ და გერმანულ ენებზე.

გასული საუკუნის 80-იანი წლების უნივერსიტეტი ეროვნული მოძრაობის დაწყების კერა და სამჭედლო... ვახტანგ გოგუაძე პრაქტიკულად უნივერსიტეტის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წარმმართველი, ლიდერი გახლდათ. თანაც არ დაგავიწყდეთ, იგი ამ დროს პრორექტორია, ესე იგი, სახელმწიფო მოხელეა, ათასი თვალი და ყური ტრიალებს მის გარშემო და იგი მაინც მთელი ენერგიით, შემართებით, ჭკუაგონებით, ადამიანებთან ურთიერთობების გასაოცარი უნარით, თამამი და მართალი სიტყვით, ნამდვილად „სახალხო დიპლომატიის დესპანია“... ვგონებ, სწორედ ამიტომაც არ გადაიზარდა მაშინდელი ეროვნული მოძრაობა უნივერსიტეტში არეულობა-ქაოსში (რაც, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა

ჩვენს მტრებს). სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ბატონი ვახტანგის ინიციატივით შექმნილ პრესკლუბში უნივერსიტეტის ღირსეული შვილები, ნამდვილი პატრიოტები, ჩვენი „გავროშის“ დათო ტურაშვილის მეთაურობით. ამ დროს, პრორექტორმა აქეთ ეს ცეცხლოვანი ყმაწვილები უნდა „დააკვალიანოს“ (მისი საყვარელი გამოთქმაა), იქეთ კი, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს – უნივერსიტეტელებს აკაკი ბაქრაძესა და ზვიად გამსახურდიას უნდა გამოუყოს, „გაუშანსოს“ (გესმით, ალბათ, რა დროა...) აუდიტორიები ლექციებისათვის... ლექციები, რომლებიც საფუძველს მოუმზადებს, სტიმულს მისცემს და იმედს ჩაუსახავს არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ ყველა ჭეშმარიტ ქართველს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, საერთოდ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ვახტანგ გოგუაძის, როგორც პარლამენტის სპიკერის დახასიათებას, არ შეეუდგები, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი მოღვაწეობის იმ პერიოდზე, ჩვენზე მეტად და კარგად, იმდროინდელმა მეგობრებმა, თანამოაზრეებმა და თანამშრომლებმა იციან, რომლებიც იმ მძიმე წლებში მასთან ერთად სწევდნენ შეჭირვებული სამშობლოს უღელს...

პარლამენტთან დაკავშირებით მხოლოდ ერთს დავძენთ: იგი უყვარდა ყველას და მას უყვარდა ყველა. ამ შემთხვევაში, ჩვენი საერთო მეგობრის სამეურნეო და ადმინისტრაციული დარგების ცნობილი სპეციალისტის ლევან დავლაძის სიტყვები მოვიშველიე, რომელიც იმჟამად პარლამენტში მუშაობდა და თვითმხილველი იყო ბატონი ვახტანგის უშუალოების, უანგარობის, სიხარულის, დარდისა და ცრემლის...

ვასტანგი იმ დაბაბული და დამღლევი, მძიმე სამუშაო შაო დღეების შემდეგ, არასოდეს ივიწყებდა ძველ მეგობრებს. იუმორით სავსე კაცს, განსაკუთრებით ლხინი უხდებოდა – სუფრის თამადა, ლექსი თუ სიმღერა, უფრო სწორედ, თავისებური წალიღინება... აურაცხელი ანეკდოტი თუ მახვილგონიერი სიტყვა... მისი მეგობრები ცნობილი მეცნიერები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, სახელოვანი სპორტსმენები და, უბრალოდ, კაი კაცები იყვნენ... საკმარისია, ვასტანგ გოგუაძის 2005 წელს გამოცემული უნიკალური წიგნის სოფნა „პანთეონი“ გადაიკითხოთ და მიხვდეთ, ვინ იყვნენ მისი უფროსი აწ გარდაცვლილი სახელგანთქმული მეგობრები... ცოცხლები? ჩვენ დავრჩით, რომ არასდროს დავივიწყოთ ძვირფასი მეგობარი... თითქოსდა, იწინასწარმეტყველა ვასტანგმა ჩვენი უღრმესი მწუხარება მისი გარდაცვალების გამო... შავ ყდაში ჩასმულ წიგნში (როგორც „პანთეონს“ ეკადრება) იგი წერს: „ვეკითხები ჩემს თავს და მკითხველს: ვის სჭირდება, მოგონება, მოფერება გარდასულ სულთა, ჩვენ თუ მათ? უწინარესად, ეს ჩვენ გვჭირდება. დროთა კავშირი თუ დაირღვა, ფესვებმოჭრილი მუხა აღარაა მუხა“, ჩვენი აზრით, ეს სიტყვები ამართლებს, ჩვენს დღევანდელ მიზანს – მცდელობას, რომ მკითხველს, მოსაგონებლად, ხოლო ჩვენ სამუდამოდ დავგვრჩეს სახელი მისი...

ბატონი ვასტანგ გოგუაძის სული მუდამ იტრიალებს მის საოცრად კეთილ, ლამაზ და გონიერ ოჯახში. მისი ერთგული მეუღლის, არა მხოლოდ მეუღლის, არამედ მესაიდუმლის, მეგობრის, თანამოაზრის, ჩვენი უნივერსიტეტელის, ქალბატონ ნანის, მისი უნიჭიერესი ვაჟის, ჭაბუკობაში პერსპექტიული სპორტსმენის, ამჟამად წარმატებული ბანკირის გიორგის, მისი უაღრესად დახვეწი-



ლი ქალიშვილის თამუნას (თამარის) სულში და გონებაში, აუცილებლად დარჩება ბაბუა ვახტანგი კოხტა და ლამაზი შვილიშვილების მეხსიერებაში.

„ყველა ერს ჰყავს თავისი გამოჩენილი და ღირსეული ადამიანები. მეც მხიბლავს ჩემი ერის, ჩემი ხალხის მრავალფეროვანი და ერთსულოვანი ბუნება, ერთსულოვნებაში არ ვგულისხმობ საზოგადოებრივ, სახალხო კოლექტიურობას. ამ ერთსულოვნების მეტაფიზიკური სახელია სიკეთე-სიყვარული, ღვთის სიყვარულის მარავანდი მოსავდეს ყველა მამულიშვილს, ჩვენ თანამემამულეთა ხსოვნას“ – წერს „პანთეონში“.

თითქოს, გულმა გივრძნო, ჩვენო ვახტანგ: შენი ეს სიტყვები შენვე გეკუთვნის, ღვთისა და ერის შვილო!

მისი თაობის უნივერსიტეტელი მეგობრებისა და ვეტერანი სპორტსმენების სახელით.

ოთარ მიმინოშვილი

## რაც ღაპიწყებით არ იზინდება

„უკვე შორიდან მიმზერს ახლო მე-  
გობრის ნაღვლიანი თვალები“

ვახტანგ გოგუაძე

ძნელი ამოცანის წინაშე დავდექი, დავწერო ვახტანგ გოგუაძეზე, როგორც წასულ კაცზე. როგორ წარმოვიდგენდი, მე მომიწევდა ამის შესრულება და არა პირიქით, ვახტანგს. უმაღლესი ჩამოქცევას ვიფიქრებდი, ვიდრე ვახტანგის სიკვდილს. მეგონა, ვახტანგი არა მარტო ინტელექტით იყო გამორჩეული, არამედ ჯანმრთელობითაც, ფიზიკური გაკაუებითაც; ამის დემონსტრირება მას ზომ ძლიერ უყვარდა — ხელს ენერგიულად ჩამოგართმევდა და ისე მოგიჭერდა, რომ თუ წინასწარ მზად არ დახვდებოდი, ტკივილისგან შეიძლება გეყვირა კიდეც...

მოგონებები ზღვას, მისი სახელითაა ავსებული თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება... ახლა მხოლოდ ზოგიერთ მხარეზე შეიძლება შევჩერდე, ალბათ სხვა დროს, სხვა ვითარებაში მთელი წიგნი დაიწერება მასზე მოგონებებისა.

ბედმა მარგუნა და დიდად ვუმაღლი კიდეც მას — ვახტანგთან ერთად, სტუდენტთა ქალაქში ერთ ოთახში, ერთ ჭერქვეშ მომიწია ცხოვრება სტუდენტობის ხუთივე წელი.

ახლა, როდესაც შორიდან ვუცქერი სტუდენტთა ქალაქში გატარებულ წლებს, ვერ ვიტყვი, ძალიან შევნატროდე იმ ტკბილ-მწარე დროს; სულ ილიას ლექსი მახსენდება — „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, კერძოდ მისი ადრეული ვარიანტი ასეთი ყოფითი ელემენტებით გაჯერებული: „გამხმარ პურსა ცივ წყალში უდრტვინველად ხშირად ვალბობთ, ჩარდახშია ცივსა ოთახს ჩვენის გუ-

ლის ორთქლით ვატობთ“. ძნელი იყო 5-6 ბიჭის ერთ-  
ოთახში ყოფნა, რომელსაც არავითარი სხვა სათავსი არ  
გააჩნდა. შეუძლებელი იყო 17-20 წლის ბიჭებს ან სი-  
სუფთავე, ან რაიმე წესრიგი დაგვეცვა. მაინც ძალიან  
მნიშვნელოვან დროდ დარჩა ეს წლები ჩვენთვის; თანაო-  
თახელების ბირთვი დაახლოებით ერთნაირი ბიჭური,  
მაგრამ მაღალი ინტერესებით, თავგამოჩენის წყურვილით  
სავსენი, ზნეობრივად გაურყვნელნი კარგად შევეწყეთ  
ერთმანეთს და ერთმანეთის საბოლოო ფორმირებაც გან-  
ვსაზღვრეთ მეტწილად. ჩვენი ოთახის საძმოს ყველა ან-  
გარიშს უწევდა და პატივს სცემდა სტუდენტულაქში. მომ-  
ხდარა, გვიან ღამით კორპუსში შეზარზოშებული, სიმღე-  
რით, ღრიანცელით შემოსული ბიჭები, ჩვენს ოთახს მო-  
ახლოებულნი, ჩუმიდებოდნენ და ისე ჩაივლიდნენ. რიდს,  
ცხადია, ჩვენი მუშტის შიში კი არ აპირობებდა, ამ  
მხრივ მაინდამაინც არ გამოვირჩეოდით, არამედ სხვანაი-  
რი დამოკიდებულება, სხვაგვარი პატივისცემა.

ჩვენი ოთახის ბინადართა უძრავლესობა მერე მეცნიე-  
რებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოვიდა და თავისი  
ნავალიც დაატყო ცხოვრებას, ჰუმანიტარულ მეცნიერე-  
ბებს; მაგრამ მე ახლა გამორჩევით ერთ არაორდინალურ  
კაცზე – ვახტანგ გოგუაძეზე უნდა ვისაუბრო. თავისი  
ხასიათითი, ფილოსოფიური ინტერესებით, ნიჭიერებით  
ვახტანგი იმთავითვე გამოირჩა ყველასაგან...

1958 წელს საშუალო სკოლა ორმა გამოსაშვებმა  
კლასმა დაამთავრა – მეთერთმეტემ და მეათემ. ბუნებრი-  
ვია, იყო დიდი კონკურსიც. ჩავირიცხეთ 75 აბიტურიენ-  
ტი, დამთავრებით კი 100-ზე მეტმა კაცმა დავამთავრეთ.  
შემოგვემატნენ სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულები;  
კურსის ერთგვარი გამორჩეულობის გამო – ბევრი დარ-  
ჩა უნივერსიტეტში, საკვლევ ინსტიტუტში. ვახტანგ გო-



გუაძე მერე ამბობდა, ჩვენს კურსს გამოშვება კი ჰქონდა, მაგრამ გაშვება არ ჰქონიაო.

I კურსი 3 ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველ ჯგუფში თავი მოიყარა ძირითადად ჩვენი ინტელიგენციის, მეცნიერების, ცნობილ ადამიანთა, უნივერსიტეტის თანამშრომელთა პარტიულ მუშაკთა შვილებმა, ძირითადად თბილისელებმა. ბუნებრივია, მათ თავი თავისუფლად, ლაღად და ამაყად ეჭირათ. ამ ჯგუფში აღმოჩნდა ვახტანგიც. იგი არ შეეპუა თანაკურსელთა მდგომარეობას და ერთგვარი ჟინით თვითდამკვიდრება დააპირა. თავიდან გაიღიმეს, გაიცინეს თანაჯგუფელებმა, ცოტა ქედმაღლურადაც შეხედეს მას, მაგრამ როცა დაინახეს, რომ ამ ლესელ ბიჭს, ვლასი გოგუაძის შვილს ძალი შესწევდა ქადილისა და არავის შეეპუებოდა, თანდათან დათმეს ის ადგილი, რომლისკენაც იგი მიიღტვოდა, სულ ძალე კი ყვეალფერი შეცვალა ამ ცოტა ახირებული, მაგრამ ძალიან ნიჭიერი, გულწრფელი კაცის პატივისცემამ და, ასე გასინჯეთ, სიყვარულმა.

ვახტანგმა დიდი ზემოქმედება მოახდინა მის ირგვლივ მყოფებზე და უშუალოდ ჩვენზე, მის მეგობრებზე.

გარკვეულწილად, ვახტანგსაც ვუმადლი იმას, რომ თანდათან სტუდენტობის პირველი წლიდანვე განვთავისუფლდი პროვინციიდან გამოყოლილი იდეოლოგიური შეზღუდულობისაგან, შემოსაზღვრულობისაგან; მან გარკვეული მწერლების, მეცნიერების მემკვიდრეობის მიმართ ჩემი დაინტერესებაც დააჩქარა. არაქართველ მწერალთაგან ვახტანგს დიდად უყვარდა გოეთე, შილერი, ფილოსოფოსთაგან ჰეგელი, კანტი.

ვახტანგმა დიდი როლი ითამაშა, რომ საგანგებოდ დაინტერესებულიყავი, ხოლო მერე დავახლოვებოდი დიდ ქართველ ლიტერატურათმცოდნეს გრიგოლ კიკნა-

ძეს, ხოლო საბოლოოდ მისი მოწაფე გავმხდარიყავი ვახტანგთან და იუზა ევგენიძესთან ერთად.

ვახტანგის ინტერესები ვერ თავსდებოდა ფილოლოგიის, ლიტერატურისმცოდნეობის საზღვრებში. იგი ფილოსოფიისაკენ მიილტვოდა. მიხეილ ზანდუკელის, გრიგოლ კიკნაძის ლექციებთან ერთად, ხარბად ისმენდა კოტე ბაქრაძის, სავლე წერეთლის, შალვა ნუცუბიძის, ანგია ბოჭორიშვილის ლექციებს. ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან ასე განსაზღვრა თავისი – მომავალი ესთეტიკის კათედრის ასპირანტი გახდა, აქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ვახტანგ გოგუაძე გამორჩევით ნიჭიერი კაცი იყო, მკვირცხლი გონების, ელვარე ტალანტი. ვახტანგის ნაწერები პირდაპირ დანალმულია ნათელი აზრებით, მიგნებებით; უაღრესად ლაკონური, სინათლით სავსე, ხატოვანი სტილი უფრო ამბავრებს ამ შეგრძნებას. ვახტანგის მკვირცხლი აზრები გონებას გიფხინზლებს, სითამამის მუხტს გადმოგცემს, შენც სააზროვნოდ განგაწყობს.

გამიჭირდება მისი მრავალმხრივი მემკვიდრეობის შეფასება, ახლა არც დგას ამის საჭიროება.

ჩვეულებრივ ფილოსოფოსები, ხელოვნებისმცოდნენი ზოგადთეორიული ჭეშმარიტებების გარშემო მსჯელობით იფარგლებოდნენ. მათი განსჯა ფილოსოფიურ აბსტრაქციებს არ სცილდებოდა და კონკრეტულ მასალასთან მისადაგება ძნელდებოდა; ვახტანგ გოგუაძე საკუთრივ ესთეტიკური პრობლემატიკის სფეროში იჭრება. მან მოგვცა იმის ბრწყინვალე მაგალითები, რომ ესთეტიკის მეცნიერება ზოგადისა და კონკრეტულის ერთიანობაში კვლევას. ამისათვის მას ყველაფერი უწყობდა ხელს, როგორც კონკრეტული მასალის ღრმა ცოდნა, – იგი ხომ ფილოსოფიაში ფილოლოგიიდან, ლიტერატურის

მცოდნეობიდან მოვიდა, – ისე სინთეზურ-ანალიტიკური, ანუ ფილოსოფიური კვლევის უნარი.

ვახტანგ გოგუაძის კვლევის ინტერესის საგანია როგორც ცალკე აღებული ადამიანი, ისე ერი, როგორც ესთეტიკური ფენომენი, ასეთი ინეტერსების შემთხვევაში სიძნელე ადამიანზე მსჯელობა როდია – ადამიანი ყოველთვის ბჭობდა ადამიანზე. მაგრამ, ჩვეულებრივ, მეცნიერება ადამიანს ნაწილ-ნაწილ შლიდა ბავშვის სათამაშოსავით, რომლის აწყობა მერე აღარ ხერხდებოდა. ფილოსოფიური ამოცანა კი ადამიანის არსის მთლიანობაში წვდომაა. სწორედ ამ თვალსაზრისით გამოირჩა ვახტანგ გოგუაძის ნაშრომები.

ვახტანგ გოგუაძეს ცხოვრებამ არც სუსხი მოაკლო და არც სითბო, იწვნია ყოველი, რაც მაოზროვნე, გამორჩეული ადამიანის ხვედრია.

ვახტანგი საკუთარ თავში იყო წასული, საკუთარ თავთან მართავდა დიალოგს ფილოსოფიის, ხელოვნების პრობლემებზე. მის ნაწერებსაც დაჰკრავს დიალოგის ელფერი. ამასთანავე, დიდი მჭევრმეტყველი ბრძანდებოდა ვახტანგი. როგორც ქართველ კაცს, უყვარდა ლხინი, სუფრის სული და გული იყო. ერთ სიამოვნებად ღირდა მისი თამაღობა. რა დამავიწყებს იმ საოცარ საღამოებს, მისი თამაღობით მეგობართა წრეში, მერე უკვე ჩვენს ოჯახებში. ხშირი იყო ისეთი სუფრები, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა ჰქონდა, დიდი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების მონაწილეობით. ასეთ ვითარებაში ხომ ამოუწურავი იყო მისი მჭევრმეტყველებითი არსენალი. ღვინოს ბევრს სვამდა, არ თვრებოდა, როგორც თვითონ ამბობდა, ღვინო ათბობდა და არ ათრობდა...



შედარებით გვიან აღმოვაჩინე, მხიარულებისა და უდარდულობის მიღმა დიდ ფიქრსა და სევდას ფარავდა. მისი ცხოვრების შედარებით გვიანი მონაკვეთი ერთგვარად ტრაგიკულ ელფერს ატარებდა... და კიდევ ერთი, ესეც გვიან გახდა ჩემთვის ცხადი. მას ერთგვარი წინათგრძნობა ჰქონდა მოახლოებული სიკვდილისა. ბევრს ფიქრობდა წასულ ახლობელ ადამიანებზე – მასწავლებლებზე, კოლეგებზე, მეგობრებზე რომელთა აჩრდილებს მამაკაცური სევდითა და თბილი ღიმილით მიეახლა თავის შესანიშნავ წიგნში „პანთეონი“.

როგორც ნამდვილ გურულს, პოლიტიკა იტაცებდა, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კი დიდ პოლიტიკურ ვნებათა ღელვაში გადაეშვა და, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, აქაც მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდა. გუმბარიძის ცეკას მდივნობის რთულ დროში ისიც ვთქვი, მეგობრებს ახსოვთ, რომ ახლა, ამ სიტუაციაში საქართველოს განსაცდელიდან გამოყვანა შეუძლია ერთადერთ კაცს – ვახტანგ გოგუაძეს-მეთქი.

დიდად აწუხებდა ქვეყნის მომავალი, აფიქრებდა, რომ თავისუფლება მომეტებულად გაგებული იქნა, არა როგორც თავისუფლება სულისა, არამედ როგორც თავისუფლება პირუტყვიანი ვნებებისა; როგორც გვესმის თავისუფლება, იმის მიხედვით მივხვდებით, თუ რანაირ საზოგადოებაში გვიხდება ცხოვრება, – ფიქრობს ვახტანგ გოგუაძე. მას მოსვენებას უკარგავდა თავს წამომდგარი გლობალიზაციის აჩრდილი, „ყოველი ერი ღვთაებრივი ინდივიდუალურობა უნდა იყოს და არა ნარეცხი წყალი მსოფლიო ოკეანისა, როცა ქართველს ქართველს ველარ მიაშგავსებ და ველარც გაარჩევ ვინმესგან“, – წერს იგი. ვ. გოგუაძის მოწოდება იყო, რომ გვეხსნა ჩვენი კულტურის ტრადიციები ველური ცივილიზაციისაგან,

მხოლოდ მაშინ ეღირებოდა ცხოვრება ამ ქვეყნად... კიდევ ბევრი, ბევრი საფიქრალი დატოვა მან; მის წიგნებთან ზიარება ყველას განაცდევინებს იმ საკითხთა სიმწვავეს და აქტუალობას, რაზე განსასჯელადაც იგი გვიწვევს.

...წავიდა ვახტანგი და დატოვა ჩვენს ირგვლივ დიდი სიცარიელე, ჩვენ კი ძალუმად გვაგრძნობინა Memento mori.

ლადო მინაშვილი



საქართველოს ისტორიის გზაგასაყარზე მოუწია ვახტანგს საქართველოს პარლამენტის სპიკერობა. იგი გამორჩეული იყო კოლეგების მიმართ ლოიალობით. სხვათა შორის, დემოკრატიის პირველი ელემენტები – კამათის შესაძლებლობა, სხვათა აზრის მიმართ პატივისცემა, პირველად სწორედ ვახტანგ გოგუაძემ დაამკვიდრა ჩვენს პარლამენტში. ვახტანგ გოგუაძე ძალიან დააკლდება საქართველოს...

რევაზ მიშველაძე





ვანტანგი ყველაფრის მომსწრე და ამტანი ვაჟკაცი იყო, არ გაჰკვირვებია არც ქვეყნის მეორე კაცობა და არც ჩრდილში დგომა, არც საზოგადოებისაგან დაფასება და არც ვიღაც-ვიღაცების უსამართლო ქილიკი. ყოველთვის შემართებული მომდიმარი და სიკეთის გასაცემად მზადმყოფი, დააბიჯებდა ქვეყნად. უდედოდ გაზრდილმა, დიდი ნიჭის და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობის წყალობით, მიაღწია ყველაფერს. ბავშვივით უხაროდა ჩვენი სამეგობროს წარმატებები და სხვის სიკეთეს თავისად მიიჩნევდა. მეგობრის გვერდში დგომა არაჩვეულებრივი იცოდა, საოცრად განიცდიდა, როცა ახლობელს ვერაფრით ეხმარებოდა.

ვანტანგმა საოცარი გაბრაზება იცოდა, თვალწინ მიდგას განაწყენებული, დაწვებაბერილი და კოპებშეკრული. ჩვეულებრივ სიტყვაძრავალი, სწორედ მაშინ ღუმდა და აღშფოთებას სიჩუმით გამოხატავდა.

ოთხი ათეული წლის განმავლობაში იმდენი მოსაგონარი დამიგროვდა, ერთ წერილში ვერაფრით დაეტევა, თან ძალზე მიჭირს სიცოცხლით სავსე, ჯანმავარი, მაღალგონიერი და, რაც მთავარია, ქართველი ერისკაცის წარსულში მოხსენიება... მიჭირს და რა ვქნა?!

მიშა მცურავიშვილი

## პასტანგ გოგუაძე

ამ ქვეყნად ცხოვრობდნენ, დადიოდნენ, საშვილიშვილო საქმეებს აკეთებდნენ ადამიანები, რომელთა დავიწყება წარმოუდგენელია. ერთ-ერთი მათგანი უთუოდ არის ბატონი ვახტანგ გოგუაძე, ადამიანი, რომელიც გაცნობისთანავე უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებდა, დიდ სიბოს გადმოსცემდა...

ქვეყნის პატრიოტი, ზნეობით აღსავსე და პატიოსანი, ინტელექტით სავსე, თავმდაბალი, არაჩვეულებრივად სადა და კოჭუნიკაბელური, გაჭირვებაში ყველას ხელის გამმართავი. აი, ასეთია მოკლედ, რამდენიმე შტრიხით ჩემი თვალით დანახული ვახტანგ გოგუაძის პორტრეტი.

ჩემი თაობის ამ შესანიშნავ წარმომადგენელს საკმაოდ რთული და შინაარსიანი ცხოვრების გზა ჰქონდა, ჩვენი დედაუნივერსიტეტის ერთ-ერთი დიდი იდეოლოგი და დღაწლმოსილი მოღვაწე ბრძანდებოდა.

ერთ პერიოდში ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე იყო. ამ პოსტზე მუშაობისას იგი გამოირჩეოდა პირდაპირობით, პუნქტუალობით, მუდამდღე თავისი სამშობლოს სადარაჯოზე იღვა და როგორც რიგითი ჯარისკაცი, მისთვის რუდუნებით იღვწოდა.

ბატონი ვახტანგი ნიჭიერი მწერალი და პოეტიც ბრძანდებოდა. მის ყველა ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული.

მე, როგორც მისი მეგობარი, აღფრთოვანებული ვიყავი ბატონი ვახტანგის საოცარი კაცობით, ვაჟკაცობით. მე, ისე როგორც უამრავი მისი ახლობელი, დავალებული ვარ ამ კაცისგან სწორედ თავისი კაცობისა და მეგობრის მხარში დგომის, მოყვრის უსაზღვრო სიყვარულის გამო.

გურამ საღარაძე

## მრის კაცი

ბედნიერებაა, როცა პიროვნების დახასიათებისთვის საძებარი არ გაქვს საქებარი სიტყვები. ბატონი ვახტანგ გოგუაძე იყო უაღრესად ნიჭიერი, განათლებული, პატრიოტი, არაჩვეულებრივი ოჯახის პატრონი. ბატონი ვახტანგის და ქალბატონი ნანას ოჯახი სამაგალითოა, მათი შვილები, გიორგი და თამარი თავისი განათლებით, წესიერებითა და მოყვასის სიყვარულით ნამდვილად ამართლებენ დიდი მშობლების შვილობს. ბატონი ვახტანგ გოგუაძის დახასიათებისათვის არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ იყო, ყველა თავის დიდ თვისებებთან ერთად, ავ-კარგიანი და პურ-მარილიანი კაცი. მის ერთ-ერთ წიგნს სათაურიც კი ასეთი აქვს: „ერი გულადი, პურადი“. მე დარწმუნებული ვარ, ოჯახში კარგი სადღილი რომ ჰქონდათ, მარტო არ მიირთმევდნენ, სულ სტუმრის მოლოდინში იყვნენ და ასეა დღესაც. გიორგი და თამუნა აგრძელებენ დიდი მამის ტრადიციებს. ისინი არიან ნიჭიერები, განათლებულები, ავ-კარგიანები და პურ-მარილიანები.

ბატონ ვახტანგთან საუბრის დროს ყოველთვის განცვიფრებული ვიყავი მისი მრავალმხრივი განათლებით. ყველა საკითხზე შეეძლო ესაუბრა, თუ რჩევას ჰკითხავდით, ძალიან დელიკატურად გაგარკვევდათ იმაში, რაც გაინტერესებდათ და სწორ გზაზე დაგაყენებდათ. მისი კიდევ ერთი არაჩვეულებრივი თვისება იყო – საქმის მშვიდობიანად მოგვარება. მახსოვს, ბატონი ვახტანგის სპიკერობის დროს, ხშირად პარლამენტარები თავის აზრს ცხარე კამათში გამოთქვამდნენ (ფიქრობდნენ, რომ ასე უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა მათი გამოსვლა). ბატონი ვახტანგი დინჯად უსმენდა ხოლმე და შემდეგ



ხვეწნაშერეული ტონით მიმართავდა: „ნუ გაიბრაზებთ თავს, დაწყნარდით“. ამ ფრაზას ისე ამბობდა, რომ მის გარდა არავის მოუხდებოდა ამის თქმა და არავისგან არ მიიღებდნენ გაბრაზებული პარლამენტარები კომენტარსა თუ შენიშვნას. არ შეიძლება, არ გავიხსენო ბატონი ვახტანგის წიგნი „პანთეონი“ და თუ როგორი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს დიდ პიროვნებებს, როგორი დიდი სიფაქიზითა და სიყვარულით აღწერს მათ ცხოვრებისეულ ნიუანსებს, მათ თავდადებას, ერის კაცობას და ბევრჯერ სრულიად უხმაუროდ დიდი საქმეების კეთებას.

ბატონ ვახტანგს ჰქონდა წერის ისეთი მანერა, რომ ასე იფიქრებდით, თითქოს თქვენც იცნობდით ამ პიროვნებას, თქვენც მონაწილეობდით მასთან ერთად მის ნაამბობში და ყველაფერი ძალიან ნაცნობი ხდებოდა. მოგეხსენებათ, მრავალმხრივი განათლება ჰქონდა. მუსიკოსი არ იყო, მაგრამ მუსიკაზე ისე შეეძლო ესაუბრა, გეგონებოდა, სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა მუსიკათმცოდნეობაში. მუსიკოსების ისეთ ცხოვრებისეულ, ავტობიოგრაფიულ მომენტებს გაიხსენებდა და თან ისე დაასაბუთებდა, რომ უკეთესს ვერ ინატრებდით.

მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ბატონ ვახტანგს უყვარდა ჩემი სიმღერები, მღეროდა ძალიან კარგად. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მეგობრად ვთვლი ბატონი ვახტანგის ოჯახს.

მაცაცო სებისკვერაძე

## ამ ქვეყნისა და მისი კულტურისადმი ყაღრიით

ვახტანგ გოგუაძე იყო მხარდამჭერი და ხშირად თავ-  
კაციც ბევრი კარგი საქმისა, რომლებიც უნივერსიტეტში  
ხორციელდებოდა.

ბევრი ჩვენგანი დაგვაახლოვა და დაგვამეგობრა კიდეც  
ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა, რომელიც დააფუძნა დიდმა  
მეცნიერმა გრიგოლ კიკნაძემ. აქაურ სიკეთეში მონაწი-  
ლეობდნენ სახელოვანი მეცნიერები, იყო ახალგაზრდო-  
ბაც. აქ თანამშრომლობდა ვახტანგ გოგუაძეც. ბ-ნი გრი-  
გოლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისდამი მიძ-  
ღვნილი მშვენიერი კრებული მისივე მოწაფეთა მიერ  
(ჯუშბერ ჭუმბურიძე, ლალო მინაშვილი, იუზა ევგენიძე  
და სხვანი). მათ გვერდში ედგა ვახტანგ გოგუაძე.

უნივერსიტეტში დაარსდა ხელოვნებისა და ჰუმანიტა-  
რულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აქ მოღვაწეობდა ბევ-  
რი ღირსეული ადამიანი და ხელმძღვანელებიც გამორჩე-  
ული პიროვნებანი იყვნენ; მათ შორის ერთხანს აქაურო-  
ბის თავკაცი იყო ვახტანგ გოგუაძე. მეც პატივი მერგო,  
ლექციების კურსი წამეკითხა აქ, როცა აქაურობას  
ხელმძღვანელობდა ბეგო ბეჟუაშვილი, ყოვლად განათ-  
ლებული და წიგნიერი კაცი, რომელსაც სხვა ღირსებას-  
თან ერთად ამშვენებს, ვიტყოდით ასე — „ხიბლი არაპო-  
პულარობისა“, სიწყნარე და უბრალოება. მასაც მხარში  
ედგა ვახტანგ გოგუაძე, მაშინაც კი, როცა მისნაირი მა-  
ღალი თანამდებობის მქონენი „ვერ იცლიდნენ“ უნივერ-  
სიტეტისათვის.

1983 წელს, ვახტანგის თაოსნობით, უნივერსიტეტმა  
გამოსცა კარგი კრებული — „ა. ფ. ლოსევს — დაბადე-  
ბის 90-ე წლისთავისადმი“ (რუსულად). სხვა ასეთი

კრებული სხვაგან არც კი გამოუციათ. დიდმა მეცნიერმა ღირსეული ღვაწლი დასდო ქართველ მეცნიერებს, რუსთაველს, იოანე პეტრიწს და, საერთოდ, ქართულ კულტურას. კრებულში მონაწილეობდნენ ძირითადად ქართველი მეცნიერები და ეს იყო ჩვენგან გამოსატული მაღლიერება დიდი მეცნიერის მიმართ.

ვახტანგ გოგუაძემ კარგი წიგნები დაწერა, თუნდაც – „ერი გულადი, პურადი“, ან – სადოქტორო დისერტაცია ადამიანის ესთეტიკური ფენომენის შესახებ და სხვანი,

კიდევ არაერთი რამაა სათქმელი, მაგრამ ზემოთქმულიდანაც ჩანს ვახტანგ გოგუაძისძიერი ყადრი სამშობლოსა და მისი კულტურისადმი.

რევაზ სირაძე



## ზეციური საქართველოს მარადიული რავინდი და გუშაგი

ბატონი ვახტანგ გოგუაძის გარდაცვალების გამო

ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ ბატონი ვახტანგი ჩვენთან აღარ არის. არც ერთ ჩვენგანს არასოდეს უგრძნია მისი სიჭარბაგე, ის, რომ ბატონი ვახტანგი ჩვენზე ასაკოვანი იყო. ბიჭური, კაცური სიხალისით, სიმსუბუქით და ამავე დროს, ნაღდი ქართული სიღარბაისლით გვზიბლავდა ყოველთვის. ძნელია, დაიჯერო, რომ გულმა უმტყუნა, რამეთუ იგი ჯანსაღი ცხოვრების წესით გამოირჩეოდა ყოველთვის და ჩვენთვისაც მუდამდღე სამაგალითო იყო. არასოდეს გახვევდა თავს აზრებსა და შეხედულებებს და როცა კაცობრიული ცოდნის უსიერ წიაღში შეჰყავდი, მართლაც გჯეროდა, რომ ადამიანია უმაღლესი ესთეტიკური ფენომენი, ხოლო ქართველობა — დიდი ბედნიერება და ცხოვრების ბოლომდე გასაწევი ჭაპანი. იგი გვასწავლიდა თავისი ცხოვრების წესით და თავისი მონოგრაფიებით, თუ როგორ უნდა დაიხარჯო სამშობლოსა და მშობელი ხალხის სამსახურში, რომელსაც მან უწოდა „ერი გულადი, პურადი“, როგორც იმ დიდმა ქართველმა ხალხურმა მოღეჭემ, ასე რომ დაანათლა მის სათაყვანებელ საქართველოს.

იბრძოლა, იშრომა და დაიხარჯა, თავისი დიდებული ოჯახის, შვილების, შვილიშვილებისა და მეგობრების საკეთილდღეოდ. ყველას, ვინც ვიცნობდით, უსაშველოდ დაგვწყდა გული. აწი ჩვენ ვიომებთ, ჩვენ დაუღებებით დარაჯად საქართველოს, ჩვენ ვიკამათებთ სხვა ქართველებთანაც და უცხოთთანაც, მტერთანაც და მოყვარესთანაც, რამეთუ ისინი ყველანი უნდა გვიყვარდეს, როგორც

მოყვასი, როგორც ბატონი ვახტანგი გვასწავლიდა, ჩვენი მოძღვარი და მასწავლებელი, უფროსი ძმა და მეგობარი. ჩვენც მასავით დაურიდებლად ვამხელთ უკეთურებას, ქვეყნის ღალატს, ვიკამათებთ „ძე შეცთომილებთან“, ვიშრომებთ და დავინარჯებით, როგორც ამას ბატონი ვახტანგ გოგუაძე აკეთებდა.

კეთილი იყოს მისი გზა ზეციური საქართველოსკენ, სადაც გვწამს და გვჯერა, რომ იგი იქნება ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ღირსეული მფარველი და მარადიული გუშაგი.

უმცროსი მეგობრები



ვახტანგ გოგუაძე, როცა ახალგაზრდა მეცნიერი იყო, აბიტურიენტებს ამზადებდა, მაგრამ ძალიან უჭირდა მათგან ჰონორარის მიღების პროცესი. ამიტომ, ეს საქმე მე, მის ახალგაზრდა სტუდენტს მომანდო და ხუთი წლის განმავლობაში მარჩენდა კიდევ. 1968 წელს ძალიან მკაცრი ზამთარი იყო. ფალიაშვილის ქუჩა, სადაც ცხოვრობდა, გადაიკეტა და მთელი ზამთარი თოვლებურთს ეთამამობდით.

ვახტანგის სახით საქართველომ მოისაკლისა ერის სულიერების ერთი წყაროთაგანი, ვახტანგი გაზაფხული იყო, ჩვენ მის ზათარს მოვესწარიტ...

გერმანე ფაცაცია



## ვანტანბ გოგუაძე

ბატონ ვანტანგს უნივერსიტეტიდან ვიცნობდი, მაშინ მე უნივერსიტეტის ხშირი სტუმარი ვიყავი (ლექციები, მოხსენებები, საქმიანი და მეგობრული შეხვედრები მქონდა). ბატონი ვანტანგი ამ ღონისძიებების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი გახლდათ.

იმ დროისათვის ბევრფუნდამენტურ პრობლემაზე ერთნაირი შეხედულებები გვქონდა.

ამიტომ სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ მე მას 1992 წელს პარლამენტის სპიკერობა შევთავაზე.

ვანტანგი დაჯილდოებული იყო ურთიერთობების საოცარი ნიჭით და ეს ეხებოდა, როგორც ჩვენს თანამოაზრეებს, ასევე – ჩვენს ოპონენტებს. ძნელად თუ ვინმეს მის მიმართ აუცი წამოსცდებოდა.

განსაკუთრებით ვაფასებდი მის შეხედულებებს ქართულ კულტურაზე, როგორც განსაკუთრებულ ფენომენზე. სწორედ ჩვენი დიალოგების შემდეგ დაიბადა უნიკალური ფრაზა: „გადავარჩინოთ ქართული კულტურა და კულტურა გადაარჩენს ერს.“

ვიცი, განზრახული ჰქონდა ჩვენს ურთიერთობასთან დაკავშირებით სპეციალური მოგონებების გამოშვება, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი აღრე წავიდა ამქვეყნიდან. ბატონი ვანტანგის ეს წიგნი დიდი საჩუქარია ქართველი ხალხისათვის, მე შეამაყება, რომ ჩვენ მეგობრები ვიყავით.

ედუარდ შევარდნაძე

## მადლით გაგაგრეპული

ვახტანგ გოგუაძესთან ახლო ურთიერთობა მქონდა მთელი ცხოვრების მანძილზე. ვახტანგი უდასვეწილესი კაცი გახლდათ ოჯახშიც, საძმომიც, უნივერსიტეტშიც და პარლამენტშიც. ვერ იტანდა ცრუსა და ურწმუნოს, „აი, ეგენი არიან მწვალებლებიო“, – ამბობდა. უყვარდა სიმღერა და სუფრის გარეშეც მარად ღლინებდა თავისთვის. ფასი იცოდა ქართული სუფრისა და რაღა თქმა უნდა – ფასი წინაპართა.

მე ხშირად ვეუბნებოდი ხოლმე – ჩემო ვახტანგ, ჩვენ, იცი, რატომ ვძმობთ ერთმანეთს? იმიტომ, რომ დროის ფასი ვიცით, იმიტომ რომ ჩვენ სამ დროში ვცხოვრობთ, ჩვენ ერთნაირად ვიცით ფასი წარსულისა, ფასი აწმყოსი და რაღა თქმა უნდა ფასი მომავლისა. გაიხარა, როცა სამ დროზე ველაპარაკე. კარგა ხნის მანძილზე შემხვდებოდა თუ არა, „სამი სამიო“ შემიძახებდა ხოლმე. ერთ საოცარ ამბავს გავიხსენებ: რუსთაველზე ვახტანგი შემხვდა, ერთმანეთს მოვეფერეთ, შემდეგ მე ლუდის დაღევა შევთავაზე და დამთანხმდა. იქვე შევედით „ლუდხანაში“, დავსხედით და სანამ სუფრას გაგვიწყობდნენ, ჩაფიქრებულმა მითხრა – „ჯანსუღ, შენ სახარებაში ჩახედული კაცი ხარ და გაიხსენე, ახალი აღთქმა გაიხსენე – „ჩრევა მორწმუნეებს“, იქ ერთი რამ სწორედ დღევანდელი დღის გამო წერია, დიახ, მე ასე გავიგე – გაიხსენეთ, პატიმარნი, თითქოს თქვენც მათთან ერთად ყოფილიყოთ შებორკილნი და ტანჯულნი“, მერე, დააყოლა – „ჩემო ჯანსუღ, ეს ჭეშმარიტება რომ მავანსა და მავანს წაკითხული ჰქონდეს, ჩვენი მართალიცა და დამნაშავე პატიმრებიც ასეთ საშინელ პირობებში არ იქნებოდნენო“. ყველაზე ფიქრობდა ვახტანგი,

შინაურზეც და გარეულზეც, უცნობზეც და ახლობელ-  
ზეც. ვახტანგ გოგუაძე მაღლით გამაგრებული პიროვნება  
იყო და არის.

ჯანსუღ ჩარკვიანი





ვახტანგ გოგუაძე იყო ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი, ამიტომაც ლაპარაკობდა იგი რუსეთთან მეგობრობის აუცილებლობაზე. ვახტანგი დიდად განსწავლული და ერუდირებული პიროვნება იყო, მან შესანიშნავად იცოდა ქართული კულტურის ისტორია. თუ რომელიმე საკითხში რჩევას სთხოვდი, ძალიან საგულისხმო აზრებს გეტყოდა. ასე იყო ჩემი ბოლო ფილმის ნახვის შემდეგაც, რომელიც შავადდამონტაჟებული ვაჩვენე და ვთხოვე, აზრი გამოეთქვა. კინო არ იყო მისი სპეციალობა, მაგრამ ბევრ სპეციალისტს რომ შეშურდება, ისეთი მოსაზრებები გამოთქვა. დასაწინაა, რომ ეს უნიჭიერესი კაცი ასე უღროლად გამოგვეცალა ხელიდან.

რეზო ჩხეიძე



მახსოვს, ვახტანგმა დამირეკა, მისდამი მიძღვნილი ჩემი ლექსი წაეკითხა. ტელეფონი ლამის გადაიწვა, იმდენი ვისაუბრეთ აპოლოგიაზე, როგორც ჟანრზე და ქართულ სუფრასა და სადღეგრძელოზე – ამ მართლაც უცნაურ და დღემდე სახელდაურქმეველ ფენომენზე. პანთეონზე წიგნი უნდა დავწერო – პანთეონიც, აპოლოგიის მსგავსად, ღვაწლის დაფასების გზად და საშუალებად მიაჩნდა. მაშინ მე ვახტანგს ნიჭიერი ფშაველი კაცის ორი სტრიქონი გავახსენე, ვაჟას რომ ეძღვნება:

საცა შენ დაიმარხები,

ყველგან მთაწმინდა იქნება!

კი, მშვენიერი! – ვახტანგმა – მაგრამ ერთი ნაკლი ნამდვილად აქვსო! – ხომ შეიძლება მკითხველმა იფიქროს, თითქოს სულ ერთია, სად დაიკრძალება ხეოპსი ან ტუტანჰამონი, ინდოეთის დედოფალი ან საფრანგეთის იმპერატორი, ტოლსტოი ან ილია, ვაჟა ან ნიკო ლორთქიფანიძე...

ვახტანგის „პანთეონი“ მიდევს ახლა აგერ და ძველ ფიქრს ვაგრძელებ. თუმცა ახლაც ისევ მომწონს ის სტრიქონები, ვახტანგს უფრო ვემხრობი. მეტიც – ყოველთვის, როცა დიდუბის პანთეონში მოვხვდები, თვალში – რამდენიმე სახელოვანი მოღვაწის საფლავთან ერთად – ვახტანგ გოგუაძის საფლავიც მაკლია...

ტარიელ ჭანტურია

## ნათელში იყოს შენი სული, ჩემო კვირფასო ვახტანგ

ვახტანგ გოგუაძის წიგნი „პანთეონი“ 2005 წელს გამოიცა. ბატონმა ვახტანგმა მაჩუქა ეს წიგნი შემდეგი წარწერით: „თემურ ხუროძეს, ამ წიგნის ცოცხალ გმირს, მომავალ „პანთეონში“ დაგხვდება მხოლოდ 100 წლის შემდეგ, ძმურად ვახტანგ გოგუაძე“. რაოდენ დასანანია, რომ ვახტანგს ასე ნაადრევად მოუწია ღირსეულ კაცთა იმ „პანთეონში“, სამუდამო სასუფეველში გადასახლება და დღეს, როდესაც მისი წიგნის ხელახალი გამოცემა განხორციელდა, ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე მას ვიხსენებთ. გასახსენებელი კი ნამდვილად ბევრი მაქვს. ჯერ როგორც სტუდენტს, ხოლო შემდეგ როგორც კოლეგასა და მეგობარს. ბატონი ვახტანგი უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე კითხულობდა სალექციო კურსს „ესთეტიკაში“. ჩვენთვის, ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლებისთვის, მომავალი მათემატიკოსებისათვის, განათლების თვალსაწიერის გაფართოების თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესო იყო მისი ლექციები.

გასული საუკუნის 80-იანი წლები, როგორც მთელს ქვეყანაში, ასევე უნივერსიტეტში დატვირთული იყო მრავალმხრივ საინტერესო, უაღრესად დინამიური, ზოგჯერ დრამატული მოვლენებითაც კი. ამ დროს დაიწყო ეროვნული მოძრაობის არნახული გააქტიურება. უნივერსიტეტი კი, როგორც ქვეყნის საერო ტაძარი, განსაკუთრებით მგრძნობიარე გახლდათ ერის ყოველი სატკივარის მიმართ. ხშირად უნივერსიტეტის პოზიცია, მის აუდიტორიებში წარმოშობილი აზრი, განსაზღვრავდა მოვლენების განვითარებას. სწორედ ამ პერიოდში გვარგუნა



ბედმა ბატონ ვახტანგსა და მე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ცენტრში ვყოფილიყავით. თითოეული ჩვენგანი, შეძლებისდაგვარად, არ ვიშურებდით ძალისხმევას ამ პროცესების გონივრულად, გააზრებულად, ნორმალურ არხში განვითარებისათვის.

ბატონ ვახტანგთან დაკავშირებული რამდენიმე საინტერესო ფაქტი მინდა მოვიგონო. სადოქტორო დისერტაცია ვ. გოგუაძემ 1984 წლის მაისში დაიცვა. დისერტაციის დაცვის პროცესი, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო გახლდათ. იგი თითქმის 10 საათი გაგრძელდა. იმავე დღეს მალღვივ კორპუსში ასევე სადოქტორო დისერტაციას იცავდა ბრწყინვალე მეცნიერი, მათემატიკოსი, აწ გარდაცვლილი ლაზო ზამბახიძე. დისერტაცია, ჩვეულებისამებრ, დაახლოებით ორსაათნახევარში დასრულდა. ჩემს გაცემას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დავბრუნდი უნივერსიტეტის მეორე კორპუსში და ფიზიკის დიდ აუდიტორიაში კათედრასთან ისევ ვახტანგი იდგა და კითხვებს პასუხობდა, მათ შორის ბევრ უცნაურ და უსაფუძვლო კითხვასაც. ერთმა არაოფიციალურმა ოპონენტმა ისიც კი თქვა, რომ როგორ შეიძლება მეცნიერების დოქტორის ხარისხის მინიჭება ვახტანგ გოგუაძისათვის, მას ხომ ღმერთი სწამსო. დისერტაციამ შესანიშნავად ჩაიარა. კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ვახტანგ გოგუაძის, როგორც მეცნიერისა და პიროვნების სიმადლე, ფართო მსოფლმხედველობა. ის რომ ვახტანგი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი გახლდათ, მან შედგომში თავისი ცხოვრებით მართლაც არაერთხელ დაადასტურა.

გავიხსენებ კიდევ ერთ ეპიზოდს. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, რომელიც თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემა, ბატონი ვახტანგის თაოსნობით, 1988 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა საახალწლო მილოცვა შემდეგი სათაურით „გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს“. დღევანდელი გადმოსახედიდან ეს თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მაშინ ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო, ვინაიდან რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა ათეული წლების განმავლობაში კატეგორიულად იყო აკრძალული. ეს მაშინ საკმაოდ თამამი ნაბიჯი ვახლდათ.

ჩვენი ურთიერთობის გარკვეულ მომენტებს თვითონ ვახტანგი მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილ წერილში იხსენებს. აქ, შეიძლება ითქვას, უფრო კარგად, მისთვის ჩვეული ლამაზი იუმორით არის დანახული ჩვენ შორის არსებული მრავალმხრივი ურთიერთობა, ის ურთიერთობა, რომელიც მე ძალიან მაკლია ვახტანგის ასე ნაადრევად წასვლის გამო.

ნათელში იყოს შენი სული, ჩემო ძვირფასო ვახტანგ.

თეიმურაზ ხუროძე

## ზღაპრული პიროვნული თვისებებით ნაქსოვი თვითმყოფადობა

ბატონი ვახტანგის მრავალმხრივი ნიჭიერება, კეთილ-შობილება, კაცთმოყვარეობა, მიმტევებლობა, ქველმოქმედების უნარი და ყველაფერი ამის ფონზე რაც პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია, სიმართლის პირში თქმა გახლდათ ის ფენომენი, რომელიც ღმერთმა დაანათლა მას.

ვერავითარმა თანამდებობრივმა იერარქიულმა აღმასვლამ ვერ შეარყია ვახტანგ გოგუაძის ზღაპრული პიროვნული თვისებებით ნაქსოვი თვითმყოფადობა. რიგითი მასწავლებლიდან პარლამენტის თავმჯდომარემდე ისე განვლო ცხოვრებისეული გზა, რომ ახლობლების, ნაცნობებისა და მეგობრების რაოდენობა არც გადახალისებულა და არც შემცირებულა. 80-იან წლებში ვახტანგ გოგუაძე როგორც თსუ-ს ლექტორი და პრორექტორი ქართული სპორტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქომაგი გახლდათ. მან არაერთი გამოჩენილი სპორტსმენი აზიარა საუნივერსიტეტო ცოდნას. იგი ყველანაირად ცდილობდა, რომ ყველა ჩემპიონი თუ პრიზიორი საქართველოს საამაყო შვილი შეძლებისდაგვარად ისე მომზადებულიყო, რომ მისაღებ გამოცდებზე მათთვის „ჩაწყო-ბა“ კი არა მხოლოდ მცირეოდენი ხელის კვრაც საკმარისი ყოფილიყო სასწავლებელში ჩასარიცხად. მერე კი მოწმე ვიყავი იმ დაუვიწყარი მეგობრობისა, რომელიც ინტელექტუალიზმის გზაზე დამდგარ სპორტსმენებსა და პროფესორ ვახტანგ გოგუაძეს შორის არსებობდა. მე თავად თითქმის მთელი ცხოვრება ლეგენდადქცეულ კოტე მახარაძესთან გავატარე და დღემდე მგონია, რომ მისნაირი უნივერსალურად განვითარებული ადამიანი დე-



დამიწის ზურგზე არ მოიძებნება, მაგრამ ვახტანგ გოგუაძე ერთ-ერთი გამოჩენილია, რომელიც შეიძლება ამ ლეგენდას შევადარო. თუნდაც ხელოვნების მრავალი დარგისადმი მისი ტრფიალით, ქართული ტრადიციული სუფრის დიდი სიყვარულით, შესანიშნავი თამალობით და სიმღერის ნიჭით. განსაკუთრებით კი იმ ტოლერანტობით რომელმაც საქართველოს მსოფლიო ლიდერობა არგუნა.

არ შემიძლია არ გავიხსენო 90-იანი წლების დასაწყისში თბილისის სინაგოგაში ვახტანგ გოგუაძის, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლა, რომელმაც არა მარტო თბილისს, არამედ მთელ მსოფლიოს ამცნო ქართველების დამოკიდებულება ებრაელებისა და ებრაული თორის იმ სიღრმისეული სიბრძნისადმი, რომელიც ავტომატურად განაპირობებს კაცობრიობის ყველა სარწმუნოებისადმი უდიდეს პატივისცემას. ეს ისტორიული გამოსვლა ნათარგმნია რამდენიმე ენაზე და, ალბათ, მთელს მსოფლიოს მოივლის.

არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ ვახტანგ გოგუაძის წიგნიერებას და ეს არცაა გასაკვირი. მისი ბინა ბიბლიოთეკას უფრო წააგავდა, ვიდრე საცხოვრებელ სახლს. როდესაც მე მასთან სახლში მისვლა მიწევდა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ოთახების წიგნებით გადატვირთვის გამო, უფრო ხშირად აივანზე გვიხდებოდა საუბარი. თუ ბატონი ვახტანგის დამსახურებას და თანამდებობებს გავიხსენებთ, იგი მომთხოვნი რომ ყოფილიყო, საცხოვრებელი ფართის პრობლემა მას არასოდეს არ ექნებოდა. ერთადერთი რაც მოხერხდა, ის იყო რომ გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე მიღებულ ნორმალურ ბინას არემონტებდა და, ფაქტობრივად, იგი მის მიერ ჯერ კიდევ ბოლომდე აუთვისებელი სახლ-კარიდან

გავაცილეთ ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ გზაზე. ბატონი ვახტანგის სახელი უკვდავი რომ იქნებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მითუმეტეს რომ გოგუაძეების ესტაფეტა ისეთმა გიორგიმ მიიღო, რომელიც, მამის დარად, ჩვენს ქვეყანას ნიჭიერების, კეთილშობილების, დამნახაობისა და ქველმოქმედების მფრქვეველად მოეკლინა.

ნათელში იყოს მისი სული. მე კი დავძენ, რომ მას შეუძლია წყნარად იყოს, რადგან მშობლიურ ქვეყანას სამაგალითო მონაგარი დაუტოვა.

ჯამლეტ ხუხაშვილი

## მას არც წარსულის ეუინოდა, არც მომავლისა

ძნელია წერა ადამიანზე, ვისთანაც ერთად ცხოვრების უმეტესი დრო გაგიტარებია, მით უფრო ძნელია მისი პიროვნების შინაარსის შთაბეჭდვა ერთ მოგონებაში; ძნელია, რადგან, რთულია (თუ არა შეუძლებელიც), პიროვნების ცხოვრების გზისა თუ ნაღვაწის მთავარ და არამთავარ ხვდომილებად დაყოფა – დანაწილება. პიროვნების ამქვეყნიურ არსებობაში ხომ ყველაფერი მთავარია, თანაბარმნიშვნელოვანია. აქ წვრილმანი-მსხვილმანი არ არსებობს.

ვანტანგ გოგუაძემ უაღრესად აქტიური ცხოვრებით იცხოვრა ამქვეყნად. ამის გამო უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის წლებში ხომ ბუნებრივად მოუძრავლდა. ცხადია, ყველას თავისი ვანტანგ გოგუაძე ჰყავდა. თავისი, ყველაზე გახსნილი, ხალასი ვანტანგი ჰყავდა პატარა სამოსაც, რომელიც ყრმობა-სიჭაბუკის ფიცვერცხლნაჭამობით იყო შეკრული. ამ ჯგუფში ნაბოლარა ვიყავი და ფილოლოგოსობის გარდა, სიძეობის სითამამეც მანებივრებდა და ძალაღებდა. ეს განსაკუთრებით საგრძნობი პროფესიულ საქმიანობაში იყო, სადაც ვანტანგის უპირველესი ექსპერტობა ჩემი სითამამის აშკარა პროვოცირების მიზანდასახულობას შეიცავდა ყოველთვის.

ერთად, გადაბმულად, ყოფნის ბედნიერება იშვიათად გვქონდა. ხან თვეებიც გასულა ერთმანეთის უნახავად. ამის მიუხედავად, ყველას – იუზა ევგენიძეს, ლადო მინაშვილს, ზურა გოგიჩაიშვილს, დათო წოწკოლაურს, ზურა სარჯველაძეს, ოთარ ონიანს – ცნობიერებაში ერთადყოფნის განცდა არასოდეს გვტოვებდა. შესაძლებე-



ლია, ვინმეს პათეტიკად ეჩვენოს, მაგრამ ყველანი, რასაკვირველია, ვახტანგის ჩათვლით, ამ საძმოს ზნეობრივ კონსტიტუციას უთანადებდნენ საკუთარ ნაბიჯსა თუ სიტყვას და ამით მართლაც „იყვის უკედ“, შეუძღვრველად. ამიტომ სრულიად ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა საძმოს „თავყრილობებზე“ რომელიმეს სათქვამ-ნაქნარის თვითაღიარებითი „მოსმენები“, ახსნა-განმარტებები და განჩინებანი, ვახტანგი კარგად იცნობდა თავის თავს და ფასიც იცოდა საკუთარი თავისა. იგი გენეტიკითაც დიდი შინაგანი ექსპრესიის კაცი იყო, მაგრამ ამასთან გასაოცარი ანალიტიკური გონების პატრონიც გახლდათ და ყოველთვის აწონასწორებდა ამ შინაგანი ექსპრესიის ამპლიტუდას, ხოლო პიროვნულ წუხილსა თუ ტკივილს ექსპრესიული მუხტით „ფარავდა“ – ჩაილიღინ-ჩაიცინებდა ხოლმე, ვითომც არაფერიყო. ტკივილით კი დიდად ტკივილიანი და რაღაცნაირად ტრაგიკული კაცი იყო. გარეგნულად მისი ცხოვრება, კარიერა თითქოს სრულიად საპირისპიროს ცხადყოფდა, მაგრამ გარეგანის მიღმა დაკვირვებული თვალი მუდამ ამჩნევდა ერთგვარი „მაგრამის“ არსებობასაც.

ძალიან ახლობლებმა თუ იცოდნენ, რა დიდი ფიქრითა და გარჯით იყო გაჯერებული მისი ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკეში დიდი ეჭვის მიზეზად რომ იქცეოდა ჟამიდან ჟამ. მტანჯველ იჭვს ისიც ასაზრდოებდა, რომ მისი ბავშვობის სამყარო დიდად სხვაობდა იმ სივრცესთან, რომელშიც ვახტანგმა პირწმინდად საკუთარი ნიჭიერებითა და მცდელობით შეაბიჯა სტუდენტობის შემდეგ. ამ ახალ სივრცეში მან შეძლო აღიარების მოპოვება, მაგრამ, საერთო ჯამში, ამ სივრცემ მაინც არ სცნო თავისიანად. ამის გამო ვახტანგის სულიერ-ინტელექტუალურ ცხოვრებაში ამ სივრცისადმი გაკერპებისა და

თვითდამკვიდრების ქვეცნობიერის ლტოლვებს არცთუ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ვახტანგს თავისი ფიქრის, განსჯის სამყარო ჰქონდა. იგი გარემო სინამდვილეს, რეალურს, ამქვეყნიურს საკუთარი შინასამყაროს ღირებულებებით ანალიზებდა და აფასებდა. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მისი პოზა ყოფითის მიმართ უცნაურად იოლიც ჩანდა, ირონიულიც და ამით, ბუნებრივია, ამ ყოფაზე ამაღლებულიც. და ეს იმიტომ, რომ მან იცოდა: წარმავალსა და ცვალებად რეალობაში კერძობითი ფაქტი, ტკივილი თუ სიხარული წარმავლობით „წარიღტვოდა“ – განელდებოდა, მინავლდებოდა, გაქრებოდა, დარჩენით კი პიროვნული ღირსება დარჩებოდა. ამის გამო წარმავალზე ფიქრი მსუბუქად მართებდა ადამიანს. ამიტომაც იყო, რომ ვახტანგი არასოდეს გაუტეხავს წარმავალს, მუდამ სამარადჟამოს ღირებულებებით ზომავდა საკუთარ ნაბიჯებს. ამის შეგნებით იყო ამაყიცა და ძლიერიც, ამის გაცნობიერება ათქმევინებდა – „მე არც წარსულის, რაც მომავლის არ მეშენიაო“. გარკვეულ ვითარებაში ამ გამონათქვამში შთაბეჭდილი აზრი მის მოქალაქეობრივ პოზიციად დაფიქსირდა. ეს კონკრეტულად მაშინ გაცხადდა, როცა 90-იან წლებში ვახტანგმა თავისი პუბლიცისტური ნაწერების კრებულის გამოცემა გადაწყვიტა და რედაქტორობა მე დამავალა. ამ კრებულში ბევრი ისეთი წერილი შევიდა, რომლებიც, ერთი შეხედვით, დროჟამული რეალობისათვის ანგარიშგაწევით ან პოლიტიკური კონიუნქტურით იყო ნაკარნახევი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა. ზოგიერთი წერილი ისეთ პიროვნებებს შეეხებოდა, რომლებზედაც ქართველ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები იყო ფესვგადგმული. ამის გამო პუბლიცისტურად თით-

ქოს მომგებიანი ჩანდა, თუმცა საზოგადოებრივი აზრისა თუ პოლიტიკური ისტორიის განცდა მეც დამეუფლა და, როგორც რედაქტორმა, ეს აზრი ეჭვის ფორმით გავუზიარე. ისე შემომხედა, რომ მაგრძნობინა, მასაც სერიოზულად ჰქონდა ნაფიქრი ამაზე... მითხრა: „რასაც ვწერ, ყველაფერი რეალურად მომხდარია. ისეა მომხდარი, როგორც მოხდა. მთავარი ჩემთვის ესაა. ისეთი მონაწილე ვარ აღწერილი ფაქტებისა და მოვლენებისა, როგორიც ვარ და არა ისეთი, როგორიც უნდათ ზოგიერთებს. კარგია ეს თუ ცუდი, ამას დრო განსჯის. ფაქტებსა თუ მოვლენებს კი ვერ ამოვეფარები. ჩემი რწმენის საწინააღმდეგოდ არასოდეს წავსულვარ. ამიტომაც მართლაც არ მეშინია არც წარსულისა და არც მომავლისა... და არც მრცხვენია.“ ამ თქმაში უთუოდ გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ასპექტიც: იმ პუბლიცისტურ წერილებში ვახტანგი უპირატესად პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე წერს. პოლიტიკაზე სწრაფად-ცვალებადი რამ კი კაცობრიობას არაფერი გამოუგონია. ეს, ცხადია, ვახტანგმაც მშვენივრად იცოდა და მაინც... არ ეშინოდა...

და მიუხედავად ამისა, იგი ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ ასე მგონია, თავისი სიტყვის თქმა მაინც არ დასცალდა არც ყოფაში, არც მეცნიერებაში, არც მოღვაწეობის სხვა სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი პირველხარისხოვანი მონოგრაფია თუ მეცნიერული გამოკვლევა, წიგნი დაწერა ურთულესსა და ძნელადპასუხვასაცემ პრობლემებზე.

ჯანღონიანი კაცი გვყავდა ვახტანგი. სალსალამათი, სპორტის ტრფიალი. მისი ავადმყოფობის ამბავი რომ გავიგე, ვიფიქრე, რაღაც უმნიშვნელო იქნება, ფეხზე მალე დადგება-მეთქი, მაგრამ ორ-სამ დღეში ახალ ელდა-



სავით გაისმა – ვახტანგი საავადმყოფოში გადაიყვანესო. სანახავად მისვლა ვერც კი მოვასწარი და მისი გარდაცვალებაც შევიტყვე. სიკვდილიც ისეთივე ზავთიანი აღმოჩნდა, როგორც მისი ცხოვრება იყო.

რა იყო ეს? ნუთუ შეიძლება ასეთი უეცარი და უცნაური წასვლა? მიდიოდა და მეუღლეს ნანი ჩხაიძეს ახალი წიგნის სამეორედლეო ანაბეჭდებს უკითხავდა. ნანის „ატყუებდა“? – მაშ, რატომღა უთხრა, შუალამისას დანარჩენი ხვალ, დილით წავიკითხოთო, თუკი იცოდა, რომ ის ხვალ აღარ გაუთენდებოდა.

თემურ ჯაგოდნიშვილი



ვახტანგ გოგუაძე უთოდ დიდ მეოცესაუკუნელ ქართველთა ერთ-ერთი თვალსაჩინო და ღირსეული წარმომადგენელია, რომლის სრულქმნილი კაცობის თვალნათლივი კვალიც მუდამ მისაბადი და სამაგალითო იქნება მრავალი შემდგომი თაობის ქართველთათვის, ვინც კი ამქვეყნად თავისი მოსვლის მიზანს სამშობლოს უანგარო მსახურებაში დაინახავს.

ბატონი ვახტანგ გოგუაძე ისტორიაში ბევრი რამით შვევა, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული, პუბლიცისტური და სამწერლო მოღვაწეობით. მაგრამ, ამასთანავე, იგი ისტორიას ემსახურა როგორც პოლიტიკოსი და საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტის სპიკერი. სპიკერი, რომელიც ურთულეს დროში ოცდაექვსი პარტიისა და მაჟორიტართა კორპუსისაგან შემდგარ, ურთულეს პარლამენტს ხელმძღვანელობდა.

ბატონი ვახტანგი დიდი ეროვნული მოძრაობის ის ღირსეული წარმომადგენელია, ვისაც არასოდეს გადაუხვევია უდიდესი მეფის – ერეკლე მეორისა და უდიდესი ეროვნული მოღვაწისა და წმინდანის ილია ჭავჭავაძის იდეალებისაგან.

ბატონმა ვახტანგმა ცხოვრების რთული გზა გამოიარა, რომელიც ხშირად მტანჯველი, მტკივნეული იყო, მაგრამ უკან არასოდეს დაუხვევია. როცა საქვეყნო გადაწყვეტილებებს იღებდა, იმაზე არასოდეს დაფიქრებულა, ასეთი ნაბიჯი პირადად მას რას მოუტანდა. იგი ლაპარაკობდა, წერდა და მოქმედებდა სამშობლოს ინტერესების შესაბამისად.

ბატონი ვახტანგი ბევრჯერ უნახავთ ქუჩაში ფეხით მიმავალი ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში სრულიად არაკომფორტულ ვითარებაში, მაგრამ ის ამას არ თაკი-

ლობდა, ვინაიდან თავისი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა და არათუ სამუდამოდ დამკვიდრებული პრივილეგია არ მიუღია, თვით სპიკერობის პერიოდშიც თითქმის არანაირი პრივილეგიით არ უსარგებლია.

ბატონი ვახტანგი ღრმად მორწმუნე ქრისტიანი გახლდათ. იგი მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ ათეისტურ ეპოქაში ეთაყვანა და ქრისტეს მძიმე ჯვარი მანამდე ატარა, ვიდრე მისი სული ზეციურ სამყოფელში არ გადასხალდა.

– ქრისტეს ბაძავ? – ჰკითხეს ერთხელ, არცთუ დაფარული ირონიით.

– ჰო, აბა ვის მივბაძო?! – მშვიდად შეუბრუნა კითხვა ვახტანგმა.

შემდგომ ეს აზრი ასე განავითარა: ყოველი მორწმუნე ქრისტიანი ქრისტეს სულის ნაწილიაო.

ბატონი ვახტანგი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო არა მარტო რწმენითა და მსოფლმხედველობით, არამედ ცხოვრების წესითაც. რაკი ქრისტიანი იყო, უზადოდ მიმტევებელი იყო; რაკი მიმტევებელი იყო, ჰუმანისტი და ტოლერანტული იყო; რაკი ჰუმანისტი და ტოლერანტული იყო, დემოკრატი იყო, ოღონდ არა ყალბი და ფარისეველი, არამედ ნამდვილი დემოკრატი, პლატონური იდეებით ნასაზრდოები.

ბატონი ვახტანგი არასოდეს ეძებდა პოპულარობას, პირიქით, თითქოს საგანგებოდ ეძებდა არაპოპულარულ თემებს, რომ საკუთარი თავისადმი ზიანი მიეყენებინა, მაგრამ პირიქით კი ხდებოდა. იგი უყვარდა ხალხს და მან ეს სიყვარული დაიმსახურა.

დასანანია, რომ სიბრძნის ასაკის მიღწევის და შემოქმედებითი მწიფობის უამს წავიდა ჩვენგან მაძულიშ-



ვილი, ვინც მრავალი საქვეყნო სიტყვა თქვა, მაგრამ უმთავრესი სათქმელი ვერ მოასწრო.

ჭეშმარიტად ნათელი კაცი იყო ბატონი ვახტანგი და აწ, როგორც იტყვიან, უკვე გაღმა გასულს, იქაც, იმ გრძელ სოფელშიც დიდ და მარადიულ ნათელში მოუწევს ყოფნა.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, ნ. ლეკიშვილი, ბ. გულუა, ა. მარგიანი, თ. გამყრელიძე, ჭ. ამირეჯიბი, რ. ბერიძე, ვ. რჩეულიშვილი, ჯ. პატიაშვილი, გ. ლომინაძე, გ. კალანდია, ვ. ყოლბაია, ო. ჭითანავა, ვ. კვარაცხელია, შ. ნათელაშვილი, ირ. წერეთელი, ნ. ნადარაია, თ. კალანდაძე, გ. გეწაძე, გ. ფაცაცია, ო. კოხია, გ. აბალაკი, ი. აბესაძე, მ. ბარამიძე, ჯ. გორგოძე, გ. ველიჯანაშვილი, ნ. კოხრეიძე, ვ. ოთარაშვილი, ჯ. საჯაია, ა. ტყეებუჩავა, ა. ფენდერავა, მ. ქაჯაია, ნ. ჯეირანაშვილი, გ. გვაზავა, ა. წოწონავა, გ. ბიჭაშვილი, რ. ლორთქიფანიძე, ა. ქაშაკაშვილი.

## სახელთა საძიებელი

ა

აბაშიძე გრიგოლ 13, 21, 22,  
23, 24,

აბაშიძე ირაკლი 25, 26, 71,  
220

აბულაძე თენგიზი 13, 27, 28,  
29, 30, 31, 116

აბზიანიძე ზაზა 129

ავალიანი სერგი 226

ავალიშვილი მანანა 117

ავთანდილი „ვეფხისტყაოსანი“  
109

აიაქსი 65

ალექსანდრე III 59

ალექსიძე ალექსანდრე 225

ალიევი ჰეიდარი 21

ალულა 120, 123

ალხაზიშვილი შალვა 22, 23

ამაღლობელი არჩილი 35

ამაღლობელი ნოდარი 28, 33,  
34, 35, 36, 106,  
228

ამაშუკელი ელგუჯა 25, 137

ამირანი 138

ანდრიაძე ირაკლი 177

ანდრონიკაშვილი ლუარსაბი 58

ანდროპოვი იური 96, 172, 174

ანჯაფარიძე ვერიკო 125

არჩილ მეროე 15

არჩვაძე თენგიზი 120

არძინბა ვლადისლავი 238

არეოპაგელი დიონისე 139, 171

არისტოტელე 181

არსენიშვილი ზაირა 94, 117

ასათიანი გური 220

ასათიანი მანანა 129

ასკურავა მამანტი 280, 281

ალმაშენბელი დავითი 132

ახალკაცი ანუშკა 43

ახალკაცი მედიკო 43

ახალკაცი ნელი 43

ახალკაცი ნოდარი 37, 38, 39,  
40, 41, 42, 43,  
137

ახალკაცი ნოდარიკო 43

ახვლედიანი გიორგი 58, 211

აჯიაშვილი ჯემალი 233

ბ

ბადრიძე შოთა 314

ბადურაშვილი თემური 71

ბაგრატ III 132

ბაგრატ IV 132

ბაირონი 112

ბაკატინი იური 102

ბალანჩივაძე რეზო 189

ბანძელაძე გელა 44, 45, 46

ბაქრაძე აკაკი 35, 106, 107

ბაქრაძე გივი 229, 230

ბაქრაძე კოტე 329

ბასილ დიდი 16

ბეგიაშვილი არჩილი 122

ბეჟუაშვილი ბეგო 129, 222,  
338

ბენაშვილი გურამი 129

ბენდუქიძე ავთანდილი 127

ბერია ლავრენტი 92

ბერიძე ვუკოლ 58

- ბერიძე ომარი 236  
ბერძენიშვილი ნიკო 61, 92,  
174, 209  
ბესიკი 15  
ბეთხოვენი 81, 82, 83  
ბეჭკაია დევი 180  
ბიჩკოვი 173, 189  
ბიჭაშვილი გიორგი 152  
ბლიაძე ნოდარი 315  
ბლუმენბახი 57  
ბორჩაშვილი იუსუფი 94, 117,  
118, 120  
ბოჭორიშვილი ანგია 47, 48  
ბოჯგუა დალი 229  
ბრაუნი 267  
ბრეჟნევი ლეონიდი 162  
ბუაჩიძე თენგიზი 13, 50, 51,  
144  
ბუში 242
- ბ**  
გალაკტიონი 26, 65  
გამსახურდია კონსტანტინე 25,  
132, 142, 186  
გამსახურდია ზვიადი 95, 97,  
100, 102, 103  
გამყრელიძე ოლიმპიადა 59  
გამყრელიძე რევაზი 55  
გამყრელიძე თამაზი 55, 56, 57,  
58, 61  
გამყრელიძე ვალერიანი 52, 53,  
58, 59, 60, 61,  
174, 209  
გაჩეჩილაძე რ. 314  
გეხტმანი გიორგი 59  
გვანარია ალექსანდრე 90  
გივინეიშვილი ივანე 92  
გილიგაშვილი  
როლანდი 260  
გიორგი III 132  
გიუნაშვილი ელგუჯა 127, 223,  
300  
გლადკოვი 127  
გოგელია არჩილი 37, 102  
გოგიჩაიშვილი ფილიპე 58  
გოგიჩაიშვილი თამაზი 208  
გოგუაძე გიორგი 5, 324, 336,  
353  
გოგუაძე ვახტანგი 3, 4, 6, 38,  
44, 45, 61, 90,  
97, 99, 100, 122,  
135, 136, 163, 173,  
174, 177, 178, 180,  
189, 190, 199,  
202, 207, 208,  
211, 213, 214, 219  
– 361  
გოგუაძე ვლასი 279, 328  
გოგუაძე თამარი 325, 336  
გოგუაძე მოსე 279  
გოდერძიშვილი ელდარი 271  
გოეთე 16, 24, 66, 112, 118,  
201, 202, 203,  
204, 205  
გოკიელი ელენე 229  
გორბაჩოვი მიხეილი 41, 101  
გორგოძე შოთა 102, 106  
გორდუზიანი რისმაგი 129  
გუდიაშვილი ლადო 127  
გუგუშვილი გაი 37, 129  
გულიგა არსენი 174



გუმბარიძე გივი 100, 102, 106,  
107

გურამიშვილი დავითი 15

გურგენიძე ნელი 230

გური ეფრაიმი 233

გურიელი მამია 296

## დ

დადიანი ცოტნე 147

დავითაშვილი იოსები 178

დავლაძე ლევანი 323

დალაქიანი 130

დამასკელი იოანე 16

დანელია კორნელი 25, 62, 63,  
64

დანელია სერგი 54, 143

დამიანი პეტრე 139

დანიელი 159

დარვინი 61

დარსალია მიხა 307

დავით წინასწარმეტყველი 142,  
159

დევდარიანი ანდრო 233

დემირჩიანი დერენიკ 133

დენ სილო პინი 78

დიკენსი ჩარლზი 65

დუდუჩავა რუსუდანი 307

დუმბაძე ნოდარი 65, 66, 67,  
186

დუმბაძე ოლია 74, 127, 128

## ე

ეგმონტი 65

ეკერმანი 118, 203,

ეკპარტი 140

ერეკლე მეორე 132

ერიუგენა იოანე სკოტი 140  
ესაია 159

ეგვინიძე იუზა 90, 92, 93,  
94, 127

ელცინი 267

ენგელსი 315

ერქომაიშვილი ანზორი 232

## ვ

ვაჟა-ფშაველა 44, 48, 87, 88,  
91, 92, 94, 109,  
110, 116, 118, 119,  
120, 126, 180, 193,  
196

ვახტანგ მეექვსე 15

ვეკუა ილია 68, 69, 70, 71,  
72, 146, 147, 156,  
157

ვიტტე 53

ვოლუმნია 114

ვუნდტი 131, 132

## ზ

ზამბახიძე ლაზო 349

ზანდუკელი მიხეილი 73, 74,  
75, 127

ზარანდია მუშნი 97

ზვიადაური 109, 110, 120

## თ

თაბუკაშვილი რევაზი 76, 77

თამარ მეფე 132

თაქთაქიშვილი ოთარი 127

თევზაძე გურამი 90, 172, 174

თუმანიანი ოვანესი 132, 133

თუთაშხია დათა 97

- ი
- იაკოვლევი ალექსანდრე 41
- იბერი პეტრე 139, 140, 171, 183
- ივერიელი ანთიმოზი 15
- იესო ქრისტე 103, 158, 159, 166, 185, 195
- იეზეკიელი 159
- ივანოვი ვიჩესლავი 57
- ილია II 151, 152, 218
- იმნაძე თინა 296
- ინაური ალექსი 28
- იოსელიანი ოთარი 27
- იოსელიანი ვაბა 106, 233
- ისააკიანი ავეტიკი 132, 133
- ივერიელი ანთიმოზი 15
- კ
- კაკაბაძე ნოდარი 90, 92, 228
- კალანდარიშვილი ვახტანგი 78, 79
- კალანდაძე ანა 89, 90
- კალოვი ზაური 135
- კამილიუსი 114, 115
- კანკავა ლავანდა 144
- კანტი 65, 154
- კარტოზია გივი 105, 164
- კატონი 65
- კაფკა 23
- კახიძე ჯვანსული 81, 82, 83, 84, 85, 231
- კეცხოველი ნიკო 66
- კეკელიძე კორნელი 73, 87, 127, 142, 143
- კვარაცხელია გუნა 129, 165, 166
- კვარაცხელია ვალერი 124, 152, 236
- კვაჭანტირაძე თამაზი 37, 48, 129
- კვესელავა მიხეილი 92
- კიკელიშვილი მამუკა 233
- კიკნაძე ვრიგოლი 74, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 116, 120, 126, 197, 198
- კილანავა ბეჟანი 277
- კირილე მიტროპოლიტი 195
- კირილენკო 210
- კნებელი 294
- კობახიძე გია 233
- კონფუცი 312
- კორიოლანოსი 69, 113, 114
- კოსტავა შერაბი 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104
- კოტეტიშვილი ვახუშტი 79, 144, 225
- კროტოვი მიხეილი 41
- კუზანელი 140
- კუპრაძე ვიქტორი 127
- ლ
- ლაღიძე ნათელა 229, 230
- ლევიშვილი ნიკო 178
- ლენინი 63, 80, 101, 168, 209
- ლევერკიუნი ადრიანი 118
- ლერმონტოვი 290
- ლიპატოვი 40
- ლომიძე ფაციკო 105
- ლომიძე გიორგი 107

- ლომიძე შოთა 105, 106, 107,  
108  
ლორთქიფანიძე გიგა 235  
ლორთქიფანიძე გურამი 226  
ლორთქიფანიძე მარიკა 213,  
214  
ლორთქიფანიძე ნიკო 127  
ლორია კახა 269  
ლოსევი ალექსეი 52, 171, 172,  
173, 174, 175  
ლოუტონი 214
- მ
- მაკედონელი ალექსანდრე 142,  
150  
მამა ლევანი (მღვდელი) 107,  
108  
მამალაძე ჯანგი 177  
მამარლაშვილი მერაბი 109, 111,  
112, 116, 121, 122,  
123  
მამულაშვილი ლონდა 94  
მამულია გურამი 314  
მანი თომასი 23, 118, 201, 206  
მანჯგალაძე ეროსი 41, 137  
მარგიანი ლელა 315  
მარციუსი გაიუსი 113  
მარგარიტა 65  
მარქსი 78, 188, 201  
მაზარაძე კოტე 41, 124, 125  
მგელაძე ნიკო 74, 126, 127,  
128  
მგელაძე გურამი 106  
მდინარაძე ლია 94  
მდივანი ლონდა 122  
მეგრელიშვილი კოტე 298  
მელიქიშვილი პეტრე 66  
მელიქსეთ-ბეგი ლეონი 129,  
130, 131, 132  
მენაბდე ლევანი 144  
მესხი მიხეილი 130, 134, 135,  
136, 137  
მეტაფრასი სვიმეონი 16  
მეტრეველი როინი 314  
მეტრეველი სლავა 136, 137  
მეფისაშვილი გივი 150  
მეშველიანი კარლო 233  
მიმინოშვილი რომანი 105  
მიმინოშვილი ოთარი 105  
მინაშვილი ლადო 90, 92, 93,  
232  
მირანდოლა პიკო დელა 140  
მიშველაძე არჩილი 35  
მიშველაძე რევაზი 26  
მიულერი ფ. 57  
მოსე 159, 178  
მუჟანაძე ვასილი 281  
მუცალი 120  
მუსხელიშვილი ნიკო 48, 71  
მშენიერაძე კახა 163  
მშენიერაძე ნუგზარი 164  
მშენიერაძე პეტრე 163, 164  
მცურავიშვილი მიშა 236  
მზეძე გოვი 127
- ნ
- ნადირაძე გიორგი 233  
ნემსაძე ზურაბი 129  
ნინოშვილი ეგნატე 199  
ნიკოლოზიშვილი ნიკო 269  
ნუცუბიძე შალვა 25, 59, 71,  
127, 138, 139, 140,



141, 142, 143, 158,  
159, 160, 161, 165,  
171, 211

ო

ოვივიანი 130  
ონიანი ოთარი 300, 354  
ორბელიანი სულხან-საბა 15  
ოცხელი იოსები 58  
ოკუჯავა ვაჟა 81  
ოქროპირი იოანე 16

პ

პაიჭაძე ბორისი 137  
პერტაია ლევანი 273  
პეტრიწი იოანე 339  
პლატონი 146, 185  
პლუტარქე 113  
პონტოელი ევაგრე 142  
პრომეთე 138  
პუშკინი ალსექსანდრე 13, 89

ჟ

ჟვანია გრიგოლი 179, 225  
ჟვანია ზაალი 144, 145, 146,  
147  
ჟორდანია ანდრო 134, 137

რ

რამიშვილი ნინო 39  
რაზმაძე ვახტანგი 106  
რეიგანი რონალდი 176  
როდონაია ვახტანგი 129, 222  
რურუა რომანი 106  
რუსთაველი შოთა 15, 25, 76,  
166, 196

ს

სააკაძე გიორგი 144  
სანაძე გივი 230  
სანიკიძე გუბაზი 152  
სანიკიძე ლევანი 148, 149, 150,  
151, 152, 153  
სანიკიძე ლილი 152  
სარიშვილი ირინა 233  
სარჯველაძე ზურაბი 299  
სალარაძე გურამი 152, 153  
სახაროვი გივი (სტეფანე) 182  
სივსივაძე ნოდარი 94, 117  
სილაგაძე აპოლონი 230  
სირაძე ვიქტორია 71, 157  
სიხარულიძე იური 296  
სოკრატე 65, 89, 146  
სოლომონ I 54  
სოლომონ მეფე 106  
სტალინი 141, 160, 161, 162,  
177  
სტურუა დევი 177  
სუმბათაშვილ-იუჟინი 170  
სულხან-საბა ორბელიანი 15  
სულხანიშვილი ლეილა 117  
სუპრიკიანი 130

ტ

ტაბალუა ილია 298  
ტალახაძე 213  
ტარიელი „ვეფხისტყაოსანი“  
109  
ტახოვოდი 174  
ტოლსტოი ლევ 88, 118  
ტროცკი ლევ 209  
ტურაშვილი დათო 323  
ტუტანჰამონი 347

ტყემალაძე ანზორი 150, 226

უ

უზნაძე დიმიტრი 54, 58, 87,  
90

ურუშაძე ნათელა 90

ფ

ფალავანდიშვილი გეიღარი 120

ფარულავა გრივერ 51

ფილოქტეტი 65

ფირცხალავა გიგლა 135

ფიფია თემური 234

ფორაქიშვილი ზურაბი 210,  
230

ფრანგიშვილი ალექსანდრე 87,  
90

ქ

ქდაგიშვილი ირაკლი 234

ქოიავა ნიკოლოზი 59

ქვანაზია იროდიონი 165, 166

ქვანაზია მიხეილი 165

ქვანაზია ნიკოლოზი 165

ქვანაზია ვანო 165

ქვანაზია ვენორი 71, 134, 135,  
136, 137, 141, 154,  
155, 156, 157, 158,  
159, 161, 162, 163,  
165, 199, 220

ღ

ღამბაშიძე გივი 233

ყ

ყაზბეგი ალექსანდრე 297, 298

ყაუხჩიშვილი სიმონი 298

ყიფიანი დავითი 137

ყუბანეიშვილი მეთა 94

შ

შამილაძე ვახტანგი 35

შანიძე აკაკი 25, 54, 62, 63,  
64, 92, 186, 211

შარაძე გურამი 129

შარტავა შული 13, 167

შეკარდნაძე ედუარდი 27, 107,  
108, 110, 111

შელია მურმანი 28

შექსპირი 113

შილერი 206

შიხაშვილი მირიან 210

შობენკაუერი 146

შპენგლერი 206

შუმეიკო 267

ჩ

ჩაფიძე ნელი 177

ჩარკვიანი ჯანსუღი 25

ჩერნიშოვი ალბერტი 106

ჩიქობავა არნოლდი 87, 90, 92

ჩიზრაძე ფიქრია 269

ჩხაიძე გრამიჭონი 300

ჩხაიძე ნანი 4, 235, 255, 324,

ჩხარტიშვილი აკაკი 150

ჩხეიძე თამარი 99

ჩხეიძე რეზო 27, 141, 160

ჩხიკვიშვილი დავითი 168, 169,  
170, 173, 208

ჩხიკვიშვილი ირაკლი 173, 174

ჩხობაძე რევაზი 229

6  
ცელტერი 203, 204

ცეზარი 151

ციციაშვილი აბონი 176, 177,  
178, 179

ცინცაძე ღურმიშხანი 42

ძ

ძიძიგური შოთა 62

წ

წერეთელი აკაკი 132

წერეთელი გიორგი 25

წერეთელი სავლე 180, 181,  
182, 183

წოწკოლაური დათო 94

წულაძე ვალოდია 296

ჭ

ჭანტურია გია 233

ჭანტურია ტარიელი 69, 232

ჭანუყვაძე ლადო 51

ჭავჭავაძე ილია 30, 112, 132,  
192, 196

ჭავჭავაძე ნიკო 155, 184, 185,  
186, 187, 188, 189,  
190, 191, 192, 226

ჭავჭავაძე ზურაბი 102, 189,  
190, 192

ჭანტურია ტარიელი 232

ჭიაურელი მისეილი 125

ჭიაურელი სოფიკო 124, 125

ჭილაშვილი გურამი 68, 193,  
194, 210, 230

ჭინჭარაული ალექსი 79

ჭუმბურიძე ჯუმბერი 73, 90

ხ

ხავთასი გრიგოლი 200, 201

ხავთასი მისეილი 233

ხაინდრავა გოგა 233

ხანძთელი გრიგოლი 62

ხარაძე ევგენი 34

ხეოპსი 347

ხინთიბიძე ელგუჯა 314

ხინთიბიძე ციალა 226

ხორავა აკაკი 144

ხრუშჩოვი ნიკიტა 209

ხუციშვილი სოლომონი 73

ხუნდაძე სილოვანი 58

ხუნწარია რეზო 134, 135, 160

ხუროძე თემური 96, 226, 348

ხუციშვილი გოგი 233

ხუჭუა პავლე 81

ხუხაშვილი ჯამლეტი 124

ხუხუა ტიტვიკო 129

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 27, 29,  
54, 58, 95, 126,  
191, 211, 214, 215

ჯაველიძე ელიზბარი 47, 102

ჯანაშია სიმონი 92

ჯაფარიძე იური 129, 144, 225

ჯაფარიძე იური 144, 196, 225

ჯაში ნიკოლოზი 150

ჯიბლაძე გიორგი 150, 155,  
156, 195, 196, 197,  
198, 229





გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

